შოთა ბადრიძე

წიწაქურის ტრაგედიის ბაქოცანები

(ვინ მოკლა ილია?)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1991

63.3 Гр

Ъ 157

ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოებათა საკითხისადმი, რაც უკვე 80 წელზე მეტია, კამათისა და პოლიტიკური ვნებათაღელვის თემაა.

ნარკვევი ეფუძნება ამჟამად მკვლევართათვის ხელმისაწვდომ თითქმის ყველა საარქივო და მეცნიერულ-მემუარულ მასალას. კერძოდ, პირველადაა გამოყენებული საქართველოს სუკ-ის ფონდები და ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის დოკუმენტები. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი წინამდებარე გამოკვლევის ავტორიცაა.

ნაშრომის საგაზეთო ვარიანტმა, რომელიც „სახალხო განათლებაში" კვეყნდებოდა, ჩვენი საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია. ამიტომ გადაწყდა მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

С თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1991 წ.

კოოპერატივი „იდეალი"

Б 608 (06)—91

ავტორისაგან

ჩვენი ერის თავზე მეხის დაცემას ჰგავდა ის, რაც 1907 წ. 30 აგვისტოს მოხდა წიწამურთან. ბოროტმოქმედთა ავაზაკურმა ჯგუფმა, რომელთა ვინაობის ამოცნობა დღესაც დასრულებული არაა, სიცოცხლეს გამოასალმა ქართველი ერის დიდი მოამაგე ილია ჭავჭავაძე.

მეფის ხელისუფლებამ ენერგიულად სცადა ზომების მიღება მკვლელების მოსაძებნად, შეძლებისდაგვარად გამოავლინა ისინი, გაასამართლა და სიკვდილითაც დასაჯა. მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობა იმთავითვე ვერ შეეგუა გამოძიების იმ დასკვნას, რომ ილია ჭავჭავაძე ავგარარულ ნიადაგზე იქნა მოკლული. გაურკვეველი დარჩა საკითხი — ვინ მოაწყო მკვლელობა, ვისი მითითებით, ვინ იყო ამ აქციის ინსპირატორი.

ზემოაღნიშნული კითხვა მით უფრო კანონიერი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლიც იყო, რისთვისაც მას აშკარა მტრები ჰყავდა როგორც შავრაზმელთა, ისე მემარცხენე სოციალისტთა მხრივ. ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული მკვლელობის პრობლემა მწვავე პოლიტიკური ყღერადობის ობიექტი გახდა. ასეთი მდგომარეობა ამჟამადაც გრძელდება.

იმთავითვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებზე ორი თვალსაზრისი გამოიკვეთა. ერთის მიხედვით, ილია მოკლეს მეფის საიდუმლო პოლიციის („ოხრანკის") მითითებით, მეორე თვალსაზრისით კი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოაწყვეს მისდამი მტრულად განწყობილმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რითაც მათ ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურად დასაჯეს.

პირველი თვალსაზრისის ავტორები ქართველი სოციალ-დამოკრატები იყვენ. ამით ისინი ერთგვარ ალიბს უქმნიდნენ თავის ბანაკს. ზემოაღნიშნული თვალსაზრისი კანონიზებულ კონცეფციად იქცა საბჭოთა წყობილების დროს. ამ შეხედულებას ამჟამადაც ორთოდოქსალურად მისდევს საზღვარგარეთ მცხოვრები ზოგიერთი ქართველი სოციალ-დემოკრატიც.

მეორე თვალსაზრისი იმთავითვე ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებში შეიქმნა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში სასტიკად იდევნებოდა.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პრობლემისადმი ახლებური მიდგომა, მასზე თავისუფალი აზრის გამოთქმა.

პირადად ჩვენ იმ მკვლევართა რიცხვს ვეკუთვნით, რომლებიც უკანასკნელ ხანებში საგანგებოდ დაინტერესდნენ და მუშაობდნენ წიწამურის ტრაგედიის საკითხებზე. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1987 წელს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შემსწავლელი სამთავრობო კომისია (თავმჯდომარე აკად. გ. ციციშვილი), რომლის უდავო დამსახურებაა, რომ ამჟამად ჩვენს მეცნიერებს და დაინტერესებულ საზოგადოებას უკვე თავმოყრილი და პირველადი ფორმით ინტერპრირებული აქვს მრავალრიცხოვანი საარქივო და ლიტერატურული მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესახებ.

პირადად ჩვენ, ვითარცა ზემოდასახელებული კომისიის ერთ-ერთი წევრი, დიდად დავალებული ვართ ამ კომისიისაგან, რომლის მიერ მიკვლეული მასალების ერთი ნაწილი ჩვენს ნარკვევში ვრცლადაა გამოყენებული.

„წიწამურის ტრაგედიის გამოცანები" ჩვენი კერძო გამოკვლევაა. ცხადია, ისეთ რთულ პრობლემაზე, ჩვენ შრომაში რომაა განხილული, ყველა დებულება ერთნაირი სიძლიერის არგუმენტაციით ვერ იქნება გადმოცემული. ეს, პირველ ყოვლისა, საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ბრალია. ბევრი რამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ან ზოგიერთი ცნობა ნაყალბევის სახით არის შემორჩენილი და მისი განხილვა საკონტროლო მასალების სიმცირის პირობებში ერთობ გაძნელებულია. ამიტომაც ვცდილობთ წიწამურის ტრაგედიის ვითარებათა დანახვას ზემოთ უკვე მითითებული ორივე ვერსიის კრიტიკული ანალიზით. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ეს მეთოდი უკეთ წარმოაჩენს, თუ რომელი ვერსიაა უფრო საბუთიანი და გასაზიარებელი. როგორც მკითხველი დარწმუნდება, ჩვენ ვცდილობდით, ობიექტური ანალიზის საფუძველზე, დაგვემტკიცებინა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ჩანს, ბოლშევიკებმა მოკლეს პოლიტიკური შურისძიების, ტერორისტული აქტის სახით.

დარწმუნებული ვართ, რომ „საუკუნის ტრაგედიის" მრავალი დეტალი ჯერ კიდევ საკამათო, დასადგენი ან დასაზუსტებელია. ამ საქმეში, ალბათ, თავის საბოლოო კომპეტენტურ სიტყვას ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული სამთავრობო კომისია იტყვის. კვლევა-ძიება, როგორც მეცნიერებას შეეფერის, მომავალშიც გაგრძელდება.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც სათანადო დახმარებას გვიწევდა წიგნის წერისას. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ კოლეგები: პროფესორები — ლევან თოიძე, დევი სტურუა, გივი ფორდანია, აკაკი სურგულაძე, აკად. გიორგი ციციშვილი, ვახტანგ გურგენიძე, ს. ლეკიშვილი...

უდიდესი მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ გაზეთ „ერის" რედაქტორი პროფ. აპოლონ სილაგაძე, გაზეთის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, რომლებმაც ყოველნაირად შემიწყვეს ხელი, დასრულებული სახე მიმეცა და გამომექვეყნებინა ჩემი ნარკვევების საგაზეთო სერიალი. წინამდებარე წიგნიც ხომ ამ ტექსტს ეფუძნება.

წინასიტყვაობის მაგიერ

1907 წ. 30 აგვისტოს ჩვენი ერის ავისმოსურნეთა ხელით ილია ჭავჭავაძისათვის ნასროლი ტყვიების ხმა ახლაც აყრუებს ქართველთა ყურთასმენას.

80 წელზე მეტია გვტანჯავს და გვაფორიაქებს ორი უმთავრესი კითხვა — რატომ მოექცნენ ასე ერის მამას და ვინ მოაწყო ეს უღვთო მკვლელობა?

პირველ კითხვაზე პასუხი თითქოს ლოგიკურად იხსნება. ილია მოკლეს საქართველოს ეროვნული აღორძინების იდეისა და მისი ხორცშესხმის მოწინაღმდეგეებმა, რომლებიც მრავლად იყვნენ როგორც ცარიზმის ბანაკში, ისე მათ შორისაც, ვინც მემარცხენე რევოლუციური კონცეფციების შესაბამისად სასტიკად ებრძოდა საქართველოს ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ავტონომიის გზით.

შორს არაა ის დრო, როცა მეორე საკითხზეც პასუხი უფრო ნათლად გვეცოდინება, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი. ეს კი, პირველ ყოვლისა, აუცილებლად საჭიროებს ჩვენს დრომდე მოღწეული ყველა წერილობითი თუ ზეპირგადმოცემითი ჩვენების მოძებნა-თავმოყრას, და მათ გაანალიზებას, რაც ერთობ შრომატევადი საქმეა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საბოლოო დასკვნის გამოტანა.

ახლა ჩვენი მიზანი არაა ყველა ამ რთულ პრობლემაზე პასუხის გაცემა. გვინდა მხოლოდ მკითხველებს გავაცნოთ ზოგიერთი მასალა იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწყო და ახლაც გრძელდება დავა ილიას მკვლელობის საიდუმლოებათა შესახებ, როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ საკითხზე სხვადასხვა ვერსიას.

პირველი ოფიციალური ვერსია — იგი 1907-1908 წლებშივე შეიქმნა — ეკუთვნის მეფის ადმინისტრაციას, რომელმაც გამოიძია ილიას მკვლელობა, შეიპყრო რამდენიმე ფიზიკური მკვლელი: ლაბაური, ფშავლიშვილი, ხიზანიშვილი, ინაშვილი, გაასამართლა ისინი და ერთის (ფშავლიშვილის) გარდა (იგი გაიქცა და შემდეგ მოკლეს) ჩამოახრჩო კიდევაც. ძიებამ ვერ მიაგნო მხოლოდ ორ მკვლელს. ერთი იყო გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილი, რომელიც დიდი სამამულო ომის წინ (იმ ხანებში იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო), საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და დასაჯა, მეორე კი — „ვიღაცა იმერელი", რომლის კვალი იმთავითვე დაიკარგა. მისი ზუსტი ვინაობა ახლაც არ ვიცით.

მეფის სასამართლომ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ილიას მკვლელე-

ბი მას აგრარული მტრობის გამო დაესხნენ თავს, როგორც დიდ მემამულეს. მაშინ ხომ მსგავსი მკვლელობები არაერთხელ მოწყობილა...

ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს ჩვენში დიდხანს იზიარებდნენ. ასე მაგალითად, ცნობილი რევოლუციონერი შამშე ლეჟავა, რომელმაც თავის მოგონებებში ვრცლად აღწერა 1905-1907 წწ. ამბები, ქართლში რევოლუციური გლეხობისა და თავადაზნაურული შავრაზმელების ბრძოლის გადმოცემისას წერდა: „გლეხებმა ქართლში მოჰკლეს აგრეთვე თავადი იასონ ფალავანდიშვილი, და შემდეგ აგრარულ ნიადაგზევე ; ფეოდალი, ცნობილი საქართველოს გამორჩენილი მგოსანი ილია ჭავჭავაძე". (შ. ლეჟავა, რევოლუციური ბრძოლა და პარტიული მუშაობა, რევოლუციის მატიანე. № 1 (18), სახელგამი, 1928, გვ. 72).

არსებითად ასეთივე სქემით გააცნეს ილიას მკვლელობის ისტორია ჩვენთან სტუმრად ჩამოსულ ცნობილ ფრანგ კომუნისტ მწერალს ანრი ბარბიუსსაც, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისთანავე აღფრთოვანებული წიგნი მიუძღვნა ქართველ კომუნისტთა საქმიანობას საქართველოში და მკითხველთა ყურადღება ილიას მკვლელობაზე შეაჩერა. ა. ბარბიუსი წერდა: „იხსენიებდნენ თვალსაჩინო რევოლუციონერ-მსხვერპლს, სხვათა შორის თავად ჭავჭავაძეს, მწერალსა და კულტურულ პიროვნებას, რომელიც ერთ დროს ლიბერალი პოეტი იყო. მას მოკვლას აბრალებდნენ . მე საგანგებოდ ვიკვლიე ეს ამბავი, რომელიც1907 წ. მოხდა. თავადი ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დემოკრატიულ იდეებსაც კი ქადაგებდა, დიდი მემამულე იყო. ამასთანავე მეტად სასტიკიც თავიანთი ყმებისა და ხელქვეითებისათვის და რევოლუციის დროს საკუთარი გლეხების მიერ იქნა მოკლული, არა პოლიტიკური აგენტებისა თუ მათ მიერ მოსყიდულების მიერ. ბევრ სხვა შემთხვევაშიც, როცა საკითხს საგანგებოდ ვიკვლევდი ხოლმე, ყოველთვის ნათლად ირკვეოდა, რომ სინამდვილე დამახინჯებული იყო და უკეთუ დახვრეტასა და მკვლელობას ადგილი ჰქონდა, ეს იყო პირწმინდა ბანდიტიზმისა და სისხლის ჩამდენთათვის" (ა. ბარბიუსი, აი, რა უყვეს საქართველოს, ტფილისი, 1930, გვ 126).

1907 წლიდანვე დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი ილიას მკვლელებად ასახელებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამ შეხედულებას ის ასაზრდობდა, რომ პოლიტიკურ არენაზე გამოსვლისთანავე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სასტიკი ბრძოლა დაიწყეს ილიას წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ყოველივე ამას საფუძვლად ედო იდეური წინააღმდეგობა. ილია მომავალ რევოლუციას რუსი ლიბერალებივით საფრანგე-

თის რევოლუციის მსგავს ისეთ მოვლენად მიიჩნევდა, რომელიც დაამხობ-და ცარიზმს და ბიუროკრატიას, რაც გააადვილებდა ქართველთა ყველა სოციალური ფენის გაერთიანებას ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა-ვის. ეს იმ პირობებში ილიას ფართო ავტონომიის სახით ჰქონდა წარმო-დგენილი. სოციალ-დემოკრატები, ილიასაგან განსხვავებით, პროგრესს კლასთა ბრძოლის გაღრმავებაში და ამ გზით სოციალისტური რევოლუ-ციისაკენ სვლაში ხედავდნენ. ამასთან კავშირში სოციალ-დემოკრატები ეროვნულ პრობლემაზე ზრუნვას შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნევდნენ და ამტკიცებდნენ, ამ საკითხით გატაცება ცარიზ-მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს დაქსაქსავსო.

ილიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების ბრძოლის კულმინა-ციას წარმოადგენდა ფ. მახარაძისა და მისი კალმოსნების ლაშქრობა დიდი პოეტის მოსათხრელად. ეს მობრაობა არსებითად გასცდა იდეური ბრძოლ-ის ფარგლებს; თერგდალეულთა ბელადს საერთოდ რევოლუციის მტრად, დიდ მებატონე-მემამულედ და ხალხის ამწიოკებლად სახავდნენ. ამით ილიას მოწინააღმდეგეებმა თეორიული უსუსურობაც გამოიჩინეს, რადგა-ნაც ისინი ვერ მიხვდნენ ილიას დიდ ჰუმანისტურ და დემოკრატიულ მი-სიას, გნებავთ, რევოლუციის პროცესშიც და მასთან ალიანსის ნაცვლად აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული დემოკრატიული ინტელიგენცი-ის თაგკაცებმა იმთავითვე მკაცრად დაგმეს სოციალ-დემოკრატების მავნე პოზიცია ილიას წინააღმდეგ ბრძოლაში, ვერც ქრთმა მათგანმა მაინც ვერ დაასახელა რაიმე კონკრეტული ფაქტი, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ილიას მოწინააღმდეგეების აშკარა დადანაშაულება საკუთრივ მკვლელობის ორგანიზებაში.

ეს პოზიცია განსაკუთრებით ნათლად გამოაჩინა კიტა აბაშიძე, რომელმაც ყველაზე ვრცლად და არგუმენტირებულად გაილაშქრა სოცი-ალ-დემოკრატების, როგორც ილიას პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, მისამართით. კ. აბაშიძე წერდა: „თავის დღეში კაცს არ შეეძლო ეთქვა ან წარმოედგინა, რომ დასელებმა, მთელმა პარტიამ მოკლა ილიაო. პარ-ტიასა ყავს თავისი ორგანოები, წარმომადგენლები, ბოლოს მთელი პარ-ტიის რეფერენდუმი. უეჭველია, რომ არცერთი ეს საფეხური ილიას მო-კვლის საკითხს ოფიციალურად არ გაუვლია და არსად ეს საკითხი გადაწყვეტილი არ ყოფილა. შესაძლებელია, და მრავალი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მთავარ კო-მიტეტს რომ მოენდომებინა, ეს საქმე არ მოხდებოდა: მას რომ თავის ავტორიტეტულის კილოთი ებძანებია, ილიას ხელს ვინც ახლებს,

მას ჩვენთან ექნება საქმეო, ეს საქმე არ მოხდებოდა. უეჭველია, რომ ჩვენი ერი ამ საშვილიშვილო ცოდვიდან თავისუფალი იქნებოდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მას, რომ მთელი პარტია ვისმე დანაშაულად მიაჩნდეს, ხოლო ასეთი დანაშაული კი როგორც მთავარ კომიტეტს, ყველას ჩვენ მიგვიძღვის. საკმაო იყო, რომელიმე ჯგუფს ხმა ამოეღო და ეთქვა, ილიას ხელი არ შეახოთ, თვარა ჩვენთან გექნებათ საქმეო, ამას ვერ ვინ გაბედავდა, ხოლო მთავარ კომიტეტს იმით უფრო მეტი ბრალი ედება, რომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი წევრების ყურამდე უნდა მიეწია ამბავს იმისას, რომ ილიას უპირებენ მოკვლას. ილიას მოკვლა სისტემატიურად მზადდებოდა ორი წლის განმავლობაში, ჯერ ხომ მოუკლეს მოურავი. უკვე ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი გაფრთხილება, პირველი სიგნალი, იმ პარტიას, რომელიც ქვეყნის მოვლა-პატრონობის უნარს მარტო იჩემებს, მარტო თავის თავს რაცხს ამ როლის ღირსად, უნდა გამოეჩინა საკმაო წინდახედულება და საშიში სიმპტომისათვის ყურადღება მიექცია... მაგრამ ეს არ ამართლებს სხვა ჯგუფთა შორსმჭვრეტელობას, მათ ერთგულებას ილიასადმი, მათ უფრო უნდა ეგრძნოთ მომავალი უბედურება და გაბედულათ მიეღოთ ილია თავის მფარველობაში, აქ დაუდევრობაა, დაუდევრობა, რომელიც ბოროტმოქმედების განუყრელი თანამოზიარეა.

ატმოსფერო შექმნეს ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა. ატმოსფერო საბედისწერო. ეს დაურღვეველი ჭეშმარიტებაა". (ერთი პილატეთაგანი! „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!" — ცუთაისი. 1913, გვ. 3-4).

1913 წ. ილიას მიმართ კვლავ დაიწყო გამოხდომები ფ. მახარაძემ, ამან ქართველი ინტელიგენცია ძალზე გააღიზიანა, რის გამოც ფ. მახარაძეს ნამდვილი მკვლელი უწოდეს.

განსაკუთრებით ნათლად გამოხატა ეს აზრი რევაზ. გაბაშვილმა წერილში „ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე". იგი წერდა: „არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებოვან ადამიანთ ხშირად დიდი ნაკლებიცა აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამცთუ ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც ყოველ უბრალო ადამიანისა, არამედ ერთიათად მეტი. ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმენისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, — და რა იყო, თუ არ სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო. არ იყო გამოწვეული აღშფოთებით, ან პირადი ჯავრით, — არა, ეს დასჯა იყო, სიკვდილით დას-

ჯა და აი რაში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. ამ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა... გადმოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი, მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელი ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღედ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და „პოლიტიკური" ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეალური მოწინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული" გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა გარეშე წრეებიდან გამოსულნი და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (подстрекатель) იყო ფ. მახარაძე" („კლდე", 1913, № 29, გვ. 3-4).

ის აზრი, რომ ი. ჭავჭავაძის მკვლელობა სოციალ-დემოკრატებმა მოაწყვეს, ამის შემდეგაც ათეული წლების მანძილზე არაერთხელ გამოთქმულა.

* * *

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რამდენიმე ათეული წელია, გავრცელებული და ოფიციალურად მიღებული იყო ვერსია, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო მეფის „ოხრანკამ", რომელმაც საამისოდ გამოიყენა ილიას მოურავი დიმიტრი ჯაში.

ამ ვერსიის არგუმენტები 30-იანი წწ. დამლევს ბეჭდურად წარმოადგინეს ა. სიგუამ და პ. გუგუშვილმა. იგივე კონცეფცია უფრო ადრე ჰქონდა ბერიას მიერ შექმნილ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ კ. გორდვლაძე, ე. ბედია და სხვ. (შემდეგში ისინი რეპრესირებული იყვნენ). კ. გორდელაძის ნაშრომის ნედლი ვარიანტი ჩეკამ დაატყვევა და ჩვენამდეცაა შემორჩენილი.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კ. გორდელაძე ავითარებდა „ოხრანკის" ვერსიას. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს თვალსაზრისი ჩვენში შეიქმნა არაუადრეს 1931 წლისა, როცა ბერია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სათავეში იქნა ჩაყენებული. სწორედ ასე განვაცხადეთ 1988 წ. 12 ნოემბერს საქართველოს ტელევიზიაში გამოსვლისას, როცა კომენტარს ვუკეთებდით ტელეჟურნალისტთა ფილმს ილიას მკვლე-

ლობაზე. ამ გადაცემის საავტორო ტექსტი. რომელიც ჟურნალისტ რევაზ ურუშაძეს ეკუთვნის, ახლა უკვე გამოაქვეყნა კიდევაც გაზეთმა „ქართული ფილმმა“ (1989 წ. 1 თებერვალი).

„ოხრანკის“ ვერსიის სრულყოფილ შეფასებას ჯერ, ბუნებრივია, ვერ შევძლებთ, მაგრამ მისი არგუმენტაციის შესახებ ახლავე უნდა ითქვას, რომ იგი თეთრი ძაფითაა ნაკერი. უეჭველად ვერაა დამტკიცებული, რომ დ. ჯაში „ოხრანკის“ მიერ იყო მიგზავნილი ილიასთან. არც ის ვიცით ჯერჯერობით, რა როლი ეკუთვნის მას ამ საქმეში. საფუძველი ამ ეჭვებისა მრავალია. მაგალითად, დ. ჯაში „ოხრანკის“ თანამშრომელი გახდა 1908 წ. მაშ, როგორღა ვამტკიცოთ, რომ იგი მოქმედებდა „ოხრანკის“ მითითებით 1907 წელს? „ოხრანკა“ არა და, დ. ჯაში მემარცხენე რევოლუციურ ორგანიზაციებთან უფრო ახლო იყო. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, მაგალითად, რომ იგი ილიასთან მისვლამდე სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო.

საინტერესოა ერთი დეტალიც, რომელიც ახსნას საჭიროებს: 1940 წ. დიმიტრი ჯაშის ქვრივმა დარია ჯაშმა უჩვენა, რომ ეს უკანასკნელი დიმიტრომ ძალით, მოტაცებით შეირთო ცოლად, რაშიც მას დაეხმარა ალექსანდრე ობოლაძე. ალბათ ჩანს, რომ დიმიტრის ახლო ამხანაგი ყოფილა საშა ობოლაძე, მისი პიროვნება კი კარგადაა ცნობილი. ის იყო ს. ორჯონიკიძის ახლო თანამშრომელი, ასრულებდა დავალებებს კობასტალინის მითითებით. 1922 წ. ხევსურეთში აჯანყებულ რაზმებთან ბრძოლიდან დაბრუნებულმა ავტობიოგრაფია დაწერა, სადაც წერდა: „გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იმდენი ტერორისტული აქტი, რაც მე მხვდა წილად, კავკასიაში არავის შეუსრულებია“. ჩვენ ამჟამად დასკვნებს არ გავაკეთებთ. ერთი ცხადია — დ. ჯაშის „ოხრანკის“ აგენტად გამოცხადების ვერსია 1907 წლისათვის, არსებითად, გადასასინჯია.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინ ინჟინერმა თეიმურაზ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძემ ჯერ პროფ. ლევან თოიძეს, შემდეგ კი ჩვენ გაგვაცნო მისი მამის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, გადასახლებებში ბედად გადარჩენილი უნიკალური საარქივო მასალები. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ გრ. ლორთქიფანიძე იყო რევოლუციური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი, პუბლიცისტი და დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრი. 1922 წ. გრ. ლორთქიფანიძე დააპატიმრეს, მეტეხში მოათავსეს

და შემდეგ სხვებთან ერთად რუსეთის საპატიმროში გადაიყვანეს. 1937 წ. თავისუფალ გადასახლებაში, ვორონეჟს მყოფი გრ. ლორთქიფანიძე ისევ დააპატიმრეს და რეპრესირებულ იქნა.

ჩვენში ახლა გამოჩნდა მთელი წყება მასალებისა 1922 წელს დაპატიმრებულთა საკატორღო თავგადასავლის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი ჩვენთანაც ინახება. ესაა განსვენებული ისტორიკოსისა და პედაგოგის, ჩემი მეუღლის მამის ვლადიმერ ანთელავას პატიმრობაში ნაწერი დღიურები — "ფიქრები მამულზე". მასში იგი მოწიწებით გადმოსცემს ახალგაზრდა თაობის აზრს გრ. ლორთქიფანიძეზე, რომელთანაც ერთად ვლ. ანთელავა ეტაპით მიემგზავრებოდა რუსეთის საპატიმროებისაკენ. აი, რას წერს იგი გრ. ლორთქიფანიძეზე: „გრიგოლ ლორთქიფანიძე, ეს ერთი დიდი რსეულ გენერალთაგანი ქართველი ერის. მოქნილი ინტელექტი, ნათელი აზრი, უსათუოდ დიდი პატრიოტი. ქართული თავაზიანობით სავსე ადამიანი. დიდი პოლიტიკური ტაქტის მქონე. ეს ის ქართველი ინტელიგენტია, რომელმაც თავისი სიჭაბუკის საუკეთესო დღეები რუსეთის სატუსაღოებში გაატარა საერთო სარევოლუციო იდეებისათვის ბრძოლაში და როდესაც ამ რევოლუციამ გაიმარჯვა, რევოლუციონერული იდეებისათვის მებრძოლს, რევოლუციის საკეთილდღეოდ, ისევ რუსეთის სატუსაღოებში მიუჩინეს ბინა. რა არის ეს, თუ არა ბედის დაცინვა. მაგრამ ეს შეიძლება იმ დროინდელ ცოდვების გამოსასყიდათ არის საჭირო, როდესაც ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი პირზე დორბლ მორევით იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩანასახის წინააღმდეგაც კი, როგორიც არ უნდა იყოს მისი წარსული, დღეს აშკარაა, რომ ამ პირობებში დიდი გარდატეხა მოხდა... თურმე პარადოქსი არა მარტო ზოგიერთი მწერლის აზროვნებას ახასიათებს. იგი სინამდვილის აუცილებელი ატრიბუტია ხშირად. თუ არჩილ ჯორჯაძემ „პალე როიალში" ჩვენი ქვეყნის წარსულის ყავისფერი ფურცლების გადაშლით განიცადა ქართველი ერის XIX ს. ტრაგიზმი, სამაგიეროდ გრიგოლ ლორთქიფანიძე XX საუკუნეში მთავარი გმირია ამ ტრაგედიის. დაუფასებელია მისი „მიმოხილვები". აქ სჩანს ავტორის საღი ლოდიკა, სინთეტური გონება, მას უყვარს მხატვრულ ფორმებში ფაქტების გადმოცემა მათი შინაგანი ლოდიკის მიხედვით".

აი, ამ გრიგოლ ლორთქიფანიძის ქაღალდებში აღმოჩნდა ერთი მეტად საყურადღებო, კონსპირაციაგამოვლილი საბუთის ასლი, რომლის დედანზეც სხვა დროს ვაპირებთ საუბარს. ასლი იმითაა საყურადღებო, რომ ასეთები, ჩანს, თავის დროზე დაიგზავნა ქართველ პოლიტპატიმართა შორის იმ აზრით, რომ ვინც რეპრესიებს გადაურჩებოდა, მას უნდა ემცნო თანამემამულეთათვის წერილში გამჟღავნებული საიდუმლო. ერთ-

ერთი პირი, ვისაც მიეცა წერილის ასლი, გრ. ლორთქიფანიძე ყოფილა.

წერილის ავტორია ყოფილი სოციალ-დემოკრატი ზაქარია გურული, რომელიც 1925 წლისათვის საპატიმროშია, რუსეთში. იგი იტყობინებს, რომ გაიგო ვ. ცაბაძის სიკვდილის ამბავი. ვ. ცაბაძე 1924 წ. მოკლეს თბილისში. ზ. გურული იუწყება, რომ ვ. ცაბაძე ოსიკო მაჭავარიანთან (იგი იურისტი იყო გორში) ერთად ხანგრძლივად აწარმოებდა გამოძიებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე და იმ აზრისა ყოფილა, რომ მკვლელობა მოწყობილი იყო „ოხრანკის" მიერ, რომელმაც საამისოდ დ. ჯაში გამოიყენა.

ზ. გურულის წერილს საყურადღებო ისტორიოგრაფიული ფაქტები დაუცავს, ამიტომაც ვფიქრობთ, საჭიროა მისი სრულად გამოქვეყნება, რომელსაც გრ. ლორთქიფანიძის ეგზემპლარის მიხედვით ვიძლევით.

ასლი

„საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საისტორიო კომისიას.

პატივცემულო მოქალაქენო!

რამდენიმე თვის წინათ სამშობლოდან სხვა საგწუხარო ამბავთა შორის ისიც გავიგე, რომ ამხ. ვ. ცაბაძე ცოცხალთა შორის აღარ ირიცხება. ამ დღიდან, გარდა იმ ბუნებრივი გრძნობებისა, რაც თავისთავად გასაგებია, ჩემში დაიბადა შიში და მოუსვენრობა ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საქმის შესახებ, რომლის გამოსარკვევათ ვასო მრავალი წელი იღვწოდა და რომლის შესახებაც მეტად საინტერესო მასალა ჰქონდა მას დაგროვილი. და აი ვშიშობ: ვასოსთან ერთად ეს მასალებიც ხომ არ დაეკარგა ქართველ ხალხს და ისტორიას? მე მოგახსენებთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოების შესახებ.

თქვენ ალბათ ყველას მოგეხსენებათ, თუ რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინ ამ უბედურებამ და როგორ დამწუხრებული იყო ყოველი ქართველი მოქალაქე იმის გამო, რომ ამ საქმის იდეური სულის ჩამდგმელი ვერ მოინახა. იქნებ თქვენ შორის ვინმემ ისიც იცოდეს, რომ ამ საქმის გამორკვევით დაინტერესებული პარტიები, ს. დემოკრატები და ს. ფედერალისტები, შეეცადნენ მაშინ ფარდა აეხადათ ბნელეთისათვის. ჩვენი მხრით ამ საქმეს ხელი მოკიდა სწორედ ვ. ცაბაძემ.

ვასომ მაშინ ბევრი იმუშავა ამ საქმეზე, და როგორც მისგანვე ვიცოდი, ბევრი მასალებიც დააგროვა, ზოგი დამოუკიდებლათ და ზოგიც კიდევ ფედერალისტების რწმუნებულთან — ს. მაჭავარიანთან ერთად. სამწუხაროდ, ის იძულებული იყო ერთხანს სულ შეეწყვიტა ეს მუშაობა სამშობლოდან რუსეთში 5 წლით გადასახლების გამო (როგორი ბედიც ქონია ს. მაჭავარიანსაც), მაგრამ მას მაშინაც უკვე ბევრი მასალა

ქონდა. სავსებით საკმაო მასალები იყო. მაგ, ამ საქმის ტექნიკური მხარის შესახებ; გამორკვეული იყო ყველა მონაწილენი, რომელთაგან ზოგი უკვე დასჯილი იყო, გამორკვეული იყო ასრულების ზოგი დეტალებიც კი. ვასოს ცნობით, ამ საქმის უშუალო სულის ჩამდგმელი იყო ილიასავე მოურავი დ. ჯაში. გამორკვეული იყო მხოლოდ ერთი და უმთავრესი, ეს ისაა, თუ ვინ იდგა ჯაშის უკან.

სასჯელის გათავებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვასომ ისევ განაახლა თავის ძიება, ხოლო მას შემდეგ, როცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქართველი ერის მახინჯი შვილი დ. ჯაში ოხრანკის აგენტიც ყოფილიყო, ძიებამ მიიღო ახალი მიმართულება. რომ ჯაში ილიასთან „ოხრანკამ" გააწესა, ვასო და მასთან ერთად ს. ჯიბლაძეც, რომელსაც ვასო ატყობინებდა ხოლმე საქმის მსვლელობას. იმ დასკვნისაკენ მიდიოდნენ, რომ ეს საქმე მოწყობილი იყო „ოხრანკისა" და რუს შავრაზმელებისაგან, — იმათი ძმებისაგან, ვინც მოკლა იოლორი, გერცენშტეინი, კარავაევი და სხვები; იმ ძალებისაგან, რომლებმაც კიდევ უფრო ადრე მოკლეს დ. ყოფინი. ვასო განაგრძობდა ამ გეზით ძიებას. ტაქტიკური მოსაზრებით ის საჭიროთ სცნობდა ჯაში დროებით არ დაეკითხათ ამ საქმეზე. მე ხშირად მქონია ვასოსთან ბაასი ამ საქმეზე (როსტოვში ერთად ყოფნის დროიდან, როცა ზოგი რამ ცნობები მეც მივაწოდე მას. ერთგვარი დაინტერესებული ვიყავი ამ ძიების მსვლელობით) და ყოველთვინ მესმოდა, რომ ამ საქმეს თანდათან ნათელი ეფინება და მისი ძაფები აუცილებლად „ოხრანკაში" მიდისო. უკანასკნელად ამ საგანზე ლაპარაკი მქონდა სილიბისტროსთან, როცა ის 21 წლის ზაფხულში მეტეხში მოიყვანეს, მისგან გავიგე, რომ ვასოს თითქმის ყველაფერი მზათა აქვს, ჩქარა შეგვეძლო გამოგვექვეყნებინა, მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ რამდენათ ხელსაყრელი მომენტია ეხლა ამისთვისო; მისი აზრით, კი უდროვო დრო იყო (ეს აზრი მაშინ საერთო იყო, თვით ვასოც თურმე ასე ფიქრობდა. რატომ? ეს ადვილი გასაგებია). არსებითად კი, გამოძიებიდან თითქო სავსებით გამოირკვა, რომ ილიას ირგვლივ და მის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური ბრძოლა (ს. დემოკრატია, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე,) და აგრეთვე ბანკობიას ამბავი, გამოყენებული იქნა როგორც ჩინებული საფარი „ოხრანკისა" და შავრაზმელების მიერ. (თუ მეხსიერება არ მღალატობს, გოროდცევის გვართან ერთად თითქო ნახსენები იყო შავროვიც). მიზანი კი თითქოს ის იყო, რომ მოეცილებინათ ცნობილი ქართველი „სეპერატისტი", სახელმწიფო საბჭოს პროგრესული წევრი (თუმცა ილია საქართველოს მთავრობის ფონზე [illegible] [illegible] [illegible]

ჭოში ის მემარცხენეთა მცირე ჯგუფში იყო მ. კოვალევსკისთან ერთად) და, რაც უმთავრესი იყო, ეს — პროვოკაცია: რათა მაქსიმალური გაბრწყინა შეეტანათ ხალხში. პარტიათა ბრძოლა პოლიტიკურ კალაპოტიდან ამოეგდოთ და ერთი მეორეზე უბრალო სისხლიანი შესევის ნიადაგზე გადაეტანათ? თვით აზნაურულ წრეებშიაც (ბანკის საქმეები, ივ. მაჩაბლის ტრაღედია, ბანკის ჯგუფების ბრძოლა — და ამგვარათ მკვლელობის ეჭვის მიტანა აზნაურულ ბანკურ წრეებზე) პროვოკაციულად სისხლიანი თიში გაეძლიერებინათ. და თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ, როგორც ეს ალბათ ზოგ თქვენგანსაც ახსოვს, ამ მიზანს რამდენიმედ კიდეც მიაღწიეს: როცა გრაფი დაშკოვი გვირგვინით ამკობდა ილიას კუბოს (და შემდეგ ილიას ფიზიკურ მკვლელებს, მიუხედავად მისი მეუღლისა და ქართველი, თვით მაღალი საზოგადოების თხოვნისა, მაინც სიკვდილით სჯიდა), ვიღაც ბეცი პატრიოტი თავისდაუნებურად და შეუმჩნევლათ პროვოკაციის ანკესზე წამოგებული, თურმე სამაგიეროს გადასახდელათ, ხანჯალს ლესავდა, „მკვლელების“ მოსაკლავად (თითქოს პირველად ყოვლისა ფ. მახარაძისა, ამის შესახებაც უნდა იყვეს ამ მასალებში ცნობები.) და „მამულისათვის სირცხვილის მოსაწმენდათ“. ერთი სიტყვით, ბევრ თქვენგანს უნდა ახსოვდეს, თუ როგორ საშინლად დაამძიმა, დაამახინჯა და დააავადმყოფა ამ ამბავმა საქართველოს პოლიტიკური ატმოსფერო.

მეტეხის შემდეგ ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცოდი; ვიცი მხოლოდ, რომ სილიბისტროს დიდხანს აღარ უცხოვრია, ხოლო ახლა აღარც ვასო გვყოლია. აქედან გასაგებია ჩემი შიში: რა დაემართა ვასოს მიერ მოგროვილ მასალას? როცა ვასომ თქვენ „მატიანეში“ (იგულისხმება „რევოლუციის მატიანე“ — შ. ბ.) თავის მოგონებების ბეჭდვა დაიწყო, მე ვფიქრობდი, რომ შეიძლება მან თავისი აზრი მომენტის შესახებ შეიცვალა და იქნებ იქ აქვეყნებს-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით არ ისმის რა, იქნებ თქვენთანაც არის სხვა მის ამბებთან ერთად რიგზე დასაბეჭდათ, მაგრამ, საფიქრებელია ისიც, რომ სადმე უყურადღებოდ გდია და საშიშია სულ დაიღუპოს. საჭიროა ზომების მიღება ამ ფრიად საინტერესო მასალების მოსანახავად. მით უმეტეს, რომ თუმცა არ ვიცით რამდენათ მართალია, მაგრამ გავიგე, თითქო ჯაშიც უკვე მკვდარიაო.

ამე არა მგონია, რომ ვასოს ნაშრომი დაღუპული იყოს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გაუწყებთ, რომ როგორც ზემოთაც ვახსენე, დროგამოშვებით ვასოსთან ერთად ამ საქმეზე მუშაობდა და ბევრი რამ უნდა იცოდეს სოსო მაჭავარიანმა. ის წინათ ფედერალისტი იყო, ხოლო 21 წელში, მათი პარტიის გაერთიანების დროიდან [illegible] ნაწილში მოხვდა

არაფერი არ ვიცი. არ ვიცი არც მისი ბინადრობა, მაგრამ მისი ვინაობის გაგება ადვილია თუნდ თ. ღლონტის საშუალებით.

რასაკვირველია, ჩვენ წრეებში მარტო სოლიბისტრომ არ იცოდა ვასოს მუშაობის შესახებ, მაგრამ ზოგი ცოცხალი აღარაა და ზოგსაც დღეს ხელი არ მიუწვდება მაგ საქმეზე; ყველაფერი მოსალოდნელია... საქმე კი შეიძლება დაყოვნებას არ ითმენდეს. და აი ამიტომ იძულებული ვართ თქვენ მოგწეროთ ამის შესახებ, რადგან ვფიქრობ, რომ ამას თქვენც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოთ, როგორც ქართველმა მოქალაქეებმა, ერთის მხრით, და როგორც პოლიტიკურმა საისტორიო დაწესებულებამ. და ვიმედოვნებ, რომ ვასოს მრავალი წლის ნაშრომ-ნაძიებს მაინც (ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს) აღარ დაღუპავთ.

ზაქარია გურული

სუზდალი. სახ. პოლ. სამმართველოს ციხე. 1925 წ. 25 თიბათვე".

უაღრესად საყურადღებო ინფორმაციაა, რომელიც რამდენიმე მხრივ იპყრობს ყურადღებას. ირკვევა, რომ „ოხრანკის" ვერსიას გაცილებით ძველი ძირები ჰქონია, ვიდრე ეს ჩვენ გვეგონა. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კარგა ხნის წინ, სავარაუდოდ, 10-იან წლებში მაინც, უკვე არსებობდა. ამ თვალსაზრისის შექმნა მოხდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა წრეში, ჩანს ბოლშევიკებისაგან დამოუკიდებლად. ამას ადასტურებს სილიბისტრო ჯიბლაძის ინტერესი „ოხრანკის" ვერსიისადმი.

ცხადია, ვ. ცაბაძის კონცეფცია ახლა ძნელია გავაანალიზოთ, მაგრამ შეუძლებელია მასში ერთგვარი პოლიტიკური დაინტერესების კვალიც არ შევამჩნიოთ. ჩვენ წინაშე დგას კითხვა, რომელსაც მომბეგლში განმარტება უნდა — რატომაა ამ საქმით ეგზომ დაინტერესებული ს. ჯიბლაძე, მართლა არაფერი იცოდა ამის შესახებ? ეს კითხვა შემთხვევით არ დგას, რადგანაც სილიბისტრო ჯიბლაძე სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტების სული და გული, ამ საქმის „შეფი" იყო. სხვათა შორის, ა. სულხანიშვილი იგონებს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმელების მიერ დუშეთის ტყეში შებყრობილი გიორგი ბერბიჭაშვილი სოლიბისტრო ჯიბლაძეს ილიას მოსაკლავად გამართული პარტიული ელიტის კრების მონაწილედაც კი ასახელებდა. ამ ვერსიის სინამდვილესაც შემოწმება ესაჭიროება.

ზ. გურულის წერილით ისიც ირკვევა, თუ როგორ ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატები „ოხრანკის" ვერსიის შექმნას, ეს მით უმეტეს საჭირო იყო იმ დროიდან, როცა მენშევიკობა საქართველოში მთავარი

მმართველი პარტია შეიქნა და ქართული საზოგადოებრივი აზრი ილიას მიმართ ჩადენილ დანაშაულში ნ. ჟორდანიასაც სდებდა ბრალს.

ეს განწყობილება გადმოჰყვა ქართველობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, როცა რესპუბლიკის რევკომის პირველი თავმჯდომარე ფ. მახარაძე გახდა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ბერიას დროს ილიას მკვლელობის გარემოებათა დამდგენ კომისიას უკვე მზადმზარეული ვერსია გააჩნდა, რომლის გაზიარების შემთხვევაშიც საჭირო გახდებოდა მხოლოდ ამ სქემისათვის ხორცის შესხმა სხვადასხვა ჩვენებებით, რომელთა მოპოვება და წერილობითი ფიქსაციაც იოლი იყო, რადგან 30-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ 900-იანი წლების დამდეგის მოწმეები. საინტერესოა, რომ ვ. ცაბაძის სქემაში არაფერია ნათქვამი არც გ. ბერბიჭაშვილზე და არც იმერელზე. მათ მიმართ ძიება, ეტყობა, ინტერესს არ იჩენდა. რატომ? ხომ არ ანგრევდა ქს მიმართულება ვ. ცაბაძის თვალსაზრისს?

იგივე გზა აირჩიეს შემდეგში ჩვენმა ისტორისოკებმაც, რომელთა თვალსაზრისი ყველაზე ნათლად გამოხატა პ. გუგუშვილმა 1938 წ. ილიას მკვლელობისადმი მიძღვნილ პუბლიკაციასა და ნარკვევში. იმავე მიმართულებით ჩატარდა გ. ბერბიჭაშვილის საქმის ძიება და პროცესი. აშკარად ცდილობდნენ დაეფარათ ყოველგვარი კვალი გ. ბერბიჭაშვილსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ურთიერთკავშირისა. არავითარი ინტერესი არ გამოიჩინეს „ვიღაცა იმერლის" მიმართაც, რომლის ვინაობა გ. ბერბიჭაშვილმა, ცხადია, კარგად იცოდა, რადგანაც წიწამურთან ილიას მოსაკლავად „ვიღაცა იმერელი" გ. ბერბიჭაშვილს მოჰყვა. ყველა ნიშნით ეს „იმერელი" პროფესიანალი ტერორისტი ჩანს.

ძიებამ გვერდი აუარა „ვიღაცა იმერლის" საკითხს და საზოგადოებისათვის თვალის ასახვევად გ. ბერბიჭაშვილს, ისე, სხვათა შორის, მხოლოდ პროცესზე ჰკითხეს: ვინ იყო ის იმერელიო და მსჯავრდებულმაც ასევე, სხვათა შორის, უპასუხა — არავითარი იმერელი არ არსებულაო. ასე დამთავრდა ბერიას სკოლის იურისტების სპექტაკლი. გ. ბერბიჭაშვილი ხომ უკანასკნელი წყარო იყო, ვისგანაც ყველაზე იოლად შეიძლებოდა „ვიღაც იმერლის" პიროვნების ამოცნობა, რის შესაბებაც ჩვენ ახლა თავს ვიმტრეკვთ.

საინტერესოა, სხვათა შორის, რომ „ოხრანკის" ვერსიას ახლაც თავგამოდებით იცავენ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი .ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გ. წერეთლის სტატია „ვინ მოჰკლა ილია" (ჟურნ. „გუშაგი", პარიზი, 1987 №14, გვ. 61-74), სა-

დაც ავტორი დაჯერებით იცავს იმ თვალსაზრისს, რომელსაც ადრე უკვე ვ. ცანავეც ავითარებდა. ავტორის მიზანს კარგად აქვს აშკარა სურვილი, ილიას ეთანხმოთა ბრალდებებისაგან დაიფაროს ნ. ჟორდანია, საერთოველოს პირველი პრეზიდენტი. ამ მიზნით ავტორი იქამდეც კი მიდის, რომ ჟორდანია — ნაგვანავაძის დავაში არსებითად დანნაშავედ ილიას თვლის, რადგანაც, ამ უკანასკნელმა, თითქოს დაარღვია კიდევაც ჯენტლმენური პოზიცია, როდესაც სოციალ-დემოკრატებთან პაექრობა პირადად ნ. ჟორდანიას ლანძღვად აქციაო.

ჩვენ ვაპირებთ ნაირთველ საზოგადოებას ვრცლად გავაცნოთ ჩვენი დამოკიდებულება გ. წერეთლის ამ თვალსაზრისისადმი, მაგრამ მანამდე, თუ ჩვენი ნარკვევის წაკითხვის საშუალება უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს მიეცემა, ვთხოვთ ნას, ახლავე მოამზადოს პასუხი, რათა დაიცვას ნ. ჟორდანიას ცინიკური პოზიცია ილიას მოკვლასთან დაკავშირებით. გაამართლა რა რევოლუცია, რომლის დროსაც, ჩვეულებრივ სისხლი იღვრება-ხოლმე, ილიას სიკვდილის თაობაზე ნ. ჟორდანიამ თქვა: „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“. ამაზე მოსწრებულად შენიშნა კ. აბაშიძემ: „თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ნოე ჟორდანია?“

მოკლა თუ არა ილია ჭავჭავაძე „ოხრანკამ“
„ოხრანკის“ ვერსიის სათავეებთან

წიწანურის ტრაგედიაზე მსჯელობას იმის გარკვევით დავიწყებთ, მოკლა თუ არა ილია ჭავჭავაძე ოხრანკამ. სარწმუნო საბუთებით დასტურდება თუ არა ეს ეჭვი?

ჩვენს წერილში — „ოთხმოცწლიანი დაკის სათავეებთან“ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ინთავითვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესახებ უმთავრესად ორი ვერსია ჩამოყალიბდა.

ერთი ვერსიით, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატების წრეში შექმნეს, ილიას მკვლელობა მოაწყო ნიკოლოზ II-ის საიდუმლო პოლიციამ („ოხრანკამ“), რომელმაც ეს აქცია განახორციელა ვითომც თავისი აგენტის, ილიას მოურავის დიმიტრი ჯაშის ხელით. მეორე ვერსიის თანახმად კი ილიას მკვლელობა მოაწყვეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ეს აქტი განახორციელეს რევოლუციურად აღტყინებული საგურამოელი გლეხების ხელით.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და მის გარემოებათა გამოძიების საკითხი არაერთი ვრცელი მონოგრაფიის საგანია.

ჩვენი მიზანია კრიტიკულად აღვადგინოთ ზემოხსენებული ორივე ვერსიის ჩამოყალიბების გზა და შევაფასოთ ისინი მათი სანდოობის თვალსაზრისით. ცხადია, ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტებას ის გამოაჩენს, თუ რომელი ვერსია უჯრო საბუთიანია...

დავიწყოთ პირველი ვერსიით.

„ოხრანკის“ ვერსიის ერთადერთი საყრდენი იმის მტკიცებაა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ფარულად მოამზადა და განახორციელა დიმიტრი ჯაშმა, რომელიც მაშინ ვითომც „ოხრანკის“ აგენტი იყო.

ეს ვერსია, როგორც ვიცით („სახალხო განათლება“, 1989. 22. 11.), ჯერ კიდევ რევოლუციამდე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეიმუშავეს...

ამ ვერსიის ჩამოყალიბების შესახებ ყველაზე ვრცლად ჩვენ ვგებულობთ 1924 წ. მენშევიკი სოციალ-დემოკრატის ზაქარია გურულის მიერ სუზდალის პოლიტსაპატიმროდან საქართველოში გამოგზავნილი წერილით, რომლის ასლი გამოვაქვეყნეთ კიდევაც (სახ. „ბ-ნათლ." 89,22.11). ასლი აღმოჩნდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა და პუბლიცისტის გრიგოლ ლორთქიფანიძის ქაღალდებში. საიდან? გრიგოლ ლორთქიფანიძე და ზ. გურული სხვა ქართველ პოლიტპატიმრებთან ერთად 1922 წ. რუსეთში იქნენ გადასახლებული და ახლა იქ სუზდალის საპატიმროში ერთად იმყოფებოდნენ.

ზემოაღნიშნულ, ჩვენთვის საინტერესო წერილში ზ. გურული მწუხარებით იუწყებოდა, რომ შეიტყო სოციალ-დემოკრატის ვასო ცაბაძის სიკვდილი. ეს უკანასკნელი 1924 წ. ჩკ-ს მიერ იქნა ლიკვიდირებული.

წერილში ზ. გურული შიშს გამოთქვამდა, არ დაკარგულიყო ის მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესახებ, რომლებსაც ვ. ცაბაძე წლების განმავლობაში აგროვებდა. ზ. გურულის ცნობით, მან კარგად იცოდა ვ. ცაბაძის მუშაობისა და ნაგროვები მასალისა თუ კვლევითი დასკვნების შესახებ. ვ. ცაბაძე, თურმე, დარწმუნებული ყოფილა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა „ოხრანკის" მიერ, რადგანაც პოეტი და მამულიშვილი ოფიციალურ ხელისუფალთ საშიშ პიროვნებად მიაჩნდათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ილიამ რადიკალური მუშაობა დაიწყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში. ვ. ცაბაძის აზრით, ილიას მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი იყო დიმიტრი ჯაში. ზ. გურულის მოწმობით, იმთავითვე ასევე ფიქრობდნენ თურმე ოსიკო მაჭავარიანი და სხვებიც. მას შემდეგ კი, რაც ცნობილი გაბდა, რომ დ. ჯაში მართლაც ოხრანკაში მუშაობდა, ვ. ცაბაძეს და მის კოლეგებს თავისი შეხედულება უკვე მტკიცე ვერსიად ესახებოდათ.

წერილში ზ. გურული თხოულობდა გაფრთხილებოდნენ ვ. ცაბაძის მიერ შეკრებილ მასალებს, რათა ამ უკანასკნელის აღსრულების შემდეგ არ დაკარგულიყო ის დოკუმენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდათ ილიას მკვლელობის გარემოებათა კვლევა-ამოცნობისათვის.

თითქმის აღარაფერი ვიცით იმაზე, როგორ გადაარჩინეს, ან საერთოდ გადააარჩინეს კი ვ. ცაბაძის მასალები?

ვეცადეთ მიგვეგნო ამ მასალების კვალისათვის, რისთვისაც ოფიციალურად მივმართეთ სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელებს თხოვნით, მოეძებნათ ვ. ცაბაძის საქმეები, და ვარაუდიც გამოვთქვით, რომ მათი მოძიება შესაძლებელი უნდა იყოს 1924 წლის რეპრესირებუ-

ლთა საქმეებში. მაგრამ იმედი არ გამარილდა. მიპასუხეს, რომ არათუ ვ. ცაბაძის „მასალებზე", თვით ვ. ცაბაძეზეც კი არაფერია შენონახული ჩვენს კარტოთეკაში.

ნუთუ ისე განუკითხავად მოსპეს ბალხი 1924 წელს, რომ თავის მსხვერპლზე თუნდაც ფორმალურ სასამართლო საქმესაც კი აღარ ადგენდნენ, სადაც რეპრესირებულთაგან ჩამორთმეული მასალებიც უნდა ყოფილიყო აღნუსხული?

ვ. ცაბაძისა და მისი კოლეგების მუშაობას ეხება ახლახან გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ძველი პოლიგრაფისტის ანდრო თოდუას მოგონებას. (მ. კეკელია. "ორი საბუთი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე", გაზ. „კომუნისტი", 89, 30. X).

ზემოხსენებულ „მოგონებაში" ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილზე ერთი ნაამბობი მინდა მოვიტანო კიდევ. როდესაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, გავრცელდა არა ოფიციალური მიმოთქმა, რომ ვითომ წინასწარი განზრახვით მესამე დასელებს მოეკლათ ილია. ამისთანა მიმოთქმის გამო გამოუყვიათ სამი მუშა იმის გამოსარკვევად: ზაქარია გურული, ალეესანდრე დგებუაძე და ვალერი ბილანიშვილი. ამ კომისიის თავმჯდომარე ყოფილა რკინიგზის მუშა ზაქარია გურული. ამ პირთ დეტალურად გამოუკვლევიათ ილიას მკვლელობის საკითხი. მათაც მიუკვლევიათ იმ ცნობამდე, რომ ილიას სიკვდილში მთავარი როლი ითამაშა ჟანდარმერიამ და „მოურავმა" ჯაშმა. მესამე დასის არალეგალურ კომიტეტს დაუნიშნია ტერორი დიმიტრი ჯაშისათვის. ეს გაუგია ჟანდარმერიას და ვითომ დაჭერის სახით სადღაც შორეულ მხარეს გაუგზავნია სამუშაოდ. პირადად ზაქარიამ განმიცხადა, ყველა საბუთები, რომელიც ჩვენმა გამოძიებამ მოაგროვა, გაიგზავნა (დედნები) მეორე ინტერნაციონალში".

ა. თოდუას „მოგონების" პუბლიკაციას ერთვის მ. კეკელიას მცირე კომენტარიც, სადაც ის სამართლიანად შენიშნავს, რომ კომისიის ყველა წევრი „მესამე დასელია", „ეს კი მათ ნაღვაწს თავის მართლების დამღას უნდა ასვამდეს", მაგრამ ამაზე შორს პუბლიკატორი აღარ მიდის. ჩანს, იგი არ იცნობს ჩვენ მიერ ზ. გურულის წერილის პუბლიკაციას, რომლის ინფორმაციაც ანდრო თოდუას მონაყოლისთვისაც თავისებური პირველწყაროა. ჩვენ ახლა არ დავიწყებთ ა. თოდუას მონაყოლის შეუსაბამობების აღნუსხვას. აქ ამჟამად ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ვ. ცაბაძის მინაკვლევის ორიგინალი II ინტერნაციონალში იქნა გაგზავნილი. თუ ეს ასეა, რატომ არაფერი თქვა ამის შესახებ ზ. გურულმა თავის წერილში, რომელიც საგანგებოდ იქნა გამოგზავნილი

სუნდალიდან? ასეთ ვითარებაში ჩვენ კატეგორიულად ვერ შევბლეთ ა. თოდუას ბიერ მონაყოლი ფაქტის წეშმარიტების შემოწმებას, ვიდრე სათანადოდ არ იქნება გადამოწმებული II ინტერნაციონალის საარქივო ფონდების არბებით. საერთოდ კი, ა. თოდუას ცნობა შეიძლება გამარ-თლდეს კიდევაც და თუ ვ. ცაბაძის ნაკვლევი აღმოჩნდება, ჩვენი წყა-როთმცოდნეობითი ბაზა ილიას მკვლელობის გარემოებებზე უთუოდ სა-ინტერესო და კონკრეტული მასალებით შეივსება...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ა. თოდუას ინფორმაცია დადას-ტურდა, შეიძლება ისიც აღმოჩნდეს, რომ ქართველმა სოციალ-დემო-კრატებმა თავისი მასალები II ინტერნაციონალში 1921 წ. თებერვლის შემდეგ გაგზავნეს, როცა მათ უკვე არაბოლშევიკური პარტიების თავ-ნობალოვებული შავი ღრუბლები დაინახეს.

როდის, კერძოდ, რომელ წლებში უნდა დაეწყოთ ვ. ცაბაძეს და მის ჯგუფელებს მასალების ძიება? ამის შესახებ ზ. გურულის წერილში პირდაპირ არაა ნათქვამი, ნაგრამ იმავე წერილიდან ზოგადად მაინც შეიძლება მიხვედრა, რომ ვ. ცაბაძემ და მისიანებმა საქმიანობა 1924 წლამდე კარგა ხნით აღრე დაიწყეს. ისიც ჩანს, რომ განზრახული საქმის ძიებას თავის დროზე ხელს უშლიდა ვ. ცაბაძის გადასახლებაში ყოფნა, რაც აშკარაა. რევოლუციამდელი ფაქტია. წერილით ისიც დასტურდება, რომ ძიებას ბრავალი წლის ისტორია ჰქონია. წერილში, მაგალითად, ისიცაა მითითებული, თუ როგორ აღმოჩნდა, რომ დ. ჯაში ოხრანკის თანამშრომელი ყოფილა... ეს ამბავი კი ცნობილი გახდა მხოლოდ 1917 წელს...

იმის შესახებ, თუ რა ადრევე დაუწყიათ სოციალ-დემოკრატებს ილიას მკვლელობის გარემოებებზე თავისი თვალსაზრისისათვის მასალე-ბის შეკრება, მეტი კონკრეტულობის შემცველ ინფორმაციას გვაძლევს ა. გელეიშვილი, რომელიც მოგვითხრობს: „1912 თუ 1913 წელს ჩვენ უკვე შევძელით სამხედრო საოლქო სასამართლოს არქივში დაცული ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის „მკვლელობის საქმიდან" გადაგვეღო ასლი. ეს საქმე მოაწყო რუბენ ყიფიანმა, რომელიც ორას მანეთად გაურიგდა სამხედრო სასამართლოში ორიოდე მოსამსახურეს, რომლებსაც ღამ-ღა-მობით გამოჰქონდათ ეს საქმე და ნაფიცი ვექილი სერგო ჯაფარიძის ბინაზე, რომელიც რუბენს ქონდა დატოვებული მთელი ზაფხული, ორი თუ სამი ღამის განმავლობაში მანქანაზე გადაბეჭდეს. ეს გადანაბეჭდი ორი დიდი რვეული იყო. რამდენიმე ხნით ეს რვეულები ჩემთან ინახე-ბოდა. ბერე ვიღაცამ წაიღო. იმედს არ ვკარგავ, რომ ეს რვეულები ვინ-მეს აღმოაჩნდება და რევოლუციის მუზეუმს გადაეცემა.

რაც შეეხება პოლიციის წინასწარ გამოძიებას, ეს საქმე მივიდე ლუწელის ყოფილ მაზრის უფროსი ყარანინ ფალავასაგან. ეს იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს 1912 თუ 1913 წელს, მაშინ როცა ს. ფ. პარტიამ მომანდო პარტიის ისტორიის მასალების დაგროვება და დამუშავება და გაზეთში ჩემი მისამართი გამოაცხადა (ბ. გელეიშვილი, „ახალი წარსულიდან", 1. „ახალი გზა", 1928, № 16, გვ. 6).

ბ. გელეიშვილის ეს ცნობა თვისებურად ავსებს ზ. გურულის ინ-ფორმაციას ინ კუთხით, თუ რა სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი სოციალ-დემოკრატები ილიას მკვლელობით უკვე მკვლელობიდან რამ-დენიმე წლის შემდეგ... აქ განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ 1912 და 1913 წლებში ნაბეჭდი ბრესა სისტემატურად ადანაშა-ულებდა ნაციონალ სოციალ-დემოკრატებს ილიას მკვლელობაში. ასეთ ვითარებაში სოციალ-დემოკრატებისათვის რიგითი ბრობლემა არ შეიძ-ლებოდა ყოფილიყო ილიას მკვლელობის საკითხი. ისინი განსაკუთრე-ბით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული ინ ითით, რომ ილიას მკვლელად „ობრანკა" ყოფილიყო დადასტურებული. ეს მათთვის ალიბი იქნებოდა.

ჩვენი ეს მიმოხილვა და ცდა, აღვადგინოთ, თუ რა სვლისა იყო ნაბეჭდი სოციალ-დემოკრატების ვერსია, სრული არ იქნება, თუ არ მოვიყვანთ გრ. ლორთქიფანიძის ბ. გელეიშვილისადმი გამოგზავნილ და გამოქვეყნებულ წერილსაც, სადაც ავტორი შენიშნავდა:

„1927 წ. 18-5. რუსეთი ქ. კურსკი ბოლშევიკების ქ. № 27.

ესესაა წავიკითხე შენი მეორე წერილი „ახლო წარსულიდან" ილიას მკვლელობის შესახებ. ძალიან კარგი და ნოსაწონია შენი განზრა-ხვა ამ საქმის გამოკვლევისა. ამასთანავე უნდა გითხრა, რომ ცოტა არ იყოს, ამ წერილმა გამაოცა, აი რა მიზეზით: ვაცი, ნუთუ მეტი საბუთები არა გაქვთ ხელთ ინისა, რომ პირველი ვერსია (ის, რომ ილია ოხრან-კამ მოჰკლა — შ.ბ.) სწორია. სად არის განსვენებული ვასო ცაბაძის ძიერ შეგროვილი მასალები და საბუთები. მათ შორის ჯანის დაკითხვე-ბი და ჩვენებები (რომელნიც ნათელს ფენენ ბევრ რასმეს — როგო-რი დაუღალავი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ჟანდარმერია ილიას მოღვაწეობას და კიდევ უფრო „აზრებს", ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკო-ვის გულწრფელი წუხილი და მისი იმედები ამ მკვლელობის შესახებ, რატომ არ იქნა ილიას ქვრივისა და თავადაზნაურობის შუამდგომლობა ილიას ფიზიკური მკვლელობის შეწყნარებისა პატივდებული და რატომ საგანგებოდ დაახრჩვეს ისინი და სხვ. 21 წელში მეტეხში ჯდომის დროს განსვენებული სილიბისტროს მოხსენებით (ვასო ცაბაძის სიტყვებიდან და მასალებიდან) ჩვენთვის სრულიად ნათელი ხდებოდა პირველი ვერ-სიის სინამდვილე, რომლისთვისაც ბანკი და სოციალ-დემოკრატია, თუ

მეხსიერება არ მღალატობს (?—შ.ბ.) იმავე მასალებიდან ირკვევოდა, რომ ფ. მახარაძის მოკვლით „სისხლის აღებას“ აპირებდნენ, რომ ამრიგად ორი კურდღელი დაეჭირათ. მეტად მოხდენილი ფარი და მეხმარიდი იყო. მაგალითად, სად არის ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი, კეთილად არ მახსოვს. დეპარტამენტზე მიწერილი, თუ თვით დეპარტამენტის შედგენილი დახასიათება ილიასი. როგორც ჭკვიანი, ფრთხილი და საშიში სეპარატისტისა, რომელიც (არა უსაფუძვლოთ) საქართველოს უგვირგვინო მეფედ გრძნობს თავს“-ო და სხვა.

გარდა ამისა, საჭიროა იცოდე, რომ ვასოს ამთავითვე ამ საქმეში ეხმარებოდა ფედერალისტი იოსებ მაჭავარიანი (პატიოსანი და მიუდგომელი პიროვნება. ის გულწრფელად წინააღმდეგი იყო იმ განგაშებისა, რომელიც მაშინ ნაციონალისტურმა პარტიებმა ასტეხეს სოც. დემოკრატიის წინააღმდეგ). ის ჯერ კიდევ 1911 წ. ვასოსთან ერთად მუშაობდა ამ საქმეზე როსტოვში. გადასახლების დროს და რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა ვასოსთან ერთად ამ საქმის კვლევას. მის მასალებსა და ჩვენებებს უეჭველად დაეჯერება. რაც არ უნდა იყვეს, დამერწმუნები, რომ მოხარული ვარ, რომ მიუხედავად ხნოვანებისა, ძველებული მკვირცხლობა, მხნეობადი გამრჯელობის უნარი არ გღალატობს“... („ახალი გზა“, 1928, № 21 გვ. 8.)

მოტანილი მასალებიდან, როგორც ვხედავთ, ნათლად ჩანს, რომ უკვე 10-იანი წლებიდან მაინც, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეექმნეს ვერსია, რომ ილია მოკლულ იქნა „ოხრანკის“ მიერ, რომელმაც ამ საქმეში გამოიყენა იმ დროისათვის ილიას მოურავი დიმიტრი ჯაში. ასე ჩაეყარა საფუძველი „ოხრანკის“ ვერსიას...

დიმიტრი ჯაში

იმისათვის, რომ მომავალში საქმე უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, გავიცნოთ დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფია, ის, თუ რა გზით აღმოჩნდა იგი ბრალდებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში...

თავდაპირველად გავეცნოთ დ. ჯაშის ბიოგრაფიულ ქარგას იმ სქემის მიხედვით, რომელიც მან წარმოადგინა 1908 წ. თავისსავე ნარკვევში „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები“, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ გამოქვეყნდა (იხ. გაზ. „სავაჭრო გაზეთი“. 1908, № 10).

დ. ჯაშისეულ სქემას, ვფიქრობთ, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მაშინ გამოქვეყნდა, როცა ილია ჭავჭავაძე ჯერ კი-

დევ ახლად მოკლულად ითვლებოდა. ცხადია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყვ-ნენ ილიას ახლობლები და თანამოსაგრე მეგობრებიც. ამიტომაც, მ:თ რომ რაიმე ტყუილი შეენიშნათ დ. ჯაშის მონათხრობში, ისინი ამას: რაღაცნაირად გამოხატავდნენ, ეს კი დ. ჯაშს, რომელსაც ხალხი უკვე ისედაც ამრეზით უცქეროდა, რადგანაც იგი ილიას საქმეზე ერთხანს და-პატიმრებულიც იყო, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა. მაგრამ თუ ამგვარი უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს და მეტიც, ყოველივე აქ ნათქვამი სხვათა ჩვენებებითაც იქნა დადასტურებული (ამის შესახებ შემდეგ), ეს იმის მოწმობაა, რომ დ. ჯაშმა თავის ბიოგ-რაფიასა და ილია ჭავჭავაძესთან სამსახურებრივ კონტაქტში შესვლა-ზე ოფიციალურად არსებითად სწორი ცნობები დაბეჭდა.

მაშ მივყვეთ ამ სქემას.

დ. ჯაში, როგორც თვითონ გადმოგვცემს, 9-10 წლისა ყოფილა, როცა ჩობატაურის პირველ დაწყებით სამონასტრო სკოლაში სწავლობ-და. მაშინვე იგი სულ იმას ნატრობდა, საკუთარი თვალით ენახა ილია ჭავჭავაძე.

შემდეგ დ. ჯაშს ილია პირადადაც გაუცნია 1896 წ. ზაფხულიდან, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით „ივერია" ერთხანს დაიბეჭდა „მავნე მიმართულების" გამო. ამ დროს დ. ჯაში, საკუთარი მოწმობით 13 წლისა ყოფილა. იგი მალე „ივერიაში" მოწყობილა ასოთამწყობად და შემდეგში ეს ხელობა მხოლოდ 1906 წ. მიუტოვებია.

დადგა 1907 წელი. ივნისის პირველ რიცხვებში მეფემ II სახელმ-წიფო სათათბირო გარეკა. ახლის არჩევნებამდე სახელმწიფო საბჭომაც დროებით მუშაობა შეწყვიტა.

ამ ხანებში, იგონებს დ. ჯაში, იგი გამოცხადდა ილია ჭავჭავაძის დასთან ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ას. საგინაშვილთან, ვისთანაც, წერს დ. ჯაში, „ბავშვობიდანვე ნაცნობობა მქონდა" და „მის თვალწინ თითქ-მის ბალღი გამოვიზარდე".

დ. ჯაშმა და ელისაბედმა ისაუბრეს. ელისაბედმა დ. ჯაშს სწორედ მაშინ შეატყობინა, რომ ილია და ოლღა ჭავჭავაძეები, როგორც ისინი დეპეშით იტყობინებოდნენ, პეტერბურგიდან პირდაპირ საზღვარგარეთ აპირებდნენ სამკურნალოდ წასვლას...

არ გავიდა 3-4 დღე ამ საუბრიდან, რომ საგურამოში სასტიკი წამებით მოკლეს ილია ჭავჭავაძის მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი ცოლი.

ამ ამბის გაგებისთანავე ილია ჭავჭავაძე, ოლღა და ილიას სტუ-დენტობისდროინდელი მეგობარი მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაიძე რამდე-

ნიშე დღეში საქართველოში, თბილისს ჩამოვიდნენ...

დ. ჯაშის თქმით, მან თბილისში ჩამოსვლის მეორე დღესვე ინახულა მიხ. ჩიკვაიძე, რომელმაც ელისაბედის თანდასწრებით მას უთხრა:

„მე ილიას ნოვაგონე შენს შესახებ, ველაპარაკე მამულების მართვა-გამგეობაზე და მე და ელისაბედ გრიგორიევნამ ვურჩიეთ, რომ უთუოდ შენ წაგიყვანოს ნოურავად. ვუთხარით, — თუ გახსოვს, შენთან რომ პატარა გურული ბიჭი ამოცუნცულდებოდა, „ივერიაზე“ რომ მუშაობდა, დიამტრი ჯაში, ახლა დავაკავებულია, დაცოლშვილებული და საგურამოს ტყეველად ის წაიყვანე-თქო ნამულების ნოურავად. ამაზე ილიამ ჯერ სიცილით მითხრა: კაცო და, ანარქისტი კი არ გამომიგზავნოთ, და ნეტარ სთქვა, ბალიან კარგი, მოვიფიქრებო“.

მ. ჩიკვაიძეს, სხვათა შორის, ისიც უთქვამს, რომ ვიდრე ილია საქმეს საბოლოოდ გადაწყვეტდა, უნდა მოლაპარაკებოდა ილია წინამძღვრიშვილსაც, რომელსაც ილია ფავფავაძე გაეფრთხილებინა, ჩემთან დათანხმებამდე ნოურავად არავინ აიყვანოო.

თავის სტატიაში დ. ჯაში ვრცლად აღნიშნავს, რომ მას მოურავად ნუშაობის არავითარი გამოცდილება არა ჰქონდა, მაგრამ იძულებული იყო ამ საქმისათვის ხელი მოეკიდა, ვინაიდან, როგორც ამბობს, ეკონომიკურად უჭირდა და კარგა ხანიც იყო, ასე უსაქმოდ დაეხეტებოდა. თანაც, დასძენს დ. ჯაში, მეტად მიმზიდველი იყო ის, რომ მოურავად დადგომით საშუალება მომეცემოდა ილია ფავფავაძის წრეში მოვხვედრილიყავიო...

საქმე, ბოლოს, დადებითად გადაწყდა. ილია ფავფავაძემ მიხ. ჩიკვაიძის პროტექციით დიმიტრი ჯაში საგურამოს ნოურავად მიიღო. ეს უკანასკნელიც ცოლიანად საცხოვრებლად საგურამოში ავიდა...

ასეთია თავად დ. ჯაშის მონაყოლი.

რამდენად სწორია დ. ჯაშის ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი, ამის შესახებ შემდეგ ვიტყვით. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ბიოგრაფიაში გამოტოვებულია ზოგიერთი არცთუ უმნიშვნელო წვრილმანი. მაგალითად, დ. ჯაში ითლიანად ფარავს თავის პოლიტიკურ საქმიანობას, რა პოლიტიკური პროფილი ჰქონდა დ. ჯაშს საგურამოში ასვლამდე. ამ საკითხს მცირე მნიშვნელობა როდი აქვს კვლევისას...

აგავე ბიოგრაფიულ ესკიზში ავტორი რატომღაც არაფერს ამბობს იმის შესახებაც, თუ ვინ და როდის სთხოვა მ. ჩიკვაიძეს, პროტექცია გაუწია დ. ჯაშისათვის მოურავის თანამდებობაზე. დ. ჯაში იგონებს, რომ ის მიხ. ჩიკვაიძეს საქართველოში ჩამოსვლის მეორე დღესვე ეახლა და პირდაპირ მოურავობაზე ჩამოვარდნილა საუბარი. მ. ჩიკვაიძე ეუბნე-

ბა დ. ჯაშს, მე ილიას „ნოვაგორეთ“ „ნენს შესახებ“. ნაგრამ პირველი საფრანგეთანავე ბრძ ვერ „ნოვაგორეტდა“? რატომ უნდა „ნოვაგორეტიანი“ ილიასათვის დ. ჯაშის პიროვნება და სურვილი ასე ეცალათ, საქართველოში ილიას რაზოსვლის ნეორე დღესვე, თუ საქმეზე ადრევე ან ილი ნაბოლოვი? ან დეტალს დ. ჯაში თავის ნარკვევში გვერდს ეკვლის, რასაც ჩვენი ისტორიისათვის მცირე ნიშვნელობა როდი აქვს.

ასეთია დ. ჯაშის ილიასთან ნოფრანგად ნოწეფრის ისტორიის ოფიციალური. დ. ჯაშისავე სენა.

ჩვენც ჯერჯერობით ამ სქენით დავკმაყოფილდეთ.

პოლიტიკური სიტუაცია

ამ ხანებში ილია ნავეწავაბეს რევოლუციის ეპოქის ძირითა პოლიტიკური ბატალიები ჰქონდა გადატანილი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული მიმართულების ბელადს დიდი ენერგიის გადება უნდოდა შინაურ ოპოზიციასთან ბრძოლაშიც, სადაც ყველაზე ძლიერი და თანმიმდევარი მოწინააღმდეგეები ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

ბრძოლა წარმოებდა საქართველოს მომავალი განვითარების გაგების ირგვლივ.

თავდაპირველად ილიასა და სოციალ-დემოკრატების ბრძოლა აღმოცენდა იდეურ საფუძველზე. ილია რუსი ლიბერალებივით დაწყებულ რევოლუციას საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანალოგად მიიჩნევდა, რომელიც, მისი გაგებით, ცარიზმსა და ბიუროკრატიას დაანგრევდა. ეს კი, მისი აზრით, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა ქართველთა სოციალურ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლაში, რაც ილიას იმ პირობებში ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. ამრიგად, ილია რევოლუციაში ეროვნული საკითხისათვის ბრძოლას აწარმოებდა.

სოციალ-დემოკრატები კი, იმ ძალებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ილიაც განეკუთვნებოდა, პროგრესს კლასობრივი ბრძოლის გაფაქვავებასა და ამ ეზით სოციალიზმისაკენ სვლაში ხედავდნენ. ისინი ეროვნული პრობლემისათვის ბრძოლას, რევოლუციის ამ გარკვეულ ეტაპზე უარყოფითად აფასებდნენ, ვინაიდან, ამტკიცებდნენ ისინი, ეროვნული საკითხისადმი ყურადღების მიქცევა დაქსაქსავსო იმ ძალებს, რომელთა

წინაშეც ამჟამად დგას სოციალური პრობლემა — დამხობილ იქნეს ცარიზმი და მისი საყრდენი პოლიტიკური სისტემა.

უფრო მეტიც, რევოლუციის ეპოქაში ჩვენში მძლავრი დისკუსია მიმდინარეობდა ავტონომიის საკითხებზე. სოციალ დემოკრატები, თავისი საერთო სტრატეგიული კურსიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სასტიკად ილაშქრებდნენ ავტონომიის წინააღმდეგ. რა ფორმითაც არ უნდა იქნეს მოპოვებული ავტონომია, ის ნაინც ცარიზმის მიერ იქნება ნაბოძები და, ამდენად ეროვნული თვითგამორკვევის გზაზე ეს იქნებაო მხოლოდ მოწყალების, ავტონომიის თავისებური სუროგატის მიღება. ნამდვილი თვითგამორკვევა კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ სოციალიზმის პირობებში, როცა სხვადასხვა ერები ფედერალური პრინციპით გაერთიანდებიანო...

რა ნაცნობი პრობლემაა, ჩვენი გრძნობა იმით რომ არ იყოს დამძიმებული, რომ დღევანდელი თაობის წინაშეც იგი მთელი სიმწვავით დგას. რატომ ვერ მოვახერხეთ იმ იდეალური ფედერაციის აგება, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური აზრი ასე უხვად და დაჟინებით გვპირდებოდა?

ზემოთ მიმოხილულ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატები სასტიკად აკრიტიკებდნენ ი. ჭავჭავაძის ეროვნულ კონცეფციას, რისთვისაც მისი, როგორც ისტორიული ბოღვაწის, პიროვნულ დისკრედიტიზაციასაც აღარ ერიდებოდნენ. ეს კი იყო არა მარტო პოზიციების დამკვიდრება, არამედ რევოლუციის მამოძრავებელი ძალების გაუგებრობაც. მიმდინარეობდა სახალხო რევოლუცია. ნასში თავთავისი პლატფორმით ჩაბმული იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენები, რომელთა შორისაც გარკვეულ მომენტში განსაკუთრებული აქტიურობითა და ჰუმანისტური პოზიციებით გამოირჩეოდა დემოკრატიული ნაკადი. რევოლუციის ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებელი იყო ამ მოძრაობის სწორი გაგება და ჰუმანისტურ ნაკადებთან, დღევანდელი პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ, დიალოგით გაერთიანება. ამის სანაცვლოდ კი სოციალ-დემოკრატები ჯიუტად უპირისპირდებოდნენ დემოკრატიულ ფრთას და მის იგნორირებასაც ეწეოდნენ. მეტიც! ისინი დემოკრატიულ ნაკადთან აშკარა კონფრონტაციასაც კი არ ერიდებოდნენ.

ამ მცდარი პოზიციებიდან ებრძოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძესაც. ილიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების თეორიული ბრძოლის კულმინაციური მომენტი იყო 1905 წ. ფ. მახარაძისა და მისი კალმოსანი კოლეგების ლიტერატურული ლაშქრობა გაზ. „მოგზაურის" ფურცლებიდან. სამწუხაროდ ბრძოლა ამ შემთხვევაში

არსებითად გასცდა თეორიული დისკუსიის ფარგლებს და ილიას დევნასა და დისკრედიტირებაში გადაიზარდა. თერგდალეულთა ჭაღარა ბელადს საერთოდ რევოლუციის მტრად თვლიდნენ, ილიას დიდ მემამულედ, გლეხების ამწიოკებლად და სასტიკ ექსპლოატატორად ხატავდნენ, უწოდებდნენ მას ჯაშუშს.

ბრძოლას არც ორგანიზაციული მხარე აკლდა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებმა მუშების ხელით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, თბილისში ილიას ნაწერები საჯაროდ დაწვეს. ერთ-ერთი მოგონებით, ნაძალადევში ილიას თხზულებათა ასეთი კოცონი ილიას თვალწინვე ააბრიალეს. ამასთანავე, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ თავად ილია ჭავჭავაძეს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე პასუხი არ გაეცა, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევაც. ასე მაგალითად, ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებით, რომელიც ამ დროს „ივერიის" რედაქტორი იყო, სწორედ ამ გამწვავებული ვითარების გამო მოხდა, რომ მან ილიას გაზეთის ნომერში ვერ გამოუქვეყნა პასუხი, მისი ცნობილი „ნუ თუ?" რომელიც შემდეგ „ივერიის" დამატებად დაიბეჭდა...

რას ისახავდა მიზნად სოციალ-დემოკრატების ეს აქცია, თუ არა მშრომელი ხალხის, მუშებისა და განსაკუთრებით გლეხების სოციალურ ეგზალტირებას, ილიას როგორც მებატონისა და რეაქციონერის წინააღმდეგ ასამხედრებლად? სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ამის თაობაზე რევაზ გაბაშვილი: „იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი დამნაშავედ ითვლებოდა, სოციალისტურ წრეებში გადმოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი, რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღეთ ითვლებოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და პოლიტიკური ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მოწინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული" გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა, გარეშე წრეებიდან გამოსულნი და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (подстрекатель) იყო ფ. მახარაძე" (რ. გ. „ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე". „კლდე", 1913, № 3, გვ. 3).

რ. გაბაშვილი, პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, ამ სტრიქონებს წერდა 1913 წ. ისტორიული ვითარებისა და ფ. მახარაძისა

და მისი კომპანიის საქმიანობის საერთო შეფასების საფუძველზე. რ. გაბაშვილს, ბუნებრივია, ნაშინ არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლების ორგანიზება, მათი ამხედრება მცირე პრესის საშუალებით როდი ხდებოდა. აქცია პრაქტიკულად უფრო მრავალფაბნაგოვანი იყო. კერძოდ, სოციალ-დემოკრატი აგიტატორები თბილისიდან საგურამოშიც ადიოდნენ და პირდაპირ მიუთითებდნენ ამ მენატონეებზე, რომლებიც გლეხებს უნდა დაეხოცათ კიდევაც. ამ ნენატონეთა სიაში ილია ჭავჭავაძეც იყო.

ამის შესახებ წინასწარი ძიების პროცესში კონკრეტული ჩვენება მისცა ილიას ერთ-ერთმა ფიზიკურმა მკვლელმა გიორგი ბერბიჭაშვილმა, რომელიც ილიას მკვლელობის საქმეზე 1941 წლიდან იყო დაპატიმრებული საბჭოთა სანართალდაცვითი ორგანოების მიერ.

მოვიყვანოთ წინასწარი გამოძიების ოქმის ამონაწერი:

„1941 წ. 7 ივნისი

შეკითხვა: განაგრძეთ ჩვენება.

პასუხი: ყველა პროპაგანდისტები, როგორც ჩამოსულები, ისე ადგილობრივები ხალხს ეუბნებოდნენ, რომ მემამულეების, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ებრძოლათ და მათ წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ საბრძოლველად. საჭიროების შემთხვევაში მოეკლათ ასეთები. მოეკლათ და გაენადგურებინათ ისინი როგორც ამწიოკებლები და მჩაგვრელები... ამას ამბობდა ყველა. ამით ვიყავით გამსჭვალული ჩვენ წითელი რაზმელები და რევოლუციონურად განწყობილი გლეხობა, ჩაწერილი იყვნენ თუ არა წითელ რაზმში.

შეკითხვა: ჩამოთვალე ყველა მემამულეები, რომლებზედაც მტრულად იყო განწყობილი გლეხობა.

პასუხი: გიპასუხებთ შეკითხვაზე, ასეთები ბევრი იყო, რომლების მიმართ გლეხობა მტრულად იყო განწყობილი. მხოლოდ მე ყველა მათ აღდგენას მგონი ვერ შევძლებ.

შეკითხვა: უნდა აღიდგინოთ ისეთი მემამულეები, რომელთა მიმართ განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი გლეხობა, ყველა არაა საჭიროო.

პასუხი: შეკითხვაზე გიპასუხებთ, რომ გლეხობა განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი გოგი მუხრანსკიზე, რომელმაც ჩამოიყვანა კაზაკები და გლეხების, ვინაიდან ნადელს — ღალას არ აძლევდნენ, განადგურება მოინდომა მათი. იყო ხელჩართული ბრძოლა, რომელ ბრძოლაში დაეცა როგორც გლეხობის ისე კაზაკების მხარეს. სოფელ ბულაჩაურში ნიკა ხიმშიაშვილი, ქსანზე ერისთავები. საგურამოში მწ. ილია

ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძესაც არ დაანებეს მეოთხედები, ლალა გლეხობამ. შემდეგ რეაქციის გაბარჯვების შემდეგ 1907 წელში ნ. ილია ჭავჭავაძემ ძველი წლების გადაუხდელი ნადელი მთლიანად გადაუხდევინა გლეხობას. მას აქვთ მაგრამ ეგანაწყენებული იყო გლეხობა ძლიერ ცუდად.

შეკითხვა: დასახელებულ მემამულეებს პროპაგანდისტები როგორ იხსენებდნენ.

პასუხი: ჩამოსული დასახელებული პროპაგანდისტები, ისევე სხვები, რომელთა გვარები ვერ მოვიგონე, პირდაპირ ასახელებდნენ ხინოშაშვილს, ერისთავებს, ნ. ჭავჭავაძე ილიას, ნუბრანსკის და სხვებს და მიუთითებდნენ გლეხობას მათ განადგურებას მოსპობაზე როგორც გლეხობის ანწიოკებლების.

შეკითხვა: ჩამოსულ პროპაგანდისტებიდან ვის უფრო უყვარდა ხალხი და ყველაზე უფრო ცნობილი ვინ იყო.

პასუხი: ჩამოსულ პროპაგანდისტებიდან ბევრს ხალხი არც უყვარებდა, როგორც ზევითაც ვაჩვენეთ პროპაგანდისტები ბევრი ჩამოდიოდნენ. ყველაზე უფრო უყვარებდნენ ფილიპე მახარაძეს და ნაბარაძეს იცნობდნენ. მას ძლიერ უყვარებდნენ ხალხი და დიდი ავტორიტეტიც ქონდა ხალხში".

დაახლოებით ამგვარი ჩვენება, ოღონდ იმის გამოკლებით, რომ ჩამოსული პროპაგანდისტები კონკრეტულად ილიას მოკვლასაც უპროგრამებდნენ საგურამოელ გლეხებს, გ. ბერბიჭაშვილმა ღია სასამართლოს სხდომაზეც გაიმეორა, რის შესახებ ჩვენ შემდეგში ვისაუბრებთ.

აი, როგორი პოლიტიკური ვითარება უსწრებდა წინ. წიწამურის ტრაგედიას, რომელიც შემდეგში ამდენი დავის საგნად იქცა...

მამის მკვლელები

1907 წ. 30 აგვისტოს, დღის 12 საათისათვის, თბილისიდან საგურამოში მიმავალთ — ილია ჭავჭავაძეს და ოლღა გურამიშვილს წიწამურის გადასახვევთან ბოროტმოქმედთა ჯგუფმა საფარიდან სროლა აუტეხა. მოკლეს ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია იაკობ ბითარაშვილი (სინამდვილეში ეს უკანასკნელი თარაშვილი იყო). ძლიერი დარტყმებით ფიზიკური ტრავმა მიაყენეს ოლღა გურამიშვილს, რომელიც უგონოდ დაეცა და მკვდარს დაეცვალა.

საყურადღებოა, რომ წიწამურის აქციის ჟამს, უცნობი ბოროტ-

მოქმედების მიერ გატეხილ იქნა ჭავჭავაძიანთ სახლი თბილისშიც (ანდრეევის ქუჩაზე). უცნობები რაღაცას ეძებდნენ ილიას კაბინეტში, რისთვისაც მისი საწერი მაგიდა გადააქოთეს და ზოგიერთი ნივთი და საბუთი გაიტაცეს.

აღნიშნული ფაქტი თავისთავად იმის ნათელი მიმანიშნებელია, რომ წიწამურის ტერორისტული აქცია და თბილისში ილიას ბინის გატეხა კოორდინირებული იყო ვიღაცის მიერ, რომელიც ერთნაირად ლაღად გრძნობდა თავს და მოქმედებდა როგორც თბილისში, ისე წიწამურისა და საგურამოს მიდამოებში.

შემდგომისათვის ძიების მიერ დადგინდა, რომ წიწამურის ტრაგედიაში შემდეგი პირები მონაწილეობდნენ.

1. თედო ლაბაური, ილიას მეეტლე.
2. გიორგი ხიზანიშვილი, გლეხი.
3. პავლე ფშავლიშვილი (იგივე აფციაური), გლეხი.
4. ივანე ინაშვილი, წარმოშობით გლეხი, რომელიც იმხანად რკინიგზის საბელსნოებში მუშაობდა, ადრე საგურამოში მამასახლისი იყო.
5. გიორგი ბერბიჭაშვილი, გლეხი.
6. „ვიღაცა იმერელი"(?)

ზემოდასახელებულ პირთაგან გიორგი ბერბიჭაშვილი და „ვიღაცა იმერელი" ბკვლელობისთანავე მიიმალნენ. გ. ბერბიჭაშვილი მხოლოდ 33 წლის შემდეგ დაიჭირეს და სამართალში მისცეს. „ვიღაცა იმერლის" პიროვნება კი დღემდე დაუდგენელია და მისი იდენტიფიკაცია ვარაუდებს ვერ სცილდება. თუმცა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 1941-1942 წ.წ. გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს ორგანიზატორებმა ამ „ვიღაცა იმერლის" პიროვნება იცოდნენ და მას ფარავდნენ.

რაც შეეხება დანარჩენ ბკვლელებს (ფშავლიშვილის გარდა, რომელიც მეტეხის საპატიმროდან გაიქცა და სტრაჟნიკებმა მოკლეს), ისინი წინასწარი განძიებისა და სასამართლოს დადგენილებით სიკვდილით (ჩამოხრჩობით) იქნენ დასჯილი 1909 წ.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ჯერჯერობით შეეხებით მარტოოდენ დ. ჯაშის პიროვნებას და მასთან დაკავშირებულ მასალებს. ვინაიდან მხოლოდ ამ საკითხის გარკვევით შეიძლება შეეპასოთ „ოხრანკის" ვერსიის სანდოობა, თუ არასანდოობა. მართლაც ის თვალსაზრისი, რომ ილია ოხრანკამ მოკლა, იმ არგუმენტს ემყარება, რომ დ. ჯაში ოხრანკის აგენტი იყო...

ჩვენი მიზნისათვის, საჭიროა, პირველ ყოვლისა თვალი მივადევნოთ

იმას. თუ როგორ იქნა მიტანილი ეგვი დიმიტრი ჯაშზე და, როგორ აღმოჩნდა იგი ბრალდებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

დავიწყოთ ამ საკითხისათვის თავლის ნიგეგნება...

არ გასულა ილიას მკვლელობიდან სულ რაღაც 20 წუთი, რომ შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ დ. ჯაში და სტრაკნიკების თავი ვ. ემეცი. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ი. ჭავჭავაძეს ამ დროს ბელიუფლებისაგან უსაფრთხოების მიზნით დაცვა ჰყავდა მიჩენილი—სტრაკნიკები. ამ საბედისწერო დღეს ილიასაც დაკისრებული თბოვნით მას სტრაკნიკები არ აბლდნენ. საერთოდ, დიდ ეართველ მამალიშვილს საშინლად გული სტკიოდა, რომ საკუთარ სამშობლოში დაცვით დაიარებოდა.

როგორც ვბეჭდავთ, დ. ჯაშმა და ვ. ემეცმა მკვლელობამდე სულ მცირედ დაიგვიანეს და როცა ადგილზე მივიდნენ, ტრაგედია უკვე მოხდარი იყო.

მოსულებმა, პირველ ყოვლისა, შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერარ მიაგნეს. მკვლელები თითქოს საიმედოდ გაუჩინარებულიყვნენ.

ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელიც შემდეგ ვ. ემეცმა საგანგებოდ გაუმხილა ძიებას. როდესაც ის და დ. ჯაში ოლდა ჭავჭავაძის გასისხლანებულ, უგონო გვამს ჩაადგნენ, იქვე ევონათ, რომ ოლდაც ქმართან ერთად მოკლული იყო. მაშინ დ. ჯაშმა ვ. ემეცს უთხრა: მადლობა ღმერთს, რომ თავადის მეუღლეც მკვდარია".

ზემოაღნიშნული სიტყვებით ძიება შემდეგში საგანგებოდ დაინტერესდება და საკარაუდოდ მათში ის აზრს ჩადებს, რომ დ. ჯაში შეიძლება მკვლელი იყო და აბლა უხაროდა.

მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილის პირველი დათვალიერებით ვერარაფერი ბელმოსაკიდებელი ვერ იქნა ნაპოვნი, მოკლულთა გვამები და უგონო ოლდა ჭავჭავაძეც საგურამოში გაგზავნეს — მკვდრები ურმით, ოლდა ჯერ ეტლით, შემდეგ კი ისიც ურმით აიყვანეს...

ჩვენ აბლა გვერდს ავუვლით ილიას დატირებისა და დასაფლავების ამბავს, ეს საკმაოდ კარგადაა ცნობილი. სქემატურად თვალს გავადევნებთ მბოლოდ მკვლელობის გამოძიებას.

ზემოაღნიშნული ძიების ირგვლივ, იმთავითვე. 1907-1908 წწ., ვრცელი საქმე შეიქმნა. სწორედ მისი ერთი ნაწილი დაედო საფუძვლად თავის დროს პ. გუგუშვილის პუბლიკაციას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, რომელსაც სათანადო გამოკვლევაც ერთვის. (პ.

გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბილისი, 1938 წ.).

ამ ჩვენს ნარკვევში ძიების სქემას პ. გუგუშვილის ნარკვევისა და პუბლიკაციის მიხედვით წარმოვადგენთ. რატომ? იმიტომ, რომ ამ პუბლიკაციით პ. გუგუშვილმა კარგა ხნით „დაკანონა" და ოფიციალური იერი მისცა აზრს, რომ 1907 წ. დ. ჯაში ოხრანკის დავალებით მოქმედებდა, როცა მან, თითქოს, ილიას მკვლელობა მოაწყო. პ. გუგუშვილის მიერ ამ კონცეფციის შესაბამისად იქნა მოძიებული და დალაგებული მასალებიც. არსებითად აქ თავმოყრილი და განლაგებულია ყველაფერი ის, რაც ოხრანკისტებს მოეპოვებათ თავისი სქემისათვის. ამდენად პ. გუგუშვილის პუბლიკაციით არსებითად შესაძლებელია იმ ვერსიის ფაქტოლოგიური საფუძვლის წარმოდგენა, რომლის თანახმადაც ილია ჭავჭავაძე ოხრანკის მსხვერპლი შეიქნა.

პ. გუგუშვილის მიერ გამოცემულ მასალებს, ცხადია, უნდა დაემატოს აგრეთვე 1941-1942 წწ. ილია ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმის წინასწარი ძიებისა და სასამართლო პროცესის მასალებიც, თუმცა კონცეფტუალურად ეს უკანასკნელნი რაიმე დამოუკიდებელი ღირებულების ინფორმაციას აღარ შეიცავენ, რაც გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ილიას მკვლელობის გარემოებათა „დადგენას" გ. ბერბიჭაშვილის საქმის გამომძიებლები იმ სქემის მიხედვით აწარმოებდნენ, რომელიც მათ ა. გუგუშვილის მიერ ჰქონდათ უკვე მიცემული. სხვათა შორის, გამოძიება არა მარტო პ. გუგუშვილის პუბლიკაციით და ნაშრომით სარგებლობდა, არამედ პირადად მისი კონსულტაციითაც. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ძიება გ. ბერბიჭაშვილისაგან იღებდა არა დამოუკიდებელი ღირებულების ინფორმაციას, არამედ მხოლოდ იმ ჩვენებებს, რაც დამატებით დაადასტურებდა და გაამაგრებდა პ. გუგუშვილისა და სხვათა სქემას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ღირებულება შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთნაირად მოპოვებულ ცნობებს ჭეშმარიტების აღსადგენად.

ძიება დიმიტრი ჯაშს ადებს ხელს

პირველი, ვინც ილიას მკვლელობის გამოძიებას „ცხელ კვალზე" ოფიციალურად შეუდგა, ეს იყო დუშეთის მაზრის იმუამინდელი უფროსი ყარამან ფაღავა, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენტი, ი. ჭავჭავაძის პირადი ნაცნობი და ოჯახის მეგობარიც.

ამ საქმიანობაში ყ. ფაღავას მრავალი მხარდამჭერი და წამეე-

ზებელიც ჰყავდა. მათ შორის იყო, მაგალითად, ცნობილი გიორგი შერვაშიძეც, რომელიც ყარამან ფალავას ურჩევდა, ენერგიულად ეშოქმედა და ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე.

რას მეტყველებენ დოკუმენტები?

1907 წლის 31 აგვისტოს, ე. ი. ილიას აღსრულების მეორე დღესვე, ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა მკვლელობის გამოძიება დაავალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამომძიებელს ნ. ფ. ილიაშენკოს. საქმეში ჩაერთნენ აგრეთვე ზემოხსენებული დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფალავა, ცხეთისა და სართიჭალის პრისტავები გრიცუნასი და გედევანოვი, ტფილისის პოლიციმეისტერის სამძებრო განყოფილების გამგე ევტუშევსკი და სხვ.

ამგვარად, გამოძიება ფორმალურად დაიწყო 31 აგვისტოს.

იმავე დღეს ყ. ფალავამ ვრცელი მოხსენებითი წერილით მიმართა ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორს, სადაც აღწერა მკვლელობის გარემოებები იმ წინასწარი ინფორმაციის მიხედვით, რაც მას ამ დღისათვის გააჩნდა.

ილია ჭავჭავაძის, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის, მკვლელობის ფაქტმა ფართო რეზონანსი გამოიწვია რუსეთის ოფიციალური წრეების უმაღლეს ეშელონში.

კითხულობდნენ: რა მოხდა?

1 სექტემბერს ტფილისის გუბერნატორის სახელზე იმპერატორის კანცელარიის სტატს-მდივნის ლიშჩინსკის ხელმოწერით ასეთი შეკითხვა მოვიდა: „1907 წ. 1 სექტემბერი. პეტერბურგიდან. კეთილ ინებეთ, შეგვატყობინოთ სახელმწიფო კანცელარიის ცნობები სახელმწიფო საბჭოს წევრის თავად ჭავჭავაძის აღსასრულზე". (პ. გუგუშვილი. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 41).

მაშინვე, 1 სექტემბერს, ტფილისის გუბერნატორმა იმპერატორის კანცელარიას პეტერბურგში ასეთი პასუხი უდეპეშა: „პეტერბურგი. სახელმწიფო კანცელარიას. 30 აგვისტოს დაახლოებით დღის 12-ზე დუშეთის მაზრის საგურამოდან ოთხ ვერსზე ოთხი ბოროტმოქმედის მიერ სროლით მოკლული არიან სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია (.) კონდახებით თავში დაჭრილია კნეინა (.) ყველა გაძარცულია (.) მიღებულია საგანგებო ზომები (.) სავარაუდოა, რომ თავადი მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით (.) გაძარცვა სიმულირებულია..." (პ. გუგუშვილი, გვ. 41-42).

ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია დაეგზავნათ იმპერატორ

ნიკოლოზ II-ს, გრაფ პეტერ არკადის ძე სტოლიპინს და სხვ. ამ დეპეშების შესახებ ჩვენ შემდეგ ვისაუბრებთ.

როგორ უნდა შევაფასოთ ამ დეპეშების შინაარსი, რატომ ასახელებდნენ რეფის ადმინისტრაციის მოხელეები ილიას მკვლელობის წამქეზებლად სოციალ-დემოკრატებს, მათ რაიმე საფუძველი ჰქონდათ, თუ ბოროტ ცილს სწამებდნენ სოციალ-დემოკრატებს, როგორც ამას დაჟინებით გვარწმუნებს ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფიული სქემა?

ყველამ და ცხადია, ადმინისტრაციამაც კარგად იცოდა, რომ სოციალ-დემოკრატები აშკარად ემტერებოდნენ ილია ჭავჭავაძეს. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ კიდეც გ. ბერბიჭაშვილის აღიარება 1941 წელს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატები რიგითი თეორიული დისკუსიით კი არ იფარგლებოდნენ, როცა ილიას უპირისპირდებოდნენ, არამედ საგურამოში ასულები ადგილობრივ გლეხობას აქეზებდნენ და მიუთითებდნენ, იგი მოეკლათ.

უეჭველია, როდესაც ილია წიწამურთან მოკლეს, ადმინისტრაცია დეპეშების შედგენისას იმით ხელმძღვანელობდა, თუ აშკარად ვინ იყო შემჩნეული ილიას დევნაში. ამიტომაც ადმინისტრაციას გარკვეული საფუძველი ჰქონდა იმის სამტკიცებლად, რომ მკვლელები შეიძლება სწორედ სოციალ-დემოკრატებთან ყოფილიყვნენ დაკავშირებული, უფრო ზუსტად, სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ ეს მკვლელები წაექეზებინათ. განა წაქეზება არ იყო ცნობილი? მაშ რას წარმოადგენდა, მაგალითად, „მოგზაურის“ აქცია, თუ არა აშკარა წაქეზებას ილიას წინააღმდეგ იმ დროს, როცა ჩვენში ყველგან რევოლუციის ცეცხლი გიზგიზებდა?

სპეციალურ დეპეშების ინფორმაცია შინაარსობრივად საკმაოდ მწყობრად არის გადმოცემული და ყველა ვითარებაში შესაძლებელი იყო მათი შინაარსის რეალურობის ჩვენებაც. აქ მხედველობაში ის გარემოებაა მისაღები, რომ ძიება ჯერ ორსებითად დაწყებული არ იყო და, ამდენად, მომავალზე იყო დამოკიდებული ის, რაც დეპეშებში იყო ნათქვამი, დადასტურდებოდა თუ არა. ხომ შეიძლება ეს აზრი არც დამტკიცებულიყო? ამიტომაც დეპეშათა ინფორმაციის მიმწოდებლები საკმაოდ ფრთხილად იქცეოდნენ, როდესაც წერდნენ: „სავარაუდოა“.

მალე დაიწყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა დადგენა-გამოძიება, რაშიც საგანგებო მოხელეების მთელი შტატი ჩაება. ლიტერატურაში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი, თუ როგორი თანმიმდევრობით და გზით წარმოებდა 1907-1908 წ. წ. გამოძიება (ს. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937 10 IX, მისივე. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები, თბ, 1938).

ეს ამბავი ჩვენ ამჯერად გვათავისუფლებს აუცილებლობისაგან, დაწვრილებით შევჩერდეთ ძიების მსვლელობაზე. ამიტომაც პირდაპირ გადავალთ დიმიტრი ჯაშის, როგორც ეჭვმიტანილის, საკითხზე. რადგანაც შემდეგში ამ პიროვნების მიხედვით აეწყობა ის ვერსია, რომ ილია ჭავჭავაძე ობრანკის მითითებით იქნა მოკლული...

პირველი ეჭვი, (რის საფუძველზე, სამწუხაროდ, ეს არ ვიცით), დ. ჯაშზე, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორზე, გამოთქვა ყარამან ფაღავამ უკვე 4-5 სექტემბერს, ე. ი. ძიების დორმალურად დაწყებიდან მე-4-5 დღესვე. ყ. ფაღავა ამის თაობაზე წერდა: „სანდო წყაროებიდან მოპოვებულია ცნობები, რომ თავ. ი. ჭავჭავაძის მოკვლის გეგმა შედგენილი იქნა მისსავე, ე. ი. თავადის სახლში, მოურავის დ. ჯაშის მეთაურობით. ჯაში არასაიმედო კაცია. როგორც ირკვევა, იგი შედიოდა რომელიღაც საიდუმლო ორგანიზაციაში, რაზეც ბოკლული თავადის ახლობლები და ნათესავები ეჭვიანობენ“ (პ. გუგუშვილი. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 53-54).

აღნიშნავს რა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი არიან აგრეთვე: გიგოლა მოძღვრიშვილი და პავლე ფშავლიშვილი, ყ. ფაღავა ამბობენ: „ბიღებულია, აგრეთვე ზომები მოურავ ჯაშის საწინააღმდეგო უფრო მკვეთრი სამხილის მოსაპოვებლად. იგი, როგორც უნდა ვივარაუდოთ (იხ. ზევით), თანამონაწილეა განსვენებული თავადის მკვლელობისა.. ასეთი სამხილის მოპოვებისას, იგი დაპატიმრებული იქნება“ (პ. გუგუშვილი. იქვე).

1907 წ. 15 სექტემბერი

ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს სამძებრო ნაწილის შეფის ევტუშევსკის მიერ წარმოებულ გამოძიებათა და დაკითხვათა ოქმში ჩნდება ასეთი ჩანაწერი:

„განსვენებული თავადის მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში, ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატების პარტიას და სხვადასხვა პოლიტიკური საქმისათვის, სხვადასხვა დროს სამჯერ იჯდა ციხეში. გარდა ამისა, ჩემი მასთან საუბრისას განაცხადა, რომ მის პარტიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია თავ. ჭავჭავაძის მკვლელობაში, რომელიც მოხდა აგრარულ ნიადაგზე, ვინაიდან განსვენებული თავადი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა გლეხებს. ჯაშზე შემდგომი დაკვირვებიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მასზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ვახდენ, ჩემთვის მკაცრად რომ ვადევნებდი მას თვალყურს, ნათელი იყო, რომ ჩემში ჯაში გრძნობს თავის მტერს და ჩემი დაკითხვით, მისთვის მარჯვედ და მოულოდნელად მიცემული კითხვებით ვაღწევ მისთვის ყველაზე მნიშვნელო-

ვნამდე. ე. ი. მის მონაწილეობამდე თავადის მკვლელობაში. მაშინ მან, მოინდომა რა თავი დაეცვრინა ამ საკითხიდან, საუბარი ტაქტიკურად სხვა საკითხზე გადაიტანა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ორი თვის წინ მისმა ცოლმა იცოდა, რომ თავად ჭავჭავაძეს მოჰკლავენ, მაგრამ ამის შესახებ მის გარდა არავისთვის უთქვამს და ბატონები არ გაუფრთხილებია".

შემდეგ ევტუშევსკი იმასაც აღნიშნავს, თუ როგორ დაჰკითხა მან დ. ჯაშის ცოლი დარია ჯაში. ამ უკანასკნელს უჩვენებია, რომ საგურამოში მოსვლისთანავე გაუცვნია ილია ჭავჭავაძის ცოლის მსახური, მეკუჭნავე პელაგია მკურნალიძე, რომელსაც მისთვის საიდუმლოდ უთქვამს: „ნუთუ არ გეშინიათ აქ საცხოვრებლად მოსვლა?"... დარია ჯაშს ისიც აღუნიშნავს, რომ თბილისში მისი ნაცნობები წინასწარ ატყობინებდნენ, რომ მალე თავადს მოჰკლავენ და ის ფრთხილად ყოფილიყო. არასოდეს მასთან არ ემგზავრა. გაიგო რა, ამ საიდუმლოს შესახებ, დარია ჯაშს, როგორც თავად უთქვამს, ეს არავისთვის გაუმხელია, მაგრამ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, იგი ესაუბრებოდა მზარეულ ქალს სოფიო დიმიტრის ას. უნდილაშვილს, რომელმაც აგრეთვე, განაცხადა, რომ ყოფილი მზარეული ხარიტონიც ამბობდა, რომ თავ. ჭავჭავაძეს მალე მოჰკლავენო" (პ. გუგუშვილი, გვ. 58).

6 სექტემბერს ტფილისის გენ. გუბერნატორი ტიმოფეევი დაშიფრული დეპეშით მიუთითებს ყ. ფადავას, რომ მან „დაუყოვნებლად დააპატიმროს ჯაში, მოკლული თავადის ილია ჭავჭავაძის მოურავი" (პ. გუგუშვილი, გვ. 54).

18 სექტემბერს დიმიტრი ჯაში დააპატიმრეს და შეუდგნენ მის დაკითხვებს სამხილის გამოვლენის მიზნით, რისთვისაც ახლა დააპატიმრეს ალექსანდრე შერმადინიც, რომელიც ადრე ყოფითი კონფლიქტის საფუძველზე (ილიას მამულში ღორი მოუკლეს და იმიტომ) იმუქრებოდა, რომ ილიას მოკლავდა.

მიუხედავად ამისა, რაიმე რეალური ფაქტი, რომელიც სამხილად შეიძლება ყოფილიყო კვალიფიცირებული, ვერ იქნა მოპოვებული, ჯაშს და შერმადინს ამგვარი რამ ვერ დაუდასტურეს. ასეთ ვითარებაში დ. ჯაშმა პროტესტი განაცხადა უკანონო დაპატიმრების გამო.

ახლა დაგვრჩენია ერთხელ კიდევ ვიკითხოთ, თუ რა საფუძველზე შეიტანა ეჭვი ყ. ფადავამ დიმიტრი ჯაშზე, როგორც მკვლელობის ორგანიზატორზე? არავითარი კონკრეტული ფაქტი საამისოდ არ გამოჩენილა, გარდა ეჭვებისა. მაგრამ ამ უკანასკნელით ხომ მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდება ვერ დადასტურდება.

ამ ფაქტს ვერ დაადასტურებდა თუნდაც ის, რომ დამტკიცებულიყო დიმიტრი ჯაშის რომელიმე საიდუმლო ორგანიზაციის ან პარტიის რიგებში ყოფნაც. ოდენ პარტულობით ბრალდება ვერ გაირკვევა, მაშინ ხომ ყველა რომელიღაც პარტიაში იმყოფებოდა.

დღევანდელი ადამიანის პოზიციიდან თითქოს გასაკვირია, რომ მეფის ადმინისტრაცია ძიებისას ხელს არ ჰკიდებდა პარტიების წარმომადგენლებს, მაგალითად, სოციალ-დემოკრატებს და მათ დაკითხვას არ უწყობდა. სოციალ-დემოკრატები ხომ ილიას მოწინააღმდეგეები იყვნენ? რატომ პარტიულობის ნიშნით არ ეძებდნენ მოწმეებს გაბოძძიებლები? აბა წარმოიდგინეთ, ერთი წუთით 30-იანი წლების საბჭოთა მართლმსაჯულება, რომელსაც რაიმე საქმის ძიებისას ეენებოდა ისეთი სამხილი, როგორიცაა ეჭვმიტანილის ყოფნა რომელიმე, ვთქვათ, საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე პარტიასა, ან სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ასეთ შემთხვევაში ძიება აუცილებლად წავიდოდა მიზანში ამოღებული პირების მკაცრი იზოლირებისა და დაკითხვის გზით, ახლა კი სასამართლო ძიება ამ ხაზს არ მისდევდა, თუმცა იგი ფიქრობდა კიდევაც, რომ ილიას მკვლელობის საქმეში სოციალ-დემოკრატებიც ერევნენ, როგორც ეს პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშებში იყო აღნიშნული.

იმის თქმა, რომ სოციალ-დემოკრატებს ძიება ყურადღებას არ აქცევდა, სწორი არ იქნება. პირიქით, იგი ფარულად ამოწმებდა მისთვის ცნობილ ფაქტებს და ცდილობდა კიდევაც ახალი ფაქტები ეგდო ხელთ სოციალ-დემოკრატებზე. ეს სხვათა შორის, თავის დროს კარგად გახდა ცნობილი პარტიის ძველი წევრებისათვის. 1928 წელს ილიას მკვლელობის გარემოებებზე გამოქვეყნებულ სტატიაში პ. გელეიშვილი, მაგალითად, აღნიშნავდა: „...პოლიცია ძალას ატანდა ხალხს: მკვლელი დაასახელეთო. 1907 წლის 19 სექტემბერს, მართლაც შეიკრიბა სოფელ საგურამოს გლეხების ყრილობა, რომელმაც დაასახელა შემდეგი პირები:

1. ახალსოფლის მცხოვრები გიორგი აფციაური. 2. ნავდარიანთკარის მცხოვრები გლეხი — გიგო ნავდარაშვილი და 3. წიწამურელი გლეხი— სოლკა შერმადინი (იხ. მაზრის უფროსის „საქმე“ გვ. 15). არც ერთი ეს გლეხი პოლიციამ არ დააპატიმრა, (მგონი, გარდა სოლკა შერმადინისა). ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამას საქმიდან ვერ ვხედავთ. როცა სოფლის ყრილობა ამ გლეხებს ხელს ადებდა, უნდა ვიფიქროთ, ის ხელმძღვანელობდა ან იმით, რომ იცოდა ამ საქმეში დასახელებული პირების როლი, ან იმით, რომ ეს გლეხები საერთოდ ცუდი სახელით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და ყრილობას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ისინი ასეთ საქმეს ჩაიდენდნენ. გლეხები ჩინებულად იცნობდნენ სოფლად პა-

რტიულ მონაწილეებს. ასეთებს კარგად იცნობდა თვითონ პოლიციაც. ამიტომ ის ცდილობდა ელებებისათვის ეკარნახებინა, რომ სწორედ ეს აგიტატორები არიან დანაშავე „წიწანურის ტრაგედიაში“, ყველა შემთხვევაში, მაზრის უფროსის „საქმეში“, ჩვენ ვეცნობით გუბერნატორის მოწერილობას, რომელშიაც დასახელებულია პარტიული აგიტატორები და წინადადება ეძლევა მაზრის უფროსს, ამ საქმის გამოძიების დროს მათ ყურადღება მიაქციონ. გუბერნატორი ასეთ „საეჭვო პირებად“ ასახელებს: ვანო ბიჭვიაშვილს, გიგლა ორუჯაშვილს...“ („ახალი გზა“, 1928. № 17. გვ. 6).

როგორც ვხედავთ, გამოძიებას მხედველობის არიდან არ გამოუტოვებია სოციალ-დემოკრატები, მაგრამ არ ჩანს, რომ ის მოწმეების დაბარებას აბდებდა პარტიულობის ნიშნით. ყველა შემთხვევაში საქმეში ხალხი გადიოდა იმის ნიხდვით, თუ რამდენად იძებნებოდა ამა თუ იმ ეჭვმიტანილზე სისხლის სამართლებრივი სამხილი. ეჭვების საფუძველზე ბრალდება კი გამორიცხული იყო. ჩვენი მსჯელობის ეს ნაწილი შეაბეჭდილებებს ეყრდნობა და აქ აღძრული კითხვისთვის პასუხის საფუძვლიან გაცემამდე საჭიროა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ძიებითი და სასამართლო კომპონენტების მკაცრი იურისპრუდენციული განხილვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქმის წარმოება იმჟამინდელი სისხლის სამართლის პროცესუალურ წარმოდგენებს და პრაქტიკას. საერთოდ, გასარკვევია, თუ რამდენად იცვდნენ ამ პროცესუალურ ნორმებს იმ შემთხვევებშიც, თუ ერთი შეხედვითვე ჩანდა, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ მკვლელობასა, თუ სხვა დანაშაულებასთან. აღძრული საკითხის გარკვევა იურისტების კომპეტენციაა და მასზე პასუხის გაცემა ახალი შტრიხებით შეავსებს ჩვენ ცოდნას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ძიებაზე. ჯერჯერობით კი ეს მხარე, ჩვენი აზრით, ამ ისტორიაში თეთრი ლაქაა.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ეჭვის მიუხედავად, ძიებამ დ. ჯაშზე ვერაფერი სარწმუნო სამხილი ვერ მოიპოვა. ამის შესახებ 1907 წლის 3 დეკემბერს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„ამა წლის 30 ნოემბერს № 20165 მიმართვის შედეგად, თქვენ აღმატებულებას ვატყობინებ, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა დიმიტრი ჯაშისა და ალექსანდრე შერმადინის საწინააღმდეგოდ ძიებამ ვერ მოიპოვა მასალები, რომლებიც გვიდასტურებენ მათ მონაწილე-

ობას თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, რისთვისაც ისინი მოხმობილი არიან ამ საქმეში ბრალდებულებად".

ასეთ ვითარებაში დ. ჯაში განთავისუფლებულ იქნა.

ამრიგად ისე ჩანს, რომ 1907-1908 წლების ძიების მასალებში და, ამიტომ, პ. გუგუშვილის პუბლიკაციაშიც არ არსებობს არც ერთი კონკრეტულად დამტკიცებული სამხილი, რომლის მიხედვითაც უეჭველად შეიძლება იქნეს დანახული დ. ჯაშის მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. რჩება მხოლოდ ეჭვები და ვარაუდები, მაგრამ განა მათ მიხედვით შეიძლება პიროვნების დადანაშაულება? ასეთი რამ ხომ კანონიერებისა და ელემენტარული ზეშმარიტების შელახვაა?

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეჭვების დაუმტკიცებლობა საბოლოოდ იმას არ ნიშნავს, რომ ეჭვის რეალური ექვივალენცია (დანაშაული) არ არსებობდა. მაგრამ ამასთანავე, ის, რაც შეიძლება არსებულიყო, მაგრამ ჩვენ უეჭველად არ ვიცით, შეუძლებელია იურიდიულ არგუმენტად მივიჩნიოთ და მასზე რაიმე დასკვნები ავაგოთ.

ამ პრინციპით უნდა მივუდგეთ, ცხადია დ. ჯაშის მიმართ აღძრულ ეჭვებსაც. ილიას მკვლელობიდან თითქმის ოთხმოც წელზე მეტია გასული და ჩვენ დ. ჯაშის მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ იმაზე მეტი არაფერი ვიცით, რაც 1907-1908 წ.წ. გამოძიებისათვის აღმოჩნდა ხელმისაწვდომი. მაშინ კი დ. ჯაშის მიმართ აღძრული ეჭვები ვერ დადასტურდა.

ასეთია იმთავითვე საქმის რეალური ვითარება.

მიუხედავად ამისა, ყარამან ფალავა შემდეგ წლებშიც დარწმუნებული იყო, რომ მას დ. ჯაშზე გასვლით ძიება სწორი გზით მიჰყავდა და რაშიც ხელი შეუშალეს. 1926 წელს ყ. ფალავა მოკლედ ასე აცალიებებს თავის თვალსაზრისს ილიას მკვლელობის საკითხზე პეტრე გელეიშვილისადმი გაგზავნილ ერთ კერძო წერილში (მოიპოვება პ. გელეიშვილის ნაქონ საქმეში).

გავეცნოთ ამ წერილს მთლიანად.

„მოქალაქე პეტრე გელეიშვილს!

თანახმად თქვენი პირადი თხოვნისა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გაძლევთ მცირე ცნობებს მხოლოდ ჩემი ხსოვნიდან. ვინაიდან საბუთები ხელში არა მაქვს. ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ, როგორც ეს გამოძიებიდან სჩანდა, ქ. ტფილისში იყო მოწყობილი. გამოძიების დროსაც ხმა გავრცელდა, რომ ვითომც ილია ჭავჭავაძე პარტიამ მოკლა. მაგრამ ჩემს გამოძიებაში ეს არ სჩანდა და არც არავითარი საბუთი არ იყო ამის შესახებ გამოძიების დროს. ჩემი აზრით, მკვლელები იყვნენ ის პირები, რომლებზეც მე ხელი ქონ-

და დადებული. რაც შეეხება იმას, თუ რა მიზნით შევიპყარი ეს პირები, სჩანს შემდეგი შინაარსიდან: მიუხედავად იმისა, რომ მე ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი მკვლელების აღმოსაჩენად, საქმე მაინც რამოდენიმე დღის განმავლობაში გამოურკვეველი იყო. ილია ამ დროს „საგურამოში" თავის სახლში ესვენა. მეც აქ ვიყავი ცალკე ოთახში. ღამის ოთხი საათი იქნებოდა, ერთმა მცველმა კარი შემოაღო და მომახსენა: ვიღაც მოხუცი გლეხი არის და თქვენი ნახვა სურსო. მე ნება მივეცი სახლში შემოსულიყო. მოხუცმა ორი სიტყვა მითხრა: ილიას მწყემსს მიაქციე ყურადღებაო და წავიდა. მხოლოდ შემეხვეწა, რომ მისი მოსვლა არ გამემჟღავნებია და აქამომდის ეს არავისთვის მითქვამს. მართლაც მწყემსი შევიპყარი და აქედან გამოირკვა დანარჩენი პირებიც. მკვლელობის ორგანიზატორი ჩემი აზრით გადაორა გამომძიებლის შეძწეოლით. გამომძიებელი საქმეს აჩქარებდა და საქმიდან ეტყობოდა, რომ თვითონ რაღაც პირად მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში, ვინაიდან ხშირად საგურამოში ქურდობა და ხვა და სვა ბოროტება ხდებოდა. სტრაჟნიკების პოსტი დავაყენე ერთხელ სამსახურის მოვალეობის ასრულების გამო, საგურამოში მივედი და ილიაც ვინახულე. მან ხუმრობით მითხრა: საგურამოში რა საჭიროა დარაჯობა — დარაჯები ჩვენს ბანკს ჭირიაო. მხოლოდ რა მიზნით იყო ეს სიტყვა წარმოთქმული, ამაზე მე შეკითხვა არ მიმიცია. ვინაიდან ყველა ცნობები არ მაგონდება, ამჟამად მეტს ვეღარაფერს ვწერ, მხოლოდ თუ საჭირო ვიქნები ამ საქმეში, გთხოვთ მაცნობოთ.

ჩემი მისამართია: კალინინის ქუჩა № 120.

ყარამან გიორგის ძე ფაღავა.

თქვენი მორჩ. ყარამან ფაღავა.

1-11. 1926.

ქ. თბილისი."

ეს წერილი ძალზე საყურადღებოა ძიების ისტორიის გასათვალისწინებლად. დავუკვირდეთ, რომ 1926 წელსაც ყ. ფაღავა ვერაფერს კონკრეტულს ვერ ამბობს იმაზე, თუ რა სამხილით შეიძლებოდა მტკიცება, რომ დ. ჯაში მკვლელობის ორგანიზატორია. მართალია, ყ. ფაღავამ ამის შესახებ სიგნალი მიიღო, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არაა ფაქტის ჭეშმარიტებისათვის. მას შემოწმება და დადასტურება ესაჭიროება. ყ. ფაღავას კი 1907 წელს და არც შემდეგ ასეთი დამადასტურებელი ფაქტი არ მოესოვებოდა. თუ, ამასთანავე, ყ. ფაღავას მიაჩნია, რომ დ. ჯაში გამომძიებამ განზრახ გაათავისუფლა იმიტომ, რომ მკვლელობაში ძიებაც იყო გარეული და ახლა მან დიმიტრი მოურავიც დაჰფა-

რა, მაშინ ყ .ფაღავას ერთი ასეთი კითხვაც უნდა დაესვა: მაშ, როგორღა მოხდა, რომ თუ დ. ჯაში და გამომძიებელი ილიაშენკო ერთი ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, ადმინისტრაცია ასე სწრაფად რატომღა დაეთანხმა ყ. ფაღავას დ. ჯაშის დაპატიმრებაზე? განა ულოგიკობა არ იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ადმინისტრაცია დათანხმებულიყო იმ პიროვნების დაპატიმრებაზე, რომელიც მის სამსახურში იმყოფებოდა და მისსავე დავალებებს ასრულებდა? დ. ჯაშის დაპატიმრებისთანავე ხომ მოსალოდნელი იქნებოდა გამომძღავნებულიყო დ. ჯაშის და ოხრანკის თანამშრომლობა, რაც საქმეს გაართულებდა, თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს ყ. ფაღავას წარმოედგინა? არსად ყ. ფაღავას ეს კითხვები არ დაუყენებია და მათზე პასუხი არ გაუცია.

ამრიგად, ყ. ფაღავას აზრი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი დ. ჯაში იყო, არავითარ იურიდიულად უფლებამოსილ ფაქტს არ ეფუძნება. ცხადია, ამიტომაც ძიების მასალებით დ. ჯაშის მეშვეობით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში შეღწევა ვერ ხერხდება.

მიუხედავად ამისა, შემდგომში არსებითად სწორედ ყ. ფაღავას სქემას დაეფუძნა ვ. ცაბაძე, რომელიც ილიას მკვლელობის ორგანიზატორად დ. ჯაშს თავიდანვე მიიჩნევდა. მას შემდეგ კი, რაც 1917 წ. მარტში ოფიციალურად იქნა დადგენილი, რომ დ. ჯაში ოხრანკაში იყო, ვ. ცაბაძემ ყ. ფაღავას სქემის ის დეტალი, რომ დ. ჯაშს განთავისუფლებაში ძიება დაეხმარა, იმ ცნობითღა შეავსო, რომ ეს თანამონაწილე იგივე ოხრანკა იყო. ვ. ცაბაძის სქემაშივე, თითქოს პირველად ჩნდება ის კითხვაც, თუ რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ოხრანკა ილია ჭავჭავაძის მოკვლით. იმიტომ, ასეთია პასუხი, რომ ილია მიუღებელი აღმოჩნდა მეფის მთავრობისათვის მას შემდეგ, რაც მან 1906 წლიდან აქტიური რადიკალური მუშაობა გააჩაღა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში, სადაც რუსი შოვინისტების ზიზღი და მძულვარება გამოიწვია.

ერთ-ერთი საყურადღებო და ჩვენთვის ხელმისაწვდომი გამოკვლევა, სადაც ილიას მკვლელობის გარემოებათა შესახებ სოციალ-დემოკრატების სქემა უკვე არსებითად დასრულებულიც ჩანს, ესაა პ. გელეიშვილის (ყარიბის) ნარკვევი — „ახლო წარსულიდან“ („ახალი გზა“, 1928, № 16, გვ. 5-7; № 17, გვ. 7-9).

* * *

ზემოხსენებულ ნარკვევში სოციალ-დემოკრატების სქემა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არსებით ხაზებშია გადმოცემული და მას კონკრეტულურად შემდგომში ცოტა რაღაც თუ დამატებია.

დასაწყისშივე პ. გელეიშვილი მოკლე ცნობებს გვაწვდის სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას მკვლელობის გამოძიებაზე ჯერ კიდევ 1912-1913 წ.წ. (ეს ცნობები ჩვენ ზევითაც მოვიტანეთ). აქვე პ. გელეიშვილი მიუთითებს, თუ როგორ უშედეგოდ სცადა მან 1917 წ. მეტეხის საპყრობილეში დაპატიმრებული დ. ჯაშის დაკითხვა ილიას მკვლელობის ვარეოებებზე. ასევე, უშედეგო აღმოჩენილა მისი ცდა, რაიმე ცნობები შეეტყო ილიას ახლობლის ილია წინამძღვრიშვილისაგან, რომელმაც ხალხის ხმის თანახმად, წინასწარ იცოდა, რომ ილიაზე თავდასხმას აპირებდნენ. და აფრთხილებდა კიდევაც, იმ უბედურ დღეს საგურამოსაკენ თბილისიდან არ წასულიყო. ილია წინამძღვრიშვილს არ უსურვებია ამ მტკივნეულ საკითხზე პ. გელეიშვილისათვის ინფორმაციის მიცემა.

პ. გელეიშვილი აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტი ეჭვები ილიას მკვლელობაში დასადანაშაულებლად დიმიტრი ჯაშზე არის, ვინაიდან „პოლიციის წინასწარი გამოძიება და ხალხის თქმაც დიმიტრი ჯაშს ასახელებენ ილიას მკვლელობის მომწყობად". („ახალი გზა", № 16, გვ. 7).

პ. გელეიშვილი ვრცლად იხილავს ამ „ეჭვებს".

1. საიდუმლოებებითაა მოცული თვით დ. ჯაშის ილიასთან მოურავად მოსვლა და მიღების გარემოებაც. ილიას ბიძაშვილის ზაქარია ჭავჭავაძის მოწმობით, დ. ჯაშის მოურავად მიღება ილია ჭავჭავაძეს მისივე დამ ელისაბედ საგინაშვილმა ურჩია. მაგრამ ამ ამბავს წინ უსწრებდა ერთი გარემოება. მაგალითად, ცოტა ხნით ადრე ელისაბედს უცნობები მუქარიან წერილებს უგზავნიდნენ და ფულს სთხოვდნენ. და ეი, ამ ხანებში იყო, რომ ილიას სტუდენტობის მეგობარმა მ. ჩიკვაიძემ პოეტს სთხოვა მოურავად დ. ჯაში აეყვანა, რის შემდეგაც, გვარწმუნებს პ. გელეიშვილი, ელისაბედისათვის წერილების გზავნა შეწყდა („ახალი გზა", № 16, გვ. 7).

II. პეტრე გელეიშვილი იმოწმებს ე. საგინაშვილის ერთ წერილს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მას უცნობები ემუქრებოდნენ სიკვდილით, თუ იგი მათ ფულს არ მისცემდა. ამ ხანებში მას დ. ჯაში ხლებია და ფული უთხოვია. ელისაბედსაც მიუცია 5 მენეთი. პ. გელეიშვილის დაკვირვებით, ამის შემდეგ დ. ჯაში სისტემატურად დაიარებოდა ე. საგინაშვილთან და მას „ფულებს სცანცლავდა" ხოლმე. ცხადია, ელისაბედს ეში-

ნოდა დ. ჯაშისა და მას ეფერებოდა ხოლმე. ეს კარგად დასტურდებაო თვითონ ელისაბედის ერთი ბარათით დ. ჯაშისადმი: „ძმაო დიმიტრი, აგერ მესამე თვეა, ლოგინად რავარდი. ორი ღერი დაიარება. დღეკამდლამდის აპარეთარი უკეთობა არ მეტყობა. მირჩევენ ფეხადგ გერმანიაში წავიდე საწამლებლად. რათ რვეულკენ არ გამოიარე. რამდენი ხანს გაანებლობაში. სწორედ მაგას ვფიქრობდი, ავათ იქნებოდი. დამეჩქარეთ, რა. საც ამჟამად გიგზავნი, ძმურად გაეცალი. ერთი თუმანი მე ავიღე. მეორეს შენ გიგზავნი. ჩემის ავადყოფობის გამო, ინდია არ დამენდურები“ (ბ. გელეიშვილი, № 16. გვ. 7.)

III. ბ. გელეიშვილი აღნიშნავს, თუ როგორი ფუმატყოფილი იყო ილია ჭავჭავაძე დ. ჯაშის მოურაობით. ილია ნაწერდა კიდევაც, რომ დიმიტრი ამ საქმეზე აიყვანა. ამ აზრის საილუსტრაციოდ ბ. გელეიშვილი იმოწმებს ილიას მეფუტკრის დანიელ ბასლოვის მონაყოლს: „ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო: რატომ იკისრა ჯაშმა ასეთი საქმე, მას არავითარი ცოდნა არ ჰქონდა... ამბავ მოურავს ილია გრიგოლის ძე არ ენდობოდა. ის გაკვირვებული იყო იმ გარემოებით, რომ ჯაში მეფეთ სოფელ წიწამურში დაიარებოდა და ბაღშიც სულ ვიდაცეებთან იყო. ილია გრიგოლის ძე ხშირად იტყოდა ხოლმე — რას აკეთებს ის კაცი? ლექციებს კითხულობს? — ერთხელ ილია გრიგოლის ძემ ჯაშს უთხრა: — „მე ვიცი, თქვენ რასაც შვრებით, თქვენ გსურთ ხალხს ანგელოზად ეჩვენოთ, მე კი ბეცად გამომიყვანოთ მათ თვალში. თქვენ არ გესმით, რომ მე თქვენზე უფრო მიყვარს ხალხი“... იქვე მოტანილი ოლდა ჭავჭავაძის ნათქვამი: „მე მახსოვს ჩემი ქმრის მიერ ჩემდამი მოწერილ წერილებში იყო ერთი წერილი, რომელიც მე მან ივნისის ბოლოს მომწერა: ამ წერილში მე ის მაცნობდა: „მოურავი ჯაში ფსიონდისო მატყუარა გამოდგა და როცა მოვალ... ახალი მოურავი უნდა ვიშოვო“. (ბ. გელეიშვილი, „ახლო წარსულიდან“, „ახალი გზა“, № 16, გვ. 7).

IV. ბ. გელეიშვილი ეფუძნება ყ. ფალავას ძიების სვენას. რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ და რომლის მიხედვითაც ილიაშენეულ დ. ჯაში იმიტომ გაუთავისუფლა, რომ რალაცა პირადი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. იმის დასამტკიცებლად რომ დ. ჯაშს დანაშაული აქვს ილიას მკვლელობაში, ბ. გელეიშვილს მოჰყავს ერთი ეპიზოდი, თუნცა არ ასახელებს, რომ ეს ეპიზოდი თვითონ დ. ჯაშის მიერვე იქნა აღწერილი.

საქმე შემდეგშია:

იმ დროს, როდესაც დ. ჯაშმა შეეთხვევის ადგილზე მოკლულთა გვამები აკრეფინა და ურმით საგურამოში გაამგზავრა, ოლდა ეტლით წაიყვანა. ამ მომენტთან დაკავშირებით დ. ჯაში იხსენებდა: „როდესაც

კნეინას მივუახლოვდი და ხელი მოვკიდე, მე ის ხელიდან მისხლტებოდა, მაგრამ არაფერს ლაპარაკობდა. მანამდე კი მე დავინახე, თუ როგორ ცდილობდა იგი წამოდგომას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ორჯერ ეტლის ბორბალს მიახალა თავი... თავადისა და მისი მსახურის გვამები მე ურმით კავკაზანენ სახლში. კნეინა კი მე თვითონ წავიყვანე ეტლით. გზაზე ის ცდილობდა ლაპარაკს, მიმართავდა ხოლმე ჩვენს თანმხლებ მეურნე გლეხებს შემდეგი სიტყვებით: — „ღვთის გულისათვის, თქვენ ხომ ქრისტიანები ხართ?, ეს ისეთი მადლი იქნება, თითქოს ეკლესია აგეშენებინოთ. მიშველეთ, დამიხსენით ამ ადამიანისაგან"! — ამბობდა კნეინა და თანაც ხელით ჩემზე აჩვენებდა. მე ვაწყნარებდი და სულ დამავიწყდა, რომ იგი ყრუ იყო და ჩემი არაფერი ესმოდა". (პ. გელეიშვილი, № 17. გვ. 7).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თავისებური არგუმენტაციისა, პ. გელეიშვილი, ჩანს, თვითონვე არ იყო დარწმუნებული საკუთარი მტკიცებების სიმყარეში. ამიტომაც შენიშნავდა: „ძნელია რამე გადაჭრით აზრის შედგენა ამ ტრაგედიის შესახებ. ფაქტიური მასალა იმ თავითვე მეტისმეტად ცოტა იყო და რაც იყო, ისიც, როგორც ვთქვით, მცირედის გამოკლებით, დაკარგულია... ასეთ პირობებში ფანტაზიას ერთობ დიდი და ფართე ასპარეზი რჩება: აქ ერთნაირი საფუძვლიანობით შეიძლება ყველაფრის თქმა, ყველასი გამტყუნება, ან გამართლება..." (პ. გელეიშვილი, № 17, გვ. 7).

პ. გელეიშვილის მსჯელობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ადგილი, სადაც იგი ერთგვარად კვლავ თავს იკავებს საბოლოო დასკვნებისაგან. „შესაძლოა, რომ პოეტის მკვლელობის ინიციატივა ადგილობრივ ადმინისტრაციას არ ეკუთვნოდეს... — მაგრამ ის კი უეჭველია, რომ რაკი ეს მთავრობისათვის არასასურველი ადამიანი მოჰკლეს, მისი მკვლელობის შესახებ გამოძიება ისე უნდა ეწარმოებინათ, რომ პოეტის მკვლელობის პირველ დღიდანვე გავრცელებულიყო ლეგენდები ს. დ. როლის შესახებ გამოყენებით. ამით ხომ მთავრობა საუკუნოთ გაუტეხდა სახელს ბის მოსისხლე მტერს — პოლიტიკურ პარტიას. და თუ გამოძიება ამ გზას არ დაადგა, უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამის შესახებ არავითარი ხელჩასაჭიდი საბუთი არ მოეპოვებოდა. მართალია, ქართველი ნაციონალისტები ამას გაიძახოდნენ, მაგრამ ეს ხომ საბუთად არ გამოდგებოდა? ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას აგრეთვე ყოფილი მაზრის უფროსი, ყარამან ფადავა. ის ჩემდამი მოწერილ წერილში ლაპარაკობს: — „ორგანიზაცია ილიას მკვლელობის შესახებ. როგორც გამოძიებიდან სჩანდა, თბილისში იყო მოწყობილი, გამოძიების დროსაც ხმა გავრცელდა, რომ ვითომც ილია ჭავჭავაძე პარტიამ მოჰკ-

ლაო, მაგრამ ჩემს გამოძიებაში ეს არ სჩანდა. და არც არავითარი საბუთი არ იყო იმის შესახებ გამოძიების დროს".

ეს სიტყვები, ამას მკითხველიც შეამჩნევს, პ. გელეიშვილს ილიას მკვლელობის მიმართ ჩვეულებრივმა ინტერესმა კი არ ათქმევინა, არამედ მძაფრმა სურვილმა, ამ ისტორიაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა უარეყო. შემთხვევითი როდი იყო ეს სურვილი იმ პარტიის ვეტერანისაგან, რომელსაც რა ხანი იყო, სისტემატურად ბრალს სდებდნენ ილიას მკვლელობის ორგანიზაციაში.

„ოხრანკის" ვერსიას აფართოებენ

20-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა საკითხი ოფიციალური სამყაროსათვის თითქოს საგანგებო ინტერესს აღარ წარმოადგენდა. იგი ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკებისათვის თავისებურ შორეულ მოგონებად თუ რჩებოდა. თითქმის აღარც ცდილობდნენ გაეხსენებინათ, რომ ილია ოხრანკამ მოკლა იმიტომ, რომ პოეტი რადიკალურ ბრძოლას ეწეოდა იმპერიის პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ამ ფაქტის გახსენება ახლა უტაქტობაც იქნებოდა, რადგანაც იგი მიგვანიშნებდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოღვაწეობის ნათელ მხარეზე, რასაც ბოლშევიკები და მათი ისეთი იდეოლოგები, როგორიც ფილიპე მახარაძე და მისთანები იყვნენ, გულდასმით ჩქმალავდნენ. მათთვის უფრო მოსახერხებელი იყო, თუ სიტყვა მოიტანდა, გაეხსენებინათ, რომ ილია მოკლეს აგრარულ ნიადაგზე, რადგანაც ის სასტიკი მემამულე და გლეხობის ამწიოკებელი იყო. დავიმახსოვროთ, რომ ესეც ფილიპისტების აზრობრივი „შემონაქმედი" იყო...

ზემოთ ნათქვამის ილუსტრირება შესაძლებელია იმჟამინდელი ნაშრომების რამდენიმე ამონაწერით.

1927 წ. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ფრანგი კომუნისტი მწერალი ანრი ბარბიუსი, რომელმაც აქ მიღებული ვარდისფერი შთაბეჭდილებები აღწერა თავის წიგნში, „აი, რა უყვეს საქართველოს".

ჩანს, ა. ბარბიუსს საქართველოს იმჟამინდელი ბოლშევიკი ლიდერები დაჟინებით უნერგავდნენ საკუთარ ვერსიას ილიას მკვლელობის გარემოებებზე. ამ გზით არწმუნებდნენ სტუმარს, რომ მავანნი და მავანნი ილიას მკვლელობაში თითქოს უსამართლოდ ბრალს სდებდნენ ბოლშევიკებს. და აი, თავის წიგნში ა. ბარბიუსმა საგანგებო დაცვა და გამართლება დაუწყო თავის ქართველ იდეურ თანამოძმეებს, ფრანგული ლიტერატურული სამყაროს არხებით მიეხმარა მათ. აი, რას წერს ა. ბარბიუსი: „იხსენიებდნენ თვალსაჩინო რევოლუციონერ — მსხვერპლს, სხვათა შორის, თავად ჭავჭავაძეს, მწერალსა და კულტურულ პიროვნე-

ბას, რომელიც ერთ დროს ლიბერალი პოეტი იყო: მის ნოველას ბოლშევიკებს აბრალებდნენ. მე საგანგებოდ ვიკვლიე ეს ანბანი, რომელიც 1907 წ. მოხდა, რომ ზოგჯერ დემოკრატიულ იდეებსაც კი ჰქონდა გეგმა. დიდი მემანდილე იყო, ანასტანავე, მეტად სასტიკიც თავიანთი ყმებისა და ხელქვეითისათვის და რევოლუციის დროს საკუთარ გლეხების მიერ იქნა მოკლული არა პოლიტიკური აგენტებისა, თუ მათ მიერ მოსყიდულების მიერ. ბევრ სხვა შენთხვევაშიაც. როცა საკითხს საკანგებოდ ვიკვლევდი ხოლმე, ყოველთვის ნათლად ირკვეოდა, რომ სინანდვილე დამახინჯებული იყო და უკეთუ დახვრეტასა და მკვლელობას ადგილი ჰქონდა. ეს იყო პირუტყვინდა ბანდიტიზმი". (ა. ბარბიუსი, „აი, რა უყვეს საქართველოს". ტფილისი, 1930, გვ. 126).

მოვუსმინოთ ახლა ანავე საკითხზე ცნობილ რევოლუციონერის შაქშე ლეკვავას, რომელმაც ნოვორბებების საბით ვრცლად აღწერა ბოლშევიკების ბრძოლა პირველი რევოლუციის წლებში. შ. ლეკვავა წერს: „გორის მაზრა, სხვა მაზრებთან შედარებით, ფეიდარ მაზრას წარმოადგენდა. იქაური მემანდილეები მართლაც მემანდილეებით იწოდებოდნენ. იმერეთის ეკონომიკურად გაკოტრებულ თავად-აზნაურობასთან შედარებით, ქართლის თავად-აზნაურობა უფრო მეტად რეაქციონურ ძალას წარმოადგენდა. ბრძოლა მათ და გლეხებს შორის, რომლებსაც ავიწროებდნენ, ძლიერ გამწვავებული იყო. აგრარულ ნიადაგზე ნაწამები გლეხები აქაურ თავადების მიერ მოთმინებიდან გამოსულნი თითოეოლა თავადებს ხოცავდნენ. სოფელ ბრილში ნოჰკლეს ტირანი თავადი ნიკოლოზ დიასამიძე, რომელიც თურმე თავის სანადელო გლეხებს უდალოდ წყალსაც არ აძლევინებდა, ქალებს წყლის ნოსატანად მიმავალთ კოკას ბეჭებზე ამტვრევდა. ხელმწიფის მოსაგილემ ათი-თორმეტი უდარიბესი გლეხები, ნიკო დიასამიძის ბავლელნი, ადგისანი გაგზავნა, სადაც უმეტესობა მათგანი შიმშილით ამოწყდა.

გლეხებმა ქართლში ნოჰკლეს აგრეთვე თავადი იასონ ფალავანდიშვილი, და შემდეგ აგრარულ ნიადაგზე ფეოდალი, ცნობილი საქართველოს გამორჩენილი მგოსანი ილია ჭავჭავაძე. გლეხების თავადაზნაურობაზე იერიშის მიტანა კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მონარქისტ გიორგი ამილახვარს და ზუბიკო აბდუშელიშვილს, ამიტომაც საქართველოში ჩვენი წითელი რაზმის დაარსებისთანავე საბრძოლველად ნათ შავი რაზმი შეადგინეს თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულნი თავზე ხელაღებული გარეგნილ-გათამაშირებული პირთაგან. გიორგი ამილახვრისა და ზუბიკოს შავმა რაზმმა პირველ ხანებში იწყო გორის მაზრაში თარეში და აწიოკება (შ. ლეკვავა, რევოლუციონური

ბრძოლა და პარტიული მუშაობა, „რევოლუციის მატიანე“, № 1, 18. 1928, გვ. 72).

ილიას მკვლელობის ანგვარი შეფასება იმხანად საკმაოდ გავრცელებული იყო.

ჩვენს თაობას ამასთან დაკავშირებით სულ ახლახან გაახსენდა, რომ 30-იან წლებში საულ უშეროვიჩის წიგნში — „მეფის რეჟიმის დროს დასჯილნი“, რომელიც უკრაინულად და რუსულად სხვადასხვა დროს ოთხჯერ გამოიცა, მეფის სისტემის წინააღმდეგ მებრძოლთა და ამიტომაც დასჯილთა სიაში დეკაბრისტების, ნაროდოვოლელებისა და სხვათა გვერდით დასახელებული არიან ი. ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილეებიც: თედო ლაბაური, ინაშვილი (ინაშვილონი), ხიზანიშვილი...

ასეთი იყო იმჟამინდელი ოფიციალური სქემა. ეს უკანასკნელი რომ გათვალისწინებული იყოს, მაშინ, ალბათ ჩვენს წინაშე აღარც წამოიჭრება გაკვირვების შემცველი ასეთი კითხვა: „არავის ხმა არ ამოუღია, არაფერი დაიწერა... უშეროვიჩი — უკრაინელი რევოლუციონერი — — სტამბის მუშა იყო. არ შეიძლება ქრონიკაში მაინც არ წაეკითხა, რომ ილია ჭავჭავაძე ავაზაკებმა ნოკლეს. მიწაზე მწოლიარე პოეტს ფეხსაცმელი გახადეს, მის მეუღლეს კი ყურებიდან საყურეები ჩამოგლიჯეს. მკვლელები რატომ გახდნენ რევოლუციონერები? იმიტომ, რომ ილია მოკლეს? იქნებ კრებულის ავტორი შეცდომაში შეიყვანეს? უშეროვიჩმა მასალების შეგროვებას შვიდი წელი მოანდომა. 1930 წელს უკრაინაში დაიბეჭდა, მაშასადამე კრებულის შესადგენად მუშაობას 23-24 წლიდან დაიწყებდა“ (ნ. აბაშიძე, „საულ უშეროვიჩის კრებულის გამო, ჟურნ. „კრიტიკა“, 1989, № 2, გვ. 117).

ასეთია ეს კომენტარი. თუმცა ავტორი შემდეგში, იქვე სწორად ხვდება, როცა შენიშნავს: „რაკი (უშეროვიჩი — შ. ბ.) წერს, საბუთები მთავრობის ცენტრალურ ორგანოებში ნოვიძიეო — ეჭვი არ არის, იმდროინდელი საქართველოს მთავრობა ილიას შესახებ უკუღმართ ცნობას მიაწვდიდა“. (იქვე).

ასეთი იყო იდეურ-ლიტერატურული ვითარება ილიას მკვლელობის ირგვლივ. და აი, სიტუაცია ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალა.

1931 წელს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მაშინდელმა ლიდერმა ლავრენტი ბერიამ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა გასარკვევად საგანგებო კომისია ჩამოაყალიბა. კომისიაში შედიოდნენ იმჟამინდელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კონსტანტინე (კოტე) გორდეზიანი, ერასტი (ერიკ) ბედია და სხვ.

შემდგომ დასახელებული პირები 1937 წელს შავი ტერორის მსხვერპლი გახდნენ.

რა მოხდა?

რატომ გაახსენდა ბერიას ასე უცბათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორია იმ ხანაში, როცა საბჭოთა ქვეყანა, და კერძოდ საქართველო სულ სხვა მასშტაბის პოლიტიკურ მოვლენებზე იყვნენ ორიენტირებული? გავიხსენოთ, რომ ჩვენშიც ამ ხანებში ფართო იდეოლოგიური კამპანია წარმოებდა ე. წ. ძველი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეების აღმოსაფხვრელად, რისთვისაც კონდრატევ-ჩრინასთან ბრძოლის დევიზით არსებითად მუსრს ავლებდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. სასტიკად სდევნიდნენ, მაგალითად, დიდ ქართველ ისტორიკოსსა და თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილს. ის კი არა, 1936 წელსაც კი, ი. ჯავახიშვილის მთავარ იდეურ ნაკლად. ერთ-ერთი იმ დროის დისკუსიის სტენოგრამის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას მიიჩნევდნენ, რომ ივ. ჯავახიშვილი, თურმე, იყო წარმომადგენელი იმ იდეური სამყაროსი, რომელსაც ჩვენში რევოლუციამდე განეკუთვნებოდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები...

ნათელი ფაქტია იმის საილუსტრაციოდ, რომ არათუ 1931 წელს, 1936 წელსაც კი ჩვენში ოფიციალურად ილია ჭავჭავაძის მიმართ ჯერ ისევ ნეგატიური სტერეოტიპი იყო გაბატონებული, რასაც ქართველი მარქსისტების პირველი თაობა, კერძოდ, ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები ამ დროსაც დაჟინებით ნერგავდნენ ჩვენი ხალხის შეგნებაში...

მაშ, ვიმეორებთ, რისთვისღა სჭირდებოდათ ბოლშევიკებს ილიას მკვლელობის გარემოებებისაკენ შემობრუნება? მათთვის ხომ უკვე ისედაც გარკვეული იყო ეს საკითხი? მით უმეტეს, რომ საქმე ეხებოდა პიროვნებას, რომლის რეაქციულობასა და ანტიხალხურობაზე თითქმის აღარავინ დავობდა. ვინ გაბედავდა ასეთ რამეს?

ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, იმ ფაქტების გათვალისწინებით შეიძლება, რაც ჩვენი თაობისათვის სულ ახლახან ხდებაა ცნობილი და რაც, ცხადია, 1931 წ. ფართო ქართული საზოგადოებრიობისათვის შეუძლებელია ცნობილი ყოფილიყო.

საქმე ეხება იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღებას, რამაც, სხვათა შორის; ილიას მკვლელობის ისტორიის საკითხშიც გამოიჟონა.

1931 წ. ქართველმა პოლიტემიგრანტმა, სოციალ-დემოკრატმა იოსებ ირემაშვილმა, სტალინის სიყრმის მეგობარმა და ძველმა რევოლუციონერმა, რომელიც 1905 წლამდე მასთან ერთად იყო, შემდეგში

კი სტალინს დასცილდა და მისი მოწინააღმდეგეც გახდა, მიუნხენში ვა-
მოაქვეყნა გახმაურებული წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგე-
დია“ (მიუნხენი, 1931). ამ წიგნში სტალინის მოღვაწეობის სხვა საკი-
თხებთან ერთად, ი. ირემაშვილი შეეხო ბოლშევიკების ბელადის ტერო-
რისტულ საქმიანობასაც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და
მიუთითა, რომ სწორედ სტალინი იყო ის პიროვნება, ვისი ინიციატივი-
თაც იქნა მოკლული 1907 წელს საქართველოს ეროვნული პოეტი ილია
ჭავჭავაძე.

ი. ირემაშვილის ამ ცნობის სანდოობის და მასთან ჩვენი დამოკი-
დებულების საკითხს შემდეგ საგანგებოდ შევეხებით. აქ კი მხოლოდ
იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებულ ცნობას შეუძლებელია ბოლშევი-
კური პროპაგანდისტული მანქანის შეშფოთება არ გამოეწვია. უბრალო
საქმე როდი იყო, სტალინს, რომელსაც მისი პოლიტიკური ოპონენტები
ლენინის სიცოცხლეშივე ბრალს სდებდნენ პირველი რევოლუციის დროს
ტეროორისტებთან კავშირსა და მათ მფარველობაში, ახლა კიდევ უფრო
უმკვეთრებდნენ ამ ბრალდებას იმათაც, რომ იგი ილიას მკვლელობაშიც
გაჰყავდათ.

ცხადია ამ ვერსიას უარყოფა ესაჭიროებოდა.

იგი მიუღებელი იყო საერთოდ 30-იანი წწ. იდეოლოგიური სტე-
რეოტიპისათვის, რომელიც თანდათანობით ისე გაფორმდა, რომ სტალინი,
თითქოს, არა მარტო მსოფლიოს მშრომელების მამა და მასწავლებელი
იყო, არამედ საქართველოს ეროვნული განვითარების იმ გზითაც მოსია-
რულე, ილია ჭავჭავაძის მიერ რომ იყო დასახული. პროპაგანდა ყოველ-
ნაირად ცდილობდა ერთიან ნაკადად წარმოედგინა ორი გზა — ლენინუ-
რი და ჭავჭავაძისეული, რომელთა ორგანულ სინთეზსაც თითქოს წარმო-
ადგენდა სტალინური გზა. ამიტომაც ასე პოპულარული იყო ვერსია, რომ
სტალინი ყმაწვილობაში „ევერიაში“ მივიდა და ლექსები გადასცა ილი-
ას გამოსაქვეყნებლად, ამის შემდეგ იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი
პატარა და ისტორიული ქარიშხლებით დაგლეჯილი საბშობლო ევერია,
ეს ტურფა მხარე, მართლა აყვავებულიყო. ზემოხსენებულ პროპაგანდის-
ტულ მანქანას არ მოსდიოდა თავში ასეთი კითხვები: 1921 წელი? 1924
წელი? 1937 წელი? და კიდევ სხვა წლები?

მაგრამ არსებობს ანდაზა: „გამარჯვებულებს არ ასამართლებე-
ნო“...

კომისია მუშაობას შეუდგა.

მაგრამ საქმეს მარტო კომისიის დასკვნა როდი ეყოფოდა.

საჭირო იყო საბოლოოდ დამკვიდრებულიყო საზოგადოებაში აზრი,

იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლა მეფის საზიზღარმა ოხრანკამ. დიახ, ოხრანკამ და არა პარტიამ!

საჭირო იყო აგრეთვე დიდი, ხნაურიანი პროპაგანდისტული შოუს მოწყობაც, რასაც შესანიშნავად მოერგო ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის ცოცხლად დაიარებოდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელიც — გიორგი ბერბიჭაშვილი. რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ეს პიროვნებაც ოხრანკის აგენტად უნდა გაეფორმებინათ და სასამართლო პროცესითაც დაესაჯათ.

ცხადია, ამასთანავე, რადიკალურად უნდა შეცვლილიყო ოფიციალური დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი, რომელიც ფილიპე მახარაძეს სექტანტური აზროვნების დონეზე იყო შეფასებული. ამ უმსგავსოების „გამოსწორების" მიზნით იწყებენ ილიას მოღვაწეობის პროგრესული შინაარსის აღიარებას, რომელსაც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარულ პიროვნებად სახავენ...

მაგრამ ჩვენში ხომ ყველაფერი კამპანიურობის იერით კეთდება. ამიტომაც საჭირო იყო ილიასთვის იუბილის გადახდა, რაც დიდი მასშტაბით ჩატარდა 1937 წელს. ობიექტურები უნდა ვიყოთ და აქვე ვთქვათ, რომ მიუხედავად გარკვეული იდეოლოგიური სტერეოტიპებისა, ილია ჭავჭავაძის ამ იუბილემ დიდი როლი შეასრულა ისტორიული ჭეშმარიტებისაკენ შემობრუნების საქმეში. ილია მშობელ ხალხს მთელი სიდიადით დაუბრუნდა. რა ვუყოთ, რომ მაშინდელი კრიტერიუმი და შემფასებლური პოზიცია დღევანდელობისაგან ძალიან განსხვავდებოდა. მთავარი აქ ის იყო, რომ ბოლო მოეღოს ილიას სახელის გარშემო ფ. მახარაძისთანა „ხენეშა მარქსისტების" „ვალპურგის ღამეს" და ილია ქართველი ხალხის რჩეულ შვილთა ისტორიული გალერეის მოწინავეთა რიგებში იქნა აღდგენილი.

ზემოთ ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ იმ იდეოლოგიური ფაქტორების შესახებ, რამაც ბოლშევიკური პროპაგანდის დაინტერესება ილიასადმი ეგზომ გაზარდა, მაგრამ, როგორც ითქვა, ობიექტურად დიდი საქმეც გაკეთდა იმისთვის, რომ სამართალს პური ეჭამა...

აი, რა ფიქრებს აღძრავს ის ფაქტი, რომ ილიასაკენ მკვეთრი შემობრუნება და მისი მკვლელობით დაინტერესება 1931 წლიდან დაიწყო.

ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილში, ეტყობა, პარტიული, პროპაგანდის არხებით, იმთავითვე გავრცელდა ბოლშევიკური მითი იმის შესახებ, რომ, თურმე ნუ იტყვით, ილიასაკენ შემობრუნება გაპირობებული იყო იმ უკმაყოფილებით, რასაც ჩვენი ქვეყნის მესაჭენი იჩენდნენ ჰებე-

ლსის პროპაგანდის მიმართ. ამ უკანასკნელს, ფოლკლორული ვერსიის თანახმად, თითქოს სტალინის ნეგატიური დახასიათებისას, ხაზი გაუსვამს, რომ ბოლშევიკების ბელადი ველური ტომიდან (ასე იხსენიებდნენ ქართველობას) იყო გამოსული და აი, სტალინმა და მისმა კოლეგებმა, თითქოს ჰებელსის ჭორების გაფანტვის მიზნით, წინ წამოსწიეს ისეთი სახელები, როგორიც იყო რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე... თავისებურად ეს ასეცაა. ქართველი ეთნოსის ისტორიის ობიექტური გაშუქება მართლაც ძლიერი არგუმენტი იყო სტალინელებისათვის, რადგანაც მათ საშუალება ეძლეოდათ ბელადის პიროვნება დაეკავშირებინათ დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქართული ფენომენისთვისაც... მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი, ვინც ილიას თავისებური რესტავრაციისათვის იღვწოდნენ, სრულიად აშკარაა, იმისათვის ზრუნავდნენ, რომ ალიბი შეექმნათ იმ პიროვნებისათვის, რომლის მიმართაც უკვე 30-იანი წლების დამდეგს მკვეთრად გაისმა მაბრალობელთა ხმა. კარგად მიხვდნენ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ქართველი ხალხი არავის აპატიებდა იმ ცოდვას, რომელიც 1907 წ. წიწამურთან იქნა ჩადენილი, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ იგი დარწმუნდებოდა მავანისა და მავანის კონკრეტულ დანაშაულში...

ქ. გორდელაძის კომისიამ საკმაოდ იმუშავა: იბარებდნენ, ან ხვდებოდნენ ილიასდროინდელი ამბების მომსწრეებს, ძველ მასალებსაც სწავლობდნენ და ამგვარად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ილია ჭავჭავაძე ოხრანკამ მოკლა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც პარტიის მიერ შექმნილი კომისია განა სხვა დასკვნას გამოიტანდა? ამასთანავე, კომისიას მთელი კონცეფცია ჰქონდა უკვე მზამზარეული — ვ. ცაბაძისა და საერთოდ სოციალ-დემოკრატების ნააზრევის სახით. საჭირო იყო მისი ახალი მოგონებებით შევსება, თავისებური რემონტი, რის შემდეგაც ყველაფერი ნათელი იქნებოდა.

1937 წ. კ. გორდელაძე დიდი ტერორის ორგანიზატორებმა დააპატიმრეს და მალე მოსპეს კიდევაც. იგივე ბედი გაიზიარა ერიკ ბედიამ...

წითელი ოპრიჩნიკები გადაჭარბებით ასრულებდნენ ტერორის გეგმას.

თავის ერთ-ერთ წერილში, პატიმრობაში მყოფი კ. გორდელაძე საგანგებოდ მიმართავდა პატრონებს, რომ, მართალია, იგი დაპატიმრებულია, მაგრამ იმედია, ამით არაფერი დაუშავდებოდა მის მიერ მომზადებულ ნაშრომს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

კ. გორდელაძის ნარკვევის ტექსტი ჩვენამდე შემორჩენილია. კონცეფციურად ის არსებითად იმეორებს სოციალ-დემოკრატების ე. წ. ოხ-

რანკულ სქემას, რომლის მიხედვითაც ილია მოკლა ოხრანკამ დ. ჯაშის შეშვეობით.

აი, როგორ აღწერს ვ. გურგენიძე კ. გორდელაძის ნარკვევის შინაარსობრივ კონცეფციურ ქარგას.

„ცენტრალური არქივის ერთ-ერთ საარქივო ფონდში დაცულია ხელნაწერი ცეკას მდივნის კოტე გორდელაძის 1936 წლის „ნარკვევი" ილიას მკვლელობის შესახებ. (კ. გორდელაძე ცნობილი პარტიული მუშაკი იყო ფ. მახარაძის დროს, — ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ საკითხებს). ავტორს მიზნად დაუსახავს დაამტკიცოს, რომ ილია მოკლეს არა „რევოლუციური ინტერესებისათვის", როგორც სოციალ-დემოკრატები ამტკიცებენ, არამედ გლეხებთან გამწვავებული ურთიერთობისათვის „მეფის აგენტების მხრიდან", ეს პოზიცია გასაგებიცაა. იგი ხომ ვერ დაუპირისპირდებოდა ფ. მახარაძის კონფეფციას?

მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში (ლსცსა, ფონდი № 715, ანაწ. 1, საქ. 17), მაინც კარგად ჩანს ისტორიული ჭეშმარიტება. კ. გორდელაძის აზრით, „ყოვლად უსაფუძვლო და უმსგავსი ბრალდებაა, თითქოს ილია სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს". ვ. გურგენიძე კომენტარს უკეთებს ამ ადგილს და დასძენს: „აქ საკითხის ასე დაყენება საფუძველშივე ცდაარია, რადგანაც ფ. მახარაძე სხვაა და სოციალ-დემოკრატები სხვა. ასეთი დამოკიდებულება აწყობს კიდევაც ზოგიერთ „მკვლევარს", რადგან სოციალ-დემოკრატებს გადააბრალო ილიას მკვლელობა, ნიშნავს მათი ლოგიკით, ვეღარაფერი თქვა ფ. მახარაძეზეც.

კ. გორდელაძის ნარკვევი მთლიანად იმის დამტკიცებას ეძღვნება, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილი იყო მეფის თვითმპრობელობის მიერ. ავტორი საგანგებოდ ჩერდება დ. ჯაშზე, რომელსაც იგი უწოდებს ფორმალურად სოციალ-დამოკრატს, ხოლო ფაქტიურად ჯაშაკუნს.

კ. გორდელაძის ნარკვევის მომზადება არსებითად წარმოადგენს ოხრანკის ვერსიის კანონიზაციის ახალ ცდას. მართალია, ავტორის რეპრესირების გამო მისი ნაშრომი აღარ გამოქვეყნებულა, მაგრამ მისი მასალებით და დასკვნებით, აშკარად ისარგებლეს მალე ოხრანკისტებმა.

კ. გორდელაძის ნარკვევის მომზადებისთანავე ბოლშევიკური კონტრპროპაგანდისტული მუშაობისათვის პირობები მომზადებული იყო. ამიტომაცაა, რომ უკვე ამ ხანებში ჩვენში სისტემატურად იწყება მასა-

ლებისა თუ მოსაზრებების გამოქვეყნება იმ აზრის ფართოდ გასავრცე-- ლებლად, რომ ილია ჭავჭავაძე ოხრანკის მიერ იქნა მოკლული.

საქმე გვაქვს აშკარა იდეოლოგიურ კამპანიასთან, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ეს მასალები ქვეყნდებოდა დროის გარკვეულად შემოსაზღვრულ მონაკვეთში, როცა დაიწყო ილიასაკენ შემობრუნება...

ამ დროიდან ინერგება სტერეოტიპიც, რომლის თანახმადაც, ილია ჭავჭავაძეს ახასიათებენ როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს. და ა. შ. დაუკვირდით! ხაზს უსვამენ, XIX საუკუნის მეორე ნახევრისაო. აქ აშკარად გამოხატულია ის აზრი, რომ ილიას მოღვაწეობა XX ს. დასდეგს აღარავითარ საყურადღებო მოვლენას აღარ წარმოადგენს. ეს დრო ახალი თაობის, მარქსისტების აქტიურობის ხანაა და თუ რამე საქებარია, ამ დროისათვის ეს მხოლოდ მათი ნახელავია...

ამჟამად მხოლოდ ჩვენმა თაობამ შეძლო ამ მოძველებული სტერეოტიპისაგან განთავისუფლება, როცა პირველი რევოლუციის ხანაშიც კარგად დაინახა როლი და მნიშვნელობა, რომელსაც დემოკრატიული ძალები ასრულებდნენ საერთო პროგრესისათვის ბრძოლაში. ილია აკი ამ დემოკრატიის ყველაზე აღიარებული და ავტორიტეტული ლიდერი იყო...

ის, თუ როგორი კამპანიური ხასიათი მიეცა ოხრანკის ვერსიის გავრცელება-დამკვიდრებას, კარგად ჩანს იმჟამინდელი მასალებით...

1936 წ. „ლიტერატურულ საქართველოში" (18 აგვისტო) ქვეყნდება მ. ჯავახიშვილის სტატია — „წიწამურა". იმის საჩვენებლად, თუ რა მიზანი აქვს ამ პუბლიკაციას, საკმარისია მოვიტანოთ ის ადგილები, საიდანაც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი ილიას მკვლელობაში ბრალს აშკარად ოხრანკასა და დ. ჯაშს სდებს.

ეხება რა დ. ჯაშის პიროვნებას, მ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ „ჯაში მალე დააპატიმრეს და მალევე გამოუშვეს. ამან საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ საქმე ამით გათავდა. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საზოგადოებამ უდიდესი აღშფოთება და მგრძნობიარობა გამოიჩინა. მაგრამ მას სათანადო აქტიური შეუპოვრობა, მუდმივობა და დაჟინება არ აღმოაჩნდა, თორემ ეს საიდუმლოება, რომელიც 30 წელიწადს აწვალებს ყველა შეგნებულ მოქალაქეს, მაშინვე იქნებოდა გახსნილი"...

„ილიას მოკვლის გამოსაკვლევად — ივონებს მ. ჯავახიშვილი — კომისია დაარსდა. კომისიის ხელმძღვანელი, ესტატე ავალიშვილი, მეტად პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ამავე დროს, გულჩვილი და ლმობიერი. ერთხელ კომისიის სხდომას მე და ვაჟა-ფშაველა დავესწარით. მე

წინადადება შევიტანე: ჯაში მოიტაცეთ, სადმე ჯურღმულში ჩააგდეთ და მტკიცე პირობა მიეცით, რომ სიმართლის თქმა მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, ხოლო კერპობა სიცოცხლეს გამოასალმებს. ვაჟამ ცხარედ დამიჭირა მხარი, ავალიშვილმა კი ეს ხერხი იუკადრისა და მთავარ კომიტეტის ხელმძღვანელებს დაეკითხა. მე წინათვე ვიცოდი, რომ ამ ზომას არც ისინი იკადრებდნენ. მიუხედავად ამისა, გ. ლასხიშვილს და გ. რცხილაძეს მოველაპარაკე და ვცადე დამეჯერებინა, რომ საიდუმლოების გახსნა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ვერ დავითანხმე. მომავალმა მათი იმედი არ გაამართლა. საიდუმლოება თავისთავად არ გახსნა. ჯაშმა იგი სამარეში ჩაიტანა (მ. ჯავახიშვილი „წიწამურა" იხ. კრ. „ილიას სამრეკლო", თბ. 1988, გვ. 145).

საინტერესოა მ. ჯავახიშვილის მეორე ცნობაც, სადაც განსაკუთრებით ნათლად გამოსჭვივის ტენდენცია, ილიას მკვლელობაში ნარტო ჯაში კი არ იქნეს დადანაშაულებული, არამედ ორგანიზაციაც. აი, რას იგონებს საამისოდ მ. ჯავახიშვილი: „...მალე ერთი უცნაური ხმა გავარდა: ჟანდარმერიამ პეტერბურგს ილიას მოკვლის ამბავი რამდენიმე საათით ადრე შეატყობინაო. ფედერალისტების პარტიის მიერ ილიას მოკვლის გამოსარკვევად გამოყოფილმა კომისიამ ეს ამბავიც კი ვერ შეამოწმა". („ილიას სამრეკლო", გვ. 145-146).

მ. ჯავახიშვილის მონათხრობი, ერთი შეხედვით, როგორც იტყვიან, პირდაპირ შემაძრწუნებელია, თუ. რა თქმა უნდა, აქ მოთხრობილის სინამდვილე დადასტურდება. გაბოდის, რომ ჟანდარმერიამ წინასწარ იცოდა ილიას მოკვლის დროც კი, ალბათ, იმიტომ, რომ იგი თვითონაც იყო გარეული ამ საქმეში.

* * *

იმთავითვე ილიას მკვლელობის გარემოებათა შესახებ ეჭვებში ყურადღება მიეცა 1907 წ. 23 სექტემბრის ყ. ფიდავას № 2822 საქმის ერთ ადგილს, სადაც ფიქსირებულია ემეცის ჩვენება, რომ ჯაშმა თითქოს თქვა: მადლობა ღმერთს, რომ თავადის მეუღლეც მკვდარიაო. იქვეა ინფორმაცია, რომ ტრაგედიის დღეს, როდესაც დ. ჯაში საგურამოსაკენ მიმავალ ილიას უნდა გზაზე შეხვედროდა, იგი საერთოდ არ ჩქარობდა და წამოსვლის წინ მაღალ ხეზეც ასულა.

ამ ფაქტსაც იმთავითვე დ. ჯაშის მიმართ დამატებითი ეჭვის ფუნქცია დაეკისრა, რომელიც ჯერ კიდევ, მაგალითად, პ. გელეიშვილის მიერ ასეთნაირად იქნა გაფორმებული: „ილია ჭავჭავაძე თბილისიდან საგუ-

რამოში მიდის. მისმა მამულების გამგე ჯაშმა იცის არა თუ დღე მისი მოსვლისა, საათიც კი. ბუნებრივი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჯაში მას გზაზე შეხვდებოდა. ის მართლაც ასეც იქცევა, ის მართლაც მიდის პოეტის შესახვედრად, მაგრამ ის სულაც არ ჩქარობს მის შეხვედრას. პირიქით, შეხვედრის მაგივრად, ჯაში ადის მაღალ ხეზე და იქედან ათვალიერებს წიწამურიდან მომავალ გზას. ის კარგა ხანს არის ამ სადარაჯო პოსტზე. შემდეგ ჩამოდის ძირს და მიიჩქარის იმ ადგილისაკენ, სადაც „წიწამურის ტრაგედია მოხდა". (პ. გელეიშვილი. „ახლო წარსულიდან", 1. „ახალი გზა", 1927. № 17, გვ. 7).

ზემოთ მითითებული ეჭვის გაღრმავების მიზნით გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულში მომუშავე მეფუტკრის — დანიელ მასლოვის „მოგონებებიც". უნდა აღინიშნოს რომ დ. მასლოვის ეს ცნობები 1936 წელს ჩაიწერა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციამ. ჩანს, დ. მასლოვის მოგონებები რუსულ ენაზე იყო ჩაწერილი, რასაც ისიც მოწმობს, რომ გ. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის მასალების საარქივო კომპლექტში დაცულია მოგონებების რუსულად ნაბეჭდი ერთი ეგზემპლარი. თავად მოგონებათა ქართული ვარიანტი კი მოგვიანებით, 1940 წელს, გამოქვეყნდა (იხ. ლიტერატურული მატიანე, წ. 1-2. თბილისი, 1940, გვ. 158-169, მოგონება ჩაიწერა გრიგოლ ჯაფარიძემ).

დ. მასლოვის „მოგონებაში" ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ იქცეოდა ტრაგედიის ჯდეს დიმიტრი ჯაში.

დ. მასლოვი ჰყვება:

„იმ დღეს, დილით 10 საათზე, მე გამოვედი ბაღიდან და ვხედავ, ჯაში ასულა კაკლის ხეზე და გრძელი ჯოხით კაკალს ბერტყავს. მე შევახსენე, რომ უკვე ათი საათია და დრო არის ილიას შესახვედრად წასვიდე-მეთქი. მან მიპასუხა, წავალო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხიდან მაინც არ ჩამოდიოდა.. 10 წუთის შემდეგ კიდევ შევახსენე: „დიმიტრი სოფრომის ძევ, — ვეუბნები მე — თქვენ უნდა იყვეთ წიწამურში 11 საათზე, იცოდეთ, არ დაიგვიანოთ".

— ჰო, კი, მე განკარგულება კიდეც გავეცი და ცხენს ჰკაზმავენ" — მიპასუხა.

მესამედაც მომიხდა შეხსენება — და მაშინ დავეჭვდი. როგორც იქნა, ის ჩამოვიდა კაკლის ხიდან, შეჯდა ცხენზე და წავიდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ოცი წუთით რომ მიესწრო, არაფერი მოხდებოდა, რადგანაც ჯაში „სტრაჟნიკებთან" იქნებოდა და

მკვლელები დაცემას ვერ გაბედავდნენ. ჯაშმა უკან მოაჭენა ცხენი, იგი ფერმკრთალი და დაბნეული იყო.

დ. მასლოვი სხვა საკითხებსაც ეხება და ბოლოს დასძენს:

„ილიას მკვლელობაში ჩვენ მაშინვე ჯაშზე ავიღეთ ეჭვი.

არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ილიას: „მომეხმარეთ, რომ როგორ-ნე მოვიშორო ჯაში, ის აგიტაციას ეწევა ჩემს წინააღმდეგ. უთხარით, რომ მე მას უკეთეს ადგილს მივცემ, ოღონდ გამეცალოს, ყოვლად უვარგისი მეურნეა“.

მე მაშინ ვიფიქრე, რომ ჯაში წმინდა კაცი არ არის, რომ იგი ცუდი მიზნით არის ილიასთან მოგზავნილი.

ამ შემთხვევის შემდეგ, ჯაში დააპატიმრეს, ერთი-ორი წელიწადი იჯდა, შემდეგ გაათავისუფლეს და ამბობდნენ, რომ კარგ ადგილს სთავა-ზობდნენო.

როგორღაც მე ერთხელ მომიხდა მასთან შეხვედრა ტფილისში, ვორონცოვის ხიდთან, ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ და მალე დავშორდით ერთმანეთს.“

დ. მასლოვის ეს მოგონება იმ სიტუაციაში, როდესაც მასობრივი ინფორმაციის არხებით ილიას მკვლელად ერთხმად ასახელებდნენ დ. ჯაშს, ახალი სამხილის სახით შემოვიდა ილიოლოგიაში. დ. მასლოვის მონაყოლს კვლავ ისე განმარტავდნენ, რომ კაკლის ხეზე ასული დ. ჯაში თვალს ადევნებდა გზას, რათა დაენახა, თუ რა მოხდებოდა წიწამურის გადასახვევთან, როცა ილიას ეტლი ჩასაფრებულ მკვლელების საფარ-თან მოვიდოდა. სხვათა აზრით, დ. ჯაში კაკლის ხეზე იმიტომაც ავიდა, რომ იქიდან, დაინახავდა თუ არა ილიას ეტლის სილუეტს, მკვლელე-ბისათვის ენიშნებია ეს და დახმარებოდა მათ. აი, რას წერს ამის თაობა-ზე თავის „წიწამურაში“ მ. ჯავახიშვილი: „გლეხებისგანაც ისეთივე შეთანხმებულება დამრჩა, რაც ილიას მოსამსახურეებისგან: ჯაშმა ყველა-ფერი უნდა იცოდესო. ამ საერთო ეჭვს ერთი რამეც დაემატა: ილიას მოს-ვლის მოლოდინში ჯაში თურმე მეტად მოუსვენრად იყო და კაკლის ხეზედაც კი ასულიყო და ქვევით გაშლილ გზას იქიდან ათვალიერებდა. ილიას და მის მეუღლეს თურმე ჯაში საშინლად ეზიზღებოდათ. ილია მის დათხოვნას აპირებდა, მაგრამ ჯაშმა დაასწრო და ილია დაითხოვა საქაროდან“ („ილიას სამრეკლო“, გვ. 144).

ილიას მკვლელობის ისტორიასთან დაკავშირებული ეს დეტალი ამგვარი გააზრებით მოხვდა მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრობაში და სხვ.

* * *

1937 წ. გამოქვეყნდა ალ. სიგუას ნარკვევი „დიმიტრი ჯაში და ოხრანკა“, (გაზეთი „მუშა“, 14. IX. 37). ავტორი იმჟამად მიღებულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, რომ ილია ჭავჭავაძე „ოხრანკამ“ მოკლა დ. ჯაშის აქტიური თანამშრომლობით, ამ შეხედულებების დამატებით საილუსტრაციოდ მკითხველებს აცნობს დ. ჯაშის თანამედროვეების (ფ. გოგიჩაიშვილის, ლ. ხელაძისა და ა. ვადაჭკორიას) მოგონებებს, რომელთა საფუძველზეც არკვევს, თუ როგორი უარყოფითი პიროვნება, ყოვლად გაქნილი და ბნელი კაცი იყო, თურმე, დ. ჯაში. რაც, აპრიორი, იმასაც ნიშნავს, რომ სწორედ ოხრანკამ მოაკვლევინა დ. ჯაში, რადგანაც ზემოხსენებული მასალებით დ. ჯაში, თითქოს, ნამდვილად „ოხრანკის“ აგენტია.

* * *

ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნარკვევში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ (ჟურნ. „მნათობი“, 1989, № 6, 152), ა. სიგუა წერს, რომ მას თავდაპირველად მოუმზადებია ნაშრომი, სადაც იგი დ. ჯაშს „ოხრანკის“ აგენტად თვლიდა, მაგრამ თურმე. „ოხრანკას“ ილიას მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონია. შემდეგ. ა. სიგუას აღნიშნვნით, მისი ნარკვევი მოხვედრილა ფილიპე მახარაძის ხელში და სტატიაც უკვე ავტორის დაუკითხავად იმ სახით გამოქვეყნებულა, როგორადაც იგი მკითველებმა მიიღეს.

ჩვენ ამ საკითხს შემდეგ საგანგებოდ დავუბრუნდებით. ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, როგორც არ უნდა იყოს; ერთი რამ უეჭველია: ა. სიგუას ამ ნარკვევმაც სხვებთან ერთად „იმუშავა“ იმ ვერსიის გავრცელებაზე, რომ ილიას მკვლელობა „ოხრანკის“ მოწყობილი იყო აგენტ დ. ჯაშის მეშვეობით. სწორედ ამ კონტექსტში იქნა დამოწმებული და ვრცლადაც თითქმის მთლიანადაც შეტანილი, ა. სიგუას მასალები, პ. გუგუშვილის ნარკვევში. (იხ. პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938. გვ. 27-30).

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით გავაანალიზებთ ამ მასალებს და კრიტიკულად გავარჩევთ მათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიასთან დაკავშირებით.

„ოხრანკის“ ვერსიის დანერგვის საეტაპო მოვლენა მაინც პ. გუგუშვილის ნარკვევი და პუბლიკაცია იყო, რომლებითაც საზოგადოებას

დოკუმენტური ჭეშმარიტების იერით მიაწოდეს ილიას მკვლელობის ისტორიია (პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, 10. IX. მისივე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბ. 1938).

პ. გუგუშვილის ამ ნაშრომებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითად პ. გუგუშვილს არავითარი ორიგინალური ძიება არ ჩაუტარებია მის მიერ გამოყენებული მასალებით. მაგალითად, მასალებში კარგად ჩანს ილიას ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელი, გიორგი ბერბიჭაშვილი, რომელიც 1907-1908 წლებში ძიებას საიმედოდ დაემალა. უეჭველად ეს გარემოება იყო იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ მაშინ ძიება არსებითად ჩიხში მოექცა და ვერ გასცა პასუხი კითხვას, თუ ვისი სანქციით უნდა ემოქმედათ მკვლელებს. ეს კარგად იცოდა, ცხადია, გ. ბერბიჭაშვილმა.

მაგრამ, ეს იყო მაშინ, როცა ძიებას ჯერ ხელთ არ ჰყავდა გ. ბერბიჭაშვილი.

პ. გუგუშვილის კვლევის პერიოდში კი გ. ბერბიჭაშვილი საქართველოში, თბილისში იმყოფებოდა და მისი პიროვნების შესახებ მაშინ ბევრმაც იცოდა. მიუხედავათ ამისა, თავის ნარკვევებში პ. გუგუშვილი არც კი დაინტერესებულა ამ პიროვნებით, რომელსაც ყველაზე უკეთ უნდა ხსომებოდა, თუ ვისი დავალებით და სანქციით მიიღო ილიას მკვლელობაში მონაწილეობა.

შემდეგში ჭეშმარიტების დადგენის მოსურნენი არც გ. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის მომწყობნი აღმოჩნდნენ, რაზეც ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი. ეს კარგად ჩანს, კერძოდ ძიებისა და სასამართლოს პოზიციით, მიეჩქმალათ ის ფაქტიც, რომ გ. ბერბიჭაშვილთან ერთად მკვლელობაში მონაწილეობდა „ვიღაცა იმერელი".

სამაგიეროდ პ. გუგუშვილმა „მასალების პუბლიკაციითაც" დაარწმუნა საზოგადოება, რომ ილიას მკვლელობა „ოხრანკამ" და დ. ჯაშმა მოაწყვეს.

ამიერიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიული სქემაც უყოყმანოდ გაიმეორებს ამ ვერსიას.

და ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სქემას იცავენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. ჩვენს წერილში — „ოთხმოცწლიანი დავის სათავეებთან" („სახალხო განათლება", 22. II. 89). უკვე მოვიტანეთ, მაგალითად, ვრცელი ამონაწერები გიორგი წერეთლის სტატიიდან „ვინ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე", („გუშაგი", პარიზი, 1987. № 14), სადაც ავტორი ნათლად აჩენს ამგვარ

პოზიციას. ცხადია, ამ შემთხვევაში მკითხველებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ „ოხრანკის“ ვერსია ქართველი სოციალ-დემოკრატების წრეშია შექმნილი იმთავითვე და მას ისინი, ცხადია, ახლაც ერთგულად იცავენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პატივცემული გიორგი წერეთელიც, ზემოხსენებული ავტორი, სოციალ-დემოკრატია და მისი ნაშრომის გულდასმით შესწავლიდან ჩანს, რომ გული სტკივა, რომ ვინც ილიას მკვლელობაში ოხრანკის ნაცვლად სოციალ-დემოკრატებს სდებს ბრალს, ამით, სხვას თავი დავანებოთ, ჩირქს ცხებს სახელს ნოე ჟორდანიასი, რომელსაც თავის დროს ხვდა პატივი, გამხდარიყო დომოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

მე აქ ახლა წერტილს დავსვამ და მხოლოდ იმ ფრაზას გავიხსენებ, ეეცხლშემოგზნებულმა და უკვე სულშეხუთულმა დიდმა იან ჰუსმა რომ წამოიძახა: „ოი, წმინდა გულუბრყვილობავ!“

„ოხრანკის“ ვერსიის კრიტიკული გარჩევა

გადავიდეთ ახლა „ოხრანკის“ ვერსიის დეტალების გარჩევაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვერსიის სანდოობის გარკვევა.

დავიწყოთ მ. ჯავახიშვილის მიერ მოთხრობილი და საზოგადოებაში ახლაც საკმაოდ გავრცელებული ფაქტის განხილვით, თითქოს მეფის ადმინისტრაციამ ილიას მკვლელობაზე პეტერბურგს ჯერ კიდევ მაშინ გაუგზავნა შეტყობინება, როცა ილია ჯერ ცოცხალი იყო. მ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ სოციალ-ფედერალისტების კომისიამ ამ ფაქტის შემოწმებაც კი ვერ მოახერხაო...

ამასთან დაკავშირებით მკითხველებს შევახსენებთ: ოხრანკისტების მთავარი დებულება, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო დიმიტრი ჯაშმა, ძიების მასალებით არ დამტკიცებულა და, მაშასადამე, ვერსიის დეტალებს მხოლოდ დამატებითი აზრობრივი დატვირთვა გააჩნიათ. მაგრამ რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს დამატებით არგუმენტაციას მაშინ, როდესაც ძირითადი არგუმენტი დამარწმუნებელი არ ჩანს და გჭვის ფარგლებს არაა გაცილებული?

ამ ინფორმაციაში, მ. ჯავახიშვილის სახელით რომაა გამოქვეყნებული, საკმაოდ ჭარბად იგრძნობა 30-იანი წლების პოლიტიკური სულისკვეთება. მართლაც, აქ აქცენტი გაკეთებულია სოციალ-ფედერალისტების კომისიის წევრების და, ცხადია, თვითონ კომისიის გამომყოფთა

სრულ უუნარობაზე არათუ მკვლელობის გარემოებათა დადგენაში, არამედ ცალკეული ფაქტების შეკრებაშიც კი, თუმცა მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია რიგითი შინაარსის ცნობას კი არ გულისხმობს, არამედ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც მისი აზრით, შეიძლებოდა ილიას მკვლელობის საიდუმლოების გახსნაში გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონოდა. მ. ჯავახიშვილის ეს მოთხრობა, თუ ის მავანთა და მავანთა მიერ არაა რედაქტირებული, რასაც ჩვენს ქვეყანაში, ჩვეულებრივ, ავტორთა აზრის საპირისპიროდაც კი აკეთებდნენ ხოლმე, აშკარად ბოლშევიკური პროპაგანდის სტერეოტიპითაა გამართული. აქ გამოსჭვივის მძაფრი სიძულვილი სოციალისტ-ფედერალისტებისადმი, რასაც საბჭოთა იდეოლოგია მეთოდურად ნერგავდა. სათავე ამისა 900-იანი წლების დამდეგიდანვეა შესამჩნევი. აღნიშნული სტერეოტიპით, სოციალისტ-ფედერალისტები მშრომელი ხალხის მტრები იყვნენ, თუმცა მეგობრებად მოჰქონდათ თავი. მ. ჯავახიშვილიც ამავე აზრს ავითარებს: სოციალისტ-ფედერალისტების კომისიამ ისეთი ფაქტის მიმართაც კი გამოიჩინა უყურადღებობა, რომელთაც შეიძლებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდათ ილიას მკვლელობის გარემოებათა დასადგენად. ჰო და, ეს სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ, თავის დროზე ასეთი ხმაური რომ ატეხეს ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ — თქვენ მოკალით ილიაო. აბა, რა ფასი შეიძლებოდა ჰქონოდა ამგვარი ხალხის ნათქვამს —აი, რა აზრს ნერგავს მ. ჯავახიშვილის მოგონების პასაჟი.

ამასთანავე, „მ. ჯავახიშვილის მონათხრობი“ მკითხველს უქმნის და განუმტკიცებს რწმენას, თუ რა ვერაგულად იქცეოდა ოხრანკა, რომელმაც იმდენად კარგად იცოდა მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ, რომ წინდაწინვე დეპეშაც აფრინა ამ ამბის საუწყებლად პეტერბურგში. ცხადია, მ. ჯავახიშვილის მონათხრობში იგულისხმება ის დეპეშა, რომლითაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, აცნობა პეტერბურგს, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლულია საგურამოელი გლეხების მიერ, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილის ცნობა სინამდვილეს სრულიადაც არ ასახავს. სწორი არაა ის ხმა, რომელიც მ. ჯავახიშვილსა და მის სხვა თანამედროვეებს გაუგიათ პეტერბურგში გაგზავნილი დეპეშების შესახებ.

მართლაც, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ოფიციალური შეტყობინება, როგორც ამაზე შემორჩენილი დოკუმენტაცია მეტყველებს, გაიგზავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ პეტერბურგიდან მოვიდა ლიშჩინსკის.

თხოვნა — შეეტყობინებინათ, თუ რა შეემთხვა სახელმწიფო საბჭოს წევრს თავად ილია ჭავჭავაძეს. ლიშჩინსკის დეპეშას გამოგზავნის ზუსტი თარიღები უზის. იგი გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1907 წლის 1 სექტემბერს, დღის 1 საათზე. ცხადია, დეპეშა თბილისში ადრესატებს ამის შემდეგ მიუვიდათ და კიდევ უფრო მოგვიანებით იქნებოდა გაგზავნილი საპასუხო ტექსტი-განმარტებაც.

ლიშჩინსკის დეპეშა, მაშასადამე, გამოგზავნილია ილიას მოკვლის მესამე დღეს.

თვალი გავადევნოთ...

30 აგვისტო, დღის 12 საათი, მკვლელობა...

31 აგვისტო, მკვლელობის მეორე დღე.

1 სექტემბერი, მკვლელობის მესამე დღე.

სულ, მაშასადამე, ილიას მოკვლის მომენტიდან, ლიშჩინსკის დეპეშის გამოგზავნამდე გასულია დაახლოებით 47-48 საათი, ე. ი. ზუსტად ორი დღე-ღამე. ეს დრო კი ტელეგრაფის ხანაში სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ პეტერბურგში მკვლელობის ამბავი შეეტყოთ და მერე შეკითხვაც გამოეგზავნათ იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მოხდა დანაშაული. სხვათა შორის, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ამ საკმარისი დროის გასვლის პერიოდში დაიბეჭდა ინფორმაციები ილიას მკვლელობის თაობაზე იმჟამინდელ არა მარტო თბილისურ, არამედ რუსეთის ცენტრალურ პრესაშიც.

ასეთია რეალური ვითარება.

სხვა ოფიციალური შეტყობინება, გარდა იმისა, ჩვენ რომ მივუთითეთ, არ არსებობს. ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობის ამსახავ ფონდში დაცულია ამ საბჭოს წევრის — თავად ილია ჭავჭავაძის პირადი საქმე, რომელიც, საარქივო ჩანაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაერთი ქართველი მეცნიერის მიერაა თავის დროზე გადათვალიერებული. ამ პირად საქმეში თავმოყრილია ყველა დეპეშა, რომელიც პეტერბურგს ჩასულა ილია ჭავჭავაძის სიკვდილთან დაკავშირებით. დეპეშები მიუვიდათ, მაგალითად, ნიკოლოზ II-ს, პრემიერ მინისტრს გრაფ პეტრე სტოლიპინს და ა. შ. სხვა შეტყობინება, იმის მსგავსი, მ. ჯავახიშვილის მოგონებაში ან მის წყაროში რომ იგულისხმება, პეტერბურგში რომ ჩასულიყო თბილისიდან, წესის მიხედვით, ისიც ილიას პირად საქმეში უნდა ჩაედოთ და ჩვენთვის ამ გზით ცნობილი უნდა გამხდარიყო. ასეთი დოკუმენტი კი ილიას საქმეში საერთოდ არ ჩანს, რადგანაც იგი არც არსებულა.

ამდენად, მ. ჯავახიშვილის ცნობა, თითქოს აქციაზე პეტერბურგში

მაშინ გაგზავნეს შეტყობინება, როდესაც ილია ჯერ ისევ ცოცხალი იყო, არ დასტურდება. ამდენად, მ. ჯავახიშვილთან მოხსენიებული სამხილი ვერ გამოდგება ილიას მკვლელობაში ოხრანკის დასადანაშაულებლად იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ასეთი სამხილი რეალურად არც არსებობდა...

აქვე, ამასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე დგება ერთი საკითხი, რომელზე პასუხის გაუცემლადაც ჩვენი მსჯელობა ნაკლული იქნება. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა მისი გათვალისწინება მაინც.

ჩვენ გვაინტერესებს, ყურადღება მივაქციოთ ასეთ გარემოებასაც: როგორ მოხდა, რომ ილია ჭავჭავაძე ოხრანკის მიერ იქნა მოკლული და ახლა იგივე ორგანიზაცია ნიკოლოზ II-სა და სტოლიპინს ატყობინებს, ილია აჯანყებულმა გლეხებმა მოკლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებითო. გამოდის, რომ „ოხრანკას "„ეშინოდა", იმპერატორისა და მისი გარემოცვისათვის სიმართლე ეთქვა, თუ ის იყო აქციის ორგანიზატორი და ახლა სხვებს აბრალებდა. მაგრამ ასეთი დაშვება ულოგიკობაა, ვინაიდან საქმე გვაქვს არა პრესაში გამოსაქვეყნებელ განცხადებასთან, არამედ არსებითად დახურულ ინფორმაციასთან, რომელსაც მეფეს, პრემიერ-მინისტრს და სხვა დიდმოხელეებს უგზავნიან მათი სპეცსამსახურები. ასეთ დროს ისინი ზემდგომ ინსტანციებს, წესისამებრ, იმ ცნობას აძლევენ, რომელიც, მათი აზრით, იმ მომენტში სიმართლეს ასახავდა. განა სამართლიანია ვიფიქროთ, რომ სპეცინფორმაციით მეფის შეცდომაში შეყვანას ცდილობდნენ? რა საჭიროება მოითხოვდა ამას, თუ საქმე ეხებოდა იმპერიის მტერს, როგორც ოხრანკისტები ირწმუნებიან. მე ამ მსჯელობიდან არავითარ გარკვეულ დასკვნას არ ვაკეთებ ზემოაღნიშნული დეტალის ირგვლივ, თუმცა მასზე ფიქრი და პასუხის უკეთ გაცემაც უფრო დამარწმუნებელს გახდიდა ჩვენს ანალიზს.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ იმ ფაქტზეც, რომ ოხრანკის ვერსიის ავტორები ინთავითვე ილიას მკვლელობაში ოხრანკის კვალის ამოსაცნობად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ (და ეს ახლაც ასეა...) იმ ფაქტს, თუ როგორ დევნიდა რუსეთის ჟანდარმერია ილია ჭავჭავაძეს მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მრწამსის გამო და საამისოდ მასზე ფარული მეთვალყურეობაც ჰქონდა დაწესებული. ამ დეტალს ყოველთვის წინ სწევდნენ ოხრანკის მაბრალობელნი, თითქოს იმისათვის, ოხრანკა მკვლელად რომ გამოეყვანათ, საკმარისი იყო იმაზე მითითება, რომ იგი ილიაზე მეთვალყურეობის პოლიტიკას ეწეოდა. ობიექტური მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ამგვარი თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდი, დაუმტკიცებელი ეჭვი და ისტორიული სინამდვილის ახს-

ნაა ზერელე მეთოდით. ჩვენ ასევე კარგად ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძეს მეთვალყურეობდნენ კი არა, მტრობდნენ, კიდევაც სოციალ-დემოკრატები. რა ვუყოთ, ახლა გვაქვს უფლება, მარტო ამ ფაქტით ვამტკიცოთ, რომ სოციალ-დემოკრატები ილიას მკვლელები იყვნენ, თუ რაიმე სხვა, უფრო სარწმუნო და უდავო ჩვენებები არ გვექნება იმის საჩვენებლად, მოკლეს, თუ არა მათ ილია? ისინი, ვინც სოციალ-დემოკრატებს მაბრალობელთაგან იცავენ, ასეთი სიფრთხილის საჭიროებას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ბოლმე, მიუთითებენ: წინააღმდეგობა და აუკარა მტრობაც კი ინას არ ნიშნავს, რომ ილია მაინცდამაინც სოციალ-დემოკრატებს მოეკლათო, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ზუსტად ასეთივე სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმ ცნობებსაც, რომლებიც გვიჩვენებენ ყანდარმერიის დაინტერესებას ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი. გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ როდის მეთვალყურეობდა ჟანდარმერია ილიას და როდის მტრობდნენ და ეხრჩოლნენ ილიას სოციალ-დემოკრატები. ამ ფაქტებს ზუსტი ქრონოლოგიური დათარიღება და შეფასება უნდა, რასაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის ოფიციალური სქემა წლების მანძილზე გაურბის და ფაქტებს მბოლოდ ისე გაუწვდის, როგორც ეს მას აძლევს ხელს. მოვიყვანოთ, მაგალითად, პ. გუგუშვილის ნაშრომის ის ადგილი, სადაც იგი წერს: „ამვავარად მოიშორა ილია ჭავჭავაძე თავიდან „ოხრანკამ", რომელსაც მთელი ათეული წლების განმავლობაში ძილს უფრთხობდა კავკასიის ხალხთა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის აღორძინება, რაშიაც ილია იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო. დაწყებული სტუდენტობის წლებიდან, „ცისკრის" და შემდეგ „საქართველოს მოამბის" პერიოდიდან. ილია ცარიზმს ყოველთვის ჰყავდა ბრძოლელობაში, როგორც მოსახლეობის მასებზე „დიდი გავლენის მქონე" და თავისი თავისუფალი აზროვნებით მეტად საშიში პიროვნება. და ეს უნდობლობა, თვითმპყრობელობისა ილიასადმი დღითი დღე იზრდებოდა. ასე მაგ; ჯერ კიდევ 1894 წ. 1 მაისის თარიღით თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტისადმი (პეტერბურგს) საიდუმლო მოხსენებაში წერდა: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელმძღვანელი ამ მოძრაობისა, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, არის თავ. ილია ჭავჭავაძე. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. ი. გ. ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და განსაკუთრებით თავისუფალ მოაზროვნეთა შორის. დაღის ხმები, რომ დროგამოშვებით, მასთან იმართება საიდუმლო კრებები, სადაც ირჩევა საზოგადოებრივი

და სოციალური ხასიათის სხვადასხვა საკითხები".

„გასაგებია ამის შემდეგ — განაგრძობს პ. გუგუშვილი — რომ 1905-07 წლებში რევოლუციის პერიოდში ილია განსაკუთრებით საშიში შეიქმნებოდა თვითმპყრობელობისათვის. უდიდესი ინტერესის შემცველია ამ პერიოდში ილიას წერილები მის მოურავ მოსე მემარნიშვილთან, საიდანაც სჩანს, ის ჰუმანურობა, როგორითაც ილია ეპყრობოდა გლეხობას". (პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბ. 1936. 254-255).

ასე მსჯელობს პ. გუგუშვილი და ხმას არ იღებს იმაზე, რომ ილია, როგორც მასალები მოწმობენ, საშიში იყო არა მარტო და არა იმდენად თვითმპყრობელობისათვის, რამდენადაც სოციალ-დემოკრატებისთვისაც, რომლებიც თერგდალეულთა ბელადს სწორედ 1905-1907 წლებში, რევოლუციის პერიოდში აყრიდნენ შავ დღეს. როგორ შეიძლება ამის შემდეგ ირწმუნო ობიექტურობა იმ მტკიცებებისა, რომელიც ისტორიულ წყაროებში ხედავს მხოლოდ იმას, რაც ერთი თვალსაზრისისთვისაა ხელსაყრელი, მის საწინააღმდეგო ჩვენებას კი „ვერ ამჩნევს".

„ოხრანკის" ვერსიის კრიტიკული ანალიზისათვის აუცილებელია კონკრეტულად შევეხოთ პ. გუგუშვილის ზემომოხსენებულ არგუმენტებს და საერთოდ, ილიას მიმართ „ოხრანკის" მეთვალყურეობის მიზეზებს, გარემოებებსა და დროს. ამ საკითხზე ჩვენ ახლა გაგვაჩნია ფარნაოზ ლომაშვილის ვრცელი გამოკვლევა და პუბლიკაციაც (ფ. ლომაშვილი, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები. საისტორიო მოამბე. № 47-48. თბ. 1983, გვ. 235-237), სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხი დამაჯერებლადაა გაანალიზებული. და, რაც მთავარია, გამოვლენილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის მანამდე არსებითად უცნობი მასალები, რომლებიც შუქს ჰფენენ ოხრანკის მეთვალყურეობის ისტორიას ილიასადმი.

მოვლენებს გადავყავართ XIX ს. 80-იანი წლების დამდეგისაკენ, როცა რუსეთში უკიდურესად დაიძაბა ბრძოლა ნაროდოვოლელებსა და მეფის ხელისუფლებას შორის, რომელსაც ცერბერივით იცავდა გამოცდილი და ცბიერი ჟანდარმერია — თავისი ერთგული „ოხრანკით"...

როგორც ცხადი ხდება ჟანდარმთა თბილისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის 1905 წლის 28 სექტემბრის მიმართვიდან თბილისის „ოხრანკის" უფროსისადმი, ილია ჭავჭავაძე ფარული მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა 1884 წლის 24 აპრილიდან, № 1898 წლის მითითების თანახმად, 1900 წლის 18 აპრილამდე" („საისტორიო მოამბე", 1947, № 3, გვ. 266, დამოწმებულია ფ. ლომაშვილის მიხედვით დასახ.

ნაშრ. გვ. 238).

საარქივო მასალებით ფ. ლომაშვილი დამაჯერებლად არკვევს, რომ ილია ჭავჭავაძეზე ფარული მეთვალყურეობა დაწესდა სერგეი დეგაევის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით.

ვინ იყო ს. დეგაევი?

სერგეი პეტრეს ძე დეგაევი (1857-1920) ცნობილი ნაროდოვოლეელი რევოლუციონერი იყო. მაგრამ 1882 წ. ჟანდარმერიამ რომ დაატიმრა, სულმოკლეობა გამოიჩინა, პეტერბურგის საიდუმლო პოლიციის ინსპექტორს პ. სუდეიკინს ყველაფერი „დაუყაჭა" და პროვოკატორული დასმენით სისხლის ბოლო წვეთებიდანაც კი დასცალა „ნაროდნაია ვოლია". ამის შესახებ რევოლუციონერებმაც გაიგეს და ს. დეგაევს დაავალეს სუდეიკინის მოკვლა. პროვოკატორმა ტყვიით თავის ქალა ჩაუმსხვრია სუდეიკინს, თვითონ კი, რევოლუციონერთა ბრძანებით, გადასახლება მისჯილმა რუსეთი დატოვა და უცხოეთში წავიდა. 1920 წ. ს. დეგაევი ამერიკაში მოკვდა.

ს. დეგაევი ილია ჭავჭავაძეს პირადად არ იცნობდა, მაგრამ ის თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო სხვა ქართველებთან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მუშაობაში. ს. დეგაევს იცნობდა და მასთან ახლოს იყო ახალგაზრდა რევოლუციონერი ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი, რომელიც რევოლუციური საქმიანობისათვის ჯერ კიდევ 1876 წ. იქნა ჟანდარმერიის მიერ დატიმრებული სამი წლით, ციხე მხარეში გადასახლებით. შემდგომში ა. ნანეიშვილი საქართველოში დაბრუნდა და ილია ჭავჭავაძისეულ სათავადაზნაურო ბანკში მუშაობდა ხაზინადრად. ა. ნანეიშვილი „ივერიაშიც" თანამშრომლობდა.

ს. დეგაევის საქმის ძიებამ ჟანდარმერია ა. ნანეიშვილის პიროვნებამდეც მიიყვანა. ცნობილი გახდა, რომ იგი სხვათა დარად ილია ჭავჭავაძესთან ერთად საქართველოს ბედ-იღბალზე მსჯელობდა ხოლმე. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ილია ჭავჭავაძეც პოლიტიკურად საეჭვო პიროვნებად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს მასზე კონტროლის განსაკუთრებული ფორმა — საიდუმლო მეთვალყურეობა დაეწესებინათ. ამ გადაწყვეტილებას ასახავს, მაგალითად, ილიაზე ჟანდარმერიის „სამეთვალყურეო ჟურნალი," რომელიც თბილისიდან პოლიციის დეპარტამენტში გაუგზავნიათ 1884 წლის 13 ივლისს. დოკუმენტში მითითებულია ილიაზე „მეთვალყურეობის დაწესების" მიზეზის შესახებაც: „ილია ჭავჭავაძე (საქართველოში ცნობილი პოეტი) უადრესად მჭიდრო ურთიერთობაშია ჟურნალების „ივერიისა" და „იმედის" გამომცემლობებთან და მათთან ერ-

თან ეკუთვნის ლიბერალთა იმ ჯგუფს, რომელსაც სურს საქართველოს ავტონომია მოიპოვოს და რომელიც ეართულ პარლამენტზე ოცნებობს. ამ პარტიის წევრად ითვლება აგრეთვე ჯენერალ-მაიორ სერედას მიერ პასუხისგებაში მიცემული ალექსანდრე ფალიაშვილი (ეს იგივე ნანეიშვილის — შ. ბ.). ჭავჭავაძის პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო აუცილებელია მასზე ფარული მეთვალყურეობის დაწესება" (ფ. ლომაშვილი, გვ. 240).

ამრიგად, „ილია ჭავჭავაძის თანამშრომლის ალექსანდრე ნანეიშვილის და სხვა ქართველი რევოლუციონერ-ნაროდოვოლცური მოძრაობის მოღვაწეთა საგამომძიებლო საქმე დაკავშირებული აღმოჩნდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობისა და „დიდი სახელმწიფო დამნაშავის" სერგეი დეგაევის საქვეყნოდ გახმაურებულ ამბებთან. ასე შეიკრა კანონზომიერ, თუ შემთხვევით ისტორიულ მოვლენათა საპედისწერო წრე, რომელმაც დიდი მწერალი მალე პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ობიექტად აქცია. თუმცა. მას სინამდვილეში „ნაროდნაია ვოლიასთან" და მეფის მკვლელობის საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია". (ფ. ლომაშვილი).

დიდებანს, თითქმის 16 წელი გასტანა ილია ჭავჭავაძეზე საიდუმლო მეთვალყურეობამ. სპეცსამსახური თავისი აგენტურის მეშვეობით ფხიზლად ადევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძის ფეხის ყოველ ნაბიჯს, მის მოგზაურობას ერთი ქალაქიდან მეორეში, განსაკუთრებით, თუ ის იმპერიის დიდ ცენტრებში, მაგალითად, პეტერბურგში ჩადიოდა და სხვ. აღნიშნული მეთვალყურეობა მოიხსნა მხოლოდ 1900 წელს, როდესაც ჟანდარმერიისათვის ნათელი გახდა, რომ ილია ჭავჭავაძე არასოდეს ინას არ სჩადიოდა, რაც მისი კომპრომეტირების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო (ვრცლად ამ საკითხზე იხ. ფ. ლომაშვილის დასახ. ნაშრომი და პუბლიკაცია).

საიდუმლო მეთვალყურეობის მთელი ეს ისტორია ალბათ მკითხველს დაანახვებს, რომ მასში არაფერი ისეთი არ ჩანს, ილიას მკვლელობაში რომ ბრალი დაედოს „ოხრანკას". მეთვალყურეობა 1900 წელს რომ მოიხსნა, რაღა საბუთებით უნდა ვამტკიცოთ, რომ „ოხრანკა" განსაკუთრებული ეჭვით უცქეროდა ილიას 1907 წელს, რაც დიდი მწერლის ლიკვიდაციის მიზეზი გახდა?

იმთავითვე ილია ჭავჭავაძის მიმართ საიდუმლო მეთვალყურეობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მის მკვლელად მარტოოდენ ცარიზმის გამოცხადების მიზნით, ცხადია, იმ ფაქტის მიჩუმათებასაც ისახავს მიზნად, რომ ილიასადმი სპეცსამსახურის დამოკიდებულება 1900-იან წლებში შერბილებულია.

ანასთანავე, საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მიზანია იმის „ვერ შემჩნევაც“, რომ ილიას ღრმა წინააღმდეგობები ჰქონდა სოციალ - დემოკრატებთან, განა ეს ფაქტი არაა?

ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება „ოხრანკის“ ვერსიის ამ პუნქტისადმი სრულიადაც არაა ისეთი, თითქოს უნდა შევწყვიტოთ, აღარ გავაგრძელოთ ილიას მიმართ ჟანდარმერიის პოზიციებისადმი თვალის მიდევნება. ასეთი შეხედულება, უნდა ვიფიქროთ, ჟანდარმერიას შემდეგ წლებშიც ექნებოდა, განსაკუთრებით 1906-1907 წ. წ., როცა ილია იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა. ამასთან დაკავშირებით ვვარაუდობთ, რომ შესაძლებელია, ჟანდარმერიის ცენტრალურ საარქივო ფონდებში შემდგომში მიკვლეულ იქნეს კიდევაც მასალები სახელმწიფო საბჭოს წევრებზე, საიდანაც გამოჩნდება, თუ რაგვარად იხილავდა, აფასებდა და აფიქსირებდა „ოხრანკა“ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრების და კერძოდ ილიას საქმიანობას. ამგვარი მასალების მოძიება, ალბათ, დიდ დახმარებას გაგვიწევს არა მარტო ჟანდარმერიის, არამედ ამ უკანასკნელის და სოციალ-დემოკრატების პოზიციათა ურთიერთშედარების საქმეში ილიას მკვლელობის წინ.

* * *

გადავიდეთ ახლა ჩვენი ანალიზის მთავარ დეტალზე და ვაჩვენოთ: გააჩნია თუ არა „ოხრანკის“ ვერსიას საიმისო უეჭველი არგუმენტი, რომ დ. ჯაშს „ოხრანკის“ დავალებით მკვლელობის ორგანიზატორად თვლის, ეს კითხვა დიდი ხანია გარკვეულად აქვს წარმოდგენილი და აღარც დაობს მასზე.

მაგრამ იმისათვის, რომ „ოხრანკის“ ვერსია დადასტურდეს, საჭიროა ჯერ დამტკიცდეს, რომ დ. ჯაშს კონკრეტულად აქვს მიღებული მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. ეს საკითხი კი, როგორც ვნახეთ, დამტკიცებული არაა. ყოველ შემთხვევაში, მისი მონაწილეობა ამ საქმეში ვარაუდების სფეროს ვერ სცილდება და ვარაუდების გამართლება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მტკიცე და სარწმუნო დებულებებს და ფაქტებს დაეყრდნობიან დ. ჯაშის მაბრალობლები. ასეთია ჩვენი ამჟამინდელი პოზიცია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თუ ოდესმე მოხერხდა და იმაზე მეტი საბუთი იქნა მოძიებული დ. ჯაშის მონაწილეობაზე მკვლელობის საქმეში, ჩვენ რომ ახლა გვაქვს, რეალური კავშირი გაიბმება დ. ჯაშსა და მემარცხენე

რევოლუციურ ორგანიზაციებს შორისაც, რომლებთანაც დ. ჯაში აშკარად მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს მოურავობისა და წინა წლების დროს. ამ გზით კი მკვლელობის ორგანიზაციის ბუდის ძიება რევოლუციურ ბანაკში მიგვიყვანს. ამიტომაც „ოხრანკისტები" დაჟინებით ცდილობენ ყველაფერი იღონონ, რათა ეს კავშირი არ ამოტივტივდეს და დ. ჯაშს „ოხრანკის "აგენტად ასახელებენ, სხვათა შორის, ზუსტად ამის შედეგია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიული სქემა სოციალ-დემოკრატების მეთაურობით მიმდინარე აგრარულ – რევოლუციური მოძრაობის აქტიურ წარმომადგენლებს ივანე ინაშვილს, გიორგი ბერბიჭაშვილს და სხვებს „ოხრანკის" აგენტებად აცხადებს და ამით „რევოლუციის სახელს" უფრთხილდებოდა და იცავდა.

ჩვენ ამ საკითხზე შემდგომში ვრცლად ვისაუბრებთ, ახლა კი ისევ დ. ჯაშს დავუბრუნდეთ და ვაჩვენოთ, იყო თუ არა იგი „ოხრანკის" კაცი ილიას მკვლელობის ჟამს?

ისევ დიმიტრი ჯაშზე

ფათერაკებიანი ცხოვრება განვლო დ. ჯაშმა. სულ ცხოვრებაში ფეხის მოკიდებას ლამობდა. ხან ვის მიეკედლებოდა, ხან ვის. მრავალ სკანდალურ თავგადასავალში გაყო თავი.

1905-იან წ. წ. რევოლუციურ წრეებთან იყო დაახლოებული (ამაზე ქვევით).

ამის შემდეგ იყო, ილიას მოურავად რომ მიეწყო.

მერე „წიწამურის ტრაგედიის" ამბავი.

ამის შემდეგ კვლავ არაერთი შემთხვევა...

1922 წ. დ. ჯაში საკუთარმა ცოლისძმამ მოკლა თოფით. ახლაც სადავოა მისი მკვლელობის გარემოებანი.

დ. ჯაშის ფათერაკებიანი ბიოგრაფია ჩვენს ლიტერატურაში სრული და ობიექტური სახით ჯერ აღდგენილი არაა, რაც, ალბათ, მრავალი ლეგენდის თავისებური წყაროცაა.

ერთი რამ კი აშკარაა: ჯაში საკმაოდ ნებისყოფიანი და ლიტერატურული ნიჭითაც დაჯილდოებული პიროვნება იყო, რასაც კარგად მოწმობს მისი ბეჭდური ნაწერები. დ. ჯაში ცნობილი ჟურნალისტი-რეპორტიორი იყო და სხვადასხვა ფსევდონიმით რუსეთის ცენტრალურ პრესაშიც იბეჭდებოდა. მის ლიტერატურულ ნიჭს თანამედროვეთაგან ბევრი, მისადმი მტრულად განწყობილიც, აღიარებდა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავში მისმა მოხვედრამ, ცხადია, დ. ჯაშის პიროვნულ რენომეს გამოუსწორებელი დაღი დაასვა-ამასს ივი თვითონაც კარგად გრძნობდა და საშინლად განიცდიდა.

ჩვენ, ჯერჯერობით, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება, ბოლომდე გავერკვიოთ დ. ჯაშის როლზე ილიას მკვლელობაში. საამისო უეჭველი, ფაქტიური მასალა თითქმის არა გვაქვს. ეს კი, ცხადია, გვაბალებს, არაერთხელ აღვნიშნავთ ამას, საკითხის ბოლომდე გახსნამდე თავი შევიკავოთ კვალიფიკაციებისაგან. მით უმეტეს, რომ ბოლომდე ნათელი არაა მისი კონკრეტული კავშირიც კი „გარე ძალებთან"...

ასე გადიოდა დრო...

* * *

1917 წელი დადგა.

თებერვლის რევოლუციამ თვითმპყრობელობა წალეკა.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც დემოკრატიამ დაიწყო, ის იყო, რომ მეფის საიდუმლო პოლიციის („ოხრანკის") არქივები გახსნეს, რათა ეპოვათ და გამოემზეურებინათ ის პირები, თავის დროს პროგრესულ ძალებს რომ აბეზღებდნენ საიდუმლო სამსახურეში.

პროვოკატორების გამომზეურებას ჩვენშიც შეუდგნენ.

და აი, სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ „ოხრანკის" იმ თანამშრომელთა შორის, სამსახურისათვის ფულს რომ იღებდნენ, დ. ჯაშიც იყო. იპოვნეს დ. ჯაშის ხელწერილიც 600 მანეთის მიღების შესახებ.

ეს ამბავი მაშინვე პრესაში გამოაცხადეს. თუმცა ზოგიერთი ნანობდა კიდეც, რა საჩქარო იყო ამ ამბის გახმიანება, ხომ შეიძლებოდა დ. ჯაში დამფრთხალიყო და დამალულიყო. არა სჯობდა, ჯერ დაეჭირათ და მერე დაბეჭდილიყო ეს ცნობა?

ნაგრამ მოხდა საწინააღმდეგო.

დ. ჯაში არსად გაქცეულა და მიმალულა. იგი საკუთარი ფეხით მივიდა სოციალ-დემოკრატების გაზეთის „ახალი აზრის" რედაქციაში პროტესტით. ეს რა დაგიბეჭდიათ ჩემს შესახებო.

1917 წ. 17 მარტს დ. ჯაში ქ. თბილისის „აღმასრულებელი კომიტეტის" გადაწყვეტილებით დააკავეს და მეტეხის საპატიმროში გადაიყვანეს. აინტერესებდათ, რას აკეთებდა იგი „ოხრანკაში".

* * *

ამის შემდეგ 41 წელი გაივლის.

1958 წლის 3 თებერვალს დ. ჯაშის დაპატიმრების ისტორიას წერილობით გაიხსენებს შალვა ვლადიმერის ძე ალექსი-მესხიშვილი.

1917 წ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენში ჟანდარმერიისა და, კერძოდ, „ოხრანკის" საქმიანობის მასალებს სწავლობდა.

„1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაარსდა „თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი", რომელშიც შედიოდნენ ქალაქის ხმოსანთა მემარცხენე პარტიების წარმომადგენელნი.

თავმჯდომარეები იყვნენ ნოე ჟორდანია, ალექსანდრე ლომთათიძე და პოპოვი (ამ ბდივანთა შორის მახსოვს ფილიპე მახარაძე). აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო რამდენიმე კომისია, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სხვადასხვა საკითხების გარკვევა და აღმასრულებელი კომიტეტისათვის მოხსენება. ჩემის თავმჯდომარეობით იყო გამოყოფილი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჟანდარმერიის და მასში შემავალი ოხრანნოე ოტდელენიეს საბუთების შესწავლა და საიდუმლო თანამშრომლების გამოვლინება.

კომისიის გამოყოფამდე ჟანდარმერიის და ოხრანნოე ოტდელენიეს თანამშრომლები დაპატიმრებულ იქნენ. საბუთების შესანახად გამოყოფილნი იქნენ სათანადო პირნი. კომისიამ შეისწავლა საბუთები და შესძლო გამოევლინა შემდეგი საიდუმლო თანამშრომლები (პროვოკატორები): დიმიტრი ჯაში, ბერიძე (სახელი არ მახსოვს), ივანე კარბელაშვილი, ანდრია ღულაძე და ჟურნალისტი კობიაკოვი. როგორც ხმები დადიოდა, ჟანდარმერიამ მოასწრო ნაწილი საბუთების განადგურება, თორემ მეტი პროვოკატორების გამოვლინება შეიძლებოდა.

საიდუმლო თანამშრომლები იღებდნენ როგორც ჯამაგირს, ისე გასამრჯელოს ცალკე დავალებათა შესრულებისათვის.

დიმიტრი ჯაში, როგორც მახსოვს, თვეში იღებდა 280 მანეთს. წავაწყდი ასეთ საბუთსაც: „შ. მესხიშვილის დაპატიმრებაში მონაწილეობის მიღებისათვის 15 მანეთი". ხელს აწერდა ბერიძე.

საერთოდ ფულის მიღების საბუთზეც ნამდვილ გვარებს აწერდნენ, თუმცა, ყოველ მათგანს საიდუმლო სახელები ჰქონდათ, რომლებსაც აწერდნენ წარდგენილ ცნობებზედ. დიმიტრი ჯაშის და ბერიძის საიდუმლო სახელები იყო „სლუჩაინი" და „ულიჩნი", რომელს რომელი სახელი ერქვა, არ მახსოვს. დ. ჯაში და ბერიძე სისტემატურად აწვდიდნენ ცნობებს რევოლუციონერ პარტიების შესახებ.

კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ვანო კარბელაშვილი ცნობებს აწვდიდა სოციალ - ფედერალისტთა პარტიის შესახებ, ცხოვრებაში ხშირად არჩილ ჯორჯაძის სახელს იფიცებდა და არჩილ ჯორჯაძის, ისე როგორც სხვების შესახებ, სისტემატურად ცნობებს აწვდიდა

ჟანდარმერიას. ისეთი საბუთებიც იყო, რომელნიც ადასტურებენ, რომ ზოგჯერ კარბელაშვილის ცხობებს დ.ჯაშის ცნობებით ამოწმებდნენ.

მე აღმასრულებელ კომიტეტს გავუკეთე მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ. ყველა პროვოკატორები დაპატიმრებული იქნენ. შემდეგ მათი საქმის წარმოება დავალებული ჰქონდა ნოე რამიშვილს. ეხლაც კარგად არ მახსოვს, შემდეგში რა ბედი ეწვიათ პროვოკატორებს".

* * *

მეტებში დ. ჯაშის დაკითხვა დაიწყეს.

მას არ დაუფარავს თავისი მუშაობა სპეცსამსახურებში, ოღონდ კატეგორიულად უარყოფდა დაბეზღებებში მონაწილეობას. კონტრდაზვერვის ხაზით ვმუშაობდი და ასეთი საქმე ამ სისტემას არ ევალებოდაო. ამასთანავე, დ. ჯაშმა განაცხადა, რომ იგი ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში ი. ჭავჭავაძის მკვლელობიდან საკმაო ხნის შემდეგ ირიცხებოდა.

იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაციას იძლეოდა თავისი წარსულის შესახებ დ. ჯაში, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მისი ერთი განცხადებიდანაც მუშათა დეპუტატების საბჭოს საგამომძიებლო კომისიის მოქალაქე წევრების სახელზე. წერილი დათარიღებულია 1917 წ. 2 მაისით.

განცხადებაში დ. ჯაში აღნიშნავს: მან მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ მის შესახებ წერილია დაბეჭდილი გაზეთ „სახალხო ფურცელში", რომელიც მას შემთხვევით ჩავარდნია ხელში.

დ. ჯაში უკმაყოფილოა საგაზეთო ინფორმაციათა ავტორებით (დ. ჯაშმა რაღაცა წყაროებით იცის კიდევაც მათი ვინაობა, თუმცა სტატიებზე ხელმოწერები არაა). დ. ჯაში შენიშნავს, რომ სწორედ ის ავტორები არიან, რომ ილია ჭავჭავაძის „მოკვლის შემდეგ გამოძიებას ავანსად სთხოვდნენ მის (ე. ი. დიმიტრის — შ. ბ.) დამნაშავედ მიჩნევას და საამისოდ სიკვდილით დასჯას". მაგრამ, ამბობს დ. ჯაში, „მაშინ მათ ვერ მოახერხეს და ვერც ვერავითარი სასამართლო შესძლებს ამას. მე პოეტის მკვლელობის მონაწილედ გამომაცხადეს, ვინაიდან ეს არ ყოფილა, არაა და არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთ რამეზე კი სასამართლო არ არსებობს! მას, რაც იყო, მე თქვენთან არ ვმალავ, და ყველაფერი დაწვრილებით გადმოვეცი ისე, რომ არაფერი დამიმალავს".

შემდეგ დ. ჯაში დასძენს:

„როგორც უკვე დაწვრილებით განვმარტე, იძულებით ურჩევ-

თობებში ვიყავი წყეულ „ოხრანკასთან“ დაახლოებით ორი წელი — 1909 წლის ზაფხულიდან 1911 წლის ივნისის შუა რიცხვებამდე“ (იხ. საქ. სსრ სახ. ცენტრარქივის ფონდი, 1844, აღწ. 2. შესანახი ერთ. 41. დოკუმენტის ამონაწერი პირველად გამაცნო პროფ. დევი სტურუამ).

როგორც ამონაწერებიდან ვნახეთ, დ. ჯაში უკმაყოფილო იყო მა[illegible] შესახებ პრესის მასალებით.

უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ცხადია, ისიცაა, რომ მას უხსენებენ იმ ბრალდებას, რაც ადრე ოფიციალურად ჰქონდა წაყენებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, თუმცა ეს ბრალდება არ დადასტურდა. მაშ, რაღა საჭიროა იმ ბრალდების გახსენება, რომელიც არ დადასტურებულა? — ასეთია დ. ჯაშის გულისწუხილი. მართლაც, დ. ჯაში 10 წლის წინ უკვე იყო დადანაშაულებული. მაშინ მას მის მიმართ აღძრული ბრალდებები არ ან ვერ დაუმტკიცდა. მიუხედავად ამისა, მისი „ამოუცნობი როლი“ ილიას მკვლელობაში კვლავ დიდ ინტერესს იწვევდა. მით უმეტეს, რომ ახლაც ილიაშენკოების ხელმ[illegible]: როდი იყო იგი, რომ ყ. ფალავას მტკიცებისამებრ „დაეფარათ დ. ჯაშის კვალი“.

აი, რამ განაპირობა ის, რომ მეტეხში დაპატიმრებულ დ. ჯაშს, კვლავ დაკითხვები მოუწყვეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო, თუმცა იგი ოფიციალურად სულ სხვა საქმეზე იყო „აყვანილი“.

დ. ჯაშის დაკითხვებზე ილიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით 10 წლის შემდეგ ვრცლად მოიგონებს პეტრე გელეიშვილი, მენშევიკი, სოციალ-დემოკრატების თვალსაჩინო მოღვაწე და პუბლიცისტი.

აი რას წერს პ. გელეიშვილი:

„ტრაგედიის გამოკვლევის ცდა სრულიად შემთხვევით გავიმეორეთ 1917 წ. რევოლუციის პირველ დღეებში, როცა ჟანდარმები და მათი აგენტები ციხეებში გვყავდა გამომწყვდეული.

მაშინ მე, სილიბისტრო ჯიბლაძესა და ნოე რამიშვილთან ერთად, მხვდა წილად რამდენიმე ცნობილი შპიკის დაკითხვა — მეტეხის ციხეში, სადაც სხვა მრავალთა შორის დატუსაღებული იყო ილია ჭავჭავაძის მამულების ყოფილი გამგე დიმიტრი ჯაში, რომელსაც როგორც ხალხის ხმა, ისე პოლიციის წინასწარი გამოძიება თვლის „წიწამურის ტრაგედიის“ მთავარ ხელმძღვანელად...

დიდხანს გაგრძელდა დ. ჯაშის დაკითხვა, რომელმაც არაფერი რეალური შედეგი არ მოგვცა. ჯაშმა არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მოისურვა. რაკი ვერაფერს გავხდით, გადავწყვიტეთ დ. ჯაშისათვის

პირში წაგვეყენებინა დოლიძე (ეს ერმ. დოლიძე ბახვის საიდუმლო კრების ისტორიით ი. ჭავჭავაძის მკვლელად იყო ერთხანს მიჩნეული და ამ ბრალდებით დაპატიმრებული — შ. ბ.), რომელიც იმ დროს იმავე მეტეხის ციხეში კატორღელთა შორის იჯდა და რომელსაც ხალხის ხმა ილიას ერთ-ერთ მკვლელად ასახელებდა.

რადგან უკვე გვიან იყო და საჭირო ცნობები (პოლიციის წინასწარი გამოძიება) ხელთ არა გვქონდა, გადავწყვიტეთ ეს საქმე ორი დღით გადაგვედო. სამწუხაროდ, ეს ორი დღე ორ კვირად გადაიქცა და ამან კი სულ ერთიანად გაგვიცრუა ჩვენი იმედები...

როცა ორი კვირის შემდეგ დაკითხვა განვაახლე და დიმიტრი ჯაშს წინადადება მივეცი: თქვი სიმართლე, თუ არა სულ ერთია, ახლავე დოლიძეს წამოგიყენებ პირში და ის გამოგტეხავს-თქვა, — პასუხად ჯაშმა გაიცინა და მითხრა — დოლიძე თქვენ ვერაფერს ვერ გეტყვით, ის უკვე მოკვდა!

მართლაც, ციხის უფროსმა გამომიცხადა, რომ დოლიძე ერთი კვირის წინ მომკვდარიყო და დაესაფლავებინათ. ამრიგად, მოგვესპო ეს იმ დროს ერთადერთი საშუალება ამ საქმის გასაშუქებლად. დ. ჯაში არაფერს გვეუბნებოდა. მკვლელები, ან ისინი, ვინც პოლიციამ ასეთებად დაასახელა, უკვე ჩამოახრჩვეს: ილიას მსახური იაკობ ბიტარაშვილი, პოეტთან ერთად მოკლეს. დარჩა პოეტის მეუღლე ოლღა თადეოზის ასული, მაგრამ მაშინ ის მკვდარ-ცოცხალი იყო და არაფრის თქმა არ შეეძლო. („ახალი გზა", 1927, № 16, გვ. 6).

• • •

სწორედ ამ ხანას ეკუთვნის ერთი საყურადღებო დოკუმენტი-დეპეშა, რომელიც დ. ჯაშმა გაუგზავნა ნოე ჟორდანიას, კიტა აბაშიძეს, გამოჩენილ რუს პოეტს კონსტანტინე ბალმონტს, მთელ რიგ რედაქციებს... ამ დეპეშის ერთი ასლი ცნობილია კიტა აბაშიძის საქმეებიდან. თავის დროზე, მას ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მკვლევარმა, განსვენებულმა პროფესორმა ალექსანდრე კოჭლავაშვილმა. ამ არხით გაიცნო იგი პროფ. ლევან თოიძემაც...

ზემოხსენებული დეპეშის ტექსტი გაგზავნილია 1917 წლის 3 ივლისს და პირადად ნოე ჟორდანიას მიემართება. ტექსტი, დეპეშას რომ შეეფერება, უპუნქტუაციოა. მასში ზოგიერთი ადგილი სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავი და ბუნდოვანიცაა. ვბეჭდავთ მას ჩვენეული ქართული თარგმანით. გაუგებარი ადგილები ფრჩხილებში იგუ-

ლისხმენა...

დიმიტრი ჯაში სასოებით მიმართავს ნოე ჟორდანიას:

„უკვე ათი წელია, რაც ჩემი არსებობა შეგნებულად იდევნება ბილწი ცილისწამებით. ჩემს ზურგსუკან ჩურჩულით აღავლენენ საზარელ ბრალდებას — ქართული მწერლობის მშვენებისა და სიამაყის, სახელმწიფო საბჭოს წევრის თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. პალატის პროკურორს ძველი სათათბიროელის ზურაბოვის ხელით მირთმეული აქვს თხოვნა — საგამომძიებლო კომისიის ასლი, რომელიც მოითხოვს, უმკაცრესად იქნას გამოძიებული პოეტის მკვლელობა, პასუხისმგებლობაში იქნენ [ ] სისხლის სამართლის ათწლიანი ხანდაზმულობის გასვლამდე, ვინაიდან ყველა დანარჩენი საფუძველი, ბოროტგანზრახვითი მკვლელობაა. შეუძლებლად მიმაჩნია ჩემი საქმის მოსმენა მომავალი სვინდისიერი სასამართლოს მიერ პოეტის მხეცურად მოკვლის გარემოებათა უმკაცრეს გამოძიებამდე, ჩემი მასში მონაწილეობის, თუ არ მონაწილეობის ხარისხის მიზნით, ჭეშმარიტების გულისთვის სასამართლოს აუცილებლად ესაჭიროება კატეგორიულად გაარკვიოს, დამნაშავე ვარ მე პოეტის სიკვდილში, რომლის გამოც ცილისმწამებელთა მიერ ათეული წელია ტანჯული მსხვერპლი ვარ. ილიას ხსოვნის, წმინდა სიმართლის, სამართლიანობის, პოეტის უკვდავი ქმნილებების, თავისუფლებისათვის, დაღვრილი სისხლის ოკეანის, მოპოვებული თავისუფლების სახელით, ისტორიის, შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობის სახელით, გთხოვთ, ყველას გენუდარებით, მოვითხოვ, მოვითხოვ, ყოველნაირად მოვითხოვ [ ] ილიას მკვლელობა ყველა ქართული პარტიის, თავადაზნაურობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

ჩემთან ერთად ილიას მკვლელობის ბრალდების ჩრდილი ჩასაფრებულმა, ბილწმა ცილისწამებელმა ესდეკების პარტიასაც შიაყენეს ჩემამდე, [ ], როგორც არამზადა ცილისმწამებლები ჯერ კიდევ ჩურჩულებენ, თითქოს, ესდეკების პარტიამ გამგზავნა მე მოურავად პოეტთან ამ მკვლელობის ორგანიზების გარკვეული მიზნით. ნოე ნიკოლოზის ძევ, ათეული წელია მე ნელ-ნელა ვიხრუკები ცილისმწამებლების საზარელ კოცონზე, უჩინარი ჭორიკნების მიერ ათი წელია უდანაშაულოდ ვიტანჯები შეუბრალებელი სასჯელით, ათი წელია საზარელი ცილი აქვს აკიდებული თქვენს შობილ პარტიას. ყველასათვის ცნობილია, მე არასოდეს არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი. მაგრამ გაფიცებთ თქვენს ღვიძლ შვილს პარტიას, წითელ დროშას, ზეაწეული რომ გქონდათ და ახლაც მაღლა რომ გიკავიათ, გამოიყენეთ

თქვენი ძალა, და გოლიათური ენერგია, ეცადეთ ჭაბუკობის მკვლელობის განოძიებას ყველა ეართული პარტიის მიერ, დაუყოვნებელი უმკაცრესი გამოძიება, უწინ შეუბლებელი, ეხლა კი შესაძლებელი. აღარავითარი დაბრკოლებები. მე დაპატიმრებული ვარ და ორგანულად ატროფირებული. ნოკლებული ვარ საშუალებას ზემოქმედება მოვახდინო ძიების მსვლელობაზე. კაცი არ მოიძებნება, ჩემს სასარგებლოდ რომ უჩვენოს, რათა ახლა მაინც გამოირკვეს სიმართლე. ან მე მამხილეთ, ან საძულველი ცილისმწამებელი შეარცხვინეთ. ფარდა ახადეთ, ნამდვილი დამნაშავეები აღმოაჩინეთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, კიტა აბაშიძე, თავადი აფხაზი, ფირცხალავა, ლასხიშვილი, ნიკოლოზ ერისთავი, აბაშელი, გრიშაშვილი, რუხაძე, ეშმაკი, სოფრომ მგალობლიშვილი, ყიფშიძე, ყველა მწერალო, ხმა აღიმაღლეთ, იმოქმედეთ, დუმილი დანაშაულია. ილიას სახელი გავალდებულებთ, წამებულის აჩრდილი [ ] ცას. მომღერალ კონსტანტინე ბალმონტს აქვს შელლის მთის მწვერვალები, რუსთაველს ჰყავს ტარიელი, ავთანდილი, თინათინი, ნესტან - დარეჯანი. გაფიცებთ, აღსდგეთ ათწლეულის სიგრძეზე უხეშად გათელილი ჭეშმარიტების დასაცავად. თქვენი ბრწყინვალე თხზულებების სახელით გაფიცებთ, ჩაჰბერეთ საყვირს, იყვირეთ. წამებული ილია თქვენი დიდი მოძმეა. იგი მოკლეს, მაგრამ ჩემი სვინდისი კი სუფთაა. ჩემი ხელები მისი სისხლით არ შელებილა. იყავით დიადი მოციქულის და ჭეშმარიტების ღირსი. [ ] დაიცავით ჭეშმარიტება. დამეხმარეთ მე, მივადწიო გამოძიებას. მოდით ადგილებზე, მოუსმინეთ. თან იახლეთ გიგო დიასამიძე. მოითხოვეთ გამოძიება, რის მიღწევასაც ვცდილობ. მთელი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ დევნას განვიცდი ნელადმოქმედი სატანჯავით. ნუთუ თავისუფლების ზეიმის გარიჟრაჟზე სამართლიანობაა დაუშვათ სიმართლის ხმის დახშობა. ღმერთო ზენაარო, გაანათე ხალხი, ჭეშმარიტება. დიდი ილიას აჩრდილო, შენ შემოგდაღაღდეს. მოაგონე ხალხს მათი [ ] და ისტორიის წყევლა ააცილე დიმიტრი ჯაშის შთამომავლებს".

• • •

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დ. ჯაშმა თავისი განცხადება სათანადო არგუმენტებით აახლა კომისიას. დ. ჯაშს, ჩანს, დაუჯერეს. ყოველ შემთხვევაში, მისი ინფორმაციის გასაბათილებელი ფაქტები ვერავინ გამოძებნა. არადა დაკითხვებში ხომ ისეთი პირები მოიაწილე-

ობდნენ, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ დ. ჯაშის ვერსია შეემოწმებინათ და შეეფასებინათ იგი სანდოობის თვალსაზრისითაც.

ასეთ ვითარებაში დ. ჯაშის განმარტება, რომ იგი ოხრანკაში მას შემდეგ მოხვდა, რაც მან ილიას მოურავობას თავი დაანება, არავის საეჭვოდ არ გაუხდია. პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავტორები, რომლებსაც აშკარა ანტიპათიები ჰქონდათ დ. ჯაშისადმი, ერთ აზრს ავითარებდნენ: დ. ჯაში ადრე სოციალ-დემოკრატად მიიჩნევდა თავს, მაგრამ არ დაუჯეროთ, ეს ასე არაა. ამ გადაწყვეტილებას კარგად ამოიცნობს მკითხველი პრესის მასალების გაცნობის შემდეგ.

მოგვყავს ისინი.

„ჯაშუშის დიმიტრი ჯაშის შეპყრობა"

„17 მარტს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით ტფილისში შეიპყრეს დიმიტრი ჯაში. ერთ დროს იგი თავის თავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად აცხადებდა. 1906 წელს იგი ილია ჭავჭავაძის მოურავად დადგა და მოურავობას თავი გაანება ილიას მოკვლის შემდეგ, ე. ი. 1907 წელს. ჯაშს ამ მკვლელობაში მონაწილეობა ბრალდებოდა და კიდევაც შეიპყრეს, მაგრამ გამოძიების შემდეგ გაათავისუფლეს, და ილიას მკვლელობის საქმის გარჩევის დროს იგი წარსდგა სასამართლოს წინაშე, როგორც მოწმე და არა როგორც ბრალდებული, რის გამოც ნწუხარებაც გამოსთქვა პროკურორმა. სასამართლოს თავი დაანებინა ჯაშმა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი დღესაც ბრალს სდებს მას ილიას მკვლელობაში: ამიტომ, იგი ჩქარა ყველამ ჩამოიშორა, თვით უახლოესმა ამხანაგებმაც კი. დაახლოებით 1908 წელს ჯაში ტფილისის „ოხრანკა"-შიც შესულა საიდუმლო თანამშრომლად (ჯაშუშად), რის საბუთიც უკვე აღმოაჩინა ტფ. აღმასრულებელმა კომიტეტმა. სახელდობრ, იპოვეს ერთი ბარათი, რომლიდანაც სჩანს, რომ ჯაშს, ოხრანკიდან 600 მანეთი მიუღია სახარჯოდ. უკანასკნელ ხანს ჯაში „მოსკ. ვედემოსტში" ბეჭდავდა წერილებს ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგ. ჯაში მეტეხის ციხეში გაგზავნეს" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917 წ., 21 მარტი № 824, შდრ. ჟურნ. „თავისუფლება", ქუთაისი, 1917, № 2, გვ. 29).

„ჯაშუში დიმიტრი ჯაში“

„როგორც ვწერდით, 17 მარტს ტფილისში შეიპყრეს დიმიტრი ჯაში, რომელიც „ოხრანკის“ საიდუმლო თანამშრომელი (ჯაშუში) აღმოჩნდა. ტფ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მისი ჯაშუშობის დამამტკიცებელი დოკუმენტი უფრო ადრე ჩაიგდო ხელში და ჯაშის შეპყრობა გადასწყვიტა. კომიტეტის დადგენილება ზოგიერთმა გაზეთმა მაშინვე გამოაქვეყნა და კინაღამ ჯაშს საშუალება არ მისცა გაქცევისა და საღმე დამალვისა.

17 მარტს ჯაში „თანამედროვე აზრი“-ს რედაქციაში თავის ფეხით მივიდა, თან მიიტანა საბუთი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ტფ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება და რედაქციას შეეკითხა, ეს რა დაუწერიათ გაზეთებში ჩემზედაო.

ჯაშს ჩვენებები ჩამოართვეს. მან ჯიუტობა და ჯაშუშობის გადაფიცება ვეღარ მოახერხა, რადგანაც კომიტეტს უკვე ხელთ ჰქონდა დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ ჯაშს „ოხრანკიდან“ 600 მან. მიუღია სახარჯოდ. ამაში გამოტყდა, მაგრამ ის კი აღარ დაასახელა, როდის რომელი პოლიტიკური ორგანიზაცია გასცა და რამდენს ამოაყოლინა თავი ციხეებსა და ციმ ქვეყნებში.

ჯაშმა არაფერი ახალი არა სთქვა რა იმის შესახებ, თუ რა გარემოებაში იქნა მოკლული ილია ჭავჭავაძე, რომლის მოურავადაც იყო ჯაში მკვლელობის დროს.

როგორც ეტყობა, ჯაში ჯაშუშად შესული უნდა იყოს 1908 წლიდან, ილიას მოკვლის შემდეგ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც ჯაშის ცხოვრებიდან: ჯაშმა ერთხელ თავის ამხანაგს სახლში ყუმბარები შეუგდო და შემდეგ დააბეზღა, ყუმბარებს ინახავსო. ბოლოს ყველაფერი გამოირკვა და ჯაში სანართალში მისცეს პროვოკაციისათვის. სასამართლოში მოწმედ, სხვათა. შორის, დაბარებული იყო ჟანდარმთა როტმისტრი. პროკურორი მას შეეკითხა, ჯაშმა მარტო ეს თავისი ამხანაგი დააბეზღა, თუ საერთოდ ამბავი მოჰქონდა ხოლმეო. მოწმემ მხრები შეიშმუშნა და უპასუხა: ეს საქმესახურის საიდუმლოებას შეადგენს და მისი გამომჟღავნება არ შემიძლიაო. დამსწრეთათვის ყველაფერი ცხადი შეიქმნა. უხერხულობა სასამართლოს თავმჯდომარემაც იგრძნო და პროკურორს შენიშვნა მისცა: ამგვარი კითხვის მიცემა არ შეიძლებაო. ჯაშს ღირსების აყრა და პატიმართა გამოსასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტეს. ციხეში რაღაც ერთ თვეს იჯდა, შემდეგ გამოუშვეს და რკინის გზის მოსამსახუ-

რის ფორმით დადიოდა. ეს გარემოება ყველას აკვირვებდა.

ჯაში ახალგაზრდაა — 30-31 წლისაა, ერთხანს იგი „აბლაკატობდა“ კიდეც. ხანდახან გაზეთებსაც აწვდიდა ცნობებს, მაგრამ ტფილისში ორივე ამ დარგში მისი „მოღვაწეობა“ შეწყვეტილ იქნა, რადგანაც ბევრმა იცოდა მისი პროვოკატორობის საქმე და ამიტომაც ერიდებოდა. ამას გარდა საზოგადოებაში ფრიად გარკვეული აზრი დადგიოდა, ილიას მკვლელობაში ჯაში ურევიაო.

უკანასკნელ ხანს ჯაში ცნობებს აწვდიდა მეპარეულ „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს და ხანდახან კორესპონდენციებსაც ბეჭდავდა „ეურეკა-ის“ ფსევდონიმით. ამავე გაზეთში დაიბეჭდა ამ სამი-ორი თვის წინათ შავრაზმული წერილები ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისა და კერძოდ ა. ი. ხატისოვისა და მ. ა. ჯაბარის წინააღმდეგ. საგულისხმო ის არის, რომ ეს წერილები შეადგენს პირდაპირს ასლს ტფილისის ნაშინდელ პოლიციმეისტერის ზდანოვსკის ბრძანებისა, რომელიც ზოგიერთს გაზეთში უკვე დაიბეჭდა თავის დროზე. ჯაში თავის წერილებში ძველის პოლიციმეისტერის თავალსაზრისით უცქეროდა ქალაქის თვით-მმართველობას და ეროვნულ-ნებას აბრალებდა ტფილისის პოლიციმეისტერს“. („საბალხო ფურცელი“, 1917 წ., 25 მარტი, გვ. 3, შდრ. ჟურნ. „თავისუფლება“, ეუთაისი, 1917, № 4, გვ. 30-31).

ასეთია ძირითადად 1917 წლის ინფორმაციები.

საკმარისია გადავიკითხოთ ისინი, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ დროისათვის არსად წერენ იმის შესახებ, თითქოს, დ. ჯაში „ოხრანკაში“ უკვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროისთვისაც მუშაობდა. პირიქით, ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ დ. ჯაში „ოხრანკაში“ შემდეგ შევიდაო. ჩანს, ეს ვერსია მარტო დ. ჯაშის თვითადიარებას არ ეფუძნებოდა, და იგი, ალბათ, სხვა ჩვენებების მიხედვითაც იყო განმტკიცებული. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არც ამეკამადაა ცნობილი რაიმე საკონტროლო ფაქტი – ჩვენება, რომელიც დ. ჯაშის ოხრანკის სისტემაში შესვლას 1908-1909 წლებზე ადრე გვავარაუდებინებდა.

მასალები გვარწმუნებენ, რომ დ. ჯაში ადრე მეპარეულ რევოლუციონერებთან ტრიალებდა და თუ მას მართლაც რაიმე კონკრეტული როლი ჰქონდა დაკისრებული ილიას წინააღმდეგ, ამ ძალების მიერ უფრო შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი. ამ საკითხზე ჩვენ მომდევნო ნაკვეთში ვრცლად ვილაპარაკებთ.

იქნებ ეს გარემოებაც იყო იმის მიზეზი, რომ დ. ჯაში მიმზიდველი ფიგურა იყო სპეციალურად ახალგაზრდობისათვის. სწორედ მეპარეულ რევოლუციურ ჯგუფებთან დაახლოებული პიროვნება შეიძლებოდა ყოფილი-

ცო ინფორმაციის საინედლო წყარო .არც ისაა გამორიცხული, რომ დ. ჯაშის „ოხრანკაში“ მისვლა იმანაც დააჩქარა, რომ ილიას მკვლელობის შემდეგ ,თუმცა მას აქციანი მონაწილეობა ვერ დაუმტკიცდა, იგი მაინც საზოგადოებაში კომპრომეტირებული აღმოჩნდა და მას ამიერიდან მეგობრებნეებიც აღარ გაიკარებდნენ.

ეს ყველაფერი ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდებია, ლოგიკური განსჯით მიღწეული, მაგრამ მთავარია ფაქტი, რომ არავის გაუბედავს თავის დროს ემტკიცებინა, რომ დ. ჯაში „ოხრანკაში“ 1907 წელსვე იმყოფებოდა. დ. ჯაშის თანამედროვეები ამ მხრივ მეტ ობიექტურობას და თავდაჭერასაც იჩენდნენ, თუმცა მიუხედავად სიმპათია ზემომოყვანილი ინფორმაციების ავტორებსავ, როგორც ვნახეთ, არა ჰქონიათ.

სხვათა შორის, პ. გელეიშვილს, რომელიც მკვლელობის აწეწილ-დაწეწილი ისტორიის ამოცნობას ინერციით მაინც დ. ჯაშის პიროვნების მეშვეობით ცდილობდა, კატეგორიულად არ აღუნიშნავს, რომ დ. ჯაშს შეეძლო ილიას მკვლელობაში „ოხრანკის“ დავალებით მიეღო მონაწილეობა.

ის გარეგნობა, რომ დ. ჯაშს არ უმტკიცდება „ოხრანკის“ სისტემაში თანაშეზრომლობა, თავისთავად გამორიცხავს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ილია ჭავჭავაძე ნან „ოხრანკის“ დავალებით მოაკვლევინა. ნით უმეტეს, რომ ისიც არაა დამტკიცებული, მიიღო, თუ არა მან საერთოდ რაიმე მონაწილეობა ილიას მკვლელობაში.

დ. ჯაში საერთოდ ავანტიურისტული ბუნების პიროვნება ჩანს და სპეცსამსახურებთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ თავისთავად არც ეს ფაქტია საკმარისი დ. ჯაშის ილიას მკვლელობაში დასადანაშაულებლად.

ასეთი ბრალდებების უსამხილოდ და თანაც ასეთი კატეგორიულობით წამოყენება მხოლოდ საბჭოთა საისტორიო აზრს შეეძლო, იმას, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში მისთვის სასურველი ყველა საალსაზრისის დამტკიცება შეეძლო, მაშინაც კი, როცა საამისო ფაქტები არ არსებობდა.

* * *

როგორც ვხედავთ, არ გაგვაჩნია არც ერთი სერიოზული ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ორგანიზებული იყო დიმიტრი ჯაშის ბიერ „ოხრანკის“ დავალებით, რომ

ლის აგენტიც ის უკვე 1907 წელს იყო. ასეთი მტკიცებისათვის არსებობს მხოლოდ ეჭვები, რომლებითაც მკვლელობაში მონაწილეობის დამტკიცება შეუძლებელია. ყოველივე ამას იმთავითვე კარგად გრძნობდნენ ორთოდოქსი „ოხრანკისტები", ამიტომაც თავისი სქემისათვის დამატებით ფაქტებსაც ეძებდნენ და „ამზეურებდნენ".

იმთავითვე ყურადღება მიაქციეს, მაგალითად, დ. ჯაშის სიტყვებს, თითქოს, უგონოდ მყოფი ოლღა ჭავჭავაძის დანახვისას რომ თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ ისიც მკვდარიაო". თავდაპირველად დ. ჯაშის გვერდით მდგომ ვას. ემეცს, რომელმაც ეს სიტყვები მოისმინა, დ. ჯაშის ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მან ისინი მხოლოდ იმის შემდეგ გაიხსენა, რაც გაიგო, რომ ილიას მკვლელად, ეჭვის საფუძველზე, დ. ჯაშს ვარაუდობდნენ. მაგრამ ამ სიტყვებში ვერავითარი კონკრეტული საბუთი ვერ იქნა ამოცნობილი. ჩვენთვის აბლაც გაუგებარია, თუ რა აზრი იყო ჩადებული დ. ჯაშის ამ სიტყვებში, ვას. ემეცს ასე გვიან რომ გაახსენდა. იქნება დ. ჯაშმა ეს სიტყვები სულ სხვა კონტექსტშიც წარმოთქვა „ქართული წესით": მადლობა ღმერთს, რომ მკვდარია და ილიას უბედურებას საკუთარი თვალით ვეღარა ხედავსო. ასეთი გამოთქმა ქართველებში ერთობ გავრცელებულია. ამ აზრის კატეგორიულ მტკიცებას არ შევუდგებით, მაგრამ თუ ეს სიტყვები მართლაც ისე ითქვა, ჩვენ რომ ვვარაუდობთ, მაშინ ისე გამოდის, რომ ვ. ემეცმა დ. ჯაშის ნათქვამის „ქართული ნიუანსი" ვერ გაიგო. შეიძლება დ. ჯაშმა ეს სიტყვები სულ სხვა კონტექსტშიც წარმოთქვა, მაგრამ აქ ერთი გარემოებაცაა გათვალისწინებული: ყველა იმას, ვინც დ. ჯაშს ილიას მკვლელობის ორგანიზატორად თვლის, მოურავი გაქნილ და დახვეწილ ინტრიგანად მიაჩნია. მაგრამ, თუ ეს ასეა, როგორღა მოხდა, რომ დ. ჯაშმა იმის ნაცვლად, რომ თავისი ნამოქმედარი საიდუმლოდ შენახა, პირველსავე შემხვედრს, ამ შემთვევაში ვას. ემეცს, სიხარულით პირში მიახალა: აი, ნახეთ, ილია ხომ მკვდარია და ეგ კიდევ არაფერი, ოლღაც მოუკლავთ და რა კარგიაო. ფაქტის ასეთი გააზრება ყოვლად წარმოუდგენელია ისეთი გაიძერასა და გაქნილისაგან, როგორადაც დ. ჯაშს „ოხრანკისტები "ხატავენ.

ანალოგიური დამაჯერებლობისაა ის ცდაც, რომ დ. ჯაში მკვლელობის თავკაცად გამოაცხადონ ოლღა ჭავჭავაძის ისტერიული წამოძახილების მიხედვით. ეს უკანასკნელი დ. ჯაშის შემყურე იძახოდა: მომაცილეთ, მომაცილეთო ეგა. მაგრამ აქ ხომ საქმე გვაქვს ღრმა სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ემოციურ წამოძახილთან, ადამიანისა, რომელსაც ნორმალური ცნობიერება აღარ შერჩენია. ამა,

რა გასაკვირია: ქმარი მოუკლეს და თვითონაც ისე უღმერთოდ სცემეს, რომ ლამის მკვდარს დაამსგავსეს.

ცხადია, ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის წამოძახილის გააზრება საგანგებო დაფიქრებას მოითხოვს, ვიდრე მის მიხედვით რაიმე ბრალდებებს ავაგებდით. ისიც გასათვალისწინაებელია, რომ დ. ჯაშის მკვლელობაში დასადანაშაულებელი ჩვენება ოლღა ჭავჭავაძეს არავისთვის მიუცია მაშინ, როცა ის შედარებით გონს მოეგო და საჭირო ინფორმაციას იძლეოდა. 1907 წ. 24 სექტემბერს ამის შესახებ ოლღა ჭავჭავაძემ სრულიად გარკვევით უთხრა ილიაშენკოს: „როდესაც მე დაჭრილი გადავყავდით საგურამოში, მე მომეჩვენა, რომ იმ კაცს ვეკავე, რომელიც მკვლელთა შორის იყო, ვის ვეკავე, მე მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ მე ამ ადამიანის მიმართ უსიამოვნო გრძნობა მქონდა. მე, რა თქმა უნდა, დადებითად იმის თქმა არ შემიძლია, რომ იგი თავდამსხმელთა შორის იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რომელიღაც თავდამსხმელი მას ჰგავდა". (Თ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ. 1938., გვ. 66).

სულ ესაა. მაგრამ ჩვენ ხომ დანამდვილებით ვიცით, რომ დიმიტრი ჯაში ილიაზე თავდასხმისას საგურამოში იყო და ამიტომაც, ყოვლად გამორიცხულია, ოლღა ჭავჭავაძეს იგი თავდამსხმელთა შორის ენახა და ამის საფუძველზე შემდგომ რომელიღაც თავდამსხმელისათვის მართლა მიემსგავსებინა?

ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ოლღა ჭავჭავაძის წამოძახილების შესახებ თვითონ დ. ჯაშმა განაცხადა და არა სხვა ვინმემ.

სწორედ დ. ჯაშს ეკუთვნის ეს ერთგვარი „მოგონება": „როდესაც მე თავადის მეუღლის წამოყენება დავიწყე, იგი მე ხელიდან გამისხლტა, მაგრამ არაფერს ამბობდა. ამის უწინ მე დავინახე, როგორ ცდილობდა იგი თვითონვე ფეხზე ამდგარიყო და კვლავ ბირს ეცემოდა, ისე, რომ ორჯერ თავით ბორბალს მიეხალა... თავადის და ლაქიის გვამები ჩემს მიერ ურმით იქნა გაგზავნილი მამულში. თავადის ცოლი კი მე თვითონ წავიყვანე ეტლით (ფაეტონით). გზად იგი ლაპარაკს ცდილობდა: „ღვთის გულისათვის, თქვე ქრისტიანებო, ეს იმის ტოლი იქნება, ეკლესია რომ ააშენოთ, მომაცილეთ ამ ადამიანს". ამასთანავე იგი ჩემზე მიანიშნებდა. მე ვამშვიდებდი თავადის ცოლს, დამავიწყდა რა, რომ იგი ყრუა და არაფერი ესმის". ბოლოს დ. ჯაში იძულებული გამხდარა, ოლღა მარტო დაეტოვებინა. დ. ჯაშის სიტყვებით, „წისქვილთან ახლო, მე მასთან (ე. ი. ოლღასთან — შ. ბ.) ერთი გლეხი დავსი, თვითონ კი ცხენზე მჯდომი წინ წავედი".

დიმიტრი ჯაშის ილიას მოურავად ვოლუნტარის ირგვლივ

„ოხრანკისტებმა“ სერიოზულად იფიქრეს იმის თაობაზე, თუ რა პიროვნებაში მოწყოთ დ. ჯაში ილია ჭავჭავაძის მოურავად. ჩვენ ზევით უკვე მოვიტანეთ, მაგალითად, ამონაწერები პ. გელეიშვილის ნაშრომიდან, სადაც ავტორი იმაზე მსჯელობდა, თუ რა „საიდუმლო ვითარებაში“ მოეწყო დ. ჯაში ილიას მოურავად. პ. გელეიშვილის მტკიცებით, დ. ჯაშის გამოურავებას უსწრებდა ილიას მოურავის მოსე ნამარნიშვილის მოკვლა, მუქარიანი წერილების გაგზავნა ელისაბედ საგინაშვილთან ფულის გამომძალვისათვის, შემდეგ ამ უკანასკნელის თხოვნა ილიასადმი დ. ჯაშის მოურავად აყვანის თაობაზე. პ. გელეიშვილი გარკვევით არას ამბობს, თუ ვისი სურვილითა და განზრახვით იქნა გადაწყვეტილი დ. ჯაშის მოურავად მოწყობა. პ. გელეიშვილი წერს, ეს ამბავი საიდუმლოებითაა მოცულიო, მაგრამ, ვინაიდან ავტორის საერო შეხედულება ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ინიციატორი მაინც მეფის „ოხრანკა“ უნდა ყოფილიყო, ამ „საიდუმლოების“ უკან მდგომად იგი, ცხადია, „ოხრანკას“ გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც დ. ჯაშის ბიოგრაფთ მხოლოდ აპრიორული ეჭვი არსებობს: ამიტომაც პ. გელეიშვილი რატომღაც არაფერს ამბობს, ან, იქნებ არც იცის (დაუჯერებელი კია!), რომ იმავითვე იმავე ეჭვებით, ოხრანკისტების მტკიცების ტოლფასი ვანი სიძლიერით დ.ჯაშს ილიას მოურავად სოციალ-დემოკრატების მიერ შეგზავნილ პიროვნებადაც ასახელებდნენ. გავიხსენოთ, მაგალითად, დ. ჯაშის დეპეშა ნოე ჟორდანიასადმი 1917 წელს, სადაც იგი ჩივის: აგერ ათი წელიცაა, სხვასთან ერთად, იმ ჭორსაც მივრცელებენ, თითქოს მე ილიას მოურავად სოციალ-დემოკრატებმა შემგზავნეს ილიასავე მკვლელობის მოსაწყობადო. ამ ფაქტიდან ჩანს, თუ რა სიძლიერის არგუმენტი გააჩნია პ. გელეიშვილს დ. ჯაშის მოურავად „ოხრანკის“ მიერ შეგზავნის გარემოებათა დასაბუთებად. არგუმენტი, რომლითაც ასეთივე კატეგორიულობით ამტკიცებდნენ, რომ დიმიტრი ჯაში ილიას კარზე სოციალ-დემოკრატების მიერ იყო მიგზავნილი!

ჩვენს ერთ-ერთ წინა წერილში უკვე მოვიტანეთ კიდეც ამონაწერი დ. ჯაშის სტატიიდან ,სადაც ის მოგვითხრობს, თუ როგორ მოხდა მისი ილიასთან მოურავად მოწყობა. ეს ამონაწერები იმისთვის დაგვჭირდა, რათა გვეჩვენებინა, რომ დ. ჯაშის მიერ მოთხრობილ ისტორიას უარყოფითი კომენტარი არ გამოუწვევია და იგი, ამდენად, არსებითად სწორი სქემითაა გადმოცემული. ამ დეტალს, ალბათ, მცირე მნიშვნელობა არა აქვს სინამდვილის აღსადგენად, ვინაიდან, თუ ჯაში სტატიაში რა-

ნეს მოიტყუებოდა, რასაც პროტესტებიც მოჰყვებოდა, კითხვაც აღიძვრებოდა, რომ იგი მოურავად მართლაც გარეშე ბალების მიერ იყო შეგზავნილი.

უეჭველია, ამ აზრით მიეცა კითხვები თავის დროს მ. ჩიკვაიძესაც, რომლის ინფორმაცია არსებითად ეთანხმება იმას, რასაც დ. ჯაში თავის ზემოხსენებულ სტატიაში მოგვითხრობს:

„მე განსვენებული თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ახლო ადამიანი ვიყავი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან, ვცხოვრობდი რა მისი დის საგინაშვილის ბინაში, მის სახლს განვაგებდი. გასული წლის შემოდგომამდე ჯაშის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ მქონია და პირველად მას შევხვდი, როცა იგი მგონი შარშანდელ სექტემბერს შავი შემოსასვლელიდან გამოცხადდა ე. გ. საგინაშვილთან. მან ამიხსნა, რომ აუცილებლად ესაჭიროება საგინაშვილის ნახვა, მაგრამ მე, გავითვალისწინე რა იმ ყბინდელი შფოთიანი დრო, მეორე მხრივ კი ის, რომ სტუმარი შავი შემოსასვლელიდან მოვიდა, მას ვუთხარი, რომ ე. გ. საგინაშვილს სძინავს და მისი მიღება არ შეუძლია. გარკვეული დროის შემდეგ საგინაშვილმა ჯაშისაგან წერილი მიიღო და მან ჯაშზე ცნობების მოძიება დაიწყო, ვინაიდან ისინი ჯაშისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, მე მან დამბარა, თუ იგი მოვიდოდა, დამეტოვებინა. მართლაც ჯაში გამოცხადდა, ამიხსნა, რომ ცოტა ხნის წინათ ცოლი შეირთო, ღარიბადაა, მისი ცოლი უმწეოა და უბრალოდ, დახმარებას თხოულობს. ამის შემდეგ ჯაში რამდენჯერმე გამოცხადდა საგინაშვილთან, ის მას აძლევდა 1-2 ნანეთს. ერთხელ მან ძღვენიც მოიტანა — კაკა ტკბილეულობა — საბშობლოდან მიღებულის სახით. გაზაფხულზე, საადგომოდ მე პეტერბურგში გავემგზავრე საქმეებზე. იქიდან უკვე თვითონ ილია გრიგოლის ძესთან ერთად დავრუნდი 2 ივნისს“.

მ. ჩიკვაიძე განაგრძობს, თუ როგორ შეიტყვეს ილიას მოურავის საგურამოში მოკვლის ამბავი, რის შემდეგაც საჭირო გახდა ახალი მოურავის აყვანა. ილიას თხოვნით, საქმეში ჩაერთნენ მ. ჩიკვაიძე და ე საგინაშვილიც, რომელმაც მოურავად „თავის მხრივ, ჯაშზე მიმითითა. როცა მე თავიდან რეკომენდაცია ჯაშს გავუკეთე, მან (ე. ი. ილიამ — შ. ბ) იგი დაიბარა. მათ ისაუბრეს და ჯაშმა თავადზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ისე, რომ მან ჯაშის აყვანა გადაწყვიტა, რაც გააკეთა კიდევაც. იმ შენიშვნაზე, რომ ჯაშს არაფერი ესმის მეურნეობაში, ვინაიდან ადრე ტიპოგრაფისტად მუშაობდა, თავადმა აღნიშნა, რომ იგი თვითონ შეასწავლის ამ საქმეს. ჯაშმა საგინაშვილზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ვიდრე მოურავად რეკომენდაციას მისცემდა,

ჩემი მეშვეობით ცდილობდა იგი სათავადაზნაურო ბანკში მოეწყო. მე ვიცი, რომ საგინაშვილი მუქარის წერილებს იღებდა. არაფერი ვამბავი ინის შესახებ, რომ ჯაშის სამსახურში მოწყობის მისი სურვილი რაიმე კავშირში იყო ამ წერილების მიღებასთან. თავ. ი. გ. ჭავჭავაძე „ივერიას" რომ სცემდა, ჯაში იქ ტიპოგრაფისტად მუშაობდა, მაგრამ განსვენებული მაშინ მას საერთოდ არ იცნობდა. არავითარი საუბრები ინის შესახებ, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა ჯაში, ჩვენ მისი მოურავად მოწყობისას არ გვქონია. განსვენებულისაგან მე მოვისმინე, რომ ის მუქარიან წერილებს იღებდა, მაგრამ რა შინაარსისას, ვერ გეტყვით, რადგანაც მას ისინი თვითონაც არ უნახავს. როგორღაც განსვენებულმა მიამბო ,რომ მასთან გამოცხადდა 5-6 კაცი ფულის მოთხოვნით, მაგრამ მან მათ აუხსნა, რომ არაფრის შიკეეა არ შეუძლია და ისინი წავიდნენ".

მ. ჩიკვაიძის ჩვენება ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, რომ დიმიტრი ჯაში ადრე, მოსე მემარნიშვილის მოკვლამდე ყოფილა დაახლოებული ელისაბედ საგინაშვილთან; იმდენად, რომ იგი ჯაშის ბანკში მოწყობასაც კი ცდილობდა. არსაიდან ჩანს, რომ ელისაბედს მუქარიან წერილებს დ. ჯაში უგზავნიდა, მოურავობის დღიდან კი მან, თითქოს. ანგვარი წერილების გაგზავნა შეწყვიტა.

ამავე დასკვნას ემოწმება ელისაბედ საგინაშვილის ჩვენებაც, რომელიც მან მისცა ილიაშენკოს 1907 წლის 24 სექტემბერს.

აი, ისიც:

„ჩემი განსვენებული ძმის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მოურავი ჯაში მე პირველად გავიცანი ამა წლის გაზაფხულზე, დაახლოებით 5 თვის წინ. პირველად ის ჩემთან როგორღაც დილით მოვიდა, როცა მე ჯერ კიდევ მეძინა და იგი არ მიიღეს, მით უმეტეს, რომ უცნობების მიმართ საჭირო იყო სიფრთხილის დაცვა, ვინაიდან, მე მაშინ მუქარიან წერილებს ვიღებდი და სხვათა შორის, მივიღე წერილიც 2.000 მანეთის მოთხოვნით. მასში მე მაფრთხილებდნენ, რომ თუ ფულს არ მივცემ, ისევე გამისწორდებიან, როგორც ქიშმიშევს, რომელიც ქუჩაში მოჰკლეს. შემდეგ ჯაში ჩემთან მოვიდა წერილით, რომლითაც დახმარებას მთხოვდა მისი გაჭირვებული მდგომარეობის გამო. ჯაშს ხუთი მანეთი მივეცი, ვინაიდან ჩემს მიერ დადგენილი ცნობებით, ის დახმარებას საჭიროებდა. განსაკუთრებით მისი კარგი დახასიათება მომცა ჩემმა მეგობარმა ჭრელაევმა, ქალაქის მმართველობის მდივანმა. ამის შემდეგ, მე ვმონაწილეობდი ჯაშის ბედ-იღბალში და სიამოვნებით ვეხმარებოდი მას შეძლებისდაგვარად, მითუმეტეს, რომ თვითონვე გვახსენებ, რომ ჯერ კიდევ 11 წლის წინათ, ჯერ კიდევ ყმაწვილი ვნახე ეს

ჯაში გაზეთ „ივერიის“ სტამბაში, რომელსაც განსვენებული ჩემი ძმა სცემდა, როდესაც ეს უკანასკნელი ამ ზაფხულს ჩამოვიდა და ნოურავა ეძებდა საგურამოში მოკლულის ნაცვლად, მე, სხვათა შორის, ვუთხარი ჩიკვაიძეს, თავად ილია ჭავჭავაძის მეგობარს, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ძმა თავისთან მაინცადამაინც ჯაშს აიყვანდა. ჩიკვაიძემ ძმას მიუთითა ჯაშზე, მას იგი მოეწონა და მისი საკითხი გადაწყვეტილი იქნა. არავის არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რომ, თუ ჯაშს მოვაწყობ, თავადან ავიცილებ ნუნუარიანი წერილების მიღებას და, ამიტომაც, არაფერი ამის მსგავსი არ მომიყოლია. მე ვიცი, რომ განსვენებული ჩემი ძმაც იღებდა ისეთ წერილებს, მე რომ ვიღებდი. მაგრამ ის მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მირჩევდა მეც ასე მოვქცეულიყავი, როცა ვუყვებოდი, რომ ეს წერილები მაშფოთებდნენ. რა საფუძველი ჰქონდა ბრელაევს ჯაშის სარეკომენდაციოდ და საიდან იცნობდა იგი ნას, ნე ამაზე ბრელაევისთვის არ მიკითხავს, რომელ პარტიას ეკუთვნოდა ჯაში, მე აგრეთვე არ ვიცი, არავისთან მქონია ამაზე საუბარი. როცა ძმა 27 აგვისტოს ჩამოვიდა, ის არც ერთხელ არ შემოსულა ჩემთან. მხოლოდ ორი კაცის ხელით ყურძენი გამომიგზავნა და დაავალა მას, არ ეთქვა ჩემთვის, რომ იგი ქალაქშია. შემდეგ მე შევიტყვე, არ მახსოვს, ვისგან, რომ განსვენებული ძმა თავის აბრუნებამდე, 30 აგვისტოს, აქ იმისთვის საჭირო რაღაც საქმიან ქაღალდს ეძებდა“ (პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები, თბ. 1939, გვ. 68-69).

კაკლის ხეზე?

წიწამურის ტრაგედიის გამოცანათა ამოხსნისას ტენდენციურად შემოტანილი ის ფაქტიც, რომ რადგანაც დ. ჯაში მკვლელობის დღეს, დილით, საგურამოში მაღალ ხეზე იყო ასული, უეჭველია, ნოურავი ამ ხიდან წიწამურზე საგურამოსაკენ მომავალ გზას გადაჰყურებდა, რათა, დაინახავდა თუ არა, რომ ილიას მოკლავდნენ, იმის მიხედვით ემოქმედა. და აი, დ. ჯაშმა თითქოს დაინახა კიდევაც მკვლელობის ფაქტი, რის შემდეგაც ხიდან ჩამოვიდა, ცხენს მოაჯდა და წიწამურისაკენ აიღო გეზი.

ეჭვი თითქოს ფაქტია, მაგრამ მასაც ხომ შემოწმება და განხილვა ესაჭიროება. ყოველ შემთხვევაში, ის, ვინც დ. ჯაშის ხეზე ასვლის ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს, ალბათ, იმასაც უნდა ითვა-

ლისწინებდეს ,რომ საგურამოდან წიწამურის იმ ასაბვევამდე, სადაც პოეტის სიმსხლი დაიღვარა, დაახლოებით 4,5–5 ვერსია, ამიტომაც საგურამოდან წიწამურის არის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. ნუ დავივიწყებთ, რომ ტრაგედიის ადგილას (მას გ. ბერბიჭაშვილი კამარის-ხევად იხსენებს), ძველი აღწერილობების თანახმად, ტყიანი მასივი იყო და საგურამოდან ამ ადგილას გამავალი გზის დანახვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

დ. ჯაშის ხეზე ასვლის ფაქტი პირდაპირ უკვე ბელეტრიზებულია დანიელ მასლოვის მოგონებებში. საინტერესოა, რომ დ. მასლოვს ინფორმაცია დ. ჯაშზე მიცემული ჰქონდა ჯერ კიდევ 1907 წელს, და მასლოვი მაშინ, მისი აზრით, ყველა მნიშვნელოვან დეტალს იხსენებდა დ. ჯაშზე. აღნიშნავდა, რომ ი. ჭავჭავაძესა და დ. ჯაშს შორის კონფლიქტური სიტუაციაც მყარდებოდა ხოლმე სამეურნეო, კერძოდ, გლეხებთან ურთიერთობის საკითხებზეც. დ. მასლოვი თავის მხრივვე ერთგვარად უკმაყოფილო იყო დ. ჯაშის სამეურნეო საქმეების ცოდნით, მაგრამ საბოლოოდ იგი დ. ჯაშის მიმართ თავშეკავებას იჩენდა და ირწმუნებოდა, რომ „სერთოდ, პირადად მოურავ ჯაშზე არაფერი განსაკუთრებულის ჩვენება არ შემიძლია“–ო (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, გვ. 75).

ასეთია დ. მასლოვის ჩვენება 1907 წელს.

დ. ჯაშის ხეზე ასვლა, ის, რომ იმ ავბედით დილას დიმიტრი ჯაში კაკლის ხეზე იყო ასული, დ. მასლოვს 1936 წელს, ტრაგედიიდან 29 წლის შემდეგ „გაახსენდა“. მართლა დ. მასლოვმა გაიხსენა ეს დეტალი, თუ გაახსენეს? რატომ არ „ახსოვდა“ მას ეს ამბავი იმთავითვე, ცხელ კვალზე? რატომ უჩვენებს დანიელ მასლოვი 1936 წ., რომ ლანის იყო და ეჩხუბებოდა მოურავს, ვიდრე ხიდან ძირს არ ჩამოსვა.

ასეთი პარადოქსი რომ ჩანს, კანონიერი ეჭვი გვებადება იმაზე, რომ დ. მასლოვს 1936 წ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციის წევრებმაც „გაახსენეს“ და კაკლის ხის ეპიზოდი მოგონებაში ჩაართვეინეს. არც ისაა გამორიცხული, რომ დ. მასლოვი, რომელიც განათლებული კაცი იყო და პრესას თუ სხვა სახის ლიტერატურასაც იცნობდა, დ. ჯაშის ხეზე ასვლას იმ ცნობების მიხედვით „იხსენებდა“ და თავის მოგონებებადაც ადიდგენდა, რომლებშიც დ. ჯაშის კაკლის ხეზე ასვლის ფაქტი ბისტიკური იერით იყო წარმოდგენილი.

თუ არა ასეთი ვითარება, უცნაური გასაგები იქნებოდა დ. მასლოვის ჩვენება, ვითომც ილიას მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული დ. ჯაში „ორი წელი “იჯდა. დიდი უზუსტობაა და აშკარა გაზვიადებაც,

ვინაიდან, კარგად ვიცით, რომ დ. ჯაში წინასწარ პატიმრობაში სულ რაღაც 3 თვეს იყო.

ჩვენი შთაბეჭდილებით, ის ფაქტიც ბელეტრიზებულია, ვითომც დ. ჯაში ხეზე გრძელი ჭოკით იყო ასული. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, კაკლის დასაბერტყად, ან ბერტყვის საიმიტაციოდ. მაგრამ 30 აგვისტოს საბურაბე კაკალს ალბათ, აღარ ბერტყავენ, რადგანაც ამ დროს კაკალს ნაჭუჭი უკვე მკვრივი აქვს და სამურაბედ უვარგისია, სანიგვზედ კი, მგონი, კაკალს ცოტა უფრო გვიან იწეენ. „ჩვენებიანთ კიკოლას" რომ „კაკლის ბერტყვა" ჰქონდა, შემოდგომა უნდა ყოფილიყო. ჰო და, თუ ეს ასეა, დ. ჯაში, ეს კონსპირაციის დიდოსტატი, როგორც მას ოხრანკისტები ახასიათებენ, იმაზე მაინც არ დაფიქრდებოდა, თუ რას იტყოდნენ მასზე, რა უნდა მოურავს აგვისტოს მიწურულს კაკლის საბერტყად რომ ასულა ხეზეო? დ. მასლოვთან მოსული ლიტერატურული ექსპედიციის წევრებს, მის „მოგონებას" რომ ალამაზებდნენ, ალბათ, უფრო ერჩიათ, საქმე ისე დაეხატათ, რომ კაკლის ხის კენწეროზე ყვავს დაედო ბუდე და ახლა დ. ჯაში ამიტომ აბობღდა ხეზე ჭოკით, რომ ყვავის სახლობა გაერეკა. ასე უფრო დამაჯერებელი და ლამაზად გაფორმებული იქნებოდა დანიელ მასლოვის მოგონება!

გულუბრყვილოდ უცნაური დ. მასლოვთან ისიცაა, რომ მოგონების მიხედვით, ივი საგურამოს მამულში ილიას შემდეგ ლამის მეორე კაცია, ყველაფერი იცის, ვინ და როდის უნდა ჩამოვიდეს და წავიდეს. მას ამის უფლებაც აქვს, ჯაშს ჩხუბიც კი აუტეხოს, ხიდან ჩამოდი, ხომ იცი, თავადი უნდა ჩამობრძანდესო. ვინაა ბოლოს და ბოლოს დ. მასლოვი — მეფუტკრე, თუ მოურავი? ამდენი უფლებები მამულში ხომ მოურავს აქვს?

და ბოლოს, რაღაცა დაუჯერებლად ჟღერს დ. მასლოვის ჩვენება, თუ როგორ ებრძოლებოდა ნას ილია ჭავჭავაძე, მომაცილე დ. ჯაში, წავიდეს და მე მას უკეთეს ადგილს მივცემო. დ. მასლოვი აქ საქმეს ისე ხატავს, თითქოს, დ. ჯაში ჯაყო ჯივაშვილივით ისე გადიდკაცებულა ილიას კარზე, რომ ილიას მისგან გასათავისუფლებლად სხვათა დახმარება სჭირდება და აი, ერთადერთი ასეთი დამხმარე დ. მასლოვია. ამ მონათხრობსაც გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვს: დ. ჯაშს თავისი გავლენის ქვეშ მოუქცევია ილია ჭავჭავაძე, მოურავი ჩაგრავს უბედურ მოხუცს,, რომელიც შველას საჭიროებს. დ. მასლოვის მონაყოლის მოსალოდნელი ეფექტი ნათელია: დ. ჯაში სწორედ ის პიროვნება უნდა იყოს, ვისაც შეეძლო და არაფრადაც უღირდა ილიას მოკვლა. კაცმა რომ თქვას, ამგვარი დ. ჯაში სრულიად არ ჰგავს იმ მოურავს, რომლის შესა-

ხებ ჩვენებებსაც დ. მასლოვი ჯერ კიდევ 1907 წ. იძლეოდა. არც დ. მასლოვის 1936 წელს წარმოსახული ილია არის ისეთი უმწეო პიროვნება, როგორადაც სინამდვილეში ვიცნობთ პოეტს მოხუცებულობაში.

სინამდვილეში ილია მტკიცე ხასიათისაა და საკუთარი ინტერესების ენერგიული დამცველი. ცხადია, მას იმის ძალაც აქვს, რომ საკუთარი სურვილისამებრ აიყვანოს და გაუშვას კიდევაც მოურავი. საამისოდ მეფუტკრე დანიელ მასლოვის დახმარება, ვეჭვობთ, რომ დასჭირვებოდა.

აღნიშნული „მოგონების" გარჩევას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — უჩვენოს, თუ როგორი წარმოშობისა და ღირსების ინფორმაციას შეიცავს დანიელ მასლოვის ცნობა დიმიტრი ჯაშის კაკლის ხეზე ასვლისა და იქიდან ჩატარებული სადაზვერვო ოპერაციის შესახებ.

არა და, ათეული წლებია, „ოხრანკისტები" ლაპუტიების შესაშურად მშვიდი სიდარბაისლით არწმუნებენ საზოგადოებას, რომ დ. მასლოვის „მოგონების" სახით ძლიერი ჩვენება გააჩნიათ დ. ჯაშის დასადანაშაულებლად.

სხვა მოგონებები

ვერაფერს კონკრეტულს ვერ ჰმატებს „ოხრანკის" ვერსიას 30-იანი წლების მიწურულს, პირველად ალექსანდრე სიგუას მიერ გამოქვეყნებული, ასოთამწყობ ა. ვადაჭკორიას, პოლიგრაფისტ ლ. ხელაძის და ცნობილი ეკონომისტისა და პუბლიცისტის ფ. გოგიჩაიშვილის მოგონებანი დ. ჯაშზე (ა. სიგუა. „დიმიტრი ჯაში და ოხრანკა". გაზ. „მუშა", 14. IX. 37. შეადარე: პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბ., 1938, გვ. 27-30, სადაც ა. სიგუას გამოცემული მასალა ითქმის მთლიანადაა გადატანილი ილიას მკვლელობისადმი მიძღვნილ ნარკვევში).

ზემოხსენებული მასალები, როგორც ვნახავთ კიდევაც, სინამდვილეში იმის საწინააღმდეგო აზრს გვიქმნიან, რაშიც მკითხველის დამატებით დარწმუნებასაც ა. სიგუა და პ. გუგუშვილი ცდილობდნენ. მათი მტკიცებით კი, იმთავითვე, კერძოდ, 1907 წელსვე, დ. ჯაში თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით რეაქციონერი, მონარქიის თაყვანისმცემელი და, ცხადია, „ოხრანკის" აგენტიც იყო.

განვიხილოთ ეს არგუმენტები.

ა. ვადაჭკორიას ნაამბობი

ა. ვადაჭკორია ყვება, რომ ერთხელ მას თურმე თბილისის სადგურში უნახავს, თუ როგორი აყალმაყალი აუტეხია დ. ჯაშს ოფიცერ ჩახავასთვის, რის შემდეგაც ორივენი — დ. ჯაში და ჩაბავა სპოლიციმაისტეროში შეუყვანიათ. მალე თვითონ პოლიციმაისტერიც მოსულა. ამ წამსვე ყველანი, დ. ჯაშის გარდა, გარეთ გაუყვანიათ. პოლიციმაისტერსა და ჯაშს უსაუბრიათ, რის მერეც დ. ჯაში გარეთ გამოსულა და თანაც ჩაბავას საჯაროდ დამუქრებია, ნახე, თუ შენ სამ დღეში არ დაგიჭირონო...

ა. ვადაჭკორია იმასაც ყვება, რომ ერთხელ იგი დ. ჯაშს თავისთან სახლში დაუპატიჟია. სტუმრად მისულს მას ჯაშთან ვიღაცა უცნობი დახვედრია, ვისზეც დ. ჯაშს უთქვამს — ეს ჩემი მეგობარია ილიაშენკო, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გადამარჩინა დაღუპვას".

ილიაშენკოსაც დაუმატებია: „მთელი ქართველი ხალხი მოითხოვდა ჯაშის დასჯას, მაგრამ მე გადავარჩინეო".

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ა. ვადაჭკორიას ამ ცნობებით, იმისა, რომ დ. ჯაში ილიას მკვლელობის დროსვე იყო „ოხრანკაში" და ილიაშენკოსთანაც უკვე მაშინვე მეგობრობდა? სწორედ ასეთნაირად უნდა დავუსვათ კითხვა ა. სიგუას და პ. გუგუშვილს, და თუ ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებდნენ, მაშინ შეეძლოთ და უნდა შეეტანათ კიდევაც ა. ვადაჭკორიას ცნობები „ოხრანკის" ვერსიის გასაძლიერებლად.

აქ კი რა ჩანს?

თუ ა. ვადაჭკორიას მიერ ყველაფერი ზუსტადაა მოთხრობილი, მხოლოდ ის შეიძლება დავინახოთ, რომ ილიას მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებისა და გამოძიების შემდეგ დ. ჯაშს და ილიაშენკოს ერთმანეთი გაუცვნიათ, თანაც დაახლოებულან კიდევაც.

ესაა და ეს.

რაში წაადგება ეს დეტალი ოხრანკისტების იმ სქემას, რომ დ. ჯაში ოხრანკის აგენტი იყო უკვე 1907 წელსვე?

არაფერში.

ბ. ლუარსაბ ხელაძის ნაამბობი

ა. სიგუასა და პ. გუგუშვილის მიერ საგანგებო ყურადღება მიექცა ლ. ხელაძის მოგონება-ნარკვევს — „ვინ იყო დ. ჯაში?" ზემოხსენებულ ავტორებთან ლ. ხელაძის მოგონება საარქივო მასალის სახით იყო მიტა-

ნილი. შემდეგში ლ. ხელაძის მოგონება გამოქვეყნდა კიდევაც (იხ. ლიტერატურის მატიანე, თბ. 1940, 1-2, გვ. 194-197).

ლ. ხელაძე იგონებს, რომ მასთან პოლიციმაისტერს ზასიპკინს (ეს უკანასკნელი თბილისის პოლიციმაისტერი იყო) პოლიციის ერთი ჩინი გამოუგზავნა თხოვნით, დ. ჯაში მოძებნეთ, მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იბარებსო. ლ. ხელაძისათვის დ. ჯაშის მოძებნა იმიტომ უთხოვიათ, რომ იგი სტამბის დირექტორი იყო და დ. ჯაში მასთან მუშაობდა.

დ. ჯაში მოძებნეს და მეფისნაცვალთან გაგზავნეს.

აი რა მოუყოლია ამის თაობაზე დ. ჯაშს ლ. ხელაძისათვის:

„კანცელარიის დირექტორმა ალბათ, იცოდა, ვინ ვიყავი, რა ვიყავი, და მომცა ადგილი, სადაც უნდა ვმდგარიყავ. მე გაოცებული ვიყავი ამ სანახაობით. ჩემ დღეში არ ვყოფილვარ დიდრონ პირებთან და არც ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. ზალაში იდგნენ გაყოფილი ორ რიგად: ერთ მხარეს საბჭედრო პირები იყვნენ ჩამწკრივებული, მეორე მხარეს საგმოქალაქო ჩინის პირნი. მე ვიდექი ზალის შუა ადგილას, მაგრამ ვდელავდი და სულ ვკანკალებდი. ამ დროს გამოდის ზალაში მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი თავის ამალით და ყველას ესალმება იქეთ-აქეთ. ამ დროს მკითხულობს: «А где же Джигит» (ფსევდონიმი ჯაშისა). რომ უჩვენეს ჩემზე, წამოვიდა მეფის მოადგილე ჩემკენ მისასალმებლად და მე, როგორც გამოუცდელმა, არ ვიცოდი დიდრონ პირებთან შეყრის წესრიგი — დავიჩოქე და თაყვანი ვეცი, თუმცა ასე არ უნდა მოვქცეულიყავ. მეფის მოადგილე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „ჯიგიტი" თქვენა ხართ, მოსკოვისა და პეტერბურგის უწყებებში რომ სწერთ ჩემზე? მე დავუდასტურე და შემაქო: „ყოჩაღ, ყოჩაღ, საგმშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარო" და სხვა. მთხოვა, განმეგრძო მუშაობა დიდი რუსეთის საკეთილდღეოდ. მომაგონდა აგრეთვე გაზეთ „მოსკოვის უწყებებში" დაბეჭდილი დიდი ფელეტონი, „ჯიგიტი"-ს ფსევდონიმით, რომელიც შეეხებოდა, სხვათა შორის, თათრების მიერ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების შერყევას და ბოლოს ვამთავრებდი: «Но от зорьких глаз наместника Кавказского ничего не улизнул». ე. ი. დროზე იყო შენიშნული ნაკლი მეფის მოადგილის მიერ, რაც სასწრაფოდ აღდგენილი იქნა". (ლიტ. მატიანე, 1-2, გვ. 195).

ლ. ხელაძის მოგონებაც ა. სიგუას და პ. გუგუშვილის მიერ იმ აზრით იქნა მოტანილი და გამოყენებული, რომ დ. ჯაშს იმთავითვე კონტაქტები ჰქონდა რეაქციონერ-მონარქისტებთან, ამ შემთხვევაში მეფისნაცვალთანაც კი. წინასწარ იმ თვალსაზრისზე მდგომნი, რომ დ. ჯაშმა ილია ჭავჭავაძე „ოხრანკის" დავალებით მოაკვლევინა, ლ. ხელაძის მო-

გონების ნაწ. ვეტის ჩართვით მკითხველებს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიან, თითქოს მკვლელობა ვორონცოვ-დაშკოვის წრეში უნდა დაგეგმილიყო. აკი დიმიტრი ჯაში მარტო „ოხრანკასთან" კი არ იყო შეკრული, თვით ვორონცოვ-დაშკოვთანაც კი ასე „ახლოს" ყოფილა?

მაგრამ ლ. ხელაძის მოგონებაც სრულიადაც არ იძლევა საშუალებას პუბლიკატორთა ჩანაფიქრი გავიზიაროთ.

ჯერ ერთი, გასაკვირვებია, თუ რა დროს ებეჭა და ასახავს ლ. ხელაძის მოგონების ის პასაჟი, სადაც მეფისნაცვლის რეზიდენციაში ჯაშის მისვლაზეა საუბარი. ამ საკითხის გასააზრებლად, ალბათ, გარკვეული შუქის შეტანა შეეძლება დ. ჯაშის „ჯიგიტის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიის დაძებნას. პირადად ჩვენ ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხეთ, მაგრამ აქ, ალბათ, მაინც უფრო მოგვიანო — 1908-1909 წწ. ან კიდევ უფრო გვიანი, პირველი მსოფლიო ომის წლებიც იგულისხმებოდეს. მართლაც დ. ჯაშს მოუყოლია და ამას ლ. ხელაძეც იგონებს: „იმ ხანებში მომანდვეს მუდმივი მეთვალყურეობა გერმანელთა კოლონიებისა (ეკატერინენფელდი, ლიუქსემბურგი, ელენენდორფი), მწერდა მოცემული წინადადება, ფბიზელი ყურადღება მიმეექცია ნათთვის" (გვ. 196).

დ. ჯაშის მიერ მოხსენებული „გერმანელთა მეთვალყურეობა" სწორედ ის სამუშაოა, რომელსაც იგი თვითონ „ოხრანკაში", კონტრდაზვერვაში სამსახურად თვლიდა. ამის თაობაზე 1941 წ. გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლოში მოწმედ დაბარებულმა დიმიტრი ჯაშის ძმამ, პარტიის ძველმა წევრმა უშანგი ჯაშმაც თქვა.

აი, მისი ჩვენებაც:

„ჩემს ძმას ბევრჯერ შევკითხივარ, თუ იყო ის მეფის ოხრანკის აგენტი, ან ილიას მკვლელობის მონაწილე. ის ამბობდა, რაზვეტკაში ვიყავი, მეო ნამესნიკისაგან დანიშნული ვიყავი გერმანელების ჯარების ზედამხედველათო. ილიას მკვლელობის მონაწილე კი მე არა ვარო და ეს ტყუილი ცილისწამებაააო".

შემდეგ უშანგი ჯაშმა, იცოდა რა ვის სასამართლოზეც იყო, დასძინა: „მე კი ის ვიცი, რომ დიმიტრი ჯაში ოხრანკაში იყო და, ალბათ, ოხრანკამ მოაკვლევინა როგორც არა ერთ ტერორებს ახდენდნენ ახრანკის აგენტები".

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ მეფისნაცვალთან აუდიენციისა და ამასთან დაკავშირებული ამბების ისტორია, თუ ლ. ხელაძეს ყველაფერი სწორად აქვს გახსენებული, ვერაფერს დაგვეხმარება იმის გასარკვევად, რომ დ. ჯაშს უკვე 1907 წელს „მჭიდრო კონტაქტები" ჰქონდა მონარ-

ნისტების ზედა ეშელონთან და, აბის შესაბამისად, ობრანკასთანაც.

სხვა შემთხვევაშიც ლ. ხელაძის მოგონება საკმაოდ ფრთხილად გამოსაყენებელია მისი (თუ მისი ნაწერის რედაქტორების) აშკარა შეცდომებისა და ტენდენციურობის გამო. მაგალითად, ლ. ხელაძე იგონებს, რომ დაახლოებით 1904 წ. თუ ცოტა გვიან „აღარ მახსოვს, ილია ჭავჭავაძე, აძორჩეული იყო საბჭოს საბჭოს წევრად" (გვ. 196). შევდომაა! ილია სახელმწიფო საბჭოში 1906 წ. აირჩიეს. ლ. ხელაძეს ისიც ახსენდება, რომ დ. ჯაში ადრე ასოთამწყობად მუშაობდა «Типографский рабочий»-ში, რომელიც გამოდიოდა იმ ხანებში, ე. ი. 1901 წელს, ნიკო ელიავას რედაქტორობით. იბეჭდებოდა ნ. თამამშვილის სტამბაში. სულ ეს იყო მისი (ე.ი. დ. ჯაშის — შ. ბ.) სტამბაში მუშაობის სტაჟი" (გვ. 195). რატომღაც დ. ხელაძეს, ალბათ, „არ ახსოვს", რომ დ. ჯაში „ივერიის" სტამბაშიც მუშაობდა, სადაც 1905 წელს საკმაოდ გაბოროტებული „რევოლუციონერის იერი" ჰქონდა. რატომ არ ახსენდება ეს ლ. ხელაძეს? იმიტომ, რომ ამით ერთგვარი წინააღმდეგობა წარმოიქმნება იმ თვალსაზრისთან, რომელსაც სურს დ. ჯაში მაინცდამაინც რეტროგრადულ-მონარქისტებთან დაახლოებულ პიროვნებად წარმოგვიდგინოს?

კიდევ უფრო გასაოცარია ლ. ხელაძის (ლ. ხელაძის?) მონათხრობი, რომ მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობის წრეები უკმაყოფილონი იყვნენ ილიას მუშაობით სახელმწიფო საბჭოში, ისინი, ცხადია, პოეტის თავიდან მოშორებას განიზრახავდნენ. და აი, ლ. ხელაძის სიტყვებით, „განზრახვა საქმედ აქციეს. დ. ჯაში არ კმაყოფილდება მეფის მოადგილის შეთავაზებულ ადგილს და მას კიდევ ახალ ადგილს სთავაზობენ. საგინაშვილის ქვრივი, მეფის მოადგილის კანცელარიის პროტექციით, შუამდგომლობს ილიასთან, მოაწყოს ჯაში საგურამოში, როგორც კარგი და გამოცდილი სამოურავო კაცი, თუმცა არავითარი სამოურავო ცოდნა მას არა ჰქონდა. ჯაში ჩადგა მოურავად და შეუდგა „მუშაობას". გავიდა დრო. ჯალათებმა და ნაძირალებმა ისე მოაწყეს საქმე, როგორც უნდოდათ". (გვ. 196).

არაფერი მოგონება არაა ეს.

საქმე გვაქვს ფაქტების უსისტემო შეკოწიწებასთან იმ მიზნით, რათა, რაღაც უნდა დაჯდეს, დ. ჯაში ილიას მკვლელად იქნეს გამოცხადებული, რასაც მოგონების მიხედვით მკითხველთა ნასა იოლად დაიჯერებს. აბა მოგონება რისი მოგონებაა, თუ მას არ დავუჯერეთ?

სინამდვილეში კი ის აზრი, რომ დ. ჯაში ილიას მოურავად მეფისნაცვლის კანცელარიის თხოვნით იქნა მიღებული, სწორი არაა. ეს კარ-

გად ვიცით შ. ჩიკვაიძის ჩვენებითაც. არავითარი ხელმოსაკიდებელი აქ
ეურნალს იმ მტკიცებულებასაც, რომ დ. ჯაში მოურავად მას შემდეგ მოეწყო, რაც
ილია ერეკლეს იყო დანიშნული მეფისნაცვლის ხალხის მიერ თანამდებობაზე (ივულისხმება გერმანელთა მეთვალყურეობა). დ. ჯაშმა ეს საბუ-
ხური, როგორც ვიცით, მას შემდეგ დაიწყო, რაც ილიას მოურავობის
თავი დაანება, და თვითონ პოეტიც უკვე ჯალათების მსხვერპლთა რიცხ-
ვში ითვლებოდა.

აი, რა ლირსების არგუმენტაციითა და მასალებით კვებავდნენ
„ოხრანკისტები" ქართველი ხალხის გონებას ილიას მკვლელობის ისტო-
რიაზე.

კიდევ უფრო გასაკვირი და უცნაურია ის ფაქტი, რომ დ. ჯაშის
ოხრანკასთან კონტაქტების და საერთოდ უარყოფითი შტრიხებით შესაძ-
კობად გამოყენებულ იქნა ცნობილი ეკონომისტისა და პუბლიცისტის
ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონება დ. ჯაშზე, რომელიც იმის საბუთია,
ოვეო ფაქტებს ვეცნობს, რაში ლარწმუნებასაც ა. სოგუას და ბ. ...
ვილის პუბლიკაციები ისახავდნენ მიზნად.

გავარჩიოთ ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება.

გ. ფილიპე გოგიჩაიშვილის მონათხრობი

ფ. გოგიჩაიშვილი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბ-
ლიცისტი და ეკონომისტი, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-
ერთი ორგანიზატორი იყო.

თავის მოგონებაში ფ. გოგიჩაიშვილი იხსენებს მის მიერ ...
„ივერიის" რედაქტორად მუშაობის იმ პერიოდს, როცა ფილიპე ...
ბენ და მისმა ჯგუფმა ხმაურიანი კამპანია აატეხეს ილია ...
ნაალმდეგ „მოგზაურიდან". ილიამ თავის დასაცავად პასუხიც დაწერა —
„ეუ თუ?" და ფ. გოგიჩაიშვილს გადასცა „ივერიაში" გამოსაქვეყ-
ლად. ამ ამბის გახსენებისას ფ. გოგიჩაიშვილი ერთგვარი თავისმართლე-
ბის იერით (ვინაიდან ამ საკითხზე ქართულ ინტელიგენციას არც ადრე
და არც შემდეგ ერთგვარი აზრი არ ჰქონია) განმარტავს, რომ იმჟამად
ნას რედაქციაში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ საშუალება არ მისცა
ილიას პასუხი გაზეთის ფურცლებზე დაებეჭდა და ამიტომაც ეგი იძუ-
ლებული გახდა დამატების სახით და სარედაქციო შენიშვნით დაესტამბა.

ამ ამბავთან დაკავშირებით, ფ. გოგიჩაიშვილი იხსენებდა: „უნდა
ბოგახსენოთ, რომ რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომ-
ლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მა-

შინათვე გაფიცვას მოვაწყობთო. ერთად-ერთი (თუ ერთ-ერთი-შ.ბ.) სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა რომ არ დამებეჭდა ილიას პასუხი .თუ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ წერილი დაიბეჭდებოდა, მაშინ მე მემუქრებოდა ყველა მუშების საერთო გაფიცვით.

მას შემდეგ, წერს ფ. გოგიჩაიშვილი, „რაც ილიას პასუხი მაინც დაიბეჭდა", ჯაში შემოვიდა ჩემთან რედაქციაში გულმოსული და მითხრა, რომ წერილი მაქვს დაწერილი ილიას წინააღმდეგ და უნდა დამიბეჭდოო. მე კატეგორიული უარი განვუცხადე".

ფ. გოგიჩაიშვილი უკიდურესად უარყოფითად ახასიათებს დ. ჯაშს. მისი სიტყვებით, „დ. ჯაში არც ერთ პროგრესულ პარტიას არ ეკუთვნოდა". შემდეგ მოგონების ავტორი დასძენს: „1905 წელს მე საზღვარგარეთ წაველი. პარიზში გავიგე, რომ ჯაში ილიას მოურავად მოწყობილიყო. ვეკითხებოდი ჩემს თავს, როგორ მოხდა ეს და როგორ შეძვრა ეს საზიზღარი ლაწირაკი ილიას მოურავად-მეთქი".

ა. სიგუას და პ. გუგუშვილის მიხედვით, ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება „ობრანკისტების" სქემას ავსებს და ამაგრებს. მაგრამ საკმარისია კაცმა წინასწარი აკვიატებული აზრით არ წაიკითხოს ფ. გოგიჩაიშვილის მონათხრობი, რომ მასში „ობრანკისტების" საწინააღმდეგო თვალსაზრისი ამოიკითხოს.

დავუკვირდეთ, აბა ფ. გოგიჩაიშვილის ნაამბობს.

ავტორის თქმით, „ჯაში არ ეკუთვნოდა არც ერთ პროგრესულ პარტიას". ეს ფრაზა, უეჭველია, მეშუარისტისათვის თავის დასაზღვევი სიტყვებია. ნუ დავივიწყებთ, რომ ფ. გოგიჩაიშვილი თავის მოგონებას წერილობით აღადგენდა 30-იანი წლების დიდი ტერორის წლებში. ამიტომაც ავტორი შეეცდებოდა დ. ჯაშის უპარტიობაში ბაზგასმით ერთგვარი ალიბიც შეეტანა თავისთვის, თუ ვინმეს მისი მონათხრობის მიხედვით დ. ჯაში სოციალ-დემოკრატების კაცად წარმოუდგებოდა. ეს კი საშიში იყო მაშინ, როცა ილიას მკვლელობის საკითხში ბოლშევიკური პროპაგანდა გულდასმით შლიდა სოციალ-დემოკრატების კვალს და ყველაფერს „ობრანკას" აბრალებდა.

მაგრამ აბა საერთოდ დავუკვირდეთ ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაამბობს.

ფ. გოგიჩაიშვილი არაორაზროვნად გვაცნობს, რომ 1905 წ. დ. ჯაში აქტიურად გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის პასუხის გამოქვეყნების წინააღმდეგ. თანაც დ. ჯაში ამ პროტესტს ულტიმატუმის ფორმითაც ავლენდა, როცა საყოველთაო გაფიცვის მოწყობით იმუქრებოდა. შემდეგში, როცა ილიას პასუხი მაინც დაიბეჭდა, დ. ჯაში ახლა პასუხის

დაბეჭდვას მოითხოვდა.

რა პიროვნება ჩანს ამ მოგონების მიხედვით დ. ჯაში, როგორია მისი პოლიტიკური ფიზიონომია, ვის პოლიტიკურ პლატფორმაზე იმყოფება?

1905 წლის ამბების ელემენტარული მცოდნე უნდა იყო, რათა გაიგო, რომ ფ. გოგიჩაიშვილის მოგონებისეული დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების პოზიციებზე მდგომი პიროვნებაა, მათ საქმიანობაშია ჩაბმული და თანაც როგორ ენერგიულად. თავკაცივითაც კი იქცევა: სტამბის მუშების საყოველთაო გაფიცვით იმუქრება, ჩანს, მას ილიას საწინააღმდეგო აქციაში ამგვარი მუქარისათვის მარტო თქმისა კი არა, ასრულების საშუალებაც აქვს.

იქნება ზოგიერთმა კამათიც დაიწყოს ფ. გოგიჩაიშვილის მოგონების ამგვარ ინტერპრეტაციაზე, მაგრამ ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ილიას პასუხის საწინააღმდეგო მოძრაობა სოციალ-დემოკრატებმა მოაწყეს? ამიტომაც ვერავინ იტყვის, დ. ჯაში რომ აქტიურობდა, ამით „ოხრანკის" პოზიციებს გამოხატავდაო. უცნაური ხოლოდ ისაა, რომ იმთავითვე ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება „ოხრანკისტებმა" მკითხველებს ასე უკომენტაროდ მიაწოდეს თავისი სქემის სასარგებლოდ, თუმცა შინაარსობრივად იგი ამ სქემის საწინააღმდეგოა.

უცნაურია თუნდაც ის, რომ პ. გუგუშვილს მაინც, ვინც ჩვენში ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ცნობილ სპეციალისტად ითვლებოდა და როგორც ეკონომისტიც, ცხადია, ფ. გოგიჩაიშვილსაც სხვებზე უკეთ იცნობდა, „არ გაახსენდა", რომ იმთავითვე ფ. გოგიჩაიშვილი ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგედ ოხრანკას კი არა, სოციალ-დემოკრატებს, კერძოდ, მათ ერთ-ერთ თავკაცს, ფილიპე მახარაძეს თვლიდა. გავიხსენოთ თუნდაც მისი 1913 წელს დაბეჭდილი და ყველასათვის სამახსოვრო სტატია — „უკვდავი ბოროტება" (იხ. „სახალხო გაზეთი", 1913, 12 მაისი. ეს წერილი „ლიტერატურულმა საქართველომაც" გადმობეჭდა: დასახელებული გაზეთი, 1988, 18 აგვისტო). ფ. გოგიჩაიშვილის მოგონების პირველი პუბლიკატორები, 30-იანი წლების დამლევს გულუბრყვილოდ ხომ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ფ. გოგიჩაიშვილმა თავისი „მოგონებით" ახალ დროსა და ვითარებაში უკვე „მოინანია" თავისი ადრინდელი შეხედულება და ახლა ილიას მიმართ ცოდვა ფ. მახარაძეს მოხსნა და „ოხრანკას" გადააკისრა?

საყურადღებოა, სხვათა შორის, ფ. გოგიჩაიშვილის მოგონების ბოლო ადგილი, სადაც იგი იხსენებს, თუ როგორ უკვირდა: საიდან მო-

ხვდაო დ. ჯაში ილია ჭავჭავაძის მოურავად. რატომ საგანგებოდ გამოყოფს ნემუარისტი ამ დეტალს? იმიტომ, რომ ახსოვს: დ. ჯაში ადრე სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე იდგა და რადგანაც ეს ასეა, ალბათ, მათივე მოგზავნილი უნდა ყოფილიყო ილიას მოურავადაც. განა მარტო ფ. ვოვინაიშვილი თვლიდა ასე?

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც ოხრანკისტები გულმოდგინედ ცდილობდნენ საქმეში ჩაუხედავი ნკითხველების დარწმუნებას, რომ ილია ჭავჭავაძე „ოხრანკის" დავალებით იენა მოკლული, რაშიც თითქოს გადამწყვეტი როლი შეასრულა დ. ჯაშმა.

დიმიტრი ჯაშის სოციალური პროფილის შესახებ

ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ არავითარი სანდო ფაქტი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოაწყო დ. ჯაშმა „ოხრანკის" დავალებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით აქ ისიც უნდა ითქვას, რომ იმთავითვე „ოხრანკისტებმა" გულმოდგინედ მიჩქმალეს ის გარემოება, რომ დ. ჯაში, ვიდრე იგი საგურამოს მოურავი გახდებოდა, ახლო იყო მემარცხენე სოციალისტურ ჯგუფთან და, როგორც იტყვიან, მათ კაცს წარმოადგენდა, მათ წრეში ტრიალებდა.

მაშ, რატომ მალავენ ოხრანკისტები ამ ინფორმაციას და არავითარ ახსნას არ უძღვნიან მას? პასუხი ერთია — იმიტომ, რომ ეს საბოლოოდ დაანგრევს „ოხრანკის" ვერსიას, რომლის მომხრეებმაც შესანიშნავად იციან, რომ ფაქტების მიჩქმალვისა და სინამდვილის გაყალბების გარეშე ვეღარ შეასრულებენ სოციალურ დაკვეთას — ყველაფერი „ოხრანკას" დაბრალდეს!

თვალი გავადევნოთ „ოხრანკისტების" მიერ ასე საგულდაგულოდ მიჩქმალურ ფაქტებს.

1917 წელს ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ ვრცელ წერილში (დეპეშაში) დ. ჯაში კატეგორიულად უარყოფდა თავის ყოფნას რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში. მართალია, წერდა დ. ჯაში, მე ჭორს მივრცელებენ, თითქოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ვიყავი და ამ პარტიამ მიმგზავნა ილიასთან მისი მოკვლის მოსაწყობად, მაგრამ მე არასოდეს არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარო.

დ. ჯაშის ეს განცხადება, ერთი შეხედვით, თითქოს გულწრფელია და ნდობასაც იმსახურებს, მაგრამ ჩანს, დ. ჯაში აქ ამოსავალ ვითარებად ხდის პარტიაში ფორმალურად ყოფნას, მაგრამ იგი რომ რეალურად

ყო დაკავშირებული ამ პარტიასთან, და ესაა მთავარი, ამას დ. ჯაში ფარავს.

ვფიქრობთ, სწორედ ამ თვალსაზრისით გვმართებს შევხედოთ დ. ჯაშის პიროვნებას, რათა უფრო სწორად ამოვიცნოთ მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციაც პირველი რევოლუციის პერიოდში, როდესაც იგი ილია ჭავჭავაძის მოურავად მოეწყო.

მართლაც, დ. ჯაში ამ დროს პოლიტიკურად აქტიური პიროვნებაა, რაც სათანადოდ ასახულიცაა მაშინდელ მასალებში.

მოვიტანოთ, მაგალითად, ჟანდარმერიის აგენტურული მონაცემების შემცველი მონაცემები, რომლებიც ჩვენს დროში პირველად შეისწავლეს და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვითარებათა დამდგენი კომისიის წევრებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს პროფესორებმა დევი სტურუამ და ლევან თოიძემ.

1905 წლის 26 ნოემბერს თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსის როტმისტრის მოხსენებაში კავკასიის პოლიციის გამგისადმი აღნიშნულია:

„12. ჯაში დიმიტრი სოფრომის ძე გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, ეკუთვნის სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიას!“ (საქ. სსრ ცსსა ფონდი 94, აღწ. 1, შესანახი ერთ. 2, ფ. 123).

1905 წ. დეკემბერს, იმ პირთა სიაში, რომელიც თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსს მიერთმევა სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის შემადგენლობაზე, დიმიტრი ჯაში ამ პარტიის წევრადაა მოხსენიებული.

„12. ჯაში დიმიტრი სოფრომის ძე გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი (საქ. სსრ ცსსა, ფ. 153, აღწ. 1, შესანახი ერთ. 793, ‖. 25).

1905-1907 წლებში დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატიზაცია მიჩნეული. ამას კარგად ემოწმება თუნდაც ის ფაქტი, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების პოზიციას გამოხატავდა 1905 წ., როდესაც „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის პასუხის დაბეჭდვის წინააღმდეგ იბრძოდა.

დ. ჯაშის ფარულ წრეებში ყოფნასა და მის სოციალ-დემოკრატობაზე სხვა ჩვენებებიც იუწყებიან.

უკვე 1907 წლის 4-6 სექტემბერს ყარამან ფაღავას მიერ წარმოებული დაკითხვის ოქმში აღინიშნება, რომ „ჯაში არაკეთილსაიმედოკაცია. მოურავობამდე შედიოდა რაღაცა საიდუმლო ორგანიზაციაში, რაშიც განსვენებულის (ე. ი. ილია ჭავჭავაძის —შ.ბ.) ნათესავებიც ეჭვიანობენ“ (პ. გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ. 1938, გვ. 53).

1907 წლის 15 სექტემბერს, სამძებრო ნაწილის გამგის ევტუშევსკის მიერ წარმოებული დაკითხვის ოქმში აღინიშნება, რომ განსვენებული ილიას ახალი „მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და სხვადასხვა დროს პოლიტიკურ საქმეზე სამჯერ იჯდა ციხეში. ამასთანავე ჩემი მასთან საუბრისას მან განაცხადა, რომ მის პარტიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მკვლელობაში“ (პ. გუგუშვილი, დასახ. პუბლ. გვ. 58).

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქტორი ივ. ხაჩატუროვი 1907 წლის 17 სექტემბერს ილიაშენკოს მოახსენებდა:

„მე იგი (ჯაში—შ.ბ.) ავიყვანე (დეპეშების ამწყობად) მუშათა კავშირების რეკომენდაციით. იგი თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებდა, მაგრამ ჩემთან შედარებით ხანმოკლე სამსახურისას მან თავი იმ მხრივ გამოიჩინა, რომ მე ყველა საფუძველი მაქვს იგი უბრალოდ ანარქისტად ჩავთვალო“ (პ. გუგუშვილი, გვ. 61).

ილია ჭავჭავაძის მეფუტკრემ დანიელ მასლოვმა 1907 წლის 1 დეკემბერს ილიაშენკოს უთხრა:

„როდესაც ჯაშს საგურამოში სამძებრო პოლიციის აგენტი დაჰკითხავდა, მან ჩემი თანდასწრებით თქვა, რომ ის ახლა არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის, მაგრამ სიმპათიითაა სოციალ-დემოკრატებისადმი“ (პ. გუგუშვილი, გვ. 76).

ის ფაქტი, რომ ადრე, დ. ჯაში საკუთარ თავს სოციალ-დემოკრატად თვლიდა, ხაზგასმით იყო აღნიშნული 1917 წელს პრესაშიც დ. ჯაშის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რაზეც ჩვენ ზემოთ ვრცლად შევჩერდით.

როგორც ვხედავთ, დ. ჯაშის „პარტიულობაზე“ ოხრანკის ცნობები განსხვავებულ მინიშნებებს იძლევა, ვიდრე სხვა ჩვენებები. ეს, ალბათ, იმის შედეგია, რომ „ოხრანკას“ ყოველთვის ზუსტი ცნობები არ ჰქონდა და იგი აკონკრეტებდა დ. ჯაშის „პარტიულობას“. ამიტომაც ერთგან დ. ჯაში სოციალისტ-რევოლუციონერად მიიჩნიეს, მეორე შემთხვევაში კი სოციალისტ-ფედერალისტად. სხვა ცნობებით კი დ. ჯაში სოციალ-დემოკრატია. ამგვარი „აღრევის“ მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ შესაძლებელია დ. ჯაში ყველა ამ პარტიის ირგვლივ ტრიალებდა, ფაქტიურად იყო მათთან. იმ დროს, ჩვეულებრივ, ერთი პიროვნება ერთდროულად შეიძლებოდა რამდენიმე პარტიაშიც ყოფილიყო. მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ისაა, რომ ყველა ეს ის პარტიებია, რომლებიც თავის მუშაობაში აქტიურად მიმართავდნენ ტერორს, თუმცა საჯაროდ უარყოფდნენ ამას.

უკვე ის გარემოება, რომ დ. ჯაში სოციალ-დემოკრატიის წარმო-

მადგენლებთან ტრიალებდა, სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ მას თავი პარტიის წევრად დაესახელებინა და სხვებსაც ასე მიეჩნიათ.

იმ ფაქტისათვის გვერდის ავლა, რომ დ. ჯაში სოციალ-დემოკრატთა წრეში დაახლოებული კაცია, პოლიტიკური ვითარების ბევრი საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებამოკლებულმა ისეთმა ავტორმაც კი ვერ მოახერხა, როგორც კოტე გორდელაძე იყო. მას ხომ შეუძლებელი უნდა დაემტკიცებინა ის, რომ დიმიტრი ჯაში იმთავითვე „ოხრანკის" აგენტი იყო და „ოხრანკამვე" შეგზავნა ილიას მკვლელობის მოსაწყობად? და აი, სულხან-საბას მხატვრისა არ იყოს, თავის დაზღვევის მიზნით, ცალთვალა ნეფე თოფმომარჯვებული რომ დახატა, კოტე გორდელაძემაც ჩამოაყალიბა სრულიად დაუსაბუთებელი სქემა, ვითომც დიმიტრი ჯაში ფორმალურად იყო სოციალ-დემოკრატი, ფაქტობრივად კი — „ოხრანკის" ჯაშუში და კაცისმკვლელი.

რა იოლად და მარტივად უვლიდა საბჭოთა პარტიული ნეკნიერება ყველაფერს!

* * *

მაშ ასე, დ. ჯაში ილიას მოურავად მოწყობამდე სოციალისტურ წრეებში, კერძოდ სოციალ-დემოკრატებში ტრიალებდა, მათი კაცი იყო.

ამ საკითხზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ დიმიტრი ჯაშის მეუღლის დარია ჯაშის (ქალიშვილობაში კოპლატაძის) ჩვენებებში, რომლებიც მან 1941 წელს მისცა გიორგი ბერბიჭაშვილის საქმის წინასწარ ძიებას, და იმავე გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლოზე, სადაც დარია ჯაში მოწმედ იყო მიწვეული.

ჩვენს ხელშია ამ ჩვენებების ორიგინალები, რომლებიც დაცულია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივში, გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლო საქმის კომპლექტში.

საერთოდ, დარია ჯაშის ჩვენებები ერთგვარად „არეულია", სიზუსტითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამასაც ხომ გაგება უნდა. დარია ჯაში ჩკ-ს მიერაა გამოძახებული, რათა ისეთი ინფორმაცია მისცეს, რომლითაც დიმიტრი ჯაშის ოხრანკის აგენტობა და მისი ილიას მკვლელობის თავკაცობა უნდა დამტკიცდეს. გამომძიებლებსა და სასამართლოს სხვა რამ არ აინტერესებთ. დარია ჯაშიც ერთობ გაკვირვებულია: რა უნდათ ამ ბოლშევიკებს, თვითონ არ იყვნენ, ფილიპე მახარაძის მეშვეობით სისხლს რომ უშრობდნენ ილია ჭავჭავაძეს? ახლა კი რა, ილიას დამცველები გახდნენ და იმას ეძებენ, ვინა მტრობდა ილიას და ვინ მოკლა იგი? მაგრამ ასეთი ფიქრების პარალე-

ლურად დარია ჯაშმა ისიც კარგად იცის, რომ ახლა ამდენი განსჯის დრო არაა. ჩკ-ს ისტორიული ექსკურსები და სიმართლის დადგენა სრულიადაც არ აინტერესებს, მას სპეცდავალება აქვს: დიმიტრი ჯაშის საწინააღმდეგო ჩვენებებები უნდა დააგროვოს უკვე არსებული სცენარის გასამუქებლად და ვი მას, ვინც მას ამ საქმეში არ დაეხმარება. დარია ჯაშიც ამას კარგადაა მიხვედრილი და ისიც იცის, რომ სასამართლოს ორგანიზატორების ნებისადმი დაყოლა იხსნის მას და მის ოჯახს. ამიტომაც დარია ჯაში საუბოს ყვება დიმიტრი ჯაშზე, ყაჩაღი იყოო, არ მიყვარდა, მაგრამ იქვე, დარიას არ ავიწყდება იმის თქმაც, რომ დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატებთან მეგობრობდა და მათთან ერთად გადიოდა საქმეებში.

სასამართლოს ორგანიზატორები ამდენს ვეღარ ხვდებიან. მათთვის საკმარისია, თუ დარია დიმიტრი ჯაშის მეგობრებს ყაჩაღებად და ანარქისტებად მოიხსენიებს. მომავალი თაობის მკვლევრები კი კარგად მიხვდებიან, ვინ არიან ეს ანარქისტები, რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები.

მოვიყვანოთ დარია ჯაშის ჩვენებების ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნაწყვეტები.

1941 წ. 6 ივნისს დარია ჯაშმა წინასწარ გამოძიებას უთხრა:

„მე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ შემიძლია გიპასუხოთ შემდეგი: მე დიმიტრი ჯაშმა შემირთო ძალით. მას ჩემს შერთვაში დაეხმარნენ საშა ობოლაძე და ვინმე იმერლიშვილი“.

დავიხსომოთ, პირველ ყოვლისა, საშა ობოლაძე, რომელიც არა მარტო გვარით, არამედ სახელითაცაა მოხსენიებული. იმერლიშვილის სახელს კი დარია ჯაში არ მოიხსენიებს, რაც მისი იდენტიფიკაციის საქმეს გვიროულებს.

გავა ცოტა ხანი.

დარია ჯაში ახლა სასამართლოზე იტყვის:

„მე გავთხოვდი 1906 წელში დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშზე. დავქორწინდით ტფილისში. მე მაშინ ვსწავლობდი ეკატერინე გაბაშვილის სკოლაში.

დაქორწინების შემდეგ ტფილისში ვცხოვრობ სულ მუდამ.

ჩემი მეუღლე არ მუშაობდა ჩემი გათხოვებისას მასზე. მე მან გამიტაცა ყაჩაღებით. შემდეგ დაიწყო მუშაობა — ოთხი-ხუთი თვის შემდეგ.

მე როცა წამიყვანა დიმიტრი ჯაშმა ყაჩაღების საშუალებით, მას ქონდა გაცარცული სასოფლო-სამეურნეო ბანკი. იმით ცხოვრობდა.

მე ეს გავიგე. იქიდან, სადაც მე ვცხოვრობდი ნახლებნიკათ. გვერდით ყაჩაღები ცხოვრობდნენ — იმერლიშვილი, ობოლაძე, ჩიკვაიძე და აკა(?)-შვილი. ბანკის გაცარცვის გეგმა ქონდათ შედგენილი და ფულის გაყოფაზე დავა მოუვიდათ.

მე იძულებით გამიყოლეს, თავის მოკვლა მინდოდა.

მე მეუბნებოდა ჩემი ქმარი, ვისოცკის მეურნეობაში ვმუშაობდი და ღამე არ მოდიოდა. მე არ ვიცი, მუშაობდა თუ არა, დიმიტრი ჯაშს კარგად იცნობდნენ და ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ, წიგნის გამო ეხმარებოდნენ ლადო და ილიკო დარჩიები.

აგრეთვე იმერლიშვილი და ობოლაძეც ხშირად დადიოდნენ დიმიტრისთან. დიმიტრი ნახაზს უკეთებდა გაცარცვისას. ესენი ანარქისტები იყვნენ.

როცა მე წამიყვანა დიმიტრიმ, მე თავი სოციალ-დემოკრატად გამაცნო.

ჩვენს გვერდზე მცხოვრები იყო ნოე რამიშვილი. დიმიტრი მეტწილად დაახლოებული იყო იმერლიშვილთან და ობოლაძესთან და ისინი ეჩხუბებოდნენ, შენ ნოე რამიშვილთან დადიხარო. ანარხისტებთან ერთად ჩემმა ქმარმა ბანკი გაცარცვა...

საგურამოში წასვლის წინ, ნოე რამიშვილმა უთხრა, შენ თუ ილია ჭავჭავაძესთან წასულხარ, ჩვენი ამხანაგობიდან გარიცხული იქნებიო. სხვა სოციალ-დემოკრატებიც იქ იყვნენ"...

• • •

საყურადღებო ჩვენებებია, იმის მიუხედავად, რომ ერთი გადაკითხვით, თითქოს, აზრის გამოტანა ჭირს.

საქმე ისაა, რომ დარია ჯაშის ინფორმაციით, დიმიტრი ჯაში ნოე რამიშვილთან და სხვა სოციალ-დემოკრატებთანაცაა, მაგრამ ის მათთან ფორმალურადაა დაახლოებული. ნოე რამიშვილი დ. ჯაშს ეფუერება კიდეც, თუ ილია ჭავჭავაძესთან წასულხარ, ჩვენი ამხანაგობიდან გაგაძევებთ, ე. ი. პარტიიდან გაგაგდებთო.

სამაგიეროდ, დიმიტრი ჯაშის ნამდვილი ახლობლები სხვები ყოფილან, საშა ობოლაძე და მისი კოლეგები, რომლებსაც დარია ჯაში ანარქისტებს და მძარცველებს უწოდებს. ცხადია, დარია ჯაში პიროვნულად კარგად იცნობდა მათ, ვინაიდან ამ უკანასკნელთა დახმარებით მოიტაცა დარია დიმიტრიმ. ასეთი ხალხის დავიწყება განა შესაძლებელია?

საბჭოთა სასამართლო გულმშვიდად ისმენდა დარია ჯაშის ჩვენებებს დიმიტრი ჯაშის სიახლოვეზე ყაჩაღ და ანარქისტ ძმაკაცებთან, რადგანაც მოწმის ინფორმაცია, როგორც ერვენებოდათ, შესაშური სიზუსტით ჯდებოდა სასამართლოს ოფიციალური სცენარის ჩარჩოებში.

სასამართლოს ორგანიზატორები ხომ მხოლოდ ერთ რამეს ითხოვდნენ: დარიას უნდა ერვენებინა, რომ დიმიტრი ჯაში ბანდიტი და ყაჩაღი იყო, ამიტომაც ასეთი პიროვნება ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზეც უარს როდი იტყოდა. დარია ჯაშიც თითქოს დაჰყვა თემიდის „ერთგულ" მსახურებს და ყველაფერი ისე თქვა, მათ რომ უნდოდათ, მაგრამ ამსობაში მოწმემ ისეთი სიმართლეც შეაპარა, რამაც მომავლისათვის ობიექტური მკვლევარი სწორ გზაზე უნდა დააყენოს.

საქმე ისაა, რომ დარია ჯაშის მიერ მოხსენიებული დიმიტრი ჯაშის ყაჩაღი და ანარქისტი ძმაკაცები სინამდვილეში სოციალ-დემოკრატები არიან. ყველა მათგანის ზუსტი იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ მომავალ ძიებას საჭიროებს, მაგრამ უკვე ახლავე შეგვიძლია ამოვიცნოთ დარია ჯაშის მიერ ხსენებული საშა ობოლაძე.

ეს უკანასკნელი ანარქისტი კი არა, ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ალექსანდრე ობოლაძეა, სტალინისა და ორჯონიკიძის წრის ძველი წევრი, რომელსაც ბოლშევიკური პროპაგანდა ათეული წლის მანძილზე ლეგენდარულ რევოლუციონერად წარმოადგენდა და მისი სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩასაც, მთაწმინდის უბანში, ალექსანდრე ობოლაძის სახელი შეარქვა. სულ ცოტა ხნის წინ გადანათლეს ეს ქუჩა ვახტანგ კოტეტიშვილის სახელით.

რა დამსახურებას უფასებდა ასე ალ. ობოლაძეს საბჭოთა წყობილება?

აი, რას ვკითხულობთ ა. ობოლაძის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ზინაიდა გეგეშიძის მიერ ხელმოწერილ სტატიაში, სადაც ტრადიციული ბოლშევიკური სქემით შემდეგია მოთხრობილი:

„ობოლაძე ალექსანდრე კიმოთეს ძე (1884, რაჭის მაზრა, სოფ. სხვავა, — 10, 11, 1923, ოზურგეთი, ახლანდელი მახარაძე), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში, კომპარტიის წევრი 1901 წლიდან რევ. მოძრაობაში ჩაება 1900 წლიდან. მონაწილეობდა თბილ. მუშათა გაფიცვებში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას, 1903 წელს მუშაობდა რსდმპ თბილ. კომიტეტის არალეგალურ სტამბაში. 1904 წ. დამდეგს ბაქოს სხვა პარტ. ამხანაგებთან ერთად მონაწილეობდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის არალეგალური სტამბის მოწყობაში, იქვე მუშაობდა. იმავე წელს დეკ-ში სტამბა ჩავარდა. დააპატიმრეს. 1905 წ ოქტ-ში გაა-

თავისუფლეს. მაგრამ ჟანდარმერიის დევნის გამო, ბაქოდან გაეგზავნა. 1907-12 წწ. გადასახლებაში იყო ვიატკის გუბერნიაში. 1917 წ. 10 თებ. თბილისში, ალექსანდრეს ბაღში შემდგარ ბოლშევიკურ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. 1922-23 წწ. საქ. კპ. (ბ) ცკ-ის დავალებით მეთაურობდა ხევსურეთსა და ოზურგეთის მაზრაში ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს. დაიღუპა მათთან ბრძოლაში" (ქსე, ტ. 7).

ანალოგიური შინაარსისაა და შეფასებების შემცველია ა. ობოლაძის ბიოგრაფია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა ბიოგრაფიულ კრებულშია მოთავსებული (კრ. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, ბიოგრაფიული კრებული, თბ. 1961).

ა. ობოლაძის ამ ბიოგრაფიული სქემის წყარო თვით ა. ობოლაძის მიერ შედგენილი ავტობიოგრაფიაა დაწერილი რუსულ ენაზე 1922 წელს, როდესაც იგი ახალი დაბრუნებული იყო ხევსურეთიდან. აქ ა. ობოლაძე ებრძოდა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის თანამებრძოლს, ალექსანდრე სულხანიშვილის შეფიცულ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თავდადებით იბრძოდნენ საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. აი, ვინ იყვნენ ის „ბანდიტები", ვისაც საბჭოთა ენციკლოპედიაში განოქვეყნებული სტატიის ავტორის თანახმად, ებრძოდა ა. ობოლაძე.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ა. ობოლაძის „რევოლუციური რომანტიზმით" სავსე ბიოგრაფიაში, მოდით პირადად მასვე მოვუსმინოთ. ავტობიოგრაფიის ქვემომოტანილი ნაწყვეტი ქართულად ვთარგმნეთ.

„დავიბადე 1884 წელს სოფელ სხვავაში. 8 წლისა ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. მამა მღვდელი იყო ოსეთში. როცა დავობლდი, ჩემზე მეთვალყურეობა ბიძამ დაიწყო. მან მე პანსიონში გამაწესა. მაგრამ სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ ვისურვე. პატარაობიდანვე არ მიყვარდა ეკლესია, დედაჩემი, მორწმუნე ქალი, ხშირად მცემდა ხოლმე იმისთვის, რომ სალოცავად არ დავიარებოდი. მან მე ტაძარში შევარქვა. მაშინ ბიძამ წამიყვანა ოზურგეთში, სადაც ის მასწავლებელი იყო საქალაქო სასწავლებელში. მალე დედა გარდაიცვალა და მე სულ დავობლდი. ბიძამ ცოლი მოიყვანა. მას საკუთარი შვილები შეეძინა და მალე ბედის ანაბარა მიმატოვა.

1900 წელს ტფილისში ჩამოვედი სწავლის გასაგრძელებლად. სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ბედმა მაიძულა, ეს განზრახვა მიმეტოვებინა. ტფილისში რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში საჩამომსხმელო საამქროში მსახურობდა ჩემი ნათესავი ამბაკო (ახლა იგი არსენალში მუშაობს). ამ მუშას სკივრში ჰქონდა არა-

ლეგალური ლიტერატურა: „ობობა და ბუზი", „ოთხი ძმა" და სხვა ბროშურები. მე დამშეულივით მივვარდი ამ ლიტერატურას. რამდენჯერმე გადავიკითხე და შემდეგ გადავწყვიტე ფაბრიკაში მუშად მოწყობა. ერთი ნაცნობის საშუალებით, რომელმაც სასტამბო საქმის შესწავლა მირჩია, მე შევედი ხელაძის სტამბაში, სადაც მუშაობდა ვანო ბოლქვაძე. მესტამბეები ყველაზე ერთგულნი და რევოლუციურად განწყობილი იყვნენ. მათ წრეში რომ მოვხვედი ეს იყო 1901 წელი, მე 17 წლისა ვიყავი. ამ წრეში იყვნენ გაბრიელ ურუშაძე (მოკლულია როსტოვში), მინა კალაძე (მოკლულია 1906 წ. ხუდადოვის ტყეში), ვასო ურუშაძე (მენშევიკი), ბრეგვაძე (ციმბირში მოკვდა), ქორიძე სერგო (რკინიგზაზე მუშაობდა) და სხვ. წრე აქტიურად მუშაობდა, ჩვენ დაგვავალეს გაფიცვების მოწყობა, ლიტერატურის გავრცელება, მუშებში პროპაგანდა და ა. შ.

ჩემზე დაკისრებულ ამოცანებს მე ყოველთვის გულმოდგინედ და სწრაფად ვასრულებდი, მაგრამ მე ასეთი ბ[illegible]ობა არ მომწონდა, უფრო საპასუხისმგებლო მუშაობა მინდოდა. ერთ წელიწადში ყველა სტამბა მოვიარე, გაფიცვებში ახალგაზრდებს ვიყოლიებდი.

1903 წ. მე დამავალეს არალეგალური სტამბის მოწყობა. მან ზუსტად ერთი წელი იარსება. 1904 წ. დამდეგიდან ეს სტამბა ვოზნესენსკის ქუჩიდან ჩუღურეთში გადავიდა. იქ მე სკანდალი მომივიდა ნოე რამიშვილთან, მე ტფილისი დავტოვე და ბაქოში გავემგზავრე. მაშინ ჩვენი ფრაქცია უკვე ცალკე მუშაობდა. მე მაშინ ჯერ კიდევ ცუდად ვერკვეოდი პარტიაში მიმდინარე გათიშულობაში. მახსოვს, ამის თაობაზე ბაქოში საგუბერნატორო სასამართლოში ვანო ბოლქვაძეს გავებუტე. მალე მე საფუძვლიანად გავერკვიე და გადავწყვიტე ბოლშევიკების ფრაქციისათვის მბარი დამეჭირა.

1904 წელს ბაქოში ენუქიძესთან ერთად მოვაწყვე არალეგალური სტამბა ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტისათვის. მალე სტამბა ჩავარდა. მე დამიჭირეს და ოქტომბრის მანიფესტამდე ციხეში ვიჯექი. ჩემთან ერთად იჯდა გიორგი რთველაძე — რკინიგზის მუშა, ლადო ხუნდაძე (მენშევიკი), პეტრე მონტინი (შავრაზმელების მიერ ბაქოში მოკლული) და სხვ.

განთავისუფლების შემდეგ, მე ვმუშაობდი ბალახანში, შრიფტითა და სასტამბო დაზგებით ვამარაგებდი ჩრდილოეთ კავკასიას, რის შემდეგაც მე გაძლიერებული დევნა დამიწყეს, მივლინებული ვიქენი ტფილისში, აქედან კი ქუთაისში.

ქუთაისიდან ს. წულუკიძემ გამაგზავნა რაჭის მაზრაში ორგანიზატორ-პროპაგანდისტად, სადაც ვმუშაობდი 1905 წლის ბოლომდე. 1905 წლის დასასრულს თბილისში ჩამოვედი. მაშინ სომეხ-თათართა ულეტა

იყო გაქანებული, როდესაც ვორონცოვ-დაშკოვმა 500 ბერდანკა გასცა, ბუშებმა ასისთავად ამირჩიეს. თუმცა მენშევიკები წინააღმდეგი იყვნენ.

1906 წელს სათავეში ჩავუდექი სამხედრო ორგანიზაციას. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იმდენი ტერორისტული აქტი, რაც მე წილად მხვდა, კავკასიაში, არავის შეუსრულებია. 1906 წ. პირველ ნახევარში ყველა ტერორისტულ აქტს ვასრულებდი პარტიის დავალებით, მეორე ნახევრიდან კი დამოუკიდებლად.

1906 წლის მეორე ნახევარში მენშევიკებთან უთანხმოება მოვიდა განიარაღების თაობაზე. ისინი მოითხოვდნენ, რომ ჩვენ იარაღი ჩაგვეპარებინა, მე კი არ ვეთანხმებოდი. ჩვენი პარტკონფერენციის დადგენილებით, ჩვენ უნდა შეგვენახა იარაღი და პარტიზანული ბრძოლა გაგვეწია, მაშინ როცა მენშევიკები ამის წინააღმდეგი იყვნენ, ვინაიდან ჩვენი ფრაქცია მაშინ მენშევიკებთან ერთად მუშაობდა, მე არ დავეთანხმენი განიარაღებას და ცალკე ჯგუფი შევქმენი. ჯგუფს გააჩნდა საკუთარი სტამბა და ჰყავდა თავიდან ფეხებამდე მუდმივად შეიარაღებული 60 კაცი. ჩვენს ჯგუფში მუშაობდა ამხანაგი დათიკო ჭიაბერიანი, თვითონ კობა — სტალინი გვიჭერდა მხარს. ერთ-ერთ კონფერენციაზე მან შეიტანა რეზოლუცია ჩვენი უკან მიღების შესახებ, მენშევიკებმა ხმის უმრავლესობით ჩააგდეს კობას ეს რეზოლუცია. კობა ხშირად ეუბნებოდა მათ, „რა გინდათ მათგან, ისინი მოწინავე მუშები არიან, ნამდვილი რევოლუციონერები, თავი დაანებეთ მათ". მაგრამ მენშევიკებს გაგონებაც არ უნდოდათ. ისინი ჩვენ ტალახში გვსვრიდნენ. მე მოვითხოვდი პარტიის გაწმენდას წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან. მუშებისადმი შიმართულ ერთ-ერთ პროკლამაციაში მე ვამბობდი: „საჭიროა რკინის ცოცხით გავწმინდოთ ჩვენი პარტია და მხოლოდ მაშინ გახდება ივი ჭეშმარიტად პროლეტარული და რევოლუციური".

„1907 წლის 13 თებერვალს დაპატიმრებული და გადასახლებული ვიქენი ვიატკის გუბერნიაში თავად ტუსიევის (ტუსიშვილი-შ.ბ.) გვარით. დავბრუნდი 1912-ში". (საქართველოს უახლესი სოციალ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის პარტარქივი. ფონდი 93, აღწ. 2, საქ. 704).

ავტობიოგრაფიის მომდევნო ნაწილებში ა. ობოლაძე იგონებს თავის შემდგომი წლების საქმეებს. მაგალითად, 1920 წლისათვის იყო თბილისის კომიტეტის წევრი. 1921 წ. თებერვლის ამბების დროს ნაძალადევში მეთაურობდა მენშევიკური გვარდიისა და სამხედრო ნაწილების განიარაღებას და ა. შ. 1922 წ. ებრძოდა ხევსურეთში მყოფ ალექსანდრე სულხანიშვილის შეფიცულთა რაზმს, ეკავა მსხვილი პოსტები...

1923 წ. საბჭოთა ხელისუფალთა მიერ ა. ობოლაძე გაიგზავნა გურიაში მენშევიკური ორგანიზაციების ლიკვიდაციოდ, რაც მან დიდი

სისასტიკით განახორციელა. უმიზნოდ დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა — მათ შორის ქალები და ბავშვები, რომლებსაც ცეცხლმოდებულ სახლებში წვავდნენ. ასეთი აწიოკება გურულებს 1905 წ. ალიხანოვ-აღ-ორიელის დამსჯელთაგანაც კი არ ახსოვდათ. რევოლუციური ბრძოლის ტერორისტული მეთოდების ერთგული, ბოლოს თვითონ შეიქმნა სახალხო შურისძიების მსხვერპლი: ა. ობოლაძე მოკლა გოგია ღლონტმა, რომელიც ადრევე აფრთხილებდა მას, თავი დაენებებინა უდანაშაულო გლეხობის, ბავშვებისა და ქალების ხოცვისათვის. ამ ამბავთან დაკავშირებით იძღერეს შემდეგში გურულებმა: „გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა"...

მკითხველი ალბათ, გაიკვირვებს, თუ რა კავშირშია ა. ობოლაძის სისხლიანი ისტორია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხთან. რის დამტკიცებას ვცდილობთ ჩვენ ამ ფაქტით?

ამჯერად მხოლოდ ერთი რამის, იმის, თუ რომელი წრის წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ობოლაძე, ვისი ძმაკაციც იყო დიმიტრი ჯაში. აი, ვისთან ტრიალებდა ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძესთან მოურავად მისვლის წინ, რა შუაშია „ოხრანკა", რომელმაც, თითქოს დ. ჯაში ილიას კარზე მიაგზავნა?

ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დ. ჯაში და ა. ობოლაძე მესტამბეთა წრეში გაეცნენ ერთმანეთს, ორივე მათგანი ხომ ხელაძის სტამბაში ბუშაობდა?

ჩვენ მოძიებული გვაქვს ერთი ძველი ბოლშევიკის მოგონება. ეს გახლავთ ა. ობოლაძის ახლობლის, მისი ცოლისძმის სიმონ ფირანის ძე გოგიშვილის წერილი, სადაც ის, იგონებს რა თავის რევოლუციურ მუშაობას მესტამბეთა წრეში პირველი რევოლუციის დროს, აღნიშნავს, რომ მათ ორგანიზაციაში ხშირად დაიარებოდნენ საშა ობოლაძე და სერგო ორჯონიკიძე, რომლებიც ატარებდნენ ლექცია-მოხსენებებს.

ამგვარი ფაქტების შემდეგ ჩვენთვის, ალბათ, ძნელი არ იქნება იმის მიხვედრაც, თუ ვისი ზეგავლენით მოქმედებდა დიმიტრი ჯაში, 1905 წელს „ივერიის" ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის პასუხის დაბეჭდვის წინააღმდეგ რომ იბრძოდა და იმუქრებოდა კიდევაც, თუ ეს მასალა გამოქვეყნდება, საყოველთაო გაფიცვას მოვაწყობთო.

ისინი , ვისაც დ. ჯაში „ოხრანკის" აგენტად და ამ მხრივ ილიას მკვლელად წარმოუდგენია, გულდასმით ჩქმალავენ დიმიტრი ჯაშის სიახლოვეს სოციალ-დემოკრატებთან, ტერორისტებთან. ამის შემჩნევა და აღიარება თავიდანვე მიუღებელია „ოხრანკისტებისათვის", ვინაიდან, თუ არ დადასტურდა დ. ჯაშის ყოფნა „ოხრანკაში", მაგრამ დამტკიცდა მისი სიახლოვე სოციალ-დემოკრატებთან, კანონიერი ეჭვი წარმოიშვება იმა-

ზე, რომ შესაძლებელია დ ჯაშიც ილია ჭავჭავაძის ფიზიკურად მკვლელების ნაცვლად თერგდალეულთა ბელადის ნოსაკლავად სოციალ-დემოკრატების მიერ იქნა მიგზავნილი.

სხვათა შორის, ამგვარი აზრი იმთავითვე საკმაოდ იყო გავრცელებული და ფეხმოკიდებული. ამაზე, როგორც ვნახეთ, თვითონ დ. ჯაშიც მიუთითებდა 1917 წ. ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში.

ეს აზრი, სხვათა შორის, ასევე კარგად გამოხატეს „ნიშადურში" (1908, № 40) გამოქვეყნებულ ერთ კარიკატურაში. აქ ჩანს კაბინეტი, სადაც წვერებიანი პუბლიცისტი „მოგზაურის" ნომრებს მასალებით ავსებს. ყველა მინიშნებით ეს ფილიპე მახარაძეა. მისი კაბინეტიდან, სადაც ილია ჭავჭავაძეზე ჭორების ფაბრიკაცია ხდება, მავთულებით [illegible] შირია საგურამოსთან, რომლის გზაზეც ვირის ყურებიანი ხანდაზმული მარჯვებული სათვალეებიანი კაცი ჩანს. ნახატის ავტორი პორტრეტულ მსგავსებას სულაც არ დაგიდევს, მაგრამ უეჭველია, რომ ეს პიროვნება, მხატვრის ჩანაფიქრით, ილიას საგურამოელი მოურავია, ტანთ ქულაჯა ჰმოსავს. ნახატის საერთო აზრი ისაა, რომ „მოგზაურის" ჭორიკანა მესვეური და ილიას მოურავი ერთმანეთთან შეკრულები არიან, საერთო საქმეს აკეთებენ — ილიას კლავენ. ეს სწორედ ის აზრია, ასე შეწყობებით რომ აღნიშნავს დიმიტრი ჯაში ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში 1917 წელს.

ამრიგად, არსებული მოსაზრებებისა და მასალების გარჩევით ნათელი გახდა, რომ „ოხრანკის" ვერსია ხელოვნურია, იგი არც ერთი მონაცემით არ დასტურდება. არაფერი გვიმტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძის მოურავი დიმიტრი ჯაში წიწამურის ტრაგედიის დროს ოხრანკის სისტემასთან იყო დაკავშირებული. ეს გვიან მოხდა. ადრე კი, როგორც ვამტკიცებთ, დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებული კაცი იყო.

სამწუხაროდ, ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, მიიღო, თუ არა მონაწილეობა, დ. ჯაშმა ილიას მკვლელობაში, ეჭვებზე შორს მაინც ვერ მიდის. თუმცა ის კი სავარაუდოა, რომ მან იმაზე მეტი იცოდა ტრაგედიის შესახებ,, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. საამისო მოწმობად გამოდგება მოგონება ა. მათურელისა (დაწერილია 1936 წ.). იმის შესახებ, თუ 1914 წ. რა მოისმინა მან ია ეკალაძესთან ერთად დიმიტრი ჯაშისაგან, რომელიც ქუთაისში ერთ-ერთი სასტუმროს სასადილოში შემთხვევით სუფრაზე შესწრებია მათ. აღელვებულსა და დემორალიზებულ დ. ჯაშს უთქვამს: „...მე გახლავართ ჯაში, თუ გაგიგონიათ. მე ჩავიდინე ერთი დიდი შეცდომა... ჩემი შეცდომა გამოუსწორებელია. ეს ის შეცდომა არის, რომ მე სამი დღით ადრე ვიცოდი, ილია ჭავჭავაძეს მოჰკ-

ლავდნენ და ენა გამიქვავდა. ვერ გავაფრთხილე ჩემი დიდი მასწავლებელი...''

საიდან უნდა სცოდნოდა დიმიტრი ჯაშს, რომ ილია ჭავჭავაძეს მოკლავდნენ, ან ვისგან უნდა გაეგო ამის შესახებ, გადაჭრით ამის თაობაზე ვერაფერს ვადგენთ, თუმცა ზოგიერთი მემუარული წყაროს ავტორი სათანადოდ ცდილობს ამ საკითხზე ყურადღების მიქცევას. სოციალ-დემოკრატებისაგან ხომ არ იცოდა მან ეს, იმ პარტიის წევრებისაგან, რომლებმაც, სრული უეჭველობით დგინდება, უშუალო მონაწილეობა მიიღეს ილია ჭავჭავაძის ფიზიკურად ლიკვიდაციაში?

ამის შესახებ ჩვენ მრავალნაირი ეჭვი და ჰიპოთეზა შეიძლება გამოვთქვათ, მაგრამ არც ერთის მყარად დასაბუთება არ შეგვიძლია, საკითხი ისევ ბურუსითაა მოცული, თუ ჩვენ დ. ჯაშის მეშვეობით მოვიწადინებთ მკვლელობის საიდუმლოებათა გახსნას. ერთადერთი რაც შედარებით სარწმუნოდ დგინდება, ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს დ. ჯაშის „ოხრანკაში" ყოფნა არ მტკიცდება. იგი ამ ხანებში სოციალისტებთან, კერძოდ, სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებული პიროვნებაა, მათთან გასული კაცია, ცხადია, ამგვარ პიროვნებას კერ დავუმტკიცებთ, რომ მან ილია ჭავჭავაძე „ოხრანკის "დავალებით მოკლა, მაშინაც კი, რომ შესაძლებელი იყოს მკვლელობაში მისი მონაწილეობის დამტკიცება.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, ყველაზე სარწმუნო დასკვნა, რაც ჩვენი მსჯელობებიდან შეიძლება გამოვიტანოთ, ისაა, რომ არ არსებობს არც ერთი უეჭველი ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილი იყო „ოხრანკის" მიერ. ეს თვალსაზრისი არაფრით მტკიცდება. რადგანაც: 1. არავითარი მეთვალყურეობა 1907 წლისათვის „ოხრანკას" ილიაზე არ ჰქონია. მეთვალყურეობა, რომელიც გაუგებრობის შედეგად დაუწესეს, უკვე 1900 წელსვე იყო მოხსნილი, 2. არავითარი წინასწარი შეტყობინება ყანდარმერიას ილიას მკვლელობის თაობაზე პეტერბურგში არ გაუგზავნია. ყველაფერი თანმიმდევრობით განხორციელდა. 3. ილია ჭავჭავაძის აშკარა მტრები, რომლებიც მას გლეხობასაც კი უმხედრებდნენ მოსაკლავად, სოციალ-დემოკრატები იყვნენ. სწორედ მათი ხელწერაა მოწინააღმდეგეების ტერორით ლიკვიდაცია. მეფის მთავრობას კი ილიასთვის დაცვა ჰყავდა გამოყოფილი, რომელიც მის სიცოცხლეს გულდასმით იცავდა. 4. არავითარი კონკრეტულად უეჭველი ფაქტი არ გაგვაჩნია, რომლითაც დამტკიცდებოდა, რომ დ. ჯაშმა მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. იგი ამ მხრივ არ დაუსახელებიათ ილია ჭავჭავაძის მკვლელებსაც კი, რომლებმაც იცოდნენ, რომ მათ აუცილებლად სიკვდილი მოელოდათ. როგორ, ისინ-

ასე იოლად ჩამოეხსნებოდნენ დიმიტრი ჯაშს, რომელიც დროებითი პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა და სასამართლოზე მოწმედაც დაიარებოდა? 5. არაფრით მტკიცდება ის ფაქტი, თითქოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობისას დიმიტრი ჯაში „ოხრანკასთან" იყო შეკრული. „ოხრანკას "ის მომდევნო წლებში დაუკავშირდა. მკვლელობის ახლო ხანებისათვის დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების კაცი იყო და ნეგობრობდა პარტიის ტერორისტ აქტივისტებთან.

ეაშ, რაღა საფუძველი რჩება იმათ თვალსაზრისს, ვინც ათეული წლებია ირწმუნებიან, და ზოგიერთი ამ გზით მეცნიერი-ფუნქციონერიც შეიქნა, რომ ილია ჭავჭავაძე „ოხრანკის" აგენტებმა მოკლეს. ხომ არ ჰგავს ამგვარი მტკიცება კატუსევის ლოგიკას, რომელიც ყველა ცოდვას, უეჭველსაც კი, ვისაც უნდა, იმას დააბრალებს, რადგანაც იცის, რომ მის მხარეზე უხეში ძალაა. აი, მთავარი არგუმენტი.

დავვრჩენია ამის შემდეგ დაწვრილებით განვიხილოთ მეორე ვერსიაც, რომელიც იმთავითვე იმ აზრს ავითარებდა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატებმა. ამგვარი ვერსიის ანალიზი ჩვენთვის შედარებით გაიოლებული, მას შემდეგ, რაც გამორიცხა შესაძლებლობა მტკიცებისა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „ოხრანკამ" ჩაიდინა.

მოკლეს თუ არა ილია სოციალ-დემოკრატებმა

ჩვენი ნაშრომის პირველ ნაწილში ვცდილობდით დაგვესაბუთებინა, რომ აზრი, თითქოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დიმიტრი ჯაშმა მოაწყო „ოხრანკის" ჩაგონებით, არც ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტით არ დასტურდება. ისიც ვნახეთ, რომ „ოხრანკის "ვერსია თავიდანვე ქართველი სოციალ-დემოკრატების წრეში გამოიკვეთა და მიზნად ისახავდა ამ უკანასკნელებისათვის ალიბის შექმნას, მკვლელობის ცოდვის მთლიანად ცარიზმის სპეცსამსახურებისათვის გადაბრალებას.

ინთავითვე ილია ჭავჭავაძის მკვლილების დასახელება საზოგადოებრივმა აზრმა იმათ შორის დაიწყო, ვინც ილიას სიცოცხლეშივე ებრძოდნენ .

თავიდანვე ასახელებდნენ: სომეხთა პოლიტიკურ წრეებს, სოციალ-დემოკრატებს...

1907 წ. სექტემბერში ბრიუსელიდან ნინო ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, იმყამად ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტს სარგის კაკაბაძეს სწერდა: „... მომწერეთ, რა შთაბეჭდილება ჰქონდა რუსის საზოგადოებაზე და პრესაზე ილიას სიკვდილს? სრულებით შემთხვევით გავიგე ამის შესახებ და არაფერი ვიცი, თუ ვინ და რატომ მოინდომა ილიას სიკვდილი.

Или армяне задумали мстить за ქვათა ღაღადი, или крестьяне возбужденные соц. дем., подняли преступную руку за великого сына Грузии; нет, хотя и был быть может виновен перед крестянами в последние несколько лет жизни но во всяком случае, оставался всегда хорошим грузином. славным патриотом, готовым всем пожертвовать для своей родины. Если мы не обречены на полное вырождение Илья Чавчавадзе, окажет громадное влияние па пробуждение грузинского самосознания и на последующие события».
(წერილი ინახება სარგის კაკაბაძის არქივში).

სომხების მიმართ, ეჭვი სულ რაღაც წამიერად გამოჩნდა და მა-

საც, ცხადია, თავისი წყარო ჰქონდა. ილია თავის დროს პუბლიცისტურად ეკამათებოდა ზოგიერთ სომეხ ავტორს. მასაც პასუხობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქრ. ვერმიშევის წიგნი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ — «Материалы для истории армяно — грузинских взаимоотношений. По поводу кн. И. Г. Чавчавадзе «Армянские ученые и воинующие камни.» СПб.,)

1904 წ. ქრ. ვერმიშევი, უსამართლოდ, ილია ჭავჭავაძეს მთელი სომეხი ხალხის მტრად და მოძულედ აცხადებდა. ამ ნაშრომზე პასუხი და მისი შეფასება იმ ხანებში ვერ მოხერხდა. საამისოდ ამინდი თითქოს უკვე აღარ იყო აქ, საქართველოში, ილიას უკვე სოციალ-დემოკრატები ეჭრიდნენ ჯერ ნიე ჟორდანიას მეთაურობით, შემდგომ კი ფილიპე მახარაძის ლიტერატურული ამბრის მეშვეობით.

სომხურ ვერსიას თავიდანვე ისიც განაპირობებდა. რომ ილიას მკვლელობის ერთ-ერთმა მონაწილემ მეეტლე თედო ლაბაურმა, წინასწარვე დარიგებულმა, თავდაპირველად ყალბი ჩვენება მისცა გამოძიებას თავდასხმელების შესახებ, თედო ლაბაურმა განაცხადა:

„....ყველა ისინი ჩაცმული იყვნენ ჩექმებში, თეთრ კიტელებში, ოფიცრის პაგონებით და თეთრი ფაფუხებით. გარეგნობით მათ მისცემდით ერთს 28 წელს, მეორეს 29-ს, მესამეს 32-ს და მეოთხეს 33-ს. ყველანი შავგვრემანები იყვნენ. თანაც ორს ჰქონდა წვერები და ულვაშებიც; დანარჩენს კი მარტო ულვაშები. ერთ მათგანს განსაკუთრებით მოკლე ულვაშები ჰქონდა. ტანად მხოლოდ ერთი იყო საშუალო. დანარჩენები მაღლები იყვნენ. შეხედულებით, მე მოვეჩვენა, რომ ისინი სომხები იყვნენ. (ვ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938, გვ. 48).

„სომხური“ ვერსია იმთავითვე სუსტი ჩანდა. მას არავინ დაუჯერა და ამიტომაც სიმძიმეს მაინც სოციალ-დემოკრატებისადმი ეჭვებზე გადაინაცვლა.

ამ გარემოებას აღასტურებს, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის მიერ წიწამურის ტრაგედიის დღესვე საგულარეოში გაგზავნილი. მკვლელობის გარემოებათა დამდგენი კომისიის წევრი მიხეილ კლიმიაშვილი: „დაბეჯითებით ამბობენ, რომ ილია ტროროისტული აქტის მსხვერპლია, რომ ეს აქტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილებით იქნა შესრულებული, რომ სოფელმა იმიტომ ვერ შეუშალა ხელი მკვლელობას, თორემ ილიას მკვლელობის მსურველნი არავინ ყოფილა. თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცხეთის ორგანიზაციაში იზიარებდნენ ამ აზრს და პირველ მოძენტში ამ მკვლელობას სთვლიდნენ, როგორც პოლიტიკური ტერორის აქტს“ (ციტირებულია ვ. გურგენიძის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ნარკვევის მიხედვით,

ხელნაწერი, გვ. 14).

სოციალ-დემოკრატების მაბრალობელთა აზრი მალე პუბლიცისტური ფორმითაც იჩენს თავს. საკმარისია კაცმა გულდასმით გადაიკითხოს ილიას მკვლელობის და მისი შემდგომი დროის საქართველოს პრესა, რომ დარწმუნდეს, თუ რა სიმწვავით იდგა მაშინ ეს თემა. სილოვან ხუნდაძემ, მაგალითად, ბროშურაც კი გამოსცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე (ს. ხუნდაძე, მკვლელები და მცველები, ეუთაისი, 1907), სადაც ის ტრაგედიაში სოციალ-დემოკრატებს ადანაშაულებდა. მაგრამ რაიმე კონკრეტულ ფაქტს წიწამურის აქტში სოციალ-დემოკრატების დასადანაშაულებლად ს. ხუნდაძე ვერ ასახელებდა და ჩვეულებრივ იმ გამწვავებული ვითარებიდან ამოდიოდა, რაც მაშინ ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ილია ჭავჭავაძეს შორის იყო დამყარებული.

საერთოდ, სოციალ-დემოკრატების მიმართ ბრალდებებს ის ფაქტი ასაზრდოებდა, რომ ისინი გადაჭარბებული სიბულვილით ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს და ამიტომაც, ცხადია, ლოგიკის კანონით, მკვლელობებიც პირველ რიგში ამგვარ მტრებში უნდა დაწყებულიყო.

ამ აზრს ისიც ამძაფრებდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაბიჯულაციების მიუხედავად, ჩვენ ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატები ხშირად მიმართავდნენ ტერორს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

ეჭვებისათვის განა ნოყიერ ნიადაგს არ ქმნიდა ის გარემოება, რომ წიწამურთან თავდასხმის დროსვე, წინასწარი გეგმით, ილიას სხვებს თბილისშიც თავს დაესხნენ და იქაურობა გადააქოთეს? განა ეს იმაზე არ მიუთითებდა, რომ იყო რაღაც ორგანიზებული ძალა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო საგურამოსაკენ მიემგზავრებოდა, არამედ იგი მაშინ თბილისშიც აღარ იყო. თანაც წიწამურის ტრაგედია და თბილისის ბინის გაქურდვა დროის ერთ მონაკვეთში იქნა მოწყობილი. ყოველივე ეს იმის აშკარა მოწმობაა, რომ წიწამურის აქციას ნამდვილ უშუალო აღმსრულებლისაგან განსხვავებული ძალა წარმართავდა და იგი იმდენად კონსპირაციულად საქმიანობდა, რომ მას მერეც კი, რაც ადმინისტრაციამ ტერორისტული აქციის უშუალო მონაწილეები შეიპყრო და გაასამართლა, ამ უკანასკნელთაგან თითქმის ვერავინ მოახერხა ისეთი ჩვენების აღება, რაც საშუალებას შექმნიდა გარკვევით თქმულიყო, რომელმა ჯგუფმა თუ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა და განახორციელა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საგურამოელი ელჩების ხელით.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ტფილისის გუბერნატორის დიპეშებს, რომლებიც მან პეტერბურგს გაუგზავნა 1907 წლის 1 სექტემბერსვე ილიას მკვლელობის გარემოებათა

შესახებ. დეპეშებში გარკვევით იყო მითითებული, რომ საკარაულოა, სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით.

ჩვენ გუბერნატორის დეპეშა ადრევე გავარჩიეთ „ოხრანკის" ვერსიის კრიტიკის მიზნით. ახლა ამავე დოკუმენტს სხვა მხრიდანაც შევხედოთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გუბერნატორის დეპეშის ინფორმაცია მარტოოდენ ზოგად ეჭვებზე არ იყო დაფუძნებული. გვაქვს საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ იგი აგენტურულ მონაცემებსაც ეყრდნობოდა. მართლაც, დეპეშის შინაარსი ერთობ რეალისტურია, რადგანაც მასში აღნიშნულია, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა, მაგრამ, კითხვა ისმის, საიდან უნდა იცოდეს გუბერნატორისათვის ინფორმაციის მიმწოდებელმა მხარემ ყოველივე ეს? დეპეშა პეტერბურგში გაგზავნილია 1 სექტემბერს. ცხადია, ინფორმაცია უფრო ადრინდელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ დროს ილიას მკვლელობის გამოძიება ჯერ ფაქტობრივად დაწყებულიც არ იყო. არ იყო მოპოვებული არც ერთი კონკრეტული სამხილი.

მხოლოდ შემდეგისათვის გახდა ცნობილი, რომ მკვლელობაში მონაწილეობდნენ საგურამოს და მისი მეზობელი სოფლების გლეხები. გუბერნატორის ადმინისტრაციამ კი უკვე 1 სექტემბერს იცის, მართლაც სავარაუდოდ, რომ მკვლელობა ადგილობრივი გლეხების მიერაა ჩადენილი. ცხადია, გუბერნატორის კანცელარიას არავითარი საშუალება არ ექნებოდა, ამ დროისათვის გამოეყენებინა ძიების მასალები. მაშასადამე, ან საკუთარი ინფორმაცია ჰქონდა ამ საკითხზე და ეს ინფორმაცია არსებითად იმგვარივე იყო, როგორიც შემდეგში ძიებამაც დაადასტურა. თავისთავად უკვე მარტო ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სწორი იყო ის ვერსია, რომელიც საკუთარი ინფორმაციით ჰქონდა კონსტრუირებული გუბერნატორის კანცელარიას. საიდან აიღეს სპეცსამსახურებმა ეს ცნობები? ალბათ, მათ იგი აგენტურული გზით ჰქონდათ მოპოვებული, ან არადა მის შესახებ ხალხში იყო ლაპარაკი, რაც სპეცსამსახურებმა იმთავითვე დააფიქსირეს. მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ გუბერნატორის თუ საერთოდ სპეცმომსახურებისათვის გადაჭრით არ იყო ცნობილი, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე და ვისი წაქეზებით, იმის არაპირდაპირი მოწმობა უნდა იყოს, რომ სპეცსამსახურებმა ადრევე არაფერი იცოდნენ ილიას მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ. ამ საკითხს, ალბათ, თავისებური მნიშვნელობა აქვს იმათთან კამათისას, ვისაც მიაჩნია: თუ დამტკიცდება, რომ ილია ჭავჭავაძე „ოხრანკის" მიერ არ იქნა მოკლული, ის მაინც აშკარაა, რომ თითქოს, „ოხრანკას" ჩინასწარვე უნდა სცოდ-

ნოდა ნოსალოდნელი მკვლელობის შესახებ, რომელსაც ხელი არ შეუშალა...

1. სექტემბრის დეპეშის შინაარსი სხვა მსჯელობის საშუალებასაც იძლევა. საქმე ისაა, რომ დეპეშაში ჩადებული ინფორმაციის ერთი ნაწილი შენდგომში ძიების მიერაც იქნა დადასტურებული: „ილია მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა". რაღა საფუძველი გვაქვს არ ვენდოთ საერთო წყაროდან მომდინარე ინფორმაციის მეორე ნაწილსაც, რომ მკვლელები მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით?

ჩვენი მდგომარეობა ამ კონკრეტულ დეტალთან დაკავშირებით ერთგვარად გართულებულია, ვინაიდან ჩვენ ვერ ვახერხებთ იმის დადასტურებას, რომ შემდგომისათვის ძიებას რაიმე ჰქონდა დადგენილი სოციალ-დემოკრატების როლზე, ისე. როგორც მან ცხადყო, რომ ყიწაშურის აქციის მონაწილეები ადგილობრივი გლეხები იყვნენ. მაგრამ ეს იმითაა გამოწვეული, რომ იმთავითვე ძიება სოციალ-დემოკრატების საკითხზე ჩიხში მოექცა, რის შესახებაც ჩვენ ვისაუბრებთ. ეს, რაც შეეხება ძიების მიერ მოპოვებულ კონკრეტულ საქმეს სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. საერთოდ, ილიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების მოძრაობა ყველასათვის და, ცხადია, ოხრანკისთვისაც შესანიშნავად უნდა ყოფილიყო ცნობილი. გიორგი ბერბიჭაშვილის პროცესის მზადებისა და მსვლელობისას, რაზეც ჩვენ ვრცლად მოგვიწევს მსჯელობა, გამოაშკარავდა, რომ ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლუციის აღმავლობის ჟამს თბილისის სოციალ-დემოკრატი აგიტატორები სისტემატურად ადიოდნენ საგურამოში და ადგილობრივ გლეხობას მოუწოდებდნენ, ჯარი ეთქვათ საგლეხო ვალდებულებების შესრულებაზე და საჭირო შემთხვევაში დაეხოცათ კიდევაც მებატონეები, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. გ. ბერბიჭაშვილმა ამ აგიტატორებიდან, რომლებსაც, მისი ჩვენებით, ხალხი განსაკუთრებით უყვარებდა, საგანგებოდ გაიხსენა ფილიპე მახარაძე.

ნიშანდეს, თუ არა ეს, რომ სოციალ-დემოკრატები წამქეზებლურ როლს ასრულებდნენ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში რევაზ გაბაშვილს, რომელიც მწუხარებით აღნიშნავდა 1913 წელს: „...არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო გამოწვეული აღშფოთებით, ან პირადი ჯავრით. არა, ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და, აი, რაში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე. იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა, სოციალისტურ წრეებში გადმოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო

საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი ბისი დამცველი, ეგოიზმი და ავაზაკი. რადა თქმა უნდა, რომ შეუგნებელი ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი ბიზეზია მკვლელობისათვის და ნაბეღლავად იმ დროს, როცა ბემამულის მოკვლა სიყოჩაღედ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მოწყობილი და „პოლიტიკური" ხასიათისა, რომ იგი დასაბა იყო იდეური მოწინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მცველები „შეწუხებული" გლეხები კი არ იყვნენ, არამედ რაღაცა სხვა, გარეშე წრეებიდან გამოსულნი და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (подстрекатель) იყო ფ. მახარაძე. (რ. გ. ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე „კლდე", 1913, № 29).

ზემოაღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, საკმაოდ გვაბეზღრებს, თუ საიდან შეეძლოთ სცოდნოდათ საგუბერნატორო ხელისუფლების სპეცსამსახურებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელები, ადგილობრივი გლეხები, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით მოქმედებდნენ.

• • •

ძიება ენერგიულად შეუდგა საქმეს.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ პრობლემებზე და ისიც აღვნიშნეთ, რომ ძიების ისტორია ვრცლადაა ცნობილი ლიტერატურაში.

ჩვენი მიზანი წინამდებარე ნარკვევში ერთობ რეგლამენტირებულია: გვსურს თანმიმდევრობით აღვადგინოთ ის პროცესი, თუ როგორ შემოდიოდა და ლაგდებოდა საზოგადოების ცნობიერებაში ის ინფორმაცია, რაც თანდათანობით ქმნიდა ვერსიას, რომლის თანახმადაც ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატი ტერორისტების მიერ იყო მოკლული.

სექტემბერშივე, როცა ძიება სულ ახალი დაწყებული იყო, პრესაში დაიწყო სენსაციური ცნობის ბეჭდვა იმის შესახებ, რომ გურიაში, სოფ. ბახვის მკვიდრის, ვინმე ერმალოზ დოლიძის, ყაჩაღისა და რეციდივისტის, ბინაზე აღმოჩნდა ის ნივთები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობისას იქნა გატაცებული ტერორისტების მიერ. მართალია, გავა დრო და ამ ცნობებს ძიება ანგარიშს აღარ გაუწევს მათი არარეალურობის გამო, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ შემდეგისათვის ზოგიერთი არცთუ ბუნდოვანი, მაგრამ თითქოს განგებ დაბუნდოვნებული საკითხის გასაგებად. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია, ვრცლად წარმოვადგინოთ ამ საკითხზე ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია.

პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძისაგან ნაძარცვი ნივთები ერნალო დოლიძის სახლში იქნა მიკვლეული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრესაში, სექტემბრის დასასრულსვე გაჩნდა.

ოვალი გავადევნოთ ამ ინფორმაციას ქრონოლოგიის დაცვით.

21 სექტემბერი:

გაზეთ „ზაკავკაზიეში" (1907, 21 სექტემბერს — 4 ოქტომბერს), ქვეყნდება ასეთი ცნობა: „როგორც გვამცნობენ ოზურგეთის მაზრიდან, ამ დღეებში მოხდა ჩხრეკა სოფ. ბახვში გლეხის, ერმილე დოლიძის სახლში, სადაც აღმოჩნდა ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მკვლელობისას გატაცებული ნივთები — მისი კუთვნილი თეთრეული, წაღები, საკინძი, წერილი და სხვ. დაწვრილებით შემდეგში გაცნობებთ".

22 სექტემბერი:

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში" (1907, № 204, 22 სექტემბერი), ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია:

„ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობისათვის. ტფილისში მიღებული ცნობის თანახმად, ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვში ადგილობრივი გლეხის ერმილე დოლიძის სახლში ჩხრეკისას აღმოჩენილია ჩემოდანი, რომელშიც ნაპოვნია პოეტ ი. გ. ჭავჭავაძის კუთვნილი მრავალი ნივთი. სხვათა შორის, ჩემოდანში აღმოჩნდა წერილი სადგურის წინ მდებარე „ზაპადის" ნორრების მფლობელთან. პოეტის მკვლელობის თაობაზე გამოძიება ძალზე ენერგიულად მიდის. აქამდე დაპატიმრებულია 3 კაცი, რომელთა წინააღმდეგაც, როგორც ამბობენ, საკმაოდ ძლიერი სამხილი აქვთ, მკვლელობაში მონაწილეობაზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მაინც, რომ ისინი ინფორმირებული ან მონაწილენიც იყვნენ ამ საზიზღარ მკვლელობაში".

28 სექტემბერი

ისევ გაზეთი „ზაკავკაზიე" (1907, №192, 28 სექტემბერი, გვ. 2) აქვეყნებს შემდეგ ცნობას:

„სოფელ ბახვში, დოლიძის ოჯახში, ნაპოვნია ჩემოდანი ნივთებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, პოეტ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მოკვლისას არიან გატაცებული — თანაც დოლიძემ მიმალვა მოასწრო. მისი ამბანაგი, ვინმე ანდღულაძე კი პოლიციის მიერ დაპატიმრებულია".

კავკასიის რუსულენოვან პრესას ქართული გაზეთებიც გამოეხმაურნენ.

1907 წ. 29 სექტემბერს გაზეთი „ისარი" ასეთ ცნობას გვაწვდის:

„ი. ჭავჭავაძის ნივთების პოვნა. ამას წინად ჩვენ გაზეთში „ზაკავ-

კაზიდან" გადმობეჭდილი იყო ამბავი, ვინმე დოლიძის დაპატიმრების შესახებ. ეხლა იგივე გაზეთი შემდეგს გადმოგვცემს: სოფელ ბახვში დოლიძის ოჯახში უპოვნიათ ჩემოდანი ილია ჭავჭავაძის ნივთებით, რომელიც მკვლელებმა გაიტაცეს. თვითონ დოლიძე მიმალულია. პოლიციას დაუპატიმრებია ვინმე ანდღულაძე. 'იმავე გაზეთის სიტყვით, დაუპატიმრებიათ აგრეთვე მღვდლის შვილი ასათიანი".

ასე გადის დღეები, კვირები...

მალე, ნოემბრის დამლევს, პრესაში გამოჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძის მკვლელობაზე ეჭვმიტანილ ერმილე დოლიძეს აპატიმრებენ.

30 ნოემბერი

გაზეთი „ზაკავკაზიე" (1907, № 251, გვ. 3) საზოგადოებას ამცნობს: „ოზურგეთი. 29 ნოემბრის ღამით დაკავებულია დოლიძე, რომელიც ეჭვმიტანილია თავ. ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაში".

იმავე დღეს, ასეთივე ინფორმაცია დაიბეჭდა „ისარში" (დასახ. გაზეთი, 30 ნოემბრის ნომერი): „როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 29 ნოემბერს, ღამე ოზურგეთში დაუპატიმრებიათ ვიღაც დოლიძე, რომელსაც აბრალებენ თურმე ილია ჭავჭავაძის მოკვლას".

მაშ, ასე! მკითხველებს ვთხოვ, ამჯერად მხოლოდ ის დაიმახსოვრონ, რომ ერმილე დოლიძე დაპატიმრებულ იქნა 28 ნოემბერს ღამით, 29 ნოემბერი რომ იწყებოდა. ის უკვე კარგა ხანია, რაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი; მის სახლში ილია ჭავჭავაძის ნივთები იქნაო აღმოჩენილი, რაც მაშინ უკვე მთელმა საქართველომ იცოდა.

ერმ. დოლიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, ის რომ სანდო აღმოჩენილიყო, ცხადია, საიმედო საყრდენს მისცემდა ძიებას ილიას მკვლელობის გამოძიებაში. ხუმრობა საქმე როდი იყო: საქმე ეხებოდა ნივთმტკიცებას! ასეც აღიქვამდნენ, უეჭველია, თანამედროვენი ამ ცნობას.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ძიების ცნობიერებაში ე. წ. ბახვის სოციალ-დემოკრატიული კრების ისტორია, რომელიც ამდენი წელია აღელვებს ქართველი ხალხის გონებას და ამ ბოლო ხანებში მაინც, კვლავ ახალი ინტერესით ამოტივტივდა.

რა მოხდა?

ბახვის საიდუმლო სერობა?

1907 წ. ზამთარია.

ძიება ერთგვარად სწორი გზით მიდის, როდესაც ილიას მკვლელე-

ბის ბუდეს საგურამოს ნაკარეში ეძებს. ინფორმაციაც ამ თვალსაზრისით მოწმდება და თავისებურად ივსება კიდევაც.

და აი, 1907 წ. 14 დეკემბერს სენსაციური ცნობა ჩნდება.

ამ დღეს მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების მიერ ტფილისის საოლქო პროკურორს სრულიად საიდუმლოდ ეცნობება, რომ ოზურგეთის საბჭედრო ჰაუპტვახტში მოთავსებულია და იქვე სასამართლო ძიებაშია ვინმე ალექსანდრე გრეკოვი, რომელიც დაჭერილია ალექსანდრე გიორგაძის გაძარცვის გამო.

30 ნოემბერს, ნათქვამია შეტყობინებაში, ოზურგეთისა და სენაკის ბაზრების, ქ. ფოთის, ეუთაისის გუბერნიის, საბჭრედიის, აგრეთვე კინტრიშის უბნების დროებით გენერალ-გუბერნატორს ტოლმაჩოვს ალ. გრეკოვმა მეტად საყურადღებო ჩვენებები მისცა. შემდგომში, 1908 წ. 31 იანვარს, ეს ჩვენებები დაადასტურა გენერალმა ტოლმაჩოვმაც, რომელიც ამ დროისათვის უკვე გურიაში აღარ მსახურობდა, გადაყვანილი იყო ქ. ოდესის და ოდესის მაზრის გენერალ-გუბერნატორად.

ტოლმაჩოვმა განმარტა კიდევაც, თუ რა ვითარებაში ნახა გრეკოვის დაპატიმრება და შემდეგში მისგან ჩვენებების მიღება. გენერალი აღნიშნავდა, რომ გრეკოვს იგი კარგა ხანია ეძებდა, როგორც წითელ გვარდიელს, მაგრამ მისი შეპყრობა მოახერხა მხოლოდ კაპიტანმა ერმოლოვმა. იმ წამსვე გრეკოვს გულახდილი ჩვენებების მიცემა დაუწყია.

იმჟამად, გრეკოვი რომ დაიჭირეს, ტოლმაჩოვი გურიაში არ ყოფილა, გვიან დაბრუნებულა და გრეკოვის დაკითხვა თვითონ დაუწყია. მას აინტერესებდა ცნობები გურიაში რევოლუციური ამბების შესახებ. ამასთანავე, როგორც ტოლმაჩოვი აცხადებს, გრეკოვის ჩვენებებს ბრმად კი არ ენდობოდნენ, არამედ მათ აგენტურული წესითაც ამოწმებდნენ, რაც ცხადყოფდა, რომ გრეკოვის ჩვენებები ზუსტი იყო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოვიტანოთ გენერალ ტოლმაჩოვის ის განცხადებაც, რომ გრეკოგმა მას დიდი დახმარება გაუწია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ. 1938, გვ. 25), რაც, ცხადია, ისე უნდა გავიგოთ, რომ გრეკოვმა ტოლმაჩოვს დახმარება გაუწია რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მოძებნასა და დაჭერაში, რადგანაც იმჟამად სწორედ ეს წარმოადგენდა გენერალ-გუბერნატორის ამოცანას.

მეტად საყურადღებოა ტოლმაჩოვის მიერ დაპატიმრებული ალექსანდრე გრეკოვის ფსიქოლოგიური დახასიათებაც, რაც, ალბათ, დაგვეხმარება იმის წარმოდგენაშიც, თუ რატომ იყო, რომ დაპატიმრებისთანავე გრეკოვმა ასე გულუხვად დაიწყო ჩვენებების მიცემა.

ამის თაობაზე ტოლსტოისი ბრძანებდა:

„ბერეკოვი ნაბევრად რუსია, ნაბევრად ევროპელი, მისი ბანკი რუსია, მაგრამ თვითონ გრეკოვი რუსულად ცუდად ლაპარაკობს. ეს ახალგაზრდა, მგონი, ის 21 წლისაა, თითქმის წერა-კითხვის უცოდინარია, გულწრფელი, მოფერებისას იოლად დამყოლია, ეზადაა მცირეოდენი საბსიბურისთვისაც კი თავი დასდოს“. (ბ. გუგუშვილი, გვ. 85).

იმთავითვე, დაუწყეს თუ არა ალ. გრეკოვს დაკითხვები, ამ უკანასკნელმა 30 ნოემბერს (დაუკვირდით, ამ თარიღს, ეს მნიშვნელოვანი დღეა!) სენსაციური ჩვენებები დაბარა.

გასულ, ე.ი. 1907 წლის ზაფხულში, როგორც განაცხადა გრეკოვმა, შემთხვევით შეესწრო ერთ-ერთ კრებას ბაზაში, ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის სახლში. კრებას, როგორც ჩვენების მიმცემი აღნიშნავდა, ესწრებოდა 16-მდე კაცი. აქ იყვნენ ერმალო და კალენიკე დოლიძეები, ლიმიდე ბასილაიშვილი, კორნეს და ნიკო შავიშვილები, ილარიონ უჯანჯურიძე, მარკოზ ჟღენტი (შემდეგში მოკლული), რაჟდენ ვადაჭკორია (ნეწაღე), მელქისედეკ მუგენარიძე (უნდა იყოს მდინარაძე — შ.ბ.), ერმალო ანდღულაძე და ლადიკო ბერეჟიანი, აგრეთვე, ბათუმიდან ჩამოსული ორი კაცი, რომელთა გვარებიც გრეკოვმა არ იცოდა. მაგრამ მან ის კი აღნიშნა, რომ ბათუმიდან ჩამოსულთაგან ერთი იყო შავგვრემანი, ულვაშებიანი, დაბალ-დაბალი, თმაში ჭაღარა ჰქონდა, მეორე კი — ბალანი, გამხდარი, ქერა, წვეტიანი ნიკაპით, თმები უკან ჰქონდა გადავარცხნილი, ოდნავ ერმალო დოლიძეს ჰგავდა. სწორედ ეს უკანასკნელი მეთაურობდა კრებას.

როგორც გრეკოვმა გაიხსენა, კრების თავმჯდომარეს ჯერ ეჭვებია გურჩიის ამბებზე, შემდეგ კი განუცხადებია, რომ ილია ჭავჭავაძე უნდა იქნეს მოკლული. როდესაც ერთ-ერთ დამსწრეთაგანს უკითხავს, თუ რატომ უნდა მოიკლას თავადიო, გრეკოვის ჩვენებით, თავმჯდომარეს უპასუხია: „მან ჩვენ გვიღალატა“. გრეკოვისავე მითითებით, თავმჯდომარის ამ განცხადებიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა უკვე ადრევე იყო გადაწყვეტილი ცენტრალური კომიტეტის მიერ და აქ კრებას მოხსენდა მხოლოდ როგორც დადგენილება.

თავმჯდომარის ამ განცხადების შემდეგ, უთქვამს ალ. გრეკოვს, რაჟდენ ვადაჭკორიას, ლადიკო ბერეჟიანს და ბესარიონ უჯანჯურიძეს კრების მონაწილეთაგან აქციის შესასრულებლად იქვსი ტერორისტი გამოუყვიათ: ბასილაიშვილი, ერმალო და კალენიკე დოლიძეები, მელქისედეკ მდინარაძე, ნიკო და კორნეს შავიშვილები (ეს უკანასკნელი ბაზის ასისთავი იყო) და ვინმე ლადიკო გაგუა. როდესაც კენჭი ჩაყრიათ,

ილიას მოკვლა წილად ხვედმიათ ერმალო და კალინიკე დოლიძეებს და ბასილაიშვილს. ამის შემდეგ კრება დაშლილა, დანაშაულებრივი კრების ყველა მონაწილე, ა. გრეკოვის ჩვენებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ყოფილან. ამათგან ერმ. დოლიძე შეიარაღებული იყო სპიტისა და ვენსონის სისტემის რევოლვერით, კალინიკე დოლიძე და ბასილაიშვილი — რევოლვერით და ბერდანებით; უკანასკნელის ბერდანი ეკუთვნოდა ვანესა მახარაძეს. თვითონ სახლის მფლობელი პროკოპი ბერეჟიანი კი ავად იყო და იგი სხვა ოთახში იმყოფებოდა, რის გამოც იგი, ცხადია, კრების მონაწილე არც ყოფილა (იხ. პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938, გვ. 81-82).

ა. გრეკოვის ჩვენებაში იმაზეცაა მითითებული, რომ ბახვის კრებიდან სამი დღის შემდეგ უკვე ხმებიც დარხეულა ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ (პ. გუგუშვილი, გვ. 82).

ძიების ხელში, ერთი შეხედვით, როგორც იტყვიან, „ნაღდი მასალა" აღმოჩნდა იმაზე, თუ ვინ და რატომ მოკლა ილია ჭავჭავაძე. რჩებოდა, თითქოს, ალ. გრეკოვის მიერ ჩამოთვლილი პირების დაჭერა, მაგრამ ტოლმაჩოვს, გრეკოვს რომ დაჰკითხავდა, სრულიადაც არ აინტერესებდა ილია ჭავჭავაძის საქმის გამოძიება. მას სულ სხვა რამე სურდა — ბურჩიის რევოლუციონერი აქტივისტების შესახებ მიეღო ცნობები, რაშიც მას მართლა დიდი სამსახური გაუწია გრეკოვმა. ფაქტიურად მას მთელი სია მისცა წითელი რაზმელებისა, რის შემდეგაც მათი აყვანა ბნელი აღარ იყო და, როგორც ცნობილია, ისინი თანდათანობით დააპატიმრეს კიდეც. გენ. ტოლმაჩოვს სხვა ინტერესი რომ არ ჰქონდა, ეს მას თვითონვე აქვს აღნიშნული: მე გრეკოვს ვეძებდი, როგორც წითელგვარდიელსო. იქვე იგი იმასაც დასძენდა, რომ მე გრეკოვმა დიდი დახმარება გამიწია საგანგებო მოვალეობის ასრულებაშიო.

რაც შეეხება ალ. გრეკოვის ჩვენებას ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად ბახვის კრების მოწვევის შესახებ, ამ ინფორმაციამ გურული წითელი რაზმელების დევნისას, ასე ვთქვათ, შემთხვევით გამოიყენა და იგი, რადა თქმა უნდა, სათანადოდ ეცნობა კიდევაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას ჭეშმარიტების დასადგენად.

* * *

1907 წ. ორ დეკემბერს ტფილისის პოლიციის სამძებრო ნაწილის შეფი ევტუშევსკი აღნიშნავდა, რომ მან უკვე თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა, ვინაიდან დაადგინა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ინიციატორია ამ უკანასკნელის მოურავი დ. ჯაში (ამ დროს დიმიტრი

ჯ.ში უკვე დაპატიმრებული იყო ეჭვების საფუძველზე და იგი ევტუშევსკის ზემომითითებული აღნიშვნის შემდეგ იქნა განთავსუფლებული სამხილის უქონლობის გამო. ამავე დოკუმენტში ევტუშევსკი აღნიშნავდა, რომ დაადგინა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ფიზიკური, დაქირავებული მკვლელის ვინაობაც. იგია ერმილე დოლიძე, რომელიც ორი კვირის წინ იქნა ხელში ჩაგდებული (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ. 1938, გვ. 83).

1908 წ. 8 თებერვალს გამომძიებელმა ილიაშენკომ ოზურგეთში ახლა თვითონვე დაჰკითხა ა. გრეკოვი, რომელმაც თითქმის გაიმეორა 1907 წ. 30 ნოემბრის ჩვენება, თუმცა ადრე ნათქვამს ახლა ზოგიერთი დეტალიც დაუმატა. კერძოდ, ა. გრეკოვმა დასძინა: პროკოპი ბერეჟიანთან ბანკში იმიტომ წავედი, რომ უმცროსი ძმა მყავდა ავად და ფერშლისაგან ქინაქინის წამოღება მინდოდაო. ა. გრეკოვმა დაუმატა აგრეთვე, თუ ბერეჟიანისას კრების მონაწილეთაგან ვინ რომელი სოფელი იყო. ა. გრეკოვმა თქვა, რომ კრებაზე დამსწრეთა ერთი ნაწილი ჩემი იქ ყოფნის წინააღმდეგი იყო, მაგრამ დანარჩენებმა ნება დამრთეს და მეც დავრჩიო. გრეკოვის თქმით, მან ვერ გაიგო,თუ რაში მდგომარეობდა ილია ჭავჭავაძის ღალატი, მაგრამ ეტყობოდა, რომ დანარჩენებისათვის ეს ნათელი იყო.

ალ. გრეკოვმა ის ახალი დეტალიც უჩვენა, რომ ტერორისტთა შორის, რომელთაც კენჭისყრით უნდა მიეღოთ მკვლელობაში მონაწილეობა, კურულებთან ერთად ვიღაც სომეხიც იყო.

ამის შემდგომ ა. გრეკოვმა სხვა ახალი დეტალებიც დაუმატა: არ ვიცი, ერმ. დოლიძეს რომ ჩხრეკდნენ, მაშინ სოფელში ვიყავი თუ არა, ნე მომეჩვენა, რომ უკვე ციხეში ვიყავიო. ა. გრეკოვმა აღნიშნა, რომ ერთხანობას იგი თვითონაც ტერორისტობდა, რის გამოც კარგად იცნობდა ერმ. დოლიძეს, რომელიც მუდამ ტერორისტი იყო. ბოლოს ა. გრეკოვმა ისიც დასძინა, რომ ახალა იგი იძულებულია ყველაფერი თქვას, ვინაიდან ნამდვილი მკვლელები გარეთ თავისუფლად დასეირნობენ, ის და მისი ძმა კი ციხეში სხედან (ერთი აქვეა ოზურგეთში, მეორე კი არხანგელსკშია გადასახლებული). თავისი ჩვენების ბოლო ნაწილში ა. გრეკოვი უმატებდა: „მთელი ერთი ზაფხულია, ერმ. დოლიძე ხან ბათუმში იყო, ხან თბილისში, ხანაც სოფელში ჩამოდიოდა, მაგრამ სოფელში არც ერთი ღამე არ გაუთენებია“ (პ. გუგუშვილი, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 87-88).

ბაბვის კრების ისტორიის ამოტივტივებამდე და შემდგომში, მის პარალელურადაც, ძიება საგურამო-დუშეთის ტბარეშიც კრეფდა მასალებს. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ხელმძღვანელობერშივე, ადმინისტრაციის მესვეურებმა საგურამოში სასოფლო ყრილობაც კი მოაწყეს, რათა ნოსახლეობას რაიმე ეთქვა იმ საეჭვო პირებზე, რომელთა წრეშიც შეიძლებოდა შემდგომში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პოვნა, მაგრამ უტყუარი სამხილი ამ გზითაც ვერ იქნა ნოპოვებული.

ეს წარუმატებლობა არა მარტო დამაფიქრებელია, არამედ, ვფიქრობთ, შესაძლებელია ნიში ახსნაც.

პირველ ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სასტიკი რევოლუციური ხანძარი მძვინვარებდა და, როგორც იტყვიან, ყველა ცდილობდა საკუთარ ქერქში დატეულიყო. ელეხობამ იცოდა რას ნიშნავდა, თუ ვინმეს დაასახელებდა და ხელს დაადებდა, მომავალში მას ეს შეიძლება ძვირადაც დასჯდომოდა. შურისძიება არ დააყოვნებდა. ამიტომაც ჩვენებები თითქმის აღარ აღწევდა ძიებამდე. ყოველ შემთხვევაში, ისინი მეტად ღარიბი იყო.

ამასთან ძიება და სასამართლოც დანაშაულის კვალიფიკაციისთვის აუცილებლად მიიჩნევდნენ უტყუარი, იურიდიულად ვარგისი ფაქტებით ოპერირებას. ის გარემოება კი, რომ ილია ჭავჭავაძეს სოციალ-დემოკრატები პრესითა და მიტინგ-კრებებით ებრძოდნენ, დანაშაულის საჩვენებლად ვერ გამოდგებოდა. საჭირო იყო სისხლისსამართლებრივი ფაქტების მოპოვება და თუ ისინი სოციალ-დემოკრატების ნახელავი აღმოჩნდებოდა, მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი მათი დადანაშაულება, მაგრამ ძიებას საამისო მასალის მოსაპოვებლად გზა გადაკეტილი აღმოაჩნდა, რადგანაც მას იმთავითვე ხელი არ მიუწვდებოდა გიორგი ბერბიჭაშვილსა და ამ უკანასკნელთან ერთად მყოფ „ვიღაცა იმერელზე", რომლებიც, როგორც ვნახავთ, არა მარტო ილიას ფიზიკურ მკვლელთა რიგში იდგნენ, არამედ მკვლელებსა და მკვლელობის ორგანიზატორებს შორის დამაკავშირებელ რგოლებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც რეალურად სწორედ მათ უნდა სცოდნოდათ აქციის მთელი შინაგანი ისტორია — ვინ მიიღო მკვლელობის მოწყობის გადაწყვეტილება. რისთვის და როგორ მოამზადა იგი. მაგრამ იმის გამო, რომ გიორგი ბერბიჭაშვილი და „იმერელი", და იქნება ზოგიერთი სხვაც, ღრმა კონსპირაციაში აღმოჩნდნენ, ძიებას გზა გადაეკეტა მკვლელობის პერიპეტიების ამოსაცნობად, ამიტომ იყო, რომ შემდგომში მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით მხოლოდ რამდენიმე კაცი იქნა დაპატიმრებული და დასჯილიც. ამ უკანასკნელებმა კი. თუმცა გ. ბერბიჭაშვილსა და „ვიღაცა იმერელთან" ერთად მიიღეს მონაწილეობა მკვლელობაში, მაგრამ ისიც კი არ იცოდნენ, თუ ვინ

იყო კონკრეტულად ეს „ვალაცა ინერელი“.

ახლა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რომ წინასწარვე უნდა ყოფილიყო განხილული, ყოველ შემთხვევაში, ან გადაწყვეტილებაზე რომ აუცილებლად „ზევიდან“ უნდა მიეთითებინათ მკვლელებისათვის, ეს, თითქოს, კარგად გამოჩნდა 1908 წ. 17 თებერვალს, როდესაც ლაპატრიარეს და დაჭკეთხეს ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიორგი ხიზანიშვილი.

ამ უკანასკნელმა მცხეთის პრისტავს მარკევიჩს განუცხადა:

„მკვლელობის წინა ღამეს, ვიყავი რა სოფ. წიწამურში პავლე ფშავლიშვილის ნათესავებთან, სადღამოს წინ იქ ნოვიდნენ ვანო ინაშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და კიდევერთი იმერელი, რომელსაც მე პირველად ვხედავდი, ისინი იქ ამბობდნენ, რომ კომიტეტმა გადაწყვიტა, მოკლას ილია ჭავჭავაძე ერისათვის, რომ ივი ხალხის მავნე წევრია და გლეხებს აწიოკებს. ამ ღამეს ისინი წავიდნენ. ნე კი მიბრძანეს, რომ უთენია მიეს ულიყავი ბელობჩე. საიდანაც კარგად ჩანს საგურამოსაკენ გზა“ (ბ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა... გვ. 91).

გ. ხიზანიშვილის ჩვენებამ, როგორც ნოსალოდნელი იყო, იმთავითვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინვე კომენტარიც გაუკეთეს იმას, თუ რომელი კომიტეტი იგულისხმებოდა გ. ხიზანიშვილის ჩვენებაში. აღნიშნავდნენ: სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. გ. ხიზანიშვილის ჩვენება იმიტომაც წაადგა სინამდვილეს, რომ, ჩვეულებრივ, ტერორისტულ აქტს კომიტეტის გადაწყვეტილება უძღოდა ხოლმე წინ. ასეთი იყო ტერორისტული აქციის რეგლამენტი.

და აი, პრესამაც არ დააყოვნა გ. ხიზანიშვილის „ამბის“ გამოქვეყნება: 1908 წ. «Закавказское обозрение», № 66, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საასამართლო ქრონიკაში იუწყებოდა:

«...При производстве дознания приставом мцхетского участка Маркезичем был задержан житель сел. Цицамури, который объяснил, что в августе 1907 г. к нему пришли Вано Инашвили, Павел Пшавлишвили, Гигла Бербичашвили и неизвестный ему «имеретин»; при этом Инашвили сказал, что социал-демократический комитет постановил убить князья Чавчавадзе за то, что он стесняет крестьян в земельном отношении».

ანალოგიური ინფორმაციები სხვა გაზეთებშიც გამოქვეყნდა. წრე, თითქოს, უკვე იკვრებოდა.

ნათელი ხდებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის გადაწყვეტილებით იქნა მოკლული, რაშიც, ა. გრეკოვის ჩვენებებსაც თუ დავუმატებდით, გურიის სოციალ-დემოკრატი ტერორისტებიც დაუსაქმებიათ.

მაგრამ სულ მალე ყველაფერი შეიცვალა.

1908 წლის 19 აპრილს ძიების საქმეში ჩნდება ალ. გრეკოვის ახალი ჩვენება, რომლითაც იგი მთლიანად უარყოფს თავის ადრინდელ ნათქვამს. მეო, ამბობს იგი, ვიცრუე, რადგანაც არავითარი ბახვის კრება არ მომხდარა და არც ნე დავსწრებივარო მას. დოლიძეზე რაცა ვთქვი, გაბრაზებით ვთქვი, ვინაიდან სამი წლის წინ მან მე წამართვა აბრეშუმის ყაბალახი, ჩერქეზული, ქამარი, საათი და მათი დაბრუნება აღარ უნდოდაო (დოკუმენტის პუბლიკაცია იხ. პ. გუგუშვილი, გვ. 95).

ცხადია, ამის შემდეგ, ბახვის კრების ამბავი ძიებას აღარ გამოადგებოდა.

სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის დამადასტურებელი ერთ-ერთი უმნიშვნელესი არგუმენტიც თამაშიდან გავიდა.

ძიება და სასამართლოც საბოლოოდ დაადგნენ მკვლელების წიწამურ-საგურამოელი გლეხების წრეში ძებნის გზას.

* * *

ზემომიმოხილულმა ფაქტებმა იმთავითვე მწვავე კამათი გამოიწვია.

განსაკუთრებით იყენებდნენ მას სოციალ-დემოკრატების დამცველები. ნახეთ, ანბობდნენ ისინი, როგორი ყალბი ფაქტებით ცდილობდა ნეტის ძიება სოციალ-დემოკრატებისათვის სახელის გატეხას. განა ა. გრეკოვის პროვოკაცია არაა საკმარისი ამაში დასარწმუნებლად? ამ გაწყობილებას იჩენს პ. გუგუშვილი, როცა წერს: „ტოლმაჩევი გამარჯვებას ზეიმობს. მაგრამ პროვოკაციამ ბოლომდე ვერ გაჭრა. 19 აპრილს 1908 წ. ილიაშენკომ განმეორებით დაკითხა ალ. გრეკოვი, წამოუყენა მის ჩვენებაში მიცემული შეუსაბამობანი და მოაგონა, რომ ჩვენების არც ერთი მთავარი მომენტი არ დასტურდება. ცხადია, აქ დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებამ... პრესამ და სხვა. ამ ყოვლად აშკარა პროვოკაციის წინააღმდეგ ალ. გრეკოვმა აღიარა, რომ ილიას მოკვლის შესახებ ნამდვილად არაფერი გაუგონია...“ (პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 19-20).

ბახვის კრების მიმართ ინტერესი უკანასკნელ ხანებში კვლავ გამოცოცხლდა სოციალ-დემოკრატების დანაშაულებრივი მოქმედების

ჩვენების კონტექსტში.

ასე, მაგალითად, ვ. გურგენიძე თავის ნარკვევში ილიას მკვლელობაზე თვლის, რომ სოციალ-დემოკრატებმა ილიას მკვლელობა ღრმა კონსპირაციაში გადაწყვიტეს, რისთვისაც, სხვათა ყურადღება რომ არ მიექციათ, ამ საკითხზე შედარებით მოცილებულ გურიაში ინსკელეს. სამწუხაროდ, ვ. გურგენიძეს არსად ამ თვალსაზრისის დასაბუთება არა აქვს. ამიტომაც, ჩვენ ვერ ვიგებთ, თუ როგორ შეიძლება სანდო იყოს ა. გრეკოვის ჩვენება ბახვის კრების შესახებ, როდესაც ამ კრების რეალურობა შემდგომში თვითონ ა. გრეკოვმაც უარყო?

ა. გრეკოვისავე ჩვენებით, ი. ჭავჭავაძის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ, ბახველებს კი ეს გადაწყვეტილება უბრალოდ ემცნოთ. მაშ, რაღა საფუძველი გვაქვს მტკიცებისათვის, რომ ი. ჭავჭავაძის მოკვლა ბახვის კრებამ დაადგინა?

ბახვის კრების რეალურობის დასაცავად, კერძო საბუთებშიც ანმობენ ხოლმე: იყო, ბატონო, ამგვარი კრება, მაგრამ ა. გრეკოვი პირველი ჩვენების შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა სიკვდილით დააშინეს და ანიტომაც იგი იძულებული გახდა, რომ უარეყო ადრე ნათქვამი. სამწუხაროდ, ამ შეხედულებასაც ვერავინ ასაბუთებს.

ბახვის კრების თემაზე სულ ახლახან ვრცელი ნარკვევი გამოქვეყნა ენვერ გოგუაძემ. მისი აზრით, ეს კრება მართლა მოიწყო და ტერორად გურულმა ტერორისტებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე (იხ. ე. გოგუაძე, „საიდუმლო სერობა სოფელ ბახვში თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მოსაკვდინებლად», „სახალხო განათლება“, „1990, № 7, № 8).

ე. გოგუაძე ჯერ ვრცლად გვაცნობს პრესის ცნობებს ერმ. დოლიძეზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ნივთების ქონა ბრალდებოდა. შემდეგ ავტორი უკომენტაროდ ალ. გრეკოვის ჩვენების მიხედვით აღწერს ბახვის კრების ისტორიას, იმას, თუ როგორ გაგზავნეს გურული სოციალ-დემოკრატი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად, და ა. შ.

კი მაგრამ, ა. გრეკოვმა რომ შემდეგ თვითონვე უარყო პირველი ჩვენება, როგორ უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? ამას ე. გოგუაძე მარტივად ხსნის, როცა წერს: „მეხუთე აქტი (ა. გრეკოვის მიერ უარყოფა), რომელშიც სიმართლის ნაცვლად აშკარად იგრძნობა კეფაზე მაუზერმიბჯენილი კაცის სასიკვდილო თრთოლვა, მართლაც რომ გვანცვიფრებს თავისი ალოგიკურობით, წინააღმდეგობებით და ფაქტების უგულებელყოფით. სამწუხაროა, რომ სანდრო გრეკოვის ეს „ქუთაისური დაკითხვის ოქმი“ დღემდე იყო შერაცხული, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ერთადერთი ყველაზე სანდო და საიმედო საბუთი, რადგან ამ უტყუარი საბუთის ძალით სოციალ-დემოკრატები საიდუმლოებით მოცულ

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მიღმა რრებოდნენ, ბოლო თვით ავადსახსენებელი მკვლელობა ბარბოდენ წიწაბურ-საგურამოს სანახებით იფარგლებოდა" (№ 7 გვ. 9).

ე. გოგუაძეს საინტერესო და ზოგიერთი თითქმის უცნობი მასალაც აქვს მოტანილი იმის საილუსტრაციოდ, რომ ა. გრეკოვის ჩვენებების შემდეგ გურული სოციალ-დემოკრატი ტერორისტების დიდი წყება დაპატიმრებულ იქნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ნონაწილეობის ბრალდებით. ამ ამბის შემდეგ ე. გოგუაძე იმასაც გვანცნობს, თუ როგორ მოკლეს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა ალექსანდრე გრეკოვი, რომელიც ძიებაზე გარეთ გამოუშვეს.

ასე წარმოგვიდგა ახალი ვერსია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე გურული ტერორისტების მიერ.

ე. გოგუაძის ნარკვევში მრავალი საინტერესო მასალაა თავმოყრილი და ავტორიც სამართლიანი სიყვარულითაა გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის პიროვნების მიმართ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას დავეთანხმოთ მასალების მისეულ გააზრებაში.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ე. გოგუაძე ა. გრეკოვის ბოლო ჩვენებას შიშის ქვეშ მიცემულად და, ამდენად, ყალბი შინაარსისადაც თვლის, ამის საპირისპიროდ კი ჭირვეულ ჩვენებებსა და პრესის ცნობებში უკომენტაროდ სიმართლეს ხედავს, იგი არსად ამ თავის პოზიციას წყაროთმცოდნეობითი წესით არ გვისაბუთებს. ამიტომაც, ცხადია, მისი პოზიცია სუბიექტური და დაუსაბუთებელია.

ა. გრეკოვის ჩვენებათა წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ორივე ინფორმაციული ნაკადი — ბახვის კრება იყო, ბახვის კრება არ ყოფილა — ერთი და იმავე პიროვნებისაგან მოდის. მაგ რა საბუთით ეუჯერებთ ბეორე ნაკადს? მარტოოდენ იმით, რომ ვაცხადებთ: ა. გრეკოვი კეფაზე მაუზერმიბჯენილი კატის მდგომარეობაში უარყოფდა თავის პირველ ჩვენებას?

ე. გოგუაძე მნიშვნელობას არ აძლევს მის ხელთ არსებული მასალების კრიტიკულ ანალიზს. ეს, პირველ ყოვლისა, იქიდან ჩანს, რომ იგი სრულყოფილი, ფეშმარიტების შემცველი ინფორმაციის სახით იყენებს პრესის იმ მასალებს დოლიძეზე, სადაც იუწყებოდნენ, რომ ამ უკანასკნელის ბინის ჩხრეკისას აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ნივთები, რომლებიც მკვლელებმა ტერორისტული აქტის დროს გაიტაცეს. ე. გოგუაძის ნარკვევში პრესის ეს ცნობები უკომენტაროდ ავსებენ და ხორცს ასხამენ ა. გრეკოვის ჩვენებას ბახვის კრებისა და პირადად ე. დოლიძის შესახებ.

მაგრამ რა უფლებით?

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, კავკასიური პრესის ცნობები იმის

თაობაზე, რომ ილიას პირადი ნივთები ერმ. დოლიძის სახლის ჩხრეკისას მის ჩემოდანში აღმოჩნდა, ბლეფია. ამიტომაც იყო, რომ შემდეგში დოლიძის ბინაში აღმოჩენილი ილია ჭავჭავაძის ნივთების შესახებ მითქმა-მოთქმა შეწყდა. განა ერთი წუთითაც შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ძიებას, რომელიც ენერგიულად მუშაობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გასასხსნელად, ხელიდან გაეშვა ერმ. დოლიძესთან ილიას ნივთების აღმოჩენის ფაქტი და იგი არ გამოეყენებინა, როგორც ნიკოლმტკიცება? მაგრამ ძიებამ ეს არ გააკეთა, უბრალოდ იმიტომ, რომ ერმ. დოლიძის ჩემოდანში ნაპოვნი ნივთები ილიასი არ აღმოჩენილა. სხეათა შორის, დაპატიმრებულმა ერმ. დოლიძემ, ერთი ამბავი — ხვეწნა და მუდარაც აუტეხა ილიაშენკოს, რომელსაც 1908 წ. 2 თებერვალს სთხოვდა: „დაპატიმრებისას ჩემი ჩემოდანი ჩამომართვეს და გთხოვთ დამიბრუნოთ, თანაც დამიმოწმოთ, რომ ნივთები, მე რო მიპოვნეს, ჩემი საკუთრებაა და არა თავ. ი. ჭავჭავაძისა". ერმ. დოლიძე მოითხოვდა „უარყოფის გამოქვეყნებას გაზეთებში, რადგანაც გაზეთებში ადრე გამოქვეყნებული იყო, რომ ჭავჭავაძის ნივთები ჩემთანაა ნაპოვნი" (სცსია, ფ. 116, აღწ?; საქმე 13363, ფ. 212).

საერთოდ, არ დადასტურებულა ერმ. დოლიძის მონაწილეობა ილიას მკვლელობაშიც და ძიებამაც, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ა. გრეკოვის ყველა ჩვენება (აბა, ვის ეცოდინებოდა როცა ა. გრეკოვმა მას „ჩაუკაკლა ყველაფერი"...), ეს უკანასკნელი საერთოდ გამოთიშა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმისაგან, თუმცა იგი პატიმრობაში დატოვა, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. ერმ. დოლიძე, 1917 წ. მეტეხის ციხეში კატორღელად გარდაიცვალა და იქვე იქნა დაკრძალული.

ამასთანავე, ვიდრე ა. გრეკოვის ჩვენებებით ილიას მკვლელობის პერიპეტიებს წარმოვიდგენდით, ჯერ აუცილებელია ნაჩვენები იქნეს, უსაფუძვლოა ყველაფერი ის, რაც ქართულმა ისტორიოგრაფიამ იცის იმის თაობაზე, რომ ილია მოკლული იქნა საგურამოელი და დუშელი გლეხების მიერ. მაგრამ განა ეს ფაქტი საეჭვოა და ვინმეს უარუყვია?

მართალია, ე. გოგუაძე თავის ნარკვევში გვერდს უვლის საგურამოელი და დუშელი გლეხების მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, მაგრამ ის ამას მექანიკურად ჩადის, რაც, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო ფაქტის უარყოფა არაა.

ამგვარი ელემენტარული წინააღმდეგობა ერთ-ერთმა პირველმა თვითონ ერმ. დოლიძემ აღნიშნა. 1908 წ .26 თებერვალს იგი ილიაშენკოს სთხოვდა: გავიგე, როგორც გაზეთებში დაუწერიათ, ილიას მკლელები დუშეთის მაზრაში დაუჭერიათ და მათაც უკვე უღიარებიათ თავისი დანაშაული. თუ ეს ხმები მართალია, იხვეწება ერმ. დოლიძე, გთხოვთ

დაჰკითხოთ ისინი და თუ მათი დაკითხვით ჩემი ალიბი სრულად დადგინდება, „უმორჩილესად გთხოვთ მიხსნათ შემდგომი წვალებისაგან და გამათავისუფლოთ პატიმრობიდან“ (ზემოდასახელებული საარქივო საქმე, გვ. 238).

ერმ. დოლიძეს რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა უმტკიცდებოდა, ეს შეიძლება სარწმუნოც ყოფილიყო ტამბიევის (ამ უკანასკნელმა დაიჭირა სწორედ ერმ. დოლიძე) პატაკიდან. იგი აღნიშნავდა: „მე მეორე სხვათა შორის გავიგე, რომ დოლიძემ დაკავებამდე ვიღაცას კერძო წერილი გაუგზავნა, რომელიც ხელთ იქნა ჩაგდებული და ამ წერილში ერმალო ირიბად აღიარებდა რა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას — თხოულობდა მისი ამ საქმეში მონაწილეობის დაფარვას“ (დასახ. საარქ. საქმე, 212-218).

მაგრამ ტამბიევის ეს შენიშვნა რაიმეს გადაჭრით თქმის საშუალებას როდი იძლევა. ტამბიევმა ხომ ჯერ არც იცოდა საქმის ნამდვილი არსი? არც ისაა გამორიცხული, ერმ. დოლიძემ (ყველაფერი ეს დაპატიმრებამდე ხდებოდა) იცოდა, რომ მასზე წერდნენ, ილიას მკვლელობაში მონაწილეობდაო, და ერმ. დოლიძეც იმათ, ვისაც ენდობოდა და ახლობლად თვლიდა, სთხოვდა კიდევაც — დამიცავით, ჩემს მიმართ ილიას მკვლელობაში ბრალდებით რაიმე ცუდი არავინ მოიმოქმედოსო.

შევეხოთ ახლა ა. გრეკოვის პირველ, როგორც ე. გოგუაძე თვლის, ჭეშმარიტების შემცველ ჩვენებებსაც.

ამ საკითხზე, ალბათ, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალს, იმას, რომ ა. გრეკოვი ბახვის კრების და პირადად ერმ. დოლიძის შესახებ ალაპარაკდა მას შემდეგ, რაც ერმ. დოლიძეს სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის მანძილზე მართლმსაჯულება და პრესაც ილია ჭავჭავაძის ერთადერთ ფიზიკურ მკვლელად თვლიდნენ, იუწყებოდნენ, რომ მის ჩემოდანში აღმოჩენილ იქნა ილიასაგან ნაძარცვი ნივთები...

იმ ფაქტზე, რომ ა .გრეკოვის „აღიარებას“ ბახვის კრების და პასში ერმ. დოლიძის მონაწილეობის შესახებ პრესაში ორ თვეზე მეტი ხნით უსწრებდა ინფორმაცია (კერძოდ, „ისრის“ 29 სექტემბრის ცნობაც) ერმ. დოლიძის სახლში, ბახვში, „ილია ჭავჭავაძის ნივთების“ აღმოჩენის შესახებ, ყურადღება გაამახვილა გ. შარაძემ. ზემოაღნიშნული ინფორმაციები მოძიებული, თავმოყრილი და ანოტირებულია თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას მიერ (იხ. მათი „ილია ჭავჭავაძე“, ბიობიბლიოგრაფია, თბ. 1966, საძიებელი, გვ. 646; „ერმ. დოლიძეზე“).

როგორც ვნახეთ, ერმ. დოლიძე დააპატიმრეს 28-29 ნოემბერს, ღამით, 30-ში კი უკვე გრეკოვიც ალაპარაკდა, უხვი ცნობები მისცა ტა-

ლმაჩევს „ბახვის კრების“ მონაწილეებზე, მაგ. შორის ერმ. დოლიძეზე.

მაგრამ რაღა ახლა აჭიკჭიკდა ა. გრეკოვი, როცა ერმ. დოლიძე დაპატიმრეს, უწინ კი ამის შესახებ არაფერს ამბობდა? ა. გრეკოვი ხომ კარგა ხნის დაპატიმრებული იყო ერმოლოვის მიერ. გენ. ტოლმაჩოვი გურიაში მოგვიანებით ჩავიდა და გრეკოვის დაკითხვები დაიწყო. რა ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს ერმ. დოლიძის დაპატიმრება და ტოლმაჩოვთან გრეკოვის ალაპარაკება!

რაშია საქმე? ხომ არ უნდა გავიხსენოთ ა. გრეკოვის ტოლმაჩოვისეული დახასიათება — ოდნავი დაყვავებისთანავე მზადაა თავიც დასდოს შენთვისო? ასე დაყვავებით ხომ არ მიუდგა ტოლმაჩოვი ა. გრეკოვს მის ასალაპარაკებლად?

ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა გრეკოვმა ისეთი რა უთხრა ტოლმაჩოვს, რაც ნაწილობრივ ადრეც არ იყო ცნობილი მისთვის? მაგალითად, დოლიძეს რომ ბრალს სდებდნენ, მის პირად ჩემოდანში ინახებოდაო ილიას ნივთები, დაფარული როდი იყო. თუ ეს ასე იყო, ისიც უეჭველი უნდა ყოფილიყო, რომ ერმ. დოლიძე ილიას სხვა ფიზიკურ მკვლელებთან ერთად გადიოდა მკვლელობის საქმეში, მარტო ხომ არ მოკლავდა ილიას.

ამდენად, ყველა საფუძველი გვაქვს იმის სავარაუდოდ, რომ ა. გრეკოვმა ერმ. დოლიძეზე ადრევე ცნობილი და სავარაუდო ვერსია გაიმეორა და იგი ბახვის კრების მაგალითით განავრცო.

გამორიცხული არაა, რომ ამგვარად გავრცობილი ვერსია ა. გრეკოვს ტოლმაჩოვმაც შეაჩერა, ვთქვათ აგრძნობინა, რომ ა. გრეკოვი თავისუფლებას მიიღებდა, თუ იგი მას დაეხმარებოდა წითელი რაზმელების დასახელებასა და მოძებნაში.

ყოველ შემთხვევაში, ა. გრეკოვმა ეს სურვილი კარგად შეუსრულა ტოლმაჩოვს, მისცა წითელი რაზმელების მთელი სია და თანაც ჩვენების სინამდვილეში დასარწმუნებლად, ტერორისტთა შორის მოიხსენია ერმ. დოლიძეც, ილიას ერთ-ერთი მკვლელი, ამას ხომ პრესა და ხალხის ბნაც მიუთითებდა?

ტოლმაჩოვმა შესანიშნავად ისარგებლა ა. გრეკოვის „გულანდილი ჩვენებებით“. დაიწყო გურული წითელი რაზმელების დაპატიმრება, რაც გენერალ-გუბერნატორისთვის წარმატებაც იყო. აკი აღნიშნავს კიდევაც ტოლმაჩოვი: ა. გრეკოვმა მე დიდი დახმარება გამიწია სამსახურებრივი მოვალეობის ასრულებაშიო. ტოლმაჩოვმა წითელ რაზმელებზე ზუსტად შეიტყო, თუ ვინ რომელი სოფლიდან იყო. ყველაფერი სწორი იყო. ტოლმაჩოვი დასძენდა, რომ რასაც ა. გრეკოვისაგან იგებდნენ, ეს აგენტურული გზითაც მტკიცდებოდაო მუდამ. ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ა. გრეკოვმა სწორი

ინფორმაცია დაყენება იმაზე, თუ ვინ იყენებენ წითელი რაზმელები.

რაც შეეხება გურული ტერორისტების მიმართებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმესთან, ეს ბლეფია, თუნდაც იმიტომ, რომ მთავარ ტერორისტ ერმ. დოლიძეს ამ საქმეში მონაწილეობა არ უდასტურდება.

საერთოდ, ა. გრეკოვის მონაყოლი რომ გავარჩიოთ, იგი ისედაც აშკარად ჰგავს გულუბრყვილო პროვოკატორის ნაამბობს.

ასე ვავალითად, ერთ შემთხვევაში ა. გრეკოვმა ილიას მკვლელებად სამი კაცი დაასახელა: ერმ. და კალენიკე დოლიძეები და დ. ბასილაძვილი. მეორე ჩვენებაში კი მკვლელები ოთხნი არიან. ზემოდასახელებულებს ა. გრეკოვი ვიღაცა სომეხსაც უმატებს.

უცნაურია ა. გრეკოვის ჩვენება იმის თაობაზეც, რომ ბახვის კრებაზე ბათუმიდან ჩამოსული კაცი ილიას მკვლელობის საჭიროებას თითქოს იმითი ასაბუთებდა, რომ მან ჩვენ გვიღალატაო. თვალსაწიერი ა. გრეკოვისა, რომელიც, მისივე განცხადებით, ადრე თვითონაც ტერორისტობდა, მეტად შეზღუდულია. მისი წარმოდგენით, პიროვნების მოკვლა მაშინ უნდა მოხდეს, როცა მან პროვოკაცია, ე. ი. ღალატი ჩაიდინა. ასეც ალაპარაკებს იგი ბათუმიდან ჩამოსულ კონსპირატორს. მაგრამ ა. გრეკოვმა არ იცის, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ უღალატებდა პარტიულებს, რადგანაც ღალატი მხოლოდ პარტიულს შეეძლო, ილია კი, კაი ხანია, სოციალ-დემოკრატების აზრით, მათი მტრების ბანაკში იყო.

ა. გრეკოვის თქმით, ისე ჩანდა, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ. თუ ეს ასეა, რაღა საჭირო იყო ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მაინც და მაინც ბახვში?

ა. გრეკოვმა, ეტყობა, საერთოდ არაფერი იცოდა იმ ამბებზე, რაც დუშეთ-საგურამოში ნოხდა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით და ყველაფერი, ამ რეალურისაგან განსხვავებით, ბახვში მომხდარად წარმოიდგინა. საფუძველიც ჰქონდა: ორ თვეზე მეტი იყო პრესა და ხალხი გაიძახოდნენ, ერმ. დოლიძეს, ბახველს, ილიასგან ნაძარცვი ნივთები უპოვნესო. თუ ეს ასეა, წარმოიდგინა, ალბათ, ა. გრეკოვმა, ტერორისტულ აქტზე დადგენილებაც ბახვში უნდა გამოეტანათ.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ა. გრეკოვის ჩვენებაში ჩართულია ერთი ისეთი ფრაზა, რომელიც სხვა დეტალების გარეშეც გვაფიერებინებს, რომ ა. გრეკოვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ობიექტური ინფორმაციის მიმწოდებელი.

ა. გრეკოვი სიმწრით ამბობს წითელ რაზმელებზე: ნამდვილი მკვლელები გარეთ დაიარებიან, მე და ჩემი ძმა კი დაპატიმრებულები ვართო.

დაბოღმილი კაცი ამბობს ამას და გულში იქადნის, ...ცდეთ, კაცი არ ვიყო, თუ თქვენც ციხეში არ ჩაგყაროთო.

ტოლმაჩოვი კი მოგებაშია, მას ტერორისტების აყვანა აინტერესებს და არა ილია!

ა. გრეკოვის ჩვენებათა შენდეგ დაიწყო გურული ტერორისტების მასობრივი დაპატიმრება.

და აი, ამის შემდეგ თქვა უარი თავის ჩვენებაზე ა. გრეკოვმა.

რატომ?

ამაზე სხვადასხვა ვარაუდი შეიძლება არსებობდეს. იქნებ ა. გრეკოვს მუქარა შეუთვალა ვიღაცამ: ცნობილი . გახდა, რომ ა. გრეკოვმა ჩაყარა ტერორისტები. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ გვიან ა. გრეკოვი თვითონვე მიხვდა, რაც გააკეთა და შეშინდა. მან ხომ პროვოკაცია ჩაიდინა, როცა ტერორისტებს ილიას მკვლელობაში მონაწილეობა დასწამა იმ შემთხვევაშიც კი, ზემოხსენებულთ ამ საქმეში მართლაც რომ მიეღოთ მონაწილეობა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ა. გრეკოვმა თავისი პირველჩვენება მას მერე უარყო, რაც იგი ილიაშენკომ აბლაბდ დაჭერეთხა და ა. გრეკოვის ადრე ნათქვამში შეუსაბამობაზე მიუთითა...

აი, რა ვითარებაში გამოერკვია ა. გრეკოვი და თავისი პირველადელი ინფორმაცია უარყო, ტყუილი ვთქვიო.

ე. გოგუაძე კი ამ გარემოებას მხედველობაში არ იღებს და მასალების იმ ნაწილით ოპერირებს, რაც მის სქემას წაადგება. ...ეორე-ეს-ეს-ეს

რი მკვლელების მიმართ მკაცრი სასჯელი იქნა გამოტანილი, მაინც ვერ გაირკვა, თუ ვინ, რომელმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ მოაწყო მკვლელობა, ვინ იყო ამ აქტის კონკრეტული ინსპირატორი.

ცხადია, ამის გამო, ქართული საზოგადოებრივი აზრი ამის შემდეგაც ცდილობდა საკითხის ძიებას. მისხალ-მისხალ აგროვებდნენ ცნობებს, თუ სხვადასხვა პირთა ნათქვამებს, ილიას მკვლელობის საიდუმლოებათა ამოსაცნობად. ამგვარი გზით მოძიებული ინფორმაციები, ხშირად დეტალებში, ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ საერთოა მათი ძირითადი აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელები ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მიერ იყვნენ წაქეზებული, მათი პარტიული დავალებით მოქმედებდნენ.

საკუთარი ნათელია, რომ ამგვარი ფრაგმენტული და ხშირად ზეპირი ვადმოცემებით მიღებული ცნობებით ჭეშმარიტების ამოცნობა მოსახერხებელი და შესაძლებელი როდია. მაგრამ საარქივო მასალების კრიტიკული განხილვა მაინც შესაძლებელს ხდის იმ აზრის დანახვას, რომ ზემოხსენებული გადმოცემები და ცალკეული ფაქტები, როგორც ჩანს, სწორ პერსპექტივას შეიცავენ.

გავეცნოთ ან მასალებს ილიას მკვლელობის საკითხზე ქართული საზოგადოებრივი აზრის ევოლუციის ასპექტში.

• • •

წიწამურის ტრაგედიისთანავე იმ აზრის გავრცელება დაიწყო, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკურ ნიადაგზე. განსაკუთრებით გამოიკვეთა ეს ბრალდება 1913 წ. ფილიპე მახარაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ სტატიებში.

დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები აშკარად ადანაშაულებდნენ ფილიპე მახარაძეს იმაში, რომ მან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებული თავისი პროვოკაციული წერილებით არსებითად მოამზადა მწერლის მკვლელობა.

ავტორები ამტკიცებდნენ, რომ: 1. ფ. მახარაძის და მისი თანამოკალმეების ლიტერატურული თავდასხმები იყო არსებითად ილიას საწინააღმდეგოდ გლეხების წინასწარგანზრახული წაქეზება. 2. მიანიშნებდნენ ამ წამქეზებელთა და მკვლელობის ორგანიზატორთა ურთიერთკავშირზე, აღნიშნავდნენ, რომ ილიას ფიზიკურად მკვლელებს გარეშე ძალა ეპარმართავდა. იხსენიებდნენ აგრეთვე გ. ხიზანიშვილის ჩვენებას,

რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წინა საღამოს, წიწამურში ივანე ინასშვილი, გიორგი ბერბიჭაშვილი და „ვიღაცა იმერელი" რომ მივიდნენ, იე. ინასშვილმა თქვა, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დაადგინა კომიტეტმა, რაც, როგორც ვნახეთ, თანამედროვეთა მიერ სოციალ-დემოკრატების კომიტეტად იქნა გაგებული.

განსაკუთრებით მკვეთრად და ლოგიკურად ჩამოაყალიბა ფილიპე მახარაძის საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული ბრალდება რ. გაბაშვილმა. (რ. გ. ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე. „კლდე", 1913, №3, გვ. 3-4).

სოციალ-დემოკრატების მაბრალობელთა აზრი მკაფიოდ გამობატა, მაგალითად, ჯერ კიდევ 1908 წელს ჟურნ. „ნიშადურში" ავტორმა, „ქართველის" ფსევდონომით. იგი აღშფოთებით წერდა:

„მრავალ ტანჯულ საქართველოს კიდევ ამ 15 წლის წინათ მოევლინა ერთი საშინელი სენი, აღვირახსნილ და ზნეგახრწნილ არსებათა ბრბო, რომელიც სოციალიზმის ნიღაბს ატარებს, მაგრამ ფიქრობს მხოლოდ თავის კუჭსა და „არსობის პურზე". ამ უგუნურთა და ფანატიკოსთა ბრბომ თავიანთ დემაგოგ-ბელადების შთაგონებით ამ თავითვე უარყო ქართველი ეროვნება, დაგმო ქართული ენა და წარსული, დაგმო ქართველი ერი, მისი თავისუფალი მართვა-გამგეობა, და გადაიქცა სხვა ერის სოციალ-შოვინისტის ლაქიებად და ცენტრალიზმის სახელით ახალ ნინობის მღაღადებლად.

ამ ბრბომ თავი აღიარა „მუშათა პარტიად", გააღო ფართოთ თავისი სამიკიტნოს კარები და შერეკა თავის დუქანში პარტიის წევრებად კაცის მკვლელები, ჯიბგირები, მძარცველები, ქუჩის ბიჭები და სხვა ყოველგვარი ნაძირალები...

ამ უბადრუკმა ბრბომ თავისი უნამუსო დამქაშებით დაიპყრო, დაბეკრა და დააფრთხო ისედაც დამფრთხალი ქართველი ხალხი, დააარსა სოფლად თუ ქალაქად კომიტეტები, გაავსო ქვეყანა თავხედი და უმეცარი აგენტებით და პარტიის სახელით ჩაიდინა საქართველოში აურაცხელი საზიზღარი ბოროტებანი, რომელთა აღწერას არ ეყოფა მთელი მრავალ ფურცლიანი წიგნები და რომლებიც აშკარავდება თანდათან და დღითიდღე.

ეი იმ ქართველი ეროვნების უარმყოფელმა ბრბომ იმთავითვე შეიძულა საქართველოს მოამაგენი, წრფელი მოღვაწენი, უანგარო მუშაკნი და მათ შორის ყველაზე მეტად და უდიერად — ილია ჭავჭავაძე. რომელსაც გაუმართა გაზეთ „კვალსა" და „მოგზაურში" მწვავე ყალთაბანდური პოლემიკა და რომლის შესახებ მოფინა ხალხში საზიზღარი ჭორები და ცილისწამებანი.

ამ დაბრმავებულმა ბრბომ დასწვა მახათას ველზე ილიას უკვ-

დავი ნაწერები. ამ ბრბომ შეაძულა ქართველ გლეხობას მისთვის თავ-დადებული ადამიანი, მისი ჭირ-ვარამის აღმნუსხველი მგოსანი, მისი მოამაგე და გულშემატკივარი... და სწორედ აი, აქ იბადება უნებლიეთ კითხვა: ეს წარმოუდგენელი სიზიზღრობა ხომ არ ჩაიდინეს იმ ბრბოს უვიცნა აგენტებმა?! იმათ ხომ არ მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე? ეს საშინელი ეჭვი, ეს ზარდაცემი აზრი ცხოველად წარმოუდგა ყველა ქართველს, განსაკუთრებით „ისრის“ № 44 წაკითხვის შემდეგ.

„ჩვენ მოვკალით ილია ჭავჭავაძე კომიტეტის განკარგულებითო“, ეუბნება ბოქაულს გიორგი ხიზანიშვილი: —„ილია მოკლეს ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა, ფმავლიშვილმა და ერთმა იმერელმაო“, — ანბობს იგივე.

ნეტავ ვინაა ეს „კომიტეტი“, რომლის განკარგულებით მოქმედებდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედებდა იმ დროს დუშეთ-საგურამოს რაიონში?!

მკვლელებს ისიც კი უკვირდათ, თურმე, რომ მათ წყევლა-კრულვით იხსენიებდა ქართველი ერი და ჟურნალ-გაზეთობა; მათ ეგონათ, რომ ილიას სიკვდილით სასახელო საქმე ჩაიდინეს, იხსნეს ქვეყანა მეტარვალისაგან, ნამდვილათ კი ნკვლელები საუკუნოთ დაგმო ქართველმა ხალხმა.

ადვილი მისახვედრია, თუ ვინ ყოფილან ილიას მკვლელები, ესენი იყვნენ ბრმა იარაღი ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალმაქცურად პარტიისა და კომიტეტის ფარდას ეფარებოდნენ... ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სდა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა პეტერბურგიდან? ვინ გამოექომაგა ილიას მკვლელებს? რატომ? რისთვის?!

კმარა!... აქ ყველაფერი ნათლად ჩანს, ყველაფერი ადვილად გასაგებია! ჩვენ აქ არაფერს ახალს არ ვამბობთ. ყოველივე ეს უკვე გამოირკვა გაზეთებიდან.

მომწიფდა ჟამი, რომ ნიღაბი ავგლიჯოთ ხალხის ცრუ ბელადებს, დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზრდობამ! დროა გადაიძროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ და ზოგიერთმა გაზეთმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქეობრივი გამბედაობით! დროა ვიცნოთ მგლები ბატკნის უმანკო ტყავში გახვეულნი და შევაჩეროთ მათი წრეს გადასული თარეში და ვერაგობა-ბოროტებანი!

არ გვინდა სისხლი, არ გვსურს შურისძიება! საჭიროა გავიგოთ მხოლოდ სინამდვილე“. (იხ. „ნიშადური“, 1908, № 38, გვ. 2-3).

სტატიების მთელი სერია მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობ-

ის პრობლემას კიტა აბაშიძემ. მან, მიმოიხილა რა ილიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების ბრძოლის ისტორია, ტრაგედიაში არსებითად მთელ საზოგადოებას დასდო ბრალი. ილიას ბედისადმი მისი გულგრილობა რომ არა, უბედურებაც არ მოხდებოდაო. საერთოდ კი ავტორნა ბრალდებები სოციალ-დემოკრატებს, როგორც იგი ამბობდა, აგიტატორებს დააკისრა. ამ უკანასკნელებმა ილიას ირგვლივ ისეთი მოწამლული ატმოსფერო შექმნეს, იგი ისეთ უარყოფით პიროვნებად, მშრომელი ხალხის მტრად დასახეს და ამაში ბევრი ვიღაც დააჯერეს, რომ გასაკვირიც არ იყო, თუ შემდეგში შეუგნებელი ბრბოს წარმომადგენლები ილიაზე ხელს აღმართავდნენო:

„ს. დ. პარტიას, როგორც ერთეულს, ილიას სიკვდილში ბრალი არ უდევს. ჩვენ ვამბობდით და ახლა უფრო მკაფიოდ ვიმეორებთ, რომ ს. დ. ბელადებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა ისეთი უსახური ატმოსფერო შექმნეს, რომ ერთი ნაწილი ს. დ. ხმამაღლა და გულწრფელად თანაუგრძნობდა ილიას მოკვლას, მეორე ნაწილი გულგრილად დაუხვდა მას და მხოლოდ უმცირესობა, სულ რამდენიმე კაცი, აშფოთა ამ საზიზღრობამ“. (ერთი პილატეთაგანი. ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ. ეგე! ქუთაისი, 1913, 53).

თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატები და, ცხადია, პირველ რიგში, ფილიპე მახარაძეც, ენერგიულად ცდილობდნენ მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციის გაბათილებას, ხაზს უსვამდნენ, რომ მათი არგუმენტები მხოლოდ ეჭვებზეა აგებული და პოლიტიკური მტრობითაა ინსპირირებული. აქვე ფ. მახარაძე ორ გარემოებას წამოსწევდა წინ: 1. ილია მოკლულ იქნა 1907 წელს, როცა რევოლუცია დამარცხდა და რევოლუციური მასები შეტევის ნაცვლად იმალებოდნენ და თავის გადარჩენაზე ზრუნავდნენ. მაშ რა საფუძველზე გვდებენ ბრალს მკვლელობაში, როცა ილია ჭავჭავაძისათვის თითიც კი არ დაგვიკარებია, მაგალითად, 1905 წელს, როცა რევოლუცია აღმავლობის პერიოდში იყო? 2. ფ. მახარაძის მტკიცებით, მაბრალობლები ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატები პრინციპულად უარყოფენ პოლიტიკურ ბრძოლაში ტერორს (მადლენი, პასუხათ ცილისმწამებელთა ბანაკს, IV, „თანამედროვე ქვეყანა“, № 32, 1913, 31 ივლისი).

ამგვარი არგუმენტების მიუხედავად, ქართულ დემოკრატიულ საზოგადოებრივ აზრში იმთავითვე ისე ღრმად ჩაჯდა ბრალდება ფილიპე მახარაძის დანაშაულებრივი საქციელის შესახებ, რომ მას უდანაშაულოდ თვლიდნენ ილიას მკვლელობის მოწყობად. 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც რუსეთის XI არმია თბილისში შემოდიოდა და რევკომის თავმჯდომარედ ფილიპე მახარაძე მოჰყავდა, საქართველოს დემოკრატიული პარტიის გაზეთი — „საქართველო“ პირდაპირ წერდა,

რომ ფ. მახარაძე ის პიროვნებაა, ვისაც ხელები ილია ჭავჭავაძის სისხლითა აქვს შეღებილიო. მოგვყავს ამ სტატიის ამონაწერი: „ფილიპემ საქართველოში დაიწყო იმით, რომ ჟურნალ „მოგზაურში", რომელსაც ის რედაქტორობდა, ათავსებდა სხვა და სხვა „ფილოსოფიურ" წერილებს, საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, რომლის შინაარსი არავის ესმოდა, გარდა თვით ავტორისა. პირველად ყოვლისა, მან მიზანში ამოიღო ილია ჭავჭავაძე და თავის ჟურნალში ამ დიდებულ ადამიანზე ათავსებდა სხვადასხვა ქუჩურ ჭორებს, რამაც იმსხვერპლა ილია. ფილიპე მახარაძეს ჩვენი სათაყვანებელი ილიას სისხლით აქვს ხელები გასვრილი და დღეს უღირსი, ნაძირალა შვილი საქართველოსი, ჩვენ ბედნიერებას გვპირდება". („საქართველო", საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო, 1921, 25. 11).

ირ. ევდოშვილის წერილი

ცნობილი პოეტი ირეოდიონ ევდოშვილი იმთავითვე იყო ჩაბმული სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და ამის შესაბამისად ხშირად პრესაში თავს ესხმოდა ილია ჭავჭავაძეს. ირ. ევდოშვილის (იგი „რიგოლეტოს" ფსევდონიმით იბეჭდებოდა) წერილებში ილია ჭავჭავაძე სისტემატური ლანძღვის ობიექტი იყო.

მაგრამ 1907 წ. 30 აგვისტოს სისხლიანმა აქტმა ბევრ სხვასთან ერთად ირ. ევდოშვილსაც აუხილა თვალები და დაანახვა, თუ საითკენ მიემართებოდა სოციალ-დემოკრატების „იდეური" ბრძოლა ილიას წინააღმდეგ. აკი ამიტომაც იყო, რომ მან მონანიების ხმაზე მგზნებარე სიტყვებით მიმართა ილიას ნეშტს.

1911 წ. ირ. ევდოშვილმა (ამ დროს იგი აღმოსავლეთ ციმბირში იყო გაძევასახლებული) წერილი გამოუგზავნა სანდრო შანშიაშვილს, სადაც იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობასაც შეეხო. ირ. ევდოშვილი წერდა: „... ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდი ხანია ვთქვა, რაც შხამის ტბად ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩენმა მეგობრებმა დაატრიალეს.

ბართალს ბწერ სანდრო, ვიცი რო ამგვარი გადამთხვეულები, რომლისკენაც შენ კბილები მოგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მტორავენ, აბა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეჯენ და მოპარვით ზურგიდან მჩხვლეტენ. კარგა ხანია, რაც იმ გველებმა სიკინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე გადაგვარებულებმა, „გადამთხვეულებმა", როგორ დაახალეს ილიას მოხუც მოტეხილ-ნახულ გულს ტყვია. ეს მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო

სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და ამათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავი მეც მიჯაჭვული მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იდეურად, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის, როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა, ბრძოლა ორ აზრს შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს? ორთავე ჩემთვის ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხოვრებას სიკვდილის შემდეგ დაჰპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაბეტრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში" თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკიდული ჩემს გულში, ჩუმად, მარტოდმარტო ჩემს ფიქრებში, ძნელი იყო ორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით, იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველ სოციალ-დემოკრატებიდან და თუ მივბრუნდი დღეს მათკენ, მივბრუნდი მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენ ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ სოციალ-დემოკრატებისაკენ-მეთქი. იმიტომ, რომ ისეთი უკუღმართი შეხედულება, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ევროპის დემოკრატს არ აქვს"... (წერილის ფრაგმენტი მოწყავს ვ. გურგენიძის მიხედვით).

ი. ევდოშვილის წერილის ზემოციტირებული ნაწყვეტის კითხვისას ჩნდება ხოლმე ცთუნება, რომ რადგანაც იგი ილიას მკვლელობის ფაქტს ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნულ პოზიციას უკავშირებს, ეს თვალსაზრისი გამოყენებულ იქნეს წიწამურის ტრაგედიის კონკრეტული შერიპეტიების აღსადგენადაც. ვითარცა ფაქტის უშუალო მოწმის ჩვენება. მაგრამ ამგვარი საეჭვოა, ვინაიდან არსაიდან ჩანს, რომ წერილის ავტორი უშუალო თვითმხილველიც იყო ტრაგედიის მზადებისა, რაც, ცხადია, კონსპირაციულ პირობებში უნდა მომხდარიყო. ირ. ევდოშვილის წერილის თვალსაზრისის ანალოგიური აზრები ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე მაშინ ხშირად იწერებოდა და ითქმოდა და ვინ გამორიცხა, რომ ირ. ევდოშვილიც სოციალ-დემოკრატების და ილიას ურთიერთმიმართებაზე ამ ინფორმაციის მიხედვითაც მსჯელობდა?

გოკიელების საოჯახო გადმოცემიდან

ეს გადმოცემა წერილობით გვგავცნო ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ფატი გოკიელის ვაჟმა, თბილისის უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა კონსტანტინე ანთაძემ:

„ჩემი ბაბუა დედის მხრივ გაბრიელ (გაბო) იოსების ძე გოკიელი (1889–1938) ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერის არჩილ ჯორჯაძის თანამოაზრე და მეგობარი, თავადაც ამ პარტიის აქტიური მოღვაწე იყო. თუმცა 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთლიანად ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას.

როგორც იმ დროინდელი ქართველი ექიმების უმრავლესობა, თავის თავს მოვალედ თვლიდა, ემკურნალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ, ნებისმიერ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ პარტიის წევრებისათვის, მათ შორის, სოციალ-დემოკრატებისათვის და ამდენად დამოუკიდებლად თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა კეთილგანწყობილ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბევრ მენშევიკთან და ბოლშევიკთან.

დედაჩემი ფატი გაბრიელის ასული გოკიელი გარდაიცვალა 1973 წელს. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი წერდა მოგონებებს, რომლებიც ჯერჯერობით არაა გამოქვეყნებული. მემუარებზე მუშაობა ადედამ ვერ დაამთავრა და ამდენად ეპიზოდი, რომელიც მე არაერთგზის გამიგონია მისგან, მოგონებებში არ შევიდა, მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია ეს ამბავი ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისში ბალახვანის (ამჟამად აკაკი წერეთლის) ქუჩაზე № 4 სახლში, რომელიც ბაბუაჩემს ეკუთვნოდა, დარეკა ზარმა. კარი დედაჩემმა გააღო. მაშინ იგი წ�და ნინოს სასწავლებლის მოწაფე გახლდათ. უცნობმა მამაკაცმა, რომელსაც ოდნავ ებმოდა ენა, იკითხა:

— ბატონი ექიმი თუ ბრძანდება შინ?

დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ მოსვლელი პაციენტია, შეგოიყვანა მისაღებში და მაგას უთხრა ანის შესახებ.

ცოტა ხნის შემდეგ გაბო გოკიელი დაბრუნდა ოთახში და ოჯახის წევრებს აღელვებულმა უთხრა, რომ სტუმარი ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია იყო; პარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან, ნოე ჩამოვიდა ქუთაისში და ზრდილობის ვიზიტით მომინახულაო.

დედამ იცოდა, ვინ იყო ნოე ჟორდანია, თუმცა პირადად არ ენახა და ამიტომ ოდნავ შეცბუნდა, ვინაიდან არ მოელოდა, რომ ნოე ჟორდა-

ნიას ეწა ეპმეტოდა და რატომღაც გარეგნობითაც სხვანაირი, უფრო ინტელიგენტური წარმოუდგინა, მაგრამ ამაზე მეტად გააოცა ამშობლების საუბარმა, რომლის უნებური მოწმეც აღმოჩნდა.

— გაბო, ხომ ზრდილობიანად მოექეცი სტუმარს, რომელიც დიდი ხანია არ გინახავს და ერთმანეთის პატივისმცემლები იყავით? — ჰკითხა მეუღლემ ელისაბედ (ლიზა) თოქმაჯიშვილმა.

— კაბინეტში შემოვიპატიჟე, მაგრამ ხელი არ ჩამოვართვი, როცა დავსხედით, ნოემ მითხრა, „ტყუილად მადანაშაულებთ, მე მაგ ამბავში მონაწილეობა არ მიმიღია, ფილიპეს მოკითხეთო", რაზედაც ვუპასუხე:„ წინასწარ იცოდი და პილატესავით დაიბანე ხელიო".

დედა ჩაეკითხა მშობლებს საუბრის შინაარსზე და მათ უთხრეს, რომ იგი ეხებოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას.

ღედა მიამბობდა, რომ ამ ამბავმა მასზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა, რატომღაც მის ცნობიერებაში მოსმენილი საუბრის ორი ფრაზის ნაწყვეტი ენაცვლებოდა ერთმანეთს: „ხელი არ ჩამოვართვი", „ხელი დაიბანე".

გავიდა დაახლოებით ერთი წელი, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რამაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გააერთიანა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში შეპავალი ქართველი ინტელიგენცია, რაც ნოე ჟორდანიას და გაბო გოკიელის ურთიერთობაზეც გავრცელდა.

მონაყოლი გიორგი ბერბიჭაშვილზე

სხვადასხვა მოგონებაში ფიქსირებულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ადასტურებდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი გიორგი ბერბიჭაშვილი იმას, რომ მან აქციაში მიიღო მონაწილეობა.

ერთ შემთხვევაში გიორგი ბერბიჭაშვილი პირდაპირ მიუთითებდა თავის აქტიურ როლზე ამ აქციაში (იოსებ იმედაშვილის „მოგონება", იხ. კ. იმედაშვილი, „ილიას გაკვეთილები", „საქართველოს კომუნისტი", 1987, №7, გვ. 86-87), სხვა შემთხვევაში კი გიორგი ბერბიჭაშვილი ყვებოდა, რომ იგი ილიას მკვლელობაზე იძულებით წაიყვანეს ტერორისტებმა, მაგრამ პირადად მას ილიასთვის არ უსვრია (შ. ნუცუბიძე, ადამიანები და შეხვედრები „განთიადი", 1990, № 2, გვ., 180-182).

მონაყოლთა ამ წყებაში უდავოდ საინტერესოა განსვენებული თეატრალ-ური რეჟისორის ალექსანდრე (საშა) მიქელაძის მონაყოლი, რომელიც ჩვენ წერილობით გადმოგვცა ფილოსოფოსმა შალვა ადეიშვილმა.

„თბილისის თეატრალური სასწავლო ინსტიტუტის თანამშრომელმა რეჟისორმა ალექსანდრე (საშა) მიქელაძემ ერთ დღეს დაწვრილებით გამაცნო ილია ჭავჭავაძის საქმე, რაც მან იცოდა, ხოლო ჩვენ გადმოგცემთ იმას, რაც ნაამბობიდან მტკიცედ დაგვამახსოვრდა.

მან მიამბო შემდეგი:

„საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ახალი დამყარებული იყო. ერთ დღეს წავედი ხორცის საყიდლად მაღაზიაში. ხორცის გასახვევ ქაღალდად ხმარობდნენ მეფის ხელისუფლების ჟანდარმერიის ოფიციის საქმეებს. დავინახე, რომ ერთ საქმეს ყდაზე აწერია **«Дело об убийстве Ильи Чавчавадзе».**

გამახსენდა ილია ჭავჭავაძის ამბავი, ვიფიქრე, შეიძლება ეს ორის იმის საქმე. გამყიდველს შევაჩერე ფული, ვუთხარი, არ მინდა ხორცი, მომეცი ის საქმე (მთლიანად). წამოვიღე და მართლაც აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი. ბრალდებულებს შორის იყო აღნიშნული გიორგი ბერბიჭაშვილი. ვინახავდი ჩემს ბინაში იმ საქმეს სიფრთხილით რამდენიმე წელიწადი.

1927 წელს დამნიშნეს დუშეთის თეატრის რეჟისორად და წავედი. აღმოჩნდა, რომ დუშეთის აღმასკომში მუშაობს ვინმე გიორგი ბერბიჭაშვილი, შევადარე საქმის მონაცემები მის პიროვნებას — მამის სახელი, ასაკი და სხვ. ყველაფერი დაემთხვა. ამის შემდეგ დავუმეგობრდი მას, ხშირად ვპატიჟებდი სასადილოში, მინდოდა შეძლებისდაგვარად მასთან შინაურულად დაახლოება, რომ ყოფილიყო ჩემთან გულახდილი.

ერთ დღეს გადავწყვიტე მისი საგანგებოდ გულუხვად გამასპინძლება და ამ პირობებში მისი გამოტეხა. ღვინით მისი შეთრობის შემდეგ გავესაუბრე. ავუხსენი, თუ რისთვის ვცემ მას პატივს ყველაზე მეტად დუშეთის აღმასკომში. ვუთხარი, რომ იყო ერთი აუტანელი ბოროტი თავადი ილია ჭავჭავაძე, მისი სიკვდილი ხალხს ენატრებოდა, მაგრამ ვერავინ უბედავდა ვერაფერს. მერე იგი მოკლეს. გამიგონია, რომ მისი მკვლელი არისო გიორგი ბერბიჭაშვილი. როგორც კი მოვედი დუშეთში და გავიგე სახელი და გვარი შენი, მაშინვე დაგიახლოვდი და პატივს გცემ, რაც შემეძლება, თუმცა ჯერ არ ვიცი, მართლა ხარ ის გიორგი, თუ არა, თუ ის ხარ, მითხარი აგერ შინაურულად, რატომ საქვეყნოდ არ ამბობ ამ სასახელო საქმეს, რატომ მალავ, თუ იტყვი ამას საქვეყნოდ, მთელი ქვეყანა შენ პატივს გცემს, თუ მაინცდამაინც არ გინდა რომ თქვა ეს, მე მაინც მითხარი შინაურულად ეს საქმე. მოგცემ პირობას, რომ მე ამას არავის ვეტყვი. გიორგი ბერბიჭაშვილმა მიპასუხა — კი. მართალია, მე ვარ მისი მკვლელი, მაგრამ არა მაქვს ამის თქმის უფლება, რომ გავამხილო ეს საქმე, მაშინვე მომხსნიან აქე-

დან და მომსპობენო.

ვკითხე: მაინც ვინ დაგვალა და ვინ გაგაფრთხილა ასე ბაგრატ, მიპასუხა — ეს არის ფილიპე მახარაძე, როცა მისი დავალებით იგი მოვკალით, მე და ჩემი ამხანაგები გავიქეცით, წავედით სპარსეთში, როცა მოხდა რევოლუცია, დავბრუნდი სპარსეთიდან, მივედი ისევ ფილიპე მახარაძესთან, რომ მომაწყოს სამუშაოზე. მან სასტიკი გაფრთხილებით დამნიშნა ჯერ თელავის რაიონში, მაგრამ იქ ვერ შევასრულე კარგად სამუშაო, ამიხირდნენ და მომხსნეს. მივედი ისევე ფილიპე მახარაძესთან, მან აქ დუშეთის აღმასკომში გამომგზავნა და ახლა აქა ვარო. ოღონდ ამას მარტო შენ გეუბნები, არავის არაფერი არ უთხრაო, მეც მტკიცე პირობა მივეცი რომ არ გავამხელდი ამ საქმეს".

ასეთია საშა მიქელაძის ნაამბობის ძირითადი ნაწილი. მერე მიამბო, თუ ვისთან როგორ წამოსცდა მას გიორგი ბერბიჭაშვილის ამბავი და ის, რომ ჟანდარმერიის საქმე მასთან ინახებოდა. მაგრამ დეტალები მისი ნაამბობიდან ჩვენ აღარ გვახსოვს, საბოლოო შედეგი კი ის იყო, რომ ეს ამბავი გაიგო დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ვალერიან ბაქრაძემ. შემდეგ ვ. ბაქრაძე დააწინაურეს და დანიშნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. ამის შემდეგ. ერთ დღეს, ჩემს ბინაში, თბილისში, მოვიდნენ შინსახკომის თანამშრომლები და მომთხოვეს, რომ ჩავაბარო ცენტრალურ არქივს ჟანდარმერიის საქმე ილია ჭავჭავაძის შესახებ. იძულებული გავხდი ჩამებარებინა ეს საქმე ცენტრალურ არქივში მათი თანხლებით".

ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებიდან

1985 წელს სან-ფრანცისკოში გამოქვეყნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონება, სადაც ავტორი იხსენებს, რომ 1923 წ. დუშეთის მხარეს მათ დაატყვევეს გიორგი ბერბიჭაშვილი და ილიას მკვლელობის თაობაზე ალაპარაკეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეპიზოდი ა. სულხანიშვილმა ხელმეორედ დაადასტურა პროფესორ გივი ჟორდანიასთან სატელეფონო საუბარში, როცა ეს უკანასკნელი აშშ-ში იმყოფებოდა. არსებობს ამ საუბრის ჩანაწერიც.

გამოქვეყნებულ მოგონებაში ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს:

„ჩვენი ბრძოლების დროს 1923 წ. ზაფხულში ხელში ჩაგვივარდა ილიას ფიზიკური მკვლელი ვ. ბერბიჭაშვილი. შეფიცულები ზიზ-

ლით უყურებდნენ და გაგლეჯა უნდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ აპატია და
დაჰკითხა. თითქმის ყველა კითხვაზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ
შეშინებული იყო. დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაანთავისუფლა
იმ მოსაზრებით, თუ გავიმარჯვებდით, საჯაროდ გველაპარაკებინა.
ბევრი გაგიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სიკვდ-
ილის განაჩენი გამოუტანეს ილიას, აი ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუ-
ფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი. ჯიბლაძე, ის. რამი-
შვილი, ნოე რამიშვილი, ნ. ხომერიკი და პ. გელეიშვილი, ნ. ყორდანიაც
იყო მოწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესა-
ხებაც იყო კრება, სთქვა, მე ხელები დამიბანია ამ საქმეშიო და წავიდა.
ყორდანია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდი-
ერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები. ალბათ იცოდა, რომ გაეცა,
მასაც მოკლავდნენ. აი, ასე აშენეს ჩვენი ქვეყანა, სო. დემო. ლიდერებ-
მა, ფიზიკური მკვლელები იყვნენ ჯაში და ბერბიჭაშვილი, აი, თურმე
ამათ გადაურჩენიათ საგურამოს გლეხკაცობა ილიას დუხჭირისაგან. შემ-
დეგ სწერდნენ და ხმეტს ავრცელებდნენ სოც. დემოკრატები, ილიას სიკვ-
დილს აბრალებდნენ რუსეთის საიდუმლო ჟანდარმერიას, მეორე მხრივ
მის მეზობელ გლეხკაცობას, იმისათვის რომ თვალები აებათ ილიას
პატივისმცემელ და მოსიყვარულე ქართველებისათვის. ჩვენი რაზმი
ხშირად ვტრიალებდით საგურამოს ტყეებში. ილიას მეზობლები თითქ-
მის თვითეულად დავკითხეთ: გვეინტერესებოდა გაგვეგო სიმართლე, თუ
მართლა ილია აწუხებდა მეზობლებს, როგორც ხმებს ავრცელებდნენ
სოც. დემოკრატები. მაგრამ ამ მიდამოებში ერთი კაცისაგან ვერ გავიგ-
ეთ ოღნავ მაინც ცუდი პირიქით, ყველა აღმერთებდა და ილიას მზესა
ფიცავდნენ და განა შეიძლებოდა: გლახის ნაამბობის დამწერი, კაცია-
ადამიანის, მგზავრის ნაამბობის, განდეგილის, ქვათა ღაღადის, მამუ-
ლო საყვარელო შენ როდის აყვავდებიო და მრავალი წმინდა პატრიო-
ტულის დამწერს დუხჭირში ჰყოლოდა გლეხკაცობა? ილია მოკლეს
ფიზიკურად ერთმა ნაწილმა სოც. დემოკრატების ლიდერებმა (ა. სულ-
ხანიშვილი „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველთა შორის 1923 და
1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე", სან-ფრანცისკო,
1985, გვ. 10-15).

ამ ცნობას, რომელიც, ცხადია, თავისებურ შთაბეჭდილებასაც ახ-
დენს მკითხველზე და ერთი შეხედვით. მას თითქოს ილიას მკვლელობის
საიდუმლოებაში ჩაახედებს, დიდი სიფრთხილით უნდა მიდგომა. ამ
ცნობის მიხედვით მკვლელობის ისტორიის რეკონსტრუქციამდე საჭი-
როა მისი კრიტიკული განხილვა.

სამწუხაროდ, ეს ერთობ ძნელია საკონტროლო მასალების თითქ-
მის სრული უქონლობის გამო. მაშასადამე, ერთადერთი გზადა გვრჩება

— ეცადეთ ა. სულხანიშვილის მიერ 1923 წ. გ. ბერბიჭაშვილისავან გასაგონის ანალიზი. მასალებისადმი ასეთი მიდგომა იმიტომაა აუცილებელი, რომ, თუ ა. სულხანიშვილს ყველაფერი ზუსტად აქვს გაბსენებული, რასაც გ. ბერბიჭაშვილი შეფიცულებთან ამბობდა, ხომ შეიძლება ისეც ყოფილიყო, რომ გ. ბერბიჭაშვილი, რომლის ნათქვამის შემოწმებაც ნაქუცას რაზმელებს იმჟამად არ შეეძლოთ, იტყუებოდა, ტყუილების თქმა გ. ბერბიჭაშვილს საერთოდ არ უჭირდა. იგი ხომ ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც, სიტუაციის მიხედვით, ყოველთვის სხვადასხვანაირად შეეძლო ეცრუა, მით უმეტეს, თუ ეს მას საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად დასჭირდებოდა. გ. ბერბიჭაშვილის მონაყოლის კრიტიკული განხილვის საჭიროება იმითაცაა აუცილებელი, რომ ა. სულხანიშვილის ჩვენებებს, ერთი შეხედვითვე, მწიგნობრული გაკვლენაც უნდა ემჩნეოდეს.

გ. ბერბიჭაშვილის მიერ შეფიცულებთან მონაყოლს იმთავითვე ერთი თვალსაჩინო საეჭვო დეტალიც ახლავს, ის, რომ ილიას მკვლელობის საკითხისადმი მიძღვნილ სოციალ-დემოკრატთა თავყრილობას ნოე ჟორდანიაც ესწრებოდა.

ჩვენს წინაშეა ნოე ჟორდანიას მოგონებათა წიგნი „ჩემი წარსული" (პარიზი, 1953), რომელშიც იგი ვრცლად იხსენებს თავის მონაწილეობას 1907 წელს პარტიის V ყრილობაზე. შეხვედრას ვ. ი. ლენინთან, რის შემდეგაც, თურმე, იგი ტერიოკს, ფინეთში იმყოფებოდა. ამას მოსდევს მოგონებები II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვისა და ტამერფორსის კონფერენციის შესახებ, რის შემდეგაც ნ. ჟორდანია გარკვევით იხსენებს, რომ იგი საქართველოში ჩამოვიდა 1907 წლის დეკემბერში (გვ. 84).

ის, რომ ნ. ჟორდანია რსდმპ V ყრილობას ესწრებოდა და მასში მუშაობდა, კარგად ცნობილი ფაქტია, ნ. ჟორდანია ამ ყრილობაზე მენშევიკებისაგან პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრადაც იქნა არჩეული, მაშინ, როდესაც ისეთი ცნობილი მენშევიკი, როგორიც იყო. მაგალითად, ლ. მარტოვი, მხოლოდ ცკ-ის კანდიდატი გახდა.

ნ. ჟორდანიას მოგონებებში მითითებულია, რომ ყრილობის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებდა ტამერფორსის კონფერენციის მუშაობაში, ფინეთში. არ გამოვრიცხავ, რომ აქ ლაფსუსი იყოს გაპარული, რადგანაც რსდმპ V ყრილობის შემდეგ ფინეთში პარტიული კონფერენციები გაიმართა არა ტამეროფორსში, არამედ კოტკაში („მეორე სრულიად სარუსეთო", 1907 წ. 21-23 ივლისს — 3-6 აგვისტოს) და ჰელსინგფორსში („მესამე სრულიად სარუსეთო", 1907 წ. 5-12 ნოემბერს). ტამერფორსის რსდმპ („სრულიად სარუსეთო") კონფერენცია კი მიმდინარეობდა 1906 წლის 3-7 ან 16-20 ნოემბერს...

რა გამოდის?

ის, რომ ნ.ჟორდანია 1907 წლის აპრილიდან დეკემბრამდე საქართველოში არ იმყოფებოდა (შრდ. ინტერვიუ, დაბეჭდილი გაზ. „ახალი გაზრდა კომუნისტში", „არ არსებობს ადამიანზე უფრო მეტი ღირებულება", დასახ .გაზ., 11,XI, 89).

საკითხი, ცხადხია, ძალზე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ილიას მოკვლის თაობაზე მოწყობილი პარტიული თავყრილობის ერთ-ერთ მონაწილედ, ალ. სულხანიშვილის თქმით, გ. ბერბიჭაშვილი ასახელებდა ნ. ჟორდანიას. თუ ასეთი კრება მართლაც იყო, ის, სავარაუდოა, უნდა ჩატარებულიყო, ალბათ, 1907 წ. 30 აგვისტოს ტერორისტულ აქტამდე ცოტა ხნით ადრე, ვთქვათ, ამ, ან წინა თვის რომელიმე მონაკვეთში. მაგრამ, თუ ნოე ჟორდანია ამ ხანებში საზღვარგარეთ, კერძოდ, ფინეთში იმყოფებოდა, როგორღა დაესწრებოდა იგი ილიას მკვლელთა კრებას? უკვე მარტო ეს გარემოება გვკარნახობს, ფრთხილად მოვეკიდოთ ა. სულხანიშვილის ცნობას.

ასევე ჩვენ ჯერ კიდევ შეუმოწმებელი გვაქვს კრების სხვა მონაწილეთა ბიოგრაფიებიც — ყველა ისინი მაშინ საქართველოში იმყოფებოდნენ თუ არა? ხომ არ სცილდება ამ საკითხში ერთიმეორეს სინამდვილე და ის, რასაც, გ. ბერბიჭაშვილი შეფიცულებს ეუბნებოდა?

ჩვენთვის, სხვათა შორის ,ერთი შეხედვით, ისიც გაუგებარია, თუ როგორ მოხდა, რომ სოციალ-დემოკრატების საგანგებო კრებაზე, ილიას მკვლელობა რომ იხილებოდა, მონაწილეთაგან გიორგი ბერბიჭაშვილმა გაიხსენა მხოლოდ ერთი ბოლშევიკი (ფილიპე მახარაძე), სხვა დანარჩენები კი — ყველა მენშევიკი. რა პრინციპით მოეწყო ამგვარი კრება? მართალია, ბოლშევიკები და მენშევიკები მაშინ ფორმალურად ერთ პარტიაში იყვნენ, მაგრამ თანამედროვეთა მოგონებებიდან (საანალიზოდ ნ. ჟორდანიას მემუარებიც იკმარებდა) ჩანს, რომ ისინი ფაქტიურად დამოუკიდებელ ფრაქციებად არსებობდნენ. მაშ, როგორ მოხდა, რომ ამდენი მენშევიკი ასე იოლად აღმოჩნდა ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით მკვლელობისადმი მიძღვნილ კრებაზე? ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხებოდა დიდი მასშტაბის ლიდერის ლიკვიდაციას და არა პატარა ექსს.

უკვე ვთქვით, რომ ა. სულხანიშვილის მოგონებას ერთგვარად ლიტერატურული ზეგავლენაც შეიძლება ემჩნეოდეს. აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნათ მისი ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძის ფიზიკური მკვლელები იყვნენ ჯაში და გ. ბერბიჭაშვილი (ა. სულხანიშვილის გადმოთქმით ვერბიჭაშვილი) სად და ვის უთქვამს ოდესმე. რომ დიმიტრი ჯაში ილიას ფიზიკური მკვლელი იყო? ერთია, რომ დ. ჯაშს ზოგი ავტორი ილიას მკვლელობის ორგანიზატორად მიიჩნევდა და მეორეა ფიზი-

კური მკვლელობა. განა ვინმეს ეჭვი შეეპარვია იმაში, რომ დ. ჯაში ილიას ფიზიკური მკვლელი ვერ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი მკვლელობის მომენტში საგურამოში იყო და ტრაგედიის ადგილზე მოგვიანებით მოვიდა? მაშ, როგორღა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ა. სულხანიშვილის მოგონებაში ეს ადგილი ნწიგნობრული გზის გარეშე გაჩენილიყო?

ზოგიერთი მკვლევარი კრიტიკული განხილვის გარეშე ცდილობს „მკვლელობისადმი მიძღვნილი კრების" წარმოდგენას ალ. სულხანიშვილის მონაგონარით, მაგრამ ზემორე ეჭვებსა და კითხვებსაც ხომ ახსნა უნდა?

აქვე, კრიტიკულ გარჩევასთან დაკავშირებით, ალბათ, აუცილებელი იქნებოდა ცნობილი სოციალ-დემოკრატის, შემდგომში პოლიტემიგრანტის, იოსებ ირემაშვილის, ი. სტალინის ერთხანს ყველაზე ახლო მეგობრის, მითითება იმის შესახებ, რომ „არაპირდაპირ კობაც ნეკლელობის მხარეზე იყო. ეს სიძულვილით აღსავსე აგიტატორი ყველა დანაშაულის წამქეზებელი იყო" (იხ. Л. Троцкий, Сталин, т. I, под редакцией Ю. Г. Фельштинского, 1985, с. 145).

ამ საკითხს უფრო ვრცლად შემდგომში შევეხებით, აქ კი მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ ლ. ტროცკი, მაგალითად კრიტიკულად უდგება ი. ირემაშვილის ამ გამონათქვამს და იგი კონკრეტული ფაქტებით შეუმაგრებელ თვალსაზრისად მიაჩნია. ლ. ტროცკი უეჭველად ეკიდება ი. ირემაშვილის ცნობას იმ მოტივით, რომ ორივე იოსები (სტალინი და ირემაშვილი) პარტიული უთანხმოების ნიადაგზე უკვე 1905 წელს დასცილდნენ ერთმანეთს და ამიტომაც ი. ირემაშვილს აღარ შეეძლო სტალინის ფარული საქმიანობის თვითმხილველი ყოფილიყო, მას ეს ამბები სხვებისგან ექნებოდა გაგებული (ლ. ტროცკი, გვ. 156).

ჩვენ ი. ირემაშვილის ცნობას უფრო ვრცლად შევეხებით, ოღონდაც ლ. ტროცკის მისამართით უნდა ვთქვათ, რომ შეიძლება ი. ირემაშვილს ინფორმაცია მართლაც სხვებისაგან ჰქონოდა მიღებული, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ამგვარი გზით გაგებული აუცილებლად საეჭვო იყოს. განა უამრავი ინფორმაცია ასე არ მოძრაობს ხოლმე? მთავარია ჭეშმარიტების ხარისხი, რომელსაც სხვა მეთოდებით, პირველ ყოვლისა კი, იმ მხრივ უნდა შემოწმება. თუ რამდენად ემთხვევა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია სხვა დანარჩენ ცნობებს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთები გაგვაჩნია.

ლ. ტროცკის აზრით, ი. ირემაშვილს არ შეეძლო უეჭველი სინამდვილის ცოდნა სტალინზე, რადგანაც 1907 წელს იგი უკვე მენშევიკი იყო და, მაშასადამე, მოცილებული იყო სტალინის გარემოცვას. ერთი წუთით დავეთანხმოთ ლ. ტროცკის, მაგრამ მაშინ უკვე სხვა ასეთი

ზოგადი კითხვაც წამოიჭრება: ხომ არ შეიძლებოდა, რომ ი. ირემაშვილისათვის უცნობი ყოფილიყო მენშევიკი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური საქმიანობა? ი. ირემაშვილი ხომ საკმაოდ შესაგრძნევი ფიგურა იყო მათში?

თუ ეს ასეა, მაშინ მან რატომ ერთი სიტყვაც არ თქვა მენშევიკი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობაზე ილიას მკვლელობაში, როგორც ამბობ, თურმე, გ. ბერბიჭაშვილი არწმუნებდა ქალაქა ჩოლოყაშვილის შეფიცულ რაზმელებს? ეჭვნელ ზოგადად ვინმემ ი. ირემაშვილს ამ შემთხვევაში მიკერძოება და, მაშასადამე, შეგნებული ტყუილის თქმაც დასწამოს, მაგრამ ეს თითქოს მკრეხელობა იქნებოდა ისეთი რეპუტაციის პიროვნებისადმი, როგორადაც ი. ირემაშვილი ჩვენამდე შემორჩენილი მასალებით წარმოგვიდგება (იხ. ქვემოთ).

აი, რამდენი წინააღმდეგობა და „თუ" ჩნდება ა. სულხანიშვილის ჩანაწერის გაცნობის შემდეგ. ცხადია, ასეთ დროს ჭეშმარიტების წარმოდგენას სხვა გზით უნდა ვცდილობდეთ.

გამორიცხული არაა, დასასრულ, ისიც დავუშვათ, რომ გ. ბერბიჭაშვილმა შეფიცულთა წინაშე დროისა და მომენტის შესაფერისი ვერსია „დაფქვა".

მან ჯერ ფ. მახარაძე დაასაბელა, რომ საკუთარი მონაყოლისათვის ჭეშმარიტების იერი მიეცა. მართლაც, აბა, ვინღა დაუჯერებდა გ. ბერბიჭაშვილს, მკვლელობის ინიციატორების სიიდან ფ. მახარაძე რომ გამოეტოვებინა. ფილიპეს ხომ ილიას მკვლელობის მოთავედ დიდი ხანია მთელ საქართველოში ასახელებდნენ? ამასთანავე, გ. ბერბიჭაშვილმა ისიც კარგად იცოდა, რომ მის ნათქვამს ფ. მახარაძეზე შეფიცულები ვერც შეამოწმებდნენ, ვიდრე ისინი ფ. მახარაძეს ხელში არ ჩაიგდებდნენ.

ასევე გამოირიცხული იყო „კრების" სხვა „მონაწილეთა" საკითხის შემოწმება, რადგანაც ნაწილი უკვე მკვდარი იყო (მაგალითად, ს. ჯიბლაძე პოლიტპატიმრობაში გარდაიცვალა), ზოგი ემიგრაციაში იმყოფებოდა. შეიძლება გ. ბერბიჭაშვილისათვის ცნობილი იყო შეფიცულთა ურთიერთობა მენშევიკურ ემიგრაციასთან. და ეხლა მენშევიკებს რომ ილიას მკვლელობისადმი მიძღვნილი კრების მონაწილეებად ასახელებდა, შეფიცულებს მიანიშნებდა, რა ვქნა, მე მათი დავალების ამსრულებელი გავხდი 1907 წ., ვენდობოდი მათ, ისე როგორც თქვენ ენდობით, თქვენც ხომ ხოცავთ ბალხს თქვენი პოლიტიკური ნრეკამსიდან გამომდინარე?

ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავის ვერსიას გ. ბერბიჭაშვილი შეფიცულთა ღასარწმუნებლად ამსგავსებდა რაღაც. უნდა ვიფიქროთ, თავის დროზე საკმაოდ გავრცელებულ გადმოცემას სოციალ-დემოკრატების იმ კრების შესახებ, რომელიც, როგორც ამბობდნენ, თბილისში ეს-

და ჩატარებულიყო ილიას მკვლელობის საკითხზე.

გამოჩენილი გეოგრაფი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, 1964 წელს მიყვებოდა, თუ ილიას სიკვდილის მომდევნო პერიოდში როგორ შეხვდნენ ის და მისი სახლიკაცები გორის სადგურთან, ბაღში, სადილობისას, ერთ მუშას, რომლის შესახებაც ჯავახიანთ უთქვამთ, ეგ კაცი პარტიულია და იმ კრებას ესწრებოდა, სადაც ილიას მკვლელობა იქნა გადაწყვეტილიო. სუფრაზე მიპატიჟებულ იმ მუშას დაუდასტურებია ეს და უამბნია: მართლა ვესწრებოდი იმ კრებას, მთელი ღამე გრძელდებოდა ეს, დიდი ომი იყო. უმეტესობა მოკვლას ემხრობოდა. მხოლოდ ივანე გომართელი იკლავდა თავს, ხალხო, გესმით, რას ამბობენ, ეგ ხომ ილიაა! ბოლოს კენჭი რომ ყარეს, გომართელი მარტო დარჩა. რალას იზამდაო — უთქვამს მუშას.

ალ. ჯავახიშვილი, თუმცა იგი სხვის მონაყოლს იხსენებდა, მაგრამ შინაგანად დარწმუნებული იყო ასეთი კრების სინამდვილეში. ამას ის მოგონებაც განუმტკიცებდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთაგან (მაშინ ბატონი ალექსანდრე მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო), რომლებიც ილიას სიკვდილის თავზარდამცემი ამბის შეტყობინებისთანავე შეიკრიბნენ, ზოგიერთი ფეხზეც კი არ წამოდგა.

• • •

როგორც ვხედავთ, ჩვენს ხელთაა რიგი გამოცემები, რომლებიც ხშირად ნაგვიანევია და სხვათა მიხედვით, ზეპირი გზითაა მოდწეული.

ასეთ წყაროებს, ცხადია, თუ სხვა უფრო ზუსტი ინფორმაციის შემცველი მასალები არა გვაქვს, კატეგორიულად როდი დაეჯერებათ, რადგანაც ჩვენთვის ყოველთვის ბოლომდე ნათელი არაა მათი ფეშმარიტების ხარისხი, თუ დამატებითი არგუმენტები არ იქნა მოშველებული

ჯერჯერობით, კი, ალბათ, მხოლოდ იმის დაბეჯითებით თქმა შეიძლება, რომ:

1. ი. ჭავჭავაძის მკვლელობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი იყო ის მძიმე იდეური ატმოსფერო, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ილიას გარშემო.

2. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს სოციალ-დემოკრატმა პუბლიცისტებმა და აგიტატორებმა. განსაკუთრებით ცნობილია ამ საქმეში, კერძოდ, ფ. მახარაძისა და მისი კომპანიონების, მაგალითად ვ. ნ. (ვას. ნაცვლიშვილის), საქმიანობა, რაც ფაქტიურად ილიას წინააღმდეგ გლეხთა აბეზღრებას, წაქეზებას ისახავდა მიზნად. ფილიპე მახარაძე და სხვა აგიტატორები ხშირად საგურამოშიც ადიოდ-

ნენ და გლეხობას მოუწოდებენენ, ამოეწყვიტათ კიდევაც მებატონეები, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც.

3. ყველა ნიშნის მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმილი იყო არა უშუალოდ ფიზიკური მკვლელების, არამედ ვიღაცა სხვა გარეშე წრის მიერ; ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, რომ ილიას მოკვლა და თბილისში მისი ბინის გატეხა დროის ერთ მონაკვეთში მოხდა, რადგანაც ორივე აქცია საერთო წყაროდან მომდინარეობდა.

4. საკმაოდ რეალისტური ჩანდა გუბერნატორის კანცელარიის ის ცნობა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს დუშეთ-საგურამოელმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. ამ ვერსიის სანდოობას განამტკიცებდა ის აშკარა მტრობა, რითაც სოციალ-დემოკრატები ასე გამოირჩეოდნენ ილიასთან მიმართებაში...

მაგრამ ჩვენი ცოდნა სოციალ-დემოკრატების ცოდვაზე, თუ დოკუმენტებში ღრმადაც ჩავიხედებით, კიდევ უფრო კონკრეტულ იერს ეძენს.

როგორც უკვე აღინიშნა, 1908 წ. თებერვალში გ. ხიზანაშვილმა პირველად უჩვენა გამოძიებას, რომ ტრაგედიის წინა საღამოს წიწამურში ამოვიდნენ ივანე ინაშვილი, გიორგი ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლაშვილი და ვიღაცა იმერელი, იქ ითქვა, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დაგეგმილია კომიტეტის („აიკითხე: სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის) მიერ.

ინთავითვე სოციალ-დემოკრატების დამცველებმა დაჟინებით იუარეს ამ ცნობის სინამდვილე იმ არგუმენტებით, რომ 1. ძიებამ ვერ შეძლო ამ ცნობის მოწმეთა დახმარებით დადასტურება; 2. ილია თითქოს „ოხრანკის" მიერ იქნა მოკლული და მაშ როგორღა იქნება სწორი ის აზრი, რომ ილიას მკვლელობის დადგენილება სოციალ-დემოკრატებმა გამოიტანეს?

ეს თვალსაზრისი შემდგომში მყარად გაბატონდა „ოხრანკის" ვერსიაში, რადგანაც, ჯერ ერთი, დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო „ოხრანკის" სქემაში ოდნავ საჯარო დაეჭვებაც კი. მიიჩნევდნენ, რომ არგუმენტაციის ხარისხით შეუვალად ცნობილი „ოხრანკის" ვერსია, თითქოს, უკვე აპრიორი გამორიცხავდა გ. ხიზანიშვილის ჩვენებაში რაიმე სიმართლის დანახვის შესაძლებლობას. ახლა კი, როცა „ოხრანკის" ვერსია წმინდა წყლის ბლეფი ჩანს, კვლავ დგება საკითხი, დავუბრუნდეთ გ. ხიზანაშვილის ინფორმაციას და ახლებურად ვცადოთ მისი განხილვა-შეფასება სხვა ფაქტებთან შეჯერების გზით.

ცხადია, ამასთან დაკავშირებით, აქვე კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ თავის დროს ძიებამ გ. ხიზანაშვილის ნათქვამი ვერ დაა-

ფასტურა არა ფაქტის არარსებობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მას ბელეთ არ ჰყავდა, მაგალითად, გიორგი ბერბიჭაშვილი და მასთან ერთად აქციაში მონაწილე „ვიღაცა იმერელი". ეს გარემოებაც კარგად უნდა ვიცოდეს!

ამგვარად, ჩვენ მივადექით წიწამურის ტრაგედიის გარემოებათა ანალიზის იმ მონაკვეთს, სადაც მკვლელობის პოლიტიკური შინაარსის ფიქსაცია, იმის წარმოდგენა, თუ რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა მოაწყეს მკვლელობა, ალბათ, შესაძლებელია რამდენიმე მკვლელის პოლიტიკური პროფილის ამოცნობით მაინც და ეს „რამდენიმე" სწორედ ის მკვლელობის წინა ღამეს წიწამურში მოსულნი (ივ. ინაშვილი, გ. ბერბიჭაშვილი, „ვიღაცა იმერელი") იყვნენ, რომელთა შესახებაც ამჟამად, თუმცა ნაკლული და ხშირად ფალსიფიცირებული მასალებიღა გვაქვს შემორჩენილი, მაგრამ ისინი გარკვეული სინამდვილის დადგენის საშუალებას მაინც იძლევიან.

შევეცადოთ გ. ხიზანაშვილის ჩვენებაში ჩამოთვლილი პიროვნებების პოლიტიკური პროფილის ამოცნობას, რაც არა მარტო მკვლელობის ინიციატორების მედასეობაში გაგვარკვევს, არამედ თავის ბრივ დაგვეხმარება გავარკვიოთ, რომ გ. ხიზანაშვილის ჩვენებაც სანდო იყო.

ივანე ინაშვილი

ივანე ინაშვილი მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და შეთაურთაგანიც იყო, რისთვისაც, როცა იგი მეფის ადმინისტრაციამ შეიტყო, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ივ. ინაშვილის პოლიტიკური „სახე" თითქოს კარგად გამოკრთის ჯერ კიდევ 1907 წ. ილიას მეფუტკრის დანიელ მასლოვის ილიაშვილისადმი მიცემულ ჩვენებაში.

დ. მასლოვი აჩვენებდა: „ჩემთვის ცნობილი აგიტატორებიდან, მე შეშინებლია დავასახელო სოფლის ყოფილი მამასახლისი ვანო ინაშვილი, რომელიც სრულიადაც არ ერიდებოდა და დუშეთშიც, მაზრის უფროსის თანდასწრებით, ახალწვეულებს უხსნიდა, რომ ხელმწიფე აღარ ბრძანებ ტახტზე და დღეს ხვალ იგი აღარ იქნება. ყველაფერი შეიცვლება და ა. შ. მგონი ინაშვილი მაშინ დაიჭირეს და ციხეში იყდა, შემდეგ კი ალბერ უკვე ორი წელიწადიცაა, მე იგი სოფელში აღარ მინახავს" (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, გვ. 73-74).

ასევე ძალიან საყურადღებოა ივ. ინაშვილის, თუ შეიძლება ასე ვიტყვათ, პოლიტიკური პორტრეტის შტრიხების წარმოსადგენად ყარამან ფაღავას 1907 წ. 17-22 სექტემბრის დაკითხვების ოქმი, სადაც ერთ-ერთ მკვლელად, წინასწარი მონაცემებით, ივ. ინაშვილია დასახელებული. ყარამან ფაღავას ჩანაწერებში აღნიშნულია:

„... საგურამოს ყოფილი მამასახლისი ივანე ინაშვილი, რომელიც გაქცეულია და ხელისუფალთ ემალება, ეს ინაშვილი პირველი აგიტატორია მემამულეთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით პროპაგანდას ეწეოდა იგი მოკლულ თავ. ი. გ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როცა ამბობდა, რომ ეს უკანასკნელი არამარტო მიწებს უჭერს, არამედ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევს" (პ. გუგუშვილი. დასახ. პუბ. გვ. 62-63).

ალბათ საგანგებო მტკიცება არ დაგვჭირდება საიმისოდ, რომ ზეგმოციტირებული ჩვენებებით ივანე ინაშვილი გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილეა. ამასთანავე, ის ამ საქმეში რიგითი პიროვნება როდია, ივ. ინაშვილი ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, პირველი აგიტატორია, როგორც, მაგალითად, ყარამან ფაღავა აღნიშნავს.

კარგადაა ცნობილი, რას ნიშნავდა იმჟამინდელ პოლიტიკურ ლექსიკონში სიტყვა „აგიტატორი". ამ ტერმინს, საამისო მრავალი მასალა არსებობს, ჩვეულებრივ, სოციალ-დემოკრატ აქტივისტებს, მეთაურებს, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის პარტიულ წინამძღოლებს უწოდებდნენ.

მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად .

1913 წ. ზემოთ უკვე არაერთხელ ციტირებულ, კიტა აბაშიძის თხზულებაში ავტორმა სოციალ-დემოკრატების დანაშაული ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ასეთნაირად გამოხატა: „...ატმოსფერო შექმნეს ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, ატმოსფერო საბუდისწერო. ეს დაურღვეველი ჭეშმარიტებაა" (ერთი პილატეპაგანდა. ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! ქუთაისი, 1913, გვ. 36).

გავიხსენოთ იოსებ ირემაშვილის სიტყვები კობა—სტალინზე, რომ ეს უკანასკნელი სიძულვილით აღსავსე „აგიგატორი" იყო (იხ. Л. Троцкий, Сталин, стр, 147).

მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლებოდა...

ივ. ინაშვილის მტრობაზე ი. ჭავჭავაძის მიმართ საინტერესო მოგონება აქვს დაცული დიმიტრი ჯაშის მეუღლეს დარია ჯაშს, რომელიც იხსენებს, თუ როგორ ხოცავდნენ საგურამოს მიდამოებში ი. ჭავჭავაძის საქონელს. მოკლეს, მაგალითად, ილიას საყვარელი საჯიშე ძროხა, (ჯიქანი დაუსხიპეს დანით). ბოლოს მის ჯორს ასევე ტანჯვით ამოხადეს სული. დარია ჯაშის სიტყვით, ყველაფერ ამას ივ. ინაშვილი ჩადიოდა და თანაც როგორც ამბობდნენ, ილიასადმი თავის მტრობისათვის ეროვნულ-სამართლიანი იერი რომ მიეცა, ივ. ინაშვილი ხალხს ჩააგონებდა, საჭიროა ილია მოიკლას შურისძიების მიზნით, იმიტომ, რომ მან, ვით-

ომც, ჩემი სეხნია, ივანე მაჩაბელი მოკლაო, აი, სადამდე მიდიოდა „რევოლუციონერი“ ივ. ინაშვილის ცინიზმი და თავხედობა, რომლისაგან თავის დაცვაც რევოლუციის შფოთიან დროს თითქმის უკვე შეუძლებელი ხდებოდა.

ჩვენს ხელთაა ძველი სოციალ-დემოკრატის პეტრე ხურცილავას მოგონება, რომელიც შენონახულია პეტრე გელეიშვილის „საქმეებში“. უცნაური კია, რომ ამ უკანასკნელს არსად გამოუქვეყნებია ეს მოგონება. გასაკვირი არცაა. პ. გელეიშვილი ხომ ი. ფავფავაძის მკვლელობის ისტორიაში ცდილობდა სოციალ-დემოკრატებისათვის ალიბი გამოეძებნა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას ხომ უნდა ეცადა აეხსნა მაინც პ. ხურცილავას მოგონება, თავისი დამოკიდებულება ეჩვენებინა მისადმი, პ. გელეიშვილმა კი ამ დოკუმენტს საერთოდ გვერდი აუარა.

მოგვყავს პ. ხურცილავას ეს მცირე მოგონება:

„1907 წ. მე ვიყავი დაპატიმრებული და ვიჯექი იმ დროს ნეტეხის სატუსაღოში, ერთ საკანში, მტკვრის მხარეს, წინა ეზოში ორთაჭალისაკენ ვიცქირებოდით, რომ შემოვიდა ციხეში ხმა ილია მოკლესო, მთელი ტუსაღები, ვინც იცოდა ილიას ფასი, ძლიერ ნეწუხდნენ. მაშინ ჩემთან ერთად იყვნენ დაპატიმრებული გ. საყვარელიძე და სხვები. იმ დროს იქ ფედერალისტები იყვნენ ძლიერნი და ცუდათ იხსენიებდნენ სოციალ-დემოკრატებს. იმის შემდეგ დაჭერილი მკვლელი პავლიაშვილი მოიყვანეს (უნდა იყოს ფშავლიშვილი — შ. ბ.). ეს პავლიაშვილი იყო მენახშრე. ის მოტყუებით წაეყვანა ინაშვილს და ეთქვა, რომ მდიდარ სომეხს უნდა დავხვდეთ და გავძარცვოთო. ინაშვილი კარგად იცნობდა, როგორი სომეხიც იყო ილია. პავლიაშვილი ჰყავდათ წინა ახალ შენობაში, ამ შენობას ეძახდნენ სიკვდილის საკნებს. ამ სიკვდილის საკნებში ამწყვდევდნენ. ვისაც სიკვდილი მოელოდათ. ჩვენ ეს ამბავი გადმოგვცა შაქრო ჯავახიშვილმა, რომელიც ალაგებდა ჩვენს საკნებს. ჯავახიშვილიც იყო სისხლის სამართლის დანაშავე, მაგრამ მან კარგად იცოდა, ილია რა კაცი იყო. მასთან ერთად ის ერთი წელიწადი ემსახურებოდა პოლიტიკურ ტუსაღებს და კარგად იყო გათვითცნობიერებული. ჩვენ მარტო მისი ცნობით არ დავკმაყოფილებულვართ. სხვებსაც ვეკითხებოდით და ყველა იმას ადასტურებდა. რაც ჯავახიშვილმა სთქვა... გარდა ამისა, ციხის ადმინისტრაციაც. ვიღაც ინაშვილს მოუწყვია ილიას მკვლელობა. პავლიაშვილის დანახვა მთელ ციხეს აინტერესებდა. ის დავინახეთ ჩვენ. მაღალი, შავგვრემანი, გამხდარი ბიჭი იყო. ჩვენ კარგად ვიცნობდით ინაშვილს და ხშირად წაგვიკითხავს მისი კორესპონდენცია „კვალში“ ილიას შესახებ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას და ინაშვილს ერთმანეთთან. ინაშვი-

ლი იყო მთავარსახელოსნოს მუშა ზეინკალი. ის იყო სოციალ-დემოკრატებისაგან გაგზავნილი საგურამოში სამუშაოზედ და იმავე სოციალ-დემოკრატებისაგან იყო საგურამოში გაგზავნილი 1903-04 წ. წ. მამასახლისად. როცა ჩვენ გავიგეთ, ილიას მკვლელობა მას ბრალდებოდა, ჩვენ ეჭვი არ შეგვპარვია, რომ ეს ინაშვილის საქმეა, რადგანაც ილიასა და ინაშვილს შორის დიდი განხეთქილება იყო. პავლიაშვილთან კიდევ იყო დაჭერილი ორი კაცი, მაგრამ მათი გვარები მე არ მახსოვს".

პ. ხურცილავას წერილი უშუალო შთაბეჭდილებებითაა აღდგენილი. მას, ჩანს, არ განუცდია ლიტერატურული წყაროების ზეგავლენა ილიას მკვლელობის საკითხზე. ეს კარგად ჩანს, თუნდაც ფშაველიშვილის გვარის მოხსენიებაში. ეს უკანასკნელი მან პავლიაშვილად გაიგო. ასევე გაგებული უნდა ჰქონდეს მას, ალბათ, ივ. ინაშვილის წერილებზე „კვალში", რომლებიც, რამდენადაც ცნობილია, არ არსებულან. ალბათ, აქ არეულია ვ. ნ. ს წერილებში, რომლებიც ფილიპე მახარაძის „მარგალიტებთან" ერთად ქვეყნდებოდა „მოგზაურში" ... და მასში ილია სასტიკ მებატონედ და გლეხების ამწიოკებლად ცხადდებოდა. ვ. ნ., რომელიც ვასილ ნაცვლიშვილია, ილიას წინააღმდეგ წერილებს „1913 წელსაც აქვეყნებდა ფ. მახარაძის მხარდამხარ.

მაგრამ, ასეთი ლაფსუსების მიუხედავად, უაღრესად საყურადღებოა პ. ხურცილავას მოგონების ძირითადი ნაწილი, რომლის თანახმადაც ივ. ინაშვილი სოციალ-დემოკრატია, და მათ მიერვე იყო გაგზავნილი საგურამოში მამასახლისად. როგორ ჰგავს ამ ვერსიის ივ. ინაშვილი ყარამან ფაღავას და დანიელ მასლოვის ცნობებით წარმოსადგენ აგიტატორ ინაშვილს.

ამის შემდეგ, განა შემთხვევითი და მცდარი უნდა იყოს გიორგი ჭიჭინაშვილის პირველი ჩვენება იმის შესახებ, რომ სწორედ ინაშვილმა ვანაცვალა სხვებთან ერთად, მკვლელობის წინა დღეს, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა კომიტეტის (წაიკითხე: სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის) მიერაა გადაწყვეტილი?

საბჭოთა ისტორიოგრაფიულმა სქემამ შესანიშნავად იცოდა ივ. ინაშვილის პოლიტიკური ვინაობა, მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ სინანდვილის თქმის შემთხვევაში ფარდა აეხდებოდა ჭეშმარიტებას. ამიტომაც ივ. ინაშვილი უსაბუთოდ, დეკლარაციულად „ოხრანკის" აგენტად გამოაცხადა.

მაგრამ რა, როცა თვითონ „ოხრანკის" ვერსია სიმართლე არაა!

ილია ჭავჭავაძის მკვლელთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა „ვიღაცა იმერელი“.

იმთავითვე „იმერლის“ შესახებ ძიებას არაერთხელ უჩვენეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ილიას მკვლელობაზე დაპატიმრებულებმა. „იმერელი“ მკვლელობის შემდეგ გიორგი ბერბიჭაშვილთან ერთად საიმედოდ მიიმალა. მეფისდროინდელი ძიების პროცესში სისტემატურად ფიგურირებდა ამ „ვიღაცა იმერლის“ სახელი, მაგრამ დაკითხულები აცხადებდნენ, რომ ისინი ამ „იმერელს“ კონკრეტულად არ იცნობდნენ.

1908 წ. 10, 11 ლადო ჭრიკაშვილმა (ასე კითხულობს ამ გვარს პროფ. გ. ყორდანია და სამართლიანადაც, ნაცვლად ჩირიკაშვილისა) გაიხსენა პავლე ფშავლიშვილის ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ „გიგოლა ბერბიჭაშვილი და კიდევ ერთი იმერელი, უფრო ზუსტად ის, რომლის შესახებაც გაგებული მაქვს, რომ ის უკვე დაპატიმრებულია და ხმების თანახმად, შორეულ გუბერნიებშია გადასახლებული“ (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1938, გვ. 88-89, შდრ. გვ. 91).

1908 წ. პ. ფშავლიშვილმა „ერთი იმერელი“ გ. ბერბიჭაშვილსა და ივ. ინაშვილთან ერთად, მკვლელთა ჯგუფის წევრად დაასახელა, ოღონდაც აღნიშნავდა, რომ ამ ჯგუფმა იძულებით წამიყვანა მკვლელობაზე და მე საერთოდ არ მისვრიაო (პ. გუგუშვილი, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 89-90).

1908 წ. 17 თებერვლის დაკითხვის მასალებით, „ვიღაც იმერელი,“ ილიას მკვლელად — ვანო ინაშვილის, პავლე ფშავლიშვილის და გიგლა ბერბიჭაშვილის გვერდით გიორგი ხიზანაშვილმაც დაასახელა. ამ იმერელს მე პირადად ვხედავდიო. მკვლელებს განუცხადებიათ, რომ ილიას მოკვლა კომიტეტმა დაადგინა. მკვლელობის დროს იმერელი და ბერბიჭაშვილი შემთხვევის ადგილზე, ახლო ჩამოეშვნენო. იმერელს და ინაშვილს ბერდანები ეკავათ, გ. ბერბიჭაშვილს ფისტონიანი თოფი. მე კი ამ დროს სერზე ვიდექი, აქედან ვნახე, თუ როგორ მოკლეს ილიაო (პ. გუგუშვილი, გვ. 93).

გ. ხიზანაშვილის ჩვენებით, ნაძარცვის გაყოფისას „იმერელმა“ აიღო თავადის მეუღლის სათვალეები და ილიას რევოლვერი (იქვე).

გადის დრო...

მართალია, შემდეგში გ. ხიზანაშვილმა საგანგებო წერილით მიმართა საზოგადოებას, სადაც იგი უარყოფდა თავის პირველ ჩვენ-

ებებს, ძალით დამაწერინესო, მაგრამ საარქივო საბუთებიდან ჩანს, რომ
გ. ხიზანაშვილის ჩვენებაში მოხსენიებული მკვლელობის მონაწილეები
ბი სხვათა ჩვენებებშიც არიან ნახსენები. ასე რომ ვიდაცა იმერელი
კონკრეტული ვინაობა მეფისდროინდელი ძიების მასალებიდან არ ჩანს,
თუმცა ის კი უდავოა, რომ ეს პიროვნება რეალურად იყო მკვლელობის
ადგილზე, სწორედ მისი ნასროლი უნდა იყოს, გ. ბერბიჭაშვილისა
ერთად, ბერდანის ტყვია, რომლითაც ილია იქნა განგმირული...

ვინ უნდა ყოფილიყო ეს მისტიკური პიროვნება?

ამ საკითხის ასახსნელად ერთ-ერთი წყარო არის გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის სტენოგრამა, რომელიც წინასწარი ძიების მასალებთან ერთად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივში ინახება.

ჯერჯერობით ის უნდა ითქვას, რომ გ. ბერბიჭაშვილის ეს საქმე მთლიანად ფალსიფიცირებულია. წინასწარ ძიებას და სასამართლოსაც სრულიადაც არ აინტერესებდათ ნამდვილი სიმართლე გამოეძიებინათ და ამ გზით წარმოეჩინათ ილიას მკვლელობის პერიპეტიები. არამ, მათი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ გ. ბერბიჭაშვილის ჩვენებებით დაედასტურებინათ წინასწარი სქემა, რომ, ვითომც, ი. ჭავჭავაძე „ოხრანკის" მიერ იყო მოკლული.

ვინ უნდა ყოფილიყო „ვიღაცა იმერელი" კონკრეტულად?

ამ საკითხზე ა. ბაქრაძე ბრძანებს: „ილია მოჰკლეს მავანთა და მავანთა და „ვიღაც იმერელმა" (какой-то имеретин) — წერია სასასამართლო დოკუმენტებში, რომლის ვინაობა დღესაც დაუდგენელია და არავინ უწყის, მოხერხდება თუ არა მისი დადგენა ოდესმე" (ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1984, გვ. 157).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს „ვიღაცა იმერელი" რეალურად არსებული პიროვნება იყო.

1941-1942 წ. სასამართლო პროცესზე გ. ბერბიჭაშვილი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი „ოხრანკის" მიერ მოწყობილი მკვლელობის მონაწილედ გაპყავდათ, საჯაროდ აცხადებდა, რომ საერთოდ „იმერელი" ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე არა ყოფილა.

აი, ამონაწერი სასამართლოს სტენოგრამიდან.

„ბერბიჭაშვილი: სიცრუეა, ბატონო... ფშავლიშვილის მოკლულია იაკოფა. მცხეთა... ქალაქი... სულ ტყუილია; ჭავჭავაძეს ფეიერიშვილმა.ინაშვილმა და ხიზანაშვილმა ესროლეს. მოძღვრიშვილი და „ვიღაც იმერელი" იქ სრულებით არ ყოფილან" (სტენოგრამა, გვ. 69-70).

გ. ბერბიჭაშვილი სასამართლოზე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ იგი, თითქოს, ძალით წაიყვანეს მკვლელებმა, მუქარით, მაგრამ პირადად მე არ მისვრია და სისხლი არავისი დამიღვრიაო.

გ. ბერბიჭაშვილი აცხადებდა:

„რაც თქვენ წაიკითხეთ, სულ მტკაცარი ტყუილია. არც დაშტვენა და არც არაფერი არ ყოფილა. ეგ სრული სიცრუეა, მე თოფი არა მქონია. როცა შემთხვევით ბიჭებმა ჩამითრიეს, ნაშინ მოვცეს რევოლვერი № 12.

მოზმანიშვილი ვინ არის... მე არ ვიცი... მაგისას ვერაფერს ვერ ვეტყვით... ოქრის სათვალეები მე ავიღე და გადავეცი ინაშვილს. მე არ ვიცი, რა უყვეს მერე სათვალეებს. არც მოზმანიშვილი, არც იმერელი იქ არა ყოფილან (სტენოგრამა გვ. 67-68).

გ. ბერბიჭაშვილი, სასამართლო სტენოგრაფის მიხედვით, ბოლოს საერთოდ უარყოფს „იმერლის“ არსებობასაც კი, უარყოფს წამოყვირებით, მსჯელობაში ფრაზის მექანიკური ჩართვით.

ჯერჯერობით, მოტანილი ჩვენებების მიხედვით, ალბათ, უფრო იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ გ. ბერბიჭაშვილი სასამართლოს სხდომის ძირითად მონაკვეთებში „იმერელს“ რეალურად არსებულ პიროვნებად თვლიდა და მხოლოდ იმას უარყოფდა, რომ „იმერელი“ მკვლელობის ადგილზე იყო და აქციაში მონაწილეობდა.

„იმერლის“ რეალურობა გ. ბერბიჭაშვილმა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში უარყო. მაგრამ ამის გასაგებად, ალბათ, აუცილებლად უნდა ვივითვალისწინოთ ის, რომ სასამართლო იმთავითვე მოწადინებული იყო დაემალა საზოგადოებისათვის „იმერლის“ რეალურობა, რისთვისაც უხეშად არღვევდა სინამდვილეს.

ასე მაგალითად, წინასწარ დაკითხვებზე გ. ბერბიჭაშვილს ერთხელაც არ ჰკითხეს „ვიღაცა იმერლის“ შესახებ. ცხადია, არც ის კითხვა დასმულა, თუ ვინ, რა პოლიტიკური პროფილისა იყო იმერელი, რა ფუნქცია ეკისრებოდა მას აქციაში და ვისი დავალებით მოქმედებდა. ობიექტურად განწყობილ გამოძიებას, ცხადია, ეს საკითხი პირველ რიგში უნდა გამოერკვია.

ნუთუ ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმის ნიშანდეული არაა, რომ ძიება კატეგორიულად იყო დაინტერესებული მიეჩქმალა „ვიღაცა იმერლის“ რეალური პიროვნება?

განა ასევე არ იქცეოდა პ. გუგუშვილიც თავის ნარკვევში ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე? იგი ამ ნაშრომში არავითარ ინტერესს არ იჩენს „ვიღაცა იმერლის“ პიროვნებისადმი, თითქოს იგი სასამართლოსა და ძიებას იმთავითვე საბუთებში არ ეხსენებინათ. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პაატა გუგუშვილი იყო გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე, როგორც წინასწარი ძიების, ისე სასამართლო პროცესის კონსულტანტი. ცხადია, ამიტომაც მოხდა, რომ ძიებასა და სასამართლოზეც ისევე სცადეს „ვიღაცა იმერლის“ პიროვნების გასაიდ-

უმლოება, როგორც ამას კონსულტანტი ასაიდუმლოებდა და გვერდს უვლიდა.

აი, რატომაა, რომ „იმერლის“ პიროვნების ზუსტი იდენტიფიკაცია ამჟამად ერთობ ძნელი ხდება.

მაგრამ როგორღა აეხვიათ თვალი ფართო საზოგადოებრიობისათვის, რომელმაც ათეული წლების მანძილზე პრესითა თუ სხვა წყაროებით, მათ შორის ტრადიციული გადმოცემებითაც, იცოდა, რომ ილიას მკვლელობაში „ვიღაცა იმერელიც“ მონაწილეობდა? რას იტყოდა ხალხი, როცა გაიგებდა, რომ გ. ბერბიჭაშვილი ისე გაასამართლეს, პროცესზე არაფერი ითქვა „ვიღაცა იმერელზე“?

ამიტომაც იყო, რომ სასამართლომ, მის ობიექტურობაში ეჭვი რომ არავის შეეტანა, გ. ბერბიჭაშვილს საშუალება მისცა საჯაროდ გაენეცხადებინა, რომ „ვიღაცა იმერელი“ მკვლელობის ადგილზე არ იყო, და, ცხადია, აქციაშიც არ მონაწილეობდა, შემდეგში კი გ. ბერბიჭაშვილს ისეც ათქმევინეს, რომ იმერელი საერთოდ არც არსებულა...

ეჭვი არაა, სასამართლოს სცენარის ავტორებმა თავისებურად გაიანგარიშეს, რომ გ. ბერბიჭაშვილის ამგვარად ალაპარაკებით „იმერლის“ საკითხი უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა. მკვლელობაზე არა ყოფილა, არც არსებულაო — ასე ამბობდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი! ჰოდა, განა ამის შემდეგ ვინმეს კიდევ შეეძლო რეალურად ეფიქრა იმერლის არსებობაზე? „ასე ფიქრობდნენ სასამართლოს მამები. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ საბჭოთა თემიდის მსახურებს იმთავითვე არ უნდოდათ რაიმე მოესმინათ გ. ბერბიჭაშვილისაგან ამ იმერელზე, რაც წინასწარ ძიებაშიც გამოჩნდა? ამასთანავე, ჩვენ ხომ ისიც ვიცით, ვინ ატარებდა სასამართლოს? — ფუნქციონერთა ის ბირთვი, რომელსაც ნებისმიერი ჩვენებები შეეძლო მოეპოვებინა ბრალდებულისაგან და რაც სურდა, მისთვის ის ეთქმევინებინა.

ასეთ ვითარებაში განა კანონიერად არ იბადება ის ეჭვი, რომ „ვიღაცა იმერლის“ პიროვნება კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი საბჭოთა მართლმსაჯულების მსახურებისათვის და ამიტომაც იყო, რომ ასე გულმოდგინედ მალავდნენ მას? ჩვეულებისამებრ ხომ იმას მალავენ წინასწარგანზრახვით, ვისი პიროვნებაც იციან? ჰოდა, რადგანაც იცოდნენ, ვინ იყო „ვიღაცა იმერელი“ და მას მაინც მალავდნენ, უნდა ვიფიქროთ, ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ იმერლის რეალური ვინაობის გამომჟღავნებით გაირკვეოდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „ოხრანკის“ მიერ კი არ იყო ინსპირირებული და განხორციელებული, როგორც ამას პარტიული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, არამედ სოციალ-დემოკრატების მიერ, კერძოდ, ბოლშევიკების თავკაცთა ჩარე-

ვით. აკი ამის შესახებ ასე დაჟინებით უკვე 30-იან წწ. გაისმოდა ხმები ოპოზიციური აზრის ერთადერთ ლეგალურად არსებულ ბანაკში — პოლიტიკურ ემიგრაციაშიც?

„იმერლის" საკითხთან დაკავშირებით იმ გარემოების აღნიშვნაცაა საჭირო, რომ, თუ, ერთი მხრივ, წინასწარი გამოძიება და სასამართლოც ასე დაჟინებით ასაიდუმლოებდნენ „იმერლის" პიროვნებას, მეორე მხრივ, ისინი იმასაც ესწრაფოდნენ, რომ იმავე გ. ბერბიჭაშვილის მეშვეობით, საქმეში რაღაცნაირად მაინც ამოტივტივებულიყო ფილიპე მახარაძის სახელი და გვარი. წინასწარი დაკითხვებისა და პროცესის მსვლელობისას გ. ბერბიჭაშვილს დაჟინებით ეკითხებოდნენ, თუ 1905 წ. საგურამოს გლეხებში ასული აგიტატორებიდან ვინ იყო ყველაზე ავტორიტეტული. გ. ბერბიჭაშვილი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ერიდებოდა და ფეხს ითრევდა. მაგრამ შემდეგში, წინასწარ დაკითხვაზეც მიხვდა, რომ მას დაჟინებით სთხოვდნენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და მანაც ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებად აგიტატორთა შორის ფილიპე მახარაძე დაასახელა. ჩვეულებრივ, კლასიკური კრიმინალისტიკის წესების თანახმად, დაკითხულისათვის პირდაპირ შეკითხვის კითხვის მიცემა, ისეთისა, რომლებიც წინასწარვე გულისხმობენ, რომ პასუხი უნდა იქნეს მიღებული, უტაქტო მოქმედებად ითვლება. ასე აფასებდა, მაგალითად, გამომძიებლების საქციელს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ალ. კოჭლავაშვილიც.

კითხვა ისმის, რატომ აკეთებდა ამას საბჭოთა მართლმსაჯულება? ფილიპე მახარაძის ხსენება სასამართლოზე ხომ იმ აზრს შექმნიდა საზოგადოებაში, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორი ის იყო? ამის შესახებ, როგორც უკვე ვიცით, საქართველოში დიდი ხნის მანძილზე იყო ლაპარაკი. მაშ, ახლა რაღა გამოდიოდა? საბჭოთა სასამართლო, თუ გ. ბერბიჭაშვილის მეშვეობით დაადასტურებდა ფ. მახარაძის მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სამზადისში, ეს უკვე იმის პირდაპირი აღიარებაც იქნებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე ბოლშევიკების მოკლულია. ასეც აღიქვა შემდგომში გ. ბერბიჭაშვილის ჩვენება ფართო საზოგადოებრიობამ და ფილიპეს დანაშაულობის მასშტაბმაც მის წარმოდგენაში გადაფარა ყველა სხვა შესაძლებელი დამნაშავის გვარი და სახელი. ასეთი ყოფილა ცოცხალი მოწმის სიტყვებზე აგებული თვალსაზრისი, რომელსაც ხანგრძლივი ტრადიციაც უმაგრებს ზურგს.

მაგრამ, სინამდვილეში, თუმცა ფილიპე მახარაძის დანაშაულებრივი როლი ილია ჭავჭავაძესთან მიმართებაში კარგადაა ცნობილი და

მას ცალკეული ფაქტების ნიხედვით შეფასება უკვე რევოლუციამდელ ეპოქაში მიეცა, საბჭოთა თემიდის მსაბურები გ. ბერბიჭაშვილს ფილიპეზე რომ ალაპარაკებდნენ, საბოლოოდ მაინც პარტიის სახელს იცავ-"ედნენ და არსებითად მალავდნენ მის როლს მკვლელობის ისტორიაში. თანაც თავის თვალსაზრისს, როგორც ისინი თვლიდნენ, კანონიკური წესებით განამტკიცებდნენ.

კი მაგრამ, როგორღა იცავდნენ ისინი პარტიის ავტორიტეტს, როდესაც გ. ბერბიჭაშვილს ფ. მახარაძის სახელს ახსენებინებდნენ?

ეს ნაბიჯი, უნდა ვიფიქროთ, კარგად მოფიქრებული იყო და აი რატომ: ფ. მახარაძის უხსენებლობა სასამართლოს სხდომებზე შეუძლებელი იყო. საქვეყნოდ იყო ცნობილი მისი პოზიცია ილია ჭავჭავაძის მიმართ, როგორც რევოლუციების ხანაში, ისე შემდეგაც, როცა ბოლშევიკები ძალაუფლების სათავეში ნოვიდნენ. როგორ მოქცეულიყო სასამართლო, მთლიანად გვერდი აევლო ამ ფაქტისადმი და საქმე ისეთნაირად წარმოეჩინა, ვითომც ბოლშევიკებს იმთავითვე გულზე ეხატებოდათ ილია? საქმის ასეთნაირად წაყვანა იმთავითვე სიყალბეში დააეჭვებდა საზოგადოებას, ეს რა სასამართლოაო, იტყოდა იგი, ამიტომაც, ობიექტურობის მოსაჩვენებლად სასამართლოს ფილიპე მახარაძეზე უნდა ელაპარაკებინა გიორგი ბერბიჭაშვილი. მაგრამ ყველაფერი ეს კეთდებოდა მეტისმეტად შეზღუდულად, რითაც იმ საბოლოო დასკვნის მტკიცედ გაშოტანა, რომ ილია ჭავჭავაძე ბოლშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა იმსხვერპლეს, შეუძლებელი იყო.

მართლაც, აბა შევხედოთ სინამდვილეს.

გ. ბერბიჭაშვილი ამბობდა, რომ აგიტატორები და პირადად ფ. მახარაძე საგურამოში ადიოდნენ და მემამულეების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მოკვლასაც მოუწოდებდნენ 1905 წელს. ღირებულების თვალსაზრისით ეს ინფორმაცია თითქოს. აბალს აპაფერს შეიცავდა. ჩვენ პრესის ნასალებით ისედაც შეგვეძლო გვეგვარაუდა, რომ ფ. მახარაძის პროვოკაციული წერილები ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1905 წელს მოწოდება იყო ვლეხებისადმი, ანგარიში გაეწორებინათ ილიასათვის. ამგვარი დასკვნა, თავის დროს, ქართულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამაც გააკეთა. თავისი პოზიცია ილიას მიმართ არც ფ. მახარაძეს დაუმალავს ოდესმე.

მაგრამ როგორც ფ. მახარაძის „თავდაცვითი" წერილები, ისე სასამართლოც გ. ბერბიჭაშვილის ჩვენებით ერთ რამეს ამტკიცებენ: ილიას წინააღმდეგ ბრძოლა ხდებოდაო 1905 წელს, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, ჭავჭავაძე კი მოკლეს 1907 წელს. როგორღა შეიძლება, მაშ, ფ. მახარაძისა და, მაშასადამე, პარტიის 1905 წ. პოზიციით გამოტანილი ყოფილიყო რაიმე დასკვნა იმავე პარტიის მონაწილეობაზე 1907 წ.

მკვლელობაში? აი, რა მიზნით ალაპარაკებდნენ სინამდვილეში გ. ბერბიჭაშვილს სასამართლოზე ამ უკანასკნელის მესვეურები. ამ შემთხვევაში, სასამართლო სინამდვილის ნორვეგიებითობის მიზნით იყენებდა გ. ბერბიჭაშვილის ნათქვამს. თვით ფილიპე მახარაძე ამტკიცებდა, ჯერ კიდევ 1913 წელს. ილია ჭავჭავაძე ბოლშევიკებს არ მოუკლავთ 1905 წ., როცა რევოლუციო აღმავლობას განიცდიდა და რატომლა მოკლავდნენო მას 1907 წ., რევოლუციის დაღმავლობის ჟამს, როცა პარტიულები ვინმეზე შეტევას კი არა, თავის დაცვას და დამალვას ცდილობდნენო. მართალია, ფ. მახარაძე და ბოლშევიკების ადვოკატებიც ამბობდნენ, ილიას წინააღმდეგ 1905 წ. „მოგზაურში“ ბევრი რამ იწერებოდაო, მაგრამ ეს ყველაფერი იყო იდეური ბრძოლა. მაგრამ განა იდეური ბრძოლა მოწინააღმდეგის მკვლელობაა?

ასეთია სინამდვილეში გ. ბერბიჭაშვილის ფ. მახარაძეზე ალაპარაკების ტექსტი და დანიშნულება. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო, გ. ბერბიჭაშვილის ჩვენება მაინც ხომ ბღალავდა ფ. მახარაძის სახელს. ხუმრობა საქმე როდია! პირველწყაროთი დასტურდებოდა ფილიპეს მონაწილეობა ილიას წინააღმდეგ ხრიკებში, რასაც ხალხი მახარაძის მაკომპრომეტირებელ მასალად აღიქვამდა. მაგრამ სასამართლოზე ფ. მახარაძის მსხვერპლად შეწირვით კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა მკვლელობის არსი, რომლის ინიციატივასაც „ოხრანკას“ მიაწერდნენ. განა ამ ხაზით არ მოქმედებდა „ვიღაცა იმერლის“ დამალვის ცდაც?

შეეძლო თუ არა სასამართლოს ამ შემთხვევაში ფ. მახარაძეც ისევე გაესაიდუმლოებინა, როგორც „ვიღაცა იმერელი“? თანამედროვეობის პოლიტიკურ პროცესებზე ძალიან ხშირად მოქმედებენ ხოლმე პრინციპით: ამაზე რაც გინდა თქვი, მასთან ერთად ერთსა და იმავე საქმეში გასულზე კი, თუ ის ბლიერთა ამა ქვეყნისათა რანგშია, ხმა არ ამოიღო. ცხადია, ეს დიდი შეცოდებაა. მაგრამ ტოტალიტარული სისტემის ქვეყნებში ამგვარი უკანონობა ჩვეულებრივია. ასე მოხდა ახლაც...

ფ. მახარაძის ნიმართ ერთგვარი უპატივცემულობაც სასამართლოს მიერ, ალბათ, თავისებურად მომდინარეობდა იქიდანაც, რომ მას ბატონს არ სცემდნენ სტალინი და, ცხადია, ბერიაც, რომელთაც ხელთ ეპყრათ ინჯამინდელი საქართველოს პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების საფაფეები. სტალინი მეტად ფფარე აზრისა იყო, სხვათა შორის, ფ. მახარაძის პუბლიცისტურ შესაძლებლობებზეც კი. რითაც ამ უკანასკნელს თავი მოსწონდა. სტალინი მართალი იყო და მან თავისი ეს აზრი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოთქვა ჯერ კიდევ 1922 წ. ს. ორჯონიკიძისა და კავბიუროსადმი გაგზავნილ წერილში, სადაც იგი აცხადებდა: „...ფილიპეს საკითხი არასერიოზულად მიმაჩნია. ფილიპე

ყოველთვის საშუალო ტიპის ლიტერატორი იყო და ასეთად რჩება. ის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება არც პოლიტიკური ხელმძღვანელი, არც ორგანიზატორი, არც პრაქტიკული მოღვაწე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ასეთი კაცის დაყენება, საქმის ინტერესების მოშლას ნიშნავს. ფილიპეს შეიძლება ჩააბარო გაზეთი, ჟურნალი, ან უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს ცაკის თავმჯდომარის პოსტი. ეს ბეჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე ვთქვი. ეს შენც აღიარე ორახელა-შვილთან ერთად, როცა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან ფილიპეს გადაყენებას მოითხოვდით". (ციტატი მოტანილია ლ. თოიძის ბროშურიდან „25 თებერვლის შემდეგ", თბ., 1990, გვ. 17)

ასეთია მიზეზი, თუ რატომ შეელია ასე იოლად სასამართლო ფ. მახარაძის სახელს, მის ავტორიტეტს, მაშინ როდესაც „ვიღაცა იმერელს" ასე გულდაგულ მალავდნენ და მის სახელს ეგზომ უფრთხილდებოდნენ უფროო, ვიდრე ფ. მახარაძისას. ნუთუ ეს იმის საბუთი არაა. რომ „ვიღაცა იმერელი" ის პიროვნებაცაა, რომლის სახელსაც 1941-1942 წწ. პოლიტიკური იდეების ნორმებით ბოლშევიკები ფ. მახარაძეზე მეტი პატივისცემით ეკიდებოდნენ და პარტიული იდეების შუქზე ბოლშევიკური იერარქიის ისტორიულ ანალებში იგი ფილიპეზე დიდ პიროვნებადაც მიაჩნდათ?

ამრიგად, ის, რაც ჩვენ „ვიღაცა იმერელზე" ვიცით, იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ ეს პიროვნება ილიას მკვლელობაზე, როგორც 1908 წ. მასალები მოწმობენ, გ. ბერბიჭაშვილსა და ი. ინაშვილთან ერთად მოვიდა აქციის წინადღით. „იმერელი", ცხადია. სოციალ-დემოკრატი და პროფესიონალი ტერორისტია, ერთგვარი ინსტრუქტორიც ამ აქციაზე. მისი სოციალ-დემოკრატობა იქიდან ჩანს, რომ ივ. ინაშვილი პარტიულია და, როგორც ვნახავთ, ამავე პარტიის მსახურია გ. ბერბიჭაშვილიც.

ის ფაქტი, რომ „ვიღაცა იმერელი" მკვლელობის წინა ღამეს ამოვიდა წიწამურში, დგინდება გ. ხიზანაშვილის 1908 წ. ჩვენებით. ამ მკვლელს. ისე როგორც გ. ბერბიჭაშვილს, ბერდანი ეკავა ხელთ და ილიას მომსრველი ერთ-ერთი ტყვიაც მისი ნასროლი იყო.

საყურადღებოა, რომ მეფისდროინდელი ძიების მასალებში დაკითხული ტერორისტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ისინი „ვიღაცა იმერელს" პირადად არ იცნობდნენ, მას ისინი პირველად ხედავდნენ და ა შ. მაგრამ, თუ ეს ასე იყო, როგორღა წავიდნენ ისინი უცნობთან ერთად მკვლელობაზე? განა დასაშვებია ფიქრი, რომ ბოროტმოქმედები, როგორი მდარე მორალური კატეგორიისანიც უნდა ყოფილიყვნენ, ადამიანის მოსაკლავად წასულიყვნენ უცნობ პიროვნებასთან ერთად ისე, რომ წინასწარ არ გაერკვიათ მისი პერსონის სანდოობა?

ეს დეტალი გვაფიქრებინებს, რომ მკვლელები, როცა ისინი „ვი-

დაცა იმერელთან" ერთად მიდიოდნენ აქციაზე, ამ უკანასკნელს საკუთ-
ბით ენდობოდნენ, ცხადია, ივ. ინაშვილისა და გ. ბერბიჭაშვილის მე-
შვეობით. მაშასადამე, „იმერელიც", ივ. ინაშვილისა და გ. ბერბიჭაშვი-
ლის მსგავსად, იმ ძალის წარმომადგენელი იყო აქციაზე, რომელმაც ეს
უკანასკნელებიც გამოგზავნა, როგორც დამაკავშირებლები მკვლელ-
ბის ინიციატორებსა და მის უშუალო შემსრულებლებს შორის. ინიცი-
ატორები კი იმ ძალას განეკუთვნებოდნენ, რომელიც არა მარტო წი-
წამურ-საგურამოში, არამედ თბილისშიც თავისუფლად დათარეშობდა:
როდესაც ილია წიწამურში მოკლეს, იმავე დროს ილიას სახლიც ხომ გა-
ძარცვეს თბილისში.

შემდეგში „ვიღაცა იმერელი", გ. ბერბიჭაშვილის მსგავსად, სა-
იმედოდ მიიმალა და მისი კვალი „გაქრა". 1941-1942 წწ. გ. ბერბიჭა-
შვილის სასამართლოს მონწყობები გულდასმით გაურბოდნენ ამ „იმ-
ერლის" პიროვნების ხსენებასაც კი და გ. ბერბიჭაშვილიც „იმერლის"
რეალურობის უარსაყოფად იქნა ნაბოლენებული. თავისთავად, ასეთი
გულდასმითი მიჩუმათება იმის უტყუარი მოწმობაა, რომ „იმერელი"
ბოლშევიკების ისტორიაში საკმაოდ ნსხვილი ფიგურა უნდა ყოფი-
ლიყო და იგი რომ არ დაეფარათ, ამაში მკვლელობის საქმეს „ოხრანა-
კას" ვეღარ დააბრალებდნენ...

ორიოდე სიტყვა თვით ტერორისტის სახელწოდებაზე — „იმერე-
ლი", „ვიღაცა იმერელი".

უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლელები, რომლებიც ჩვენთვის საინ-
ტერესო ტერორისტს პირადად არ იცნობდნენ, მის პიროვნებას გარეგ-
ნული ფაქტორით იხსენებდნენ. მათ ახსოვდათ, უეჭველია, ის, რომ
მოსული ტერორისტი დასავლურ ქართულად უტცევდა ლაპარაკს, და-
ნარჩენი მკვლელები კი დუშეთ-საგურამოელები იყვნენ, ქართლელები
და, ბოდენად, უცნობი ტერორისტი მათთვის იმერელი იყო, რამდენადაც
ქართლელების ცნობიერებაში ყველა, ვინც დასავლეთ საქართველო-
დანაა, იმერელია. ამ გაგებით გურულიც კი იმერელია.

* * *

კარგა ხანია, ქართულ საზოგადოებრიობაში ვრცელდება ხმა,
რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი, „იმერელი", სერგო ორჯო-
ნიკიძე უნდა იყოს.

აქვს თუ არა ამ ხმას საფუძველი და შეიძლება თუ არა მისი და-
მტკიცება?

კ. ჩარკვიანი უჩვენებს, მაგალითად, რომ „იმერლისა" და ს. ორ-
ჯონიკიძის იგივეობის შესახებ მას ადრე არაფერი სმენია. მისი
თქმით, ეს ხმა ახლო ხანებშია შექმნილი და იგი უბამსი შინაარსის

აეა.

კაცი, ალბათ, ამ განცხადებას ბოლომდე ენდობოდა, კ. ჩარკვიანის ყველა აზრი უდავო რომ იყოს. განა ჩარკვიანის ცკ-ის პირველი მდივნობის დროს არ ჩატარდა გ. ბერბიჭაშვილის პროცესი? ამ აქტით, როგორც კ. ჩარკვიანი თავის ერთ-ერთ სტატიაში მიუთითებს, მისი დროის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ეამაყებოდა კიდევაც, ვინაიდან მისი აქტიური მონაწილეობით დააპატიმრეს გ. ბერბიჭაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკლელობისათვის გაასამართლეს და დასაჯეს კიდევაც.

კეთილი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ ეს პროცესი მთლიანად ფალსიფიცირებული მონაცემებით ჩატარდა? გავიხსენოთ, თუნდაც „იმერლისადმი" დამოკიდებულება და ყველაფრის „ოხრანკისათვის" ბრალდება. განა ესეც თავის მოსაწონებელია? (კ. ჩარკვიანის ზეჟომითითებულ აზრზე იხ. ვიქტ. რცხილაძის კომენტარი — „პრეისტორიული ტროგლოტიდის გამოღვიძება". იხ. ქართველ ქრისტიანთა კავშირის „დავით აღმაშენებლის" ორგანო —„ძელი ჭეშმარიტი", 1989 № 2). მეორე მხრივ, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ კ. ჩარკვიანი ფაქტების მისეული შეფასებისას, ალბათ, გულწრფელად ენდობოდა იმ ინფორმაციას, რასაც მას თავის დროს მისი იდეოლოგიური საბჭოები აწვდიდნენ.

ზოგიერთი მონაცემით, ს. ორჯონიკიძისა და „ვიღაცა იმერლის" ოგივობაზე ადრევე, 30-იანი წლებიდან იყო ლაპარაკი. ასეთი ხმების უკვე იმ დროსვე არსებობის შესახებ პირადად მეც რამდენჯერმე მაქვს მოსმენილი სულ უკანასკნელ ხანებში. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე პროფ. კონსტანტინე ანთაძე დაბეჯითებით იხსენებდა მისი მამის, ცნობილი თეატრალური მოღვაწის დოდო ანთაძის მონაყოლს. ამ უკანასკნელისათვის ომამდე, როცა იგი ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელად იყო დანიშნული, პოლკოვნიკ დემუროვს, უშიშროების სისტემის ფუნქციონერს, უთქვამს, რომ გ. ბერბიჭაშვილმა დაკითხვაზე თქვა, ვიღაცა იმერელი, ილია ჭავჭავაძეს რომ ესროლა, მე ვიცი, სერგო ორჯონიკიძეაო.

ცხადია, ჩვენ ამ ფაქტს ვერ დავუჯერებთ. გ. ბერბიჭაშვილს დაკითხვაზე და სასამართლოზეც, რომელთა სტენოგრაფიული ჩანაწერებიც გაგვაჩნია, ამგვარი რამ არსად აქვს ნათქვამი. ისიც გასაკვირია, თუ რატომ უნდა ეთქვა უშიშროების ერთ-ერთ მსხვილ მოხელეს ეს თეატრალური მუშაკისათვის. საუბარს მაშინ, რამდენადაც ცნობილია, ერთი სხვა პირიც ესწრებოდა. ამიტომაც კანონიერად იბადებოდა ეჭვი, რომ ჩეკისტები მაშინ განგებ არხევდნენ ამგვარ ხმას „იმერლის" და ს. ორჯონიკიძის ოგივეობის შესახებ. ცხადია, ამით ისინი თავისი სულიერი მამის — ბერიას მითითებით მოქმედებდნენ.

ბერიას ხომ სერგო ორჯონიკიძე სასტიკად სძულდა და ამგვარი მა-კომპრომეტირებელი ხმებით მასზე შურს იძიებდა, ხალხში იმ ხმას ავრცელებდა, რასაც ს. ორჯონიკიძის არცთუ სულკეთა პიროვნება კიდევ უფრო მუქ ფერებში უნდა დაეხატა.

ს. ორჯონიკიძისა და „ვიღაცა იმერლის" იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ა. სიგუას ნარკვევი-მოგონებები.

ავტორი წერს, რომ იგი ხშირად ხვდებოდა ი. ჭავჭავაძის მკვლელობის პირველ გამომძიებელს, ყარამან ფაღავას, რომელსაც მისთვის, თურმე, უთქვამს, რომ მის მიერ მიკვლეული ცნობებით, „ვიღაცა იმერელი" სერგო ორჯონიკიძეა.

ამ სიტყვებს ა. სიგუა ყ. ფაღავასთან წარმოებული ასეთი დიალოგის სახით იხსენებს:

„კითხვა: ბატონო ყარამან, უკანასკნელი ჩემი კითხვა ასეთია:

როგორც პროკურორის საგამომძიებლო მასალებიდან ირკვევა, ილია მოკლეს გიგლა ბერბიჭაშვილმა, ალ. ფშავლიშვილმა, ვ. ინანიშვილმა და ერთმა იმერელმა ბიჭმა. განსაკუთრებით მე მაინტერესებდა იმერელი ბიჭი, რომელიც ილიას სასამართლო პროცესზე არ ჩანს და ილიას მკვლელობის კვლევა-ძიების მასალებში კი მოხსენიებულია, როგორც იმერელი ბიჭი.

პასუხი: იმერელი ბიჭის სახელით ცნობილი პიროვნება, რომელიც სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ილიას ჭავჭავაძის მკვლელობაში, საგამომძიებლო ორგანოებსაც აინტერესებდა. უნდოდა აღედგინა მისი ვინაობა. პირადად მეც კვლევა-ძიების პროცესში დიდად ვიყავი დაინტერესებული მომეკვლია, მაგრამ ვერ შევძელი, ვერ მივაკვლიე. მე მოხუცებული ვარ და საფლავში არ მინდა ჩავიტანო და უნდა გაგიმეღავნოთ, რომ მაშინ ჩემთან, ილიას მკვლელობის გამოძიების დროს, ბევრი ქართველი ინტელიგენტი მამულიშვილი მოდიოდა. ნეუბნებოდნენ, თუ რატომ არ ზის საბრალდებო სკამზე იმერელი ბიჭი სერგო ორჯონიკიძეო. ამ საბედისწერო დღეს, გიგლა ბერბიჭაშვილის გვერდით იდგა ბერდანით ხელშიო...

კითხვა: ბატონო ყარამან, ხომ ვერ დამისახელებთ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც თქვენთან მოვიდა და ასახელებდა სერგო ორჯონიკიძის გვარს, როგორც ილიას მკვლელობის მონაწილეს?

პასუხი: სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები: ვასო ციბაძე, ოსიკო მაჭავარიანი, შალვა მესხიშვილი და სხვები. ესენი ჩემთან ხშირად მოდიოდნენ და გადაჭრით და მტკიცედ მეუბნებოდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი სერგო ორჯონიკიძეაო.

ბატონო ალექსანდრე, ჩვენი საუბრის დასაწყისში შეგთანხმდით, რომ თქვენ ჩემ გულახდილ საუბარს არ გაამხელთ და არ გაამეღავნებთ". (ა. სიგუა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. „მნათობი", 1989,

№-6, გვ. 158).

ა. სიგუას მოჰყავს, აგრეთვე, ბერიას ნათქვამი, რაც, თითქოს, მისგან მოუსენია ცკ-ში, მის კაბინეტში.

ა. სიგუა წერს:

„არ გასულა დიდი ხანი და კოტე გორდელაძემ წამიყვანა ლ. ბერიასთან, რომელმაც მითხრა, რომ სტალინის დავალებით ილიას მკვლელობის შესახებ სასწრაფოდ წიგნი უნდა დაწეროს, რაც დავალებული აქვს კოტე გორდელაძეს და ამაში მას უნდა ხელი შეუწყოთ და საათანადო მასალები მიაწოდოთო. საუბარი არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ლავრენტი ბერიამ კოტეს შეეხეედა. ცოტა გაიღიმა და სიტყვასიტყვით ასე უთხრა: „მე მიკვირს, ძალიან მიკვირს, რად უნდა სტალინს ილიას მკვლელების აღმოჩენა და გასამართლება, როდესაც მთავარი მკვლელი ერთი ჩემთან პრეზიდენტის სავარძელში ზის — ფილიპე მახარაძე და მეორე კი გვერდით უზის — სერგო ორჯონიკიძეო". და მან ისევ განაგრძო: — ჩვენ სათანადო საბუთები გვაქვს მართლაც გავასამართლოთ ილიას მკვლელები, მაგრამ არა იმ კუთხით, როგორც სტალინმა ჩემთან საუბრის დროს თქვაო. თქვენ განაგრძეთ მუშაობა და ვნახოთ, სად მიგვიყვანს თქვენი კვლევა-ძიებაო" („ნნათობი", იქვე, გვ. 154).

ა. სიგუას სხვა დეტალებიც მოჰყავს.

ერთგან იგი, მაგალითად, იხსენებს მონაყოლს ალექსანდრე ბურთიკაშვილისა, რომელიც გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს ესწრებოდა. ა. ბურთიკაშვილს. გადმოგვცემს ა. სიგუა, ნისთვის უთქვამს, რომ პროცესზე გ. ბერბიჭაშვილმა რამდენჯერმე ახსენა ფ. მახარაძის სახელი და ისიც თქვა, რომ იმერელი სერგო ორჯონიკიძეაო. მოგვყავს სიტყვასიტყვითი ამონაწერი ა. სიგუას ნარკვევიდან: „როგორც პროცესზე გამოირკვა, — მითხრა ალექსანდრე ბურთიკაშვილმა, — წიწამურში ილიას მკვლელობის ადგილას მარტო წითელი პარტიზანი ბერბიჭაშვილი კი არ ყოფილა. ეს რამდენჯერმე განაცხადა ბერბიჭაშვილმა, მაგრამ სასამართლო პროცესზე, ამის ფიქსაცია არ მომხდარა. ეს ოქმში არ ჩაუწერიათ. ბერბიჭაშვილს ბერდანის თოფით ხელში ედგა სერგო ორჯონიკიძე და მონაწილეობდა იმ ტრაგედიაში — ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში" (ა. სიგუა, დასახ. ნარკვევი, გვ. 167).

ა. სიგუას ნარკვევში სხვა არაერთი მომენტიც იქცევს ყურადღებას. მათგან ჩვენ ამჟამად მხოლოდ იმ მომენტებს შევეხებით, რომლებიც ს. ორჯონიკიძისა და „ვიღაცა იმერლის" იდენტიფიკაციასთან დაკავშირებითაა საინტერესო...

ა. სიგუა ვრცლად მოგვითხრობს მის მიერ ილიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული მასალების ძიებაზე. მას ხელთ ჩავარდნია ზაქარია გურულის მიერ 1924 წ. სუზდლის პოლიტსაპატიმროდან საქა-

რთველოში გაგზავნილი წერილი, სადაც იგი სთხოვდა ქართველებს, გადმოსცემოდნენ ვასო ცაბაძის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვებ მასალებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე. ეს წერილი ა. სიგუასათვის გადაუცია განსვენებულ ისტორიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე ფირცხალაიშვილს.

ა. სიგუას მიერ მოკრებილი ცნობებით და მასალებით უსარგებლია კოტე გორდელაძეს, რომელიც თავის ნარკვევში იმ აზრს ავითარებდა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა მეფის საიდუმლო პოლიციის („ოხრანკის") მიერ დიმ. ჯაშის აქტიური დახმარებით. ამაზე ალ. სიგუას, როგორც იგი წერს, ერთგვარი უკმაყოფილება გამოუთქვამს კ. გორდელაძისადმი.

მოვიყვანოთ ა. სიგუას ნარკვევიდან ეს პასაჟიც.

„კოტე გორდელაძეს გადავეცი მისი მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა", რომელსაც თან ახლდა ჩემი რეცენზია. ბატონ კოტეს მაშინ ვუთხარი: მე ვფიქრობ, ილია ჭავჭავაძე ოხრანკას არ მოუკლავს, ამას ადასტურებს ის სასამართლო პროცესი, რომელიც 1907 წელს და უფრო გვიან გაიმართა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო-მეთქი. სასამართლო პროცესზე არსად არ ჩანს, რომ ილიას მკვლელობაში ოხრანკა ერიოს.

— აბა ვინ მოკლა ილია? — შემეკითხა ბატონი კოტე.

— იმ მასალებში, რომელიც მე თქვენ გადმოგეცით, არსად არ არის ნათქვამი, რომ ილია ოხრანკამ მოკლა.

— კარგი, კარგი! — მითხრა კოტემ — ხვალ მონოგრაფია ბერიას უნდა მივუტანო.

გავიდა დაახლოვებით ერთი თვე. კოტემ თავის კაბინეტში გამომიძახა და დაღონებულმა მითხრა, მონოგრაფია ბერიამ დამიწუნა და მკაცრად მითხრა, რომ შენ რეაბილიტაციას უკეთებ ილია ჭავჭავაძის ნამდვილ მკვლელებს: ფილიპე მახარაძეს, სერგო ორჯონიკიძეს და სხვებს. მან პირდაპირ მითხრა: — ვინც ასეთ წიგნს დაწერს ილიას მკვლელობაზე, როგორც თქვენ დაგიწერიათ, ის ილიას მკვლელობის მონაწილეა. ჩვენ ბევრ საბუთს ვიცნობთ ილიას მკვლელობის შესახებ, რომელიც სულ მალე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდებაო. — თუ ვის გულისხმობდა ბერია „სხვებში" — ისე კი მტკიცედ და ძალიან დამაჯერებლად თქვა სიტყვა „სხვები". მე მინდოდა ძეკითხა, თუ ვის გულისხმობდა, მაგრამ ვერ გავბედე". (ა. სიგუა, გვ. 166). ავტორი კომენტარს უკეთებს, როგორც იგი ამბობს, კ. გორდელაძის ნათქვამს და ასე აყალიბებს თავის აზრს: „ცხადზე უცხადესია ერთი რამ. ლავრენტი ბერიას რომ მოსწონებოდა კოტე გორდელაძის მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე და მასში გატარებული აზრები, წიგნი ერთ კვირაში დაიბეჭდებოდა. მაგრამ მაშინ იგი

ფარულად ებრძოდა ორჯონიკიძეს და ალბათ, სამომავლოდ სხვა გეგმებიც ჰქონდა. წიგნში კი გატარებული იყო ის აზრი, რომ ილია მოკლეს ოხრანკის აგენტებმა, რაც ხელს აძლევდა სტალინს და ამიტომ მოითხოვდა ილიას მკვლელობაზე წიგნის დაწერას" (ა. სიგუა, დასახ. ნარკვ. გვ. 166).

ვრცლად იგონებს ა. სიგუა შეხვედრებსა და საუბარს ცნობილ სოციალ-დემოკრატთან პეტრე გელეიშვილთანაც, რომელიც, ავტორის ცნობით , ადასტურებდა, რომ ხალხი, თურმე ითვლიდა ასახელებდა ილიას მკვლელებად ს. ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძეს, ბერბიჭაშვილს, ჯუღაშვილს და სხვ. (გვ. 165).

ა. სიგუას მონათხრობი უაღრესად ბწყვავე და საინტერესო საკითხებს ეხება და მკითხველთა ფართო წრეებისათვის იგი შეიძლება ილიას მკვლელობის ისტორიაზე ბნიშვნელოვან წყაროდაც იქცეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გვეენნება შთაბეჭდილება, რომ ა. სიგუას ნარკვევში მოტანილი „ხმები" ეთანხმება სხვა წყაროებიდან ცნობილ ფაქტებთან, რაც ჩვენ ეჭვმიუტანლად ვიცით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებიდან...

ეს გარემოება გვაიბულებს, თავი შევიკავოთ ა. სიგუას ინფორმაციის წყაროდ გამოყენებისაგან, ვიდრე მის სანდოობაში არ დავრწმუნდებით. საჭიროა, მაშასადამე ა. სიგუას მონათხრობის მკაცრი წყაროთმცოდნეობითი შეფასება, რაც ისტორიული ჭეშმარიტების დადგენისას, როგორც ცნობილია, აუცილებელია. გვაქვს წერილობითი მოგონება-ინფორმაცია, მაგრამ წყაროთმცოდნეობა მკაცრად გვაფრთხილებს, ვიდრე ინფორმაციას მეცნიერულ არგუმენტად გამოვიყენებდეთ, წინასწარ გავარკვიოთ — სინამდვილეა იგი, თუ საეჭვო დირებულებისა. რამდენი წერილობითი, მათ შორის მენუარული წყარო ვიცით, სადაც ისტორიული პერსპექტივა ნებსით, ზოგჯერ კი უნებლიეთაც, დამახინჯებულია ხოლმე...

დავიწყოთ. თუნდაც ა. სიგუას ბიერ გადმოცემული , როგორც იგი წერს, ყ. ფაღავას მონაყოლით. ყ. ფაღავა თითქოს დაკინებით უჩვენებდა ა. სიგუას იმის შესახებ, რომ „იმერელი ბიჭი" ს. ორჯონიკიძე იყო, რის შესახებაც ნას, თითქოს, არაერთხელ ეუბნებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ვასო ცაბაძე, ოსიკო მაჭავარიანი, შალვა მესხიშვილი და სხვ.

საჭიროა გულახდილად ითქვას, რომ ამ ცნობისადმი ნდობა, ჩვენი აზრით, ერთობ სახიფათოა.

1926 წ. პეტრე გელეიშვილისადმი გაგზავნილ წერილში, მაგალითად, ყ.ფაღავა აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში იგი პარტიის ხელს ვერა ხედავდა, ეს მკვლელობა არ იყო პარტიული. ყ. ფაღავას წერილის შინაარსი ჩვენ უკვე კარგად ვიცით ჩვენი ნაშრომის

დასაწყისიდან.

წერილში ყ. ფალავა კვლავ იმეორებდა თავის ადრინდელ თვალსაზრისს (უფრო სწორად, ხსნიდა ნას) იმის შესახებ, თუ რატომ ბაჭინდა მას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად დიმიტრი ჯაში. წერილის ავტორი ერთგვარი დაეჭვებითაც კი იხსენებდა გამოძიების, როგორც ის თვლიდა, ორჭოფობას, რომელმაც, ყ. ფალავას აზრით, ხელი შეუშალა ბიების ნორმალურ მიმდინარეობას და წარმატებას.

ყ. ფალავამ სქემა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი დ. ჯაში იყო, გ. ბერბიჭაშვილის წინასწარ დაკითხვებსა და სასამართლო პროცესზეც გაიმეორა. იგი კატეგორიულად აჩვენებდა: მე ვიცი, რომ დ. ჯაში არა მარტო ილია ჭავჭავაძის მოურავი იყო. არამედ, ამასთანავე, ოხრანკის აგენტიცო.

ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ყ. ფალავას თავისი აზრი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა და მიზეზების შესახებ არსებითად არ შეუცვლია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენთვის საინტერესო საკითხის პერიპეტიები ერთნაირად წარმოედგინა.

შეიძლება მკითხველმა შენიშნოს, რომ გ. ბერბიჭაშვილის წინასწარ დაკითხვებსა და სასამართლოს სხდომებზეც, ყ. ფალავა საბჭოთა ორგანოების შიშით აჩვენებდა იმის თაობაზე, რომ დ. ჯაში იმთავითვე ოხრანკის თანამშრომელი იყო. ეს დეტალი, მართლაც ყ. ფალავას სქემაში გ. ბერბიჭაშვილის საქმის წარმოების დროს ჩნდება, მაგრამ არაობიექტურობაა იმის დაშვება, რომ ყ. ფალავა რაიმე ახალს ამბობდა მკვლელობის საქმეზე საერთოდ. ვინაიდან სწორედ ყ. ფალავა იყო, ვინც პირველმა შექმნა აზრი იმის შესახებ, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორი დ. ჯაში იყო. შემდგომში ყველამ, მათ შორის პ. გუგუშვილმა და მის მიერ დამოძღვრილმა გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს თავჯაცებმაც, ზემოაღნიშნული სქემით დაიწყეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის წარმოჩენა და გარჩევა...

ყ. ფალავას წარმოდგენები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის, გარემოებებზე, როგორც ვხედავთ, კატეგორიულად გამორიცხავენ იმის საშუალებას, თითქოს მას ილიას მკვლელობა პარტიული ტერორის გამოვლინებად მიაჩნდა. ეს მკვლელობა პარტიული ხასიათისა არ იყო! ა. სიგუას ნარკვევში კი მოთხრობილია, რომ ყ. ფალავა, თითქოს ყველოდა, მის ხელთ არსებული ცნობებით, ილიას ერთ-ერთი მკვლელი „ინტერნირი" სერგო ორჯონიკიძეა. ე. ი. მკვლელობას, თითქოს, პარტიული შინაარსი ჰქონდა. ამას ნიშნავს ხომ მკვლელად ს. ორჯონიკიძის მიჩნევა.

ზემონათქვამი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ არსებობს მკვეთრი წინააღმდეგობა და განსხვავება იმის შესახებ, რაც ჩვენ ყ. ფალავას წარმოდგენებზე დოკუმენტურად ვიცით, და იმ მონაყოლს შორის, რაც, როგორც ა. სიგუა გვარწმუნებს, მას პირადად ყ. ფალავასაგან მოუსმენია.

ცხადია, ასეთ ვითარებაში დიდი გაბედულება იქნებოდა ამ წინააღმდეგობისათვის ანგარიში არ გაგვეწია და ა. სიგუას მოგონებისათვის რაიმე უპირატესობა მიგვენიჭებინა იმ ინფორმაციასთან შედარებით, რაც ჩვენ ყ. ფაღავას წარმოდგენების შესახებ სხვა არხებით ვიცით.

ამასთანავე, თუ ა. სიგუას მონაყოლს ვენდობით, გამოვა, რომ ყ. ფაღავას, მას შემდეგ, რაც მკვლელობის პერსონაჟად ს. ორჯონიკიძე შემოიყვანა, არსებითად უარუყვია დ. ჯაშის ხელმძღვანელი როლის ტრადიციული გაგებაც, ცხადია, ესეც დაფიქრებას საჭიროებს. ვინ გამოვა ამ სქემით დ. ჯაში, თუ ის ორგანიზატორი იყო წიწამურის აქციისა? გამოვა, რომ ს. ორჯონიკიძე პირადად დ. ჯაშის მიერ იქნა საქმეში ჩართული.

ეს გარემოება, თავისთავად, იმის მაჩვენებელი გახდებოდა, რომ დ. ჯაში სოციალ-დემოკრატების დავალებით და მათთან კოორდინაციითაც მოქმედებდა... მაგრამ ჩვენ უკვე საკმაოდ ვრცლად ვუჩვენეთ, რომ დ. ჯაშის მიმართ ამგვარი ეჭვებისათვის არავითარი სერიოზული ფაქტები არ გაგვაჩნია.

ა. სიგუას ჩვენებით, ყ. ფაღავა თავისი ნათქვამის სანდოობის მიზნით მიუთითებდა, რომ „იმერლისა“ და ს. ორჯონიკიძის იგივეობის შესახებ მას თითქოს ხშირად არწმუნებდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, კერძოდ, ვ. ცაბაძე, ო. ნაჭავარიანი, შ. მესხიშვილი და სხვ.

ძალზე საყურადღებო დეტალია, მაგრამ ამასთანავე ძნელად დასაჯერებელიც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყ. ფაღავას ნათქვამი, თუ იგი სწორადაა გახსენებული, მაინც ვერ გამოდგება ისტორიული სინამდვილის უეჭველობის დასადგენად. შეიძლება ადამიანმა წლების მანძილზე იძახოს: მე ვიცი, რომ ეს მკვლელობა მავანმა და მავანმა ჩაიდინაო, მაგრამ განა ბოლოდ ამის მიხედვით გაირკვევა საქმე? ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა ფაქტებს ეფუძნება ბრალდება! ისე კი, რამდენიც უნდა ვიძახოთ, ამან მკვლელთა შესახებ ეს მითხრა, იმან ისაო, მარტო ამით ისტორიული ფაქტი ვერ დადგინდება. ამ კრიტერიუმით ვუდგებით ჩვენ ყ. ფაღავას იმ ნათქვამს, რაც ა. სიგუას აბსენდებდა.

ჩვენი სკეფსისი ამ შემთხვევაში მარტოოდენ ზოგადი შენიშვნებით კი არ შემოიფარგლება, არამედ კარგად ნაცნობი, კონკრეტული მასალებითაცაა შეპირობებული.

საქმე ისაა, რომ არსებული მასალები ერთხმად ეწინააღმდეგება იმის ფიქრის შესაძლებლობას, რომ ყ. ფაღავასთვის „იმერლისა“ და ს. ორჯონიკიძის იგივეობის თვალსაზრისის წყარო იყო ვას. ცაბაძის, ოსიფ ნაჭავარიანისა და შალვა მესხიშვილის ინფორმაციები და აი, რა-

ეტრ.

ჩვენამდე შემონახულია ძველი სოციალ-დემოკრატის ზაქარია გურულის წერილი, რომელიც მას 1924 წელს გამოუგზავნია საქართველოში იმ მიზნით, რომ აქ გაფრთხილებოდნენ და არ დაეკარგათ ამ წელს ჩკ-ს მიერ დახვრეტილი ვას. ცაბაძის მიერ ნაგროვები მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაზე. ზ. გურული, ამასთან დაკავშირებით, ნათლად ამცნობდა ადრესატებს იმის შესახებ, რომ ვას. ცაბაძე ადრეულ წლებშივე სოც. დემოკრატების დავალებით შესდგომია ილიას მკვლელობის გარემოებათა შესწავლას და უკვე მაშინვე იმ დასკვნამდე მისულა, რომ წიწამურის აქცია „ოხრანკის" მიერ ყოფილა ინსპირირებული და განხორციელებული ილიასავე მოურავის დიმიტრი ჯაბის მეშვეობით. ვას. ცაბაძესთან ერთად მუშაობდა და ამავე აზრის ყოფილა თურმე სოციალისტ ფედერალისტების პარტიის წევრი ოსიკო მაჭავარიანიც. ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები — მათ შორის გრიგოლ ლორთქიფანიძის სუზდალიდანვე გამოგზავნილი და 1927 წ. ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული წერილი პეტრე გელეიშვილისადმი — რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ვას. ცაბაძემ და ოსიკო მაჭავარიანმა ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს და გაავრცელეს „ოხრანკის" ვერსია, რომელიც ჩვენ უკვე ვრცლად მიმოვიხილეთ ზევით.

ასეთია საქმის რეალური ვითარება და მაშ როგორღა დაუწყებდნენ ვას. ცაბაძე და ოსიკო მაჭავარიანი დარწმუნებას ყარამან ფალავანს. ჩვენ ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი „იმერელი" სერგო ორჯონიკიძე იყოო. როგორღა დაუწყებდნენ. ვიმეორებთ, მტკიცებას. როდესაც მათ ილიას მკვლელობა „ოხრანკის "მიერ ინსპირირებულ აქციად მიაჩნდათ, რის შესახებაც ვრცლად იყვნენ ინფორმირებულნი სოციალ-დემოკრატთა და, ცხადია, სოციალ-ფედერალისტთა შორისაც.

ასეთი კითხვის დასმის უფლებას ის გარემოება იძლევა, რომ თუ ვ. ცაბაძე და ოსიკო მაჭავარიანი „იმერელს" ს. ორჯონიკიძედ მიიჩნევდნენ, გამოვიდოდა. რომ ამით ისინი ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებს წარმოიდგენდნენ და არა „ოხრანკას".

რეალურ ფაქტებთან წინააღმდეგობაშია ა. სიგუას ის ცნობაც, თითქოს ყ. ფალავას „ინფორმაციისა" და ს. ორჯონიკიძის იგივეობაზე ინფორმაციას აძლევდა შალვა ნესტორაშვილი, იგულისხმება სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ერთხანობას ჩვენში იუსტიციის მინისტრი, იურისტი, დიდი ქართველი მსახურების — ლადო მესხიშვილის ვაჟიშვილი.

ჩვენ უკვე მოვიტანეთ ნაწყვეტი შალვა ალექსი-მესხიშვილის

მი გონებიდან დ. ჯაშის 1917 წ. დაპატიმრების შესახებ. ეს მოგონება ავტორს დაუწერია 1952 წელს. მასში შ. მესხიშვილი იხსენებს დ. ჯაშის შეპყრობის ისტორიას ამ უკანასკნელის „ობრანკაში" თანამშრომლობის ბრალდებით. მოგონებას ახლავს დასკვნითი ნაწილიც, სადაც ავტორი შენიშნავს, რომ მე რაიმე აზრი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორთა შესახებ არა მაქვს, მაგრამ, როგორც ამჟამად გამორკვეულია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „ობრანკის" მიერ ყოფილა მოწყობილიო.

ასეთია ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის შინაარსი.

შეიძლება ეკითხველმა იფიქროს, რომ 1952 წ. შ. მესხიშვილი ილიას მკვლელად „ობრანკას" იმიტომ ასახელებდა, რომ იგი მოგონებას წერდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა იძულებული იყო ოფიციალური სქემის შესაბამისად ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „ობრანკის" ხახელავად გამოეცხადებინა. ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შ. მესხიშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელად სოციალ-დემოკრატებს და პირადად ს. ორჯონიკიძეს თვლიდა. ასეთ რამეს შ. მესხიშვილს ვერ მივაწერთ.

ა. სიგუას მონაყოლში ჩვენ სანდო ინფორმაციას რომ ვერ ვხედავთ, ეს ალბათ განსაკუთრებით იქიდან ჩანს, რომ იგი ყ. ფაღავას და მის ინფორმატორებს ალაპარაკებს ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ მკვლელზე — „იმერელ ბიჭზე", „იმერელმა ბიჭმა" ესროლა ილიას ბერდანის ტყვია. სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს დღევანდელ გამოთქმასთან, ვინაიდან შეუძლებელია ყარამან ფაღავას ასეთი რამ ეთქვა. მეფისდროინდელი ძიების მასალებში ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი ყველგან იხსენიება, როგორც „ერთი იმერელი", „ვიღაცა იმერელი" და ა. შ. არსად ეს უკანასკნელი იმერელ ბიჭად არაა ნახსენები და, ცხადია, ყარამან ფაღავასაც მშვენივრად უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. თუ რატომაა სიგუასთან „ვიღაცა იმერელი" „იმერელ ბიჭად" ქცეული, ჩვენ ცოტა ქვევით ვიტყვით.

ა. სიგუასეული იმერელ—ორჯონიკიძის ვერსიის სრულ უმწეობაზე, ამ თვალსაზრისის დეკლარაციულობაზე მეტყველებს თუნდაც ა. ბურთიკაშვილის მონაყოლი, რომელიც, თუ იგი ზუსტადაა ფიქსირებული, აშკარა გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. სიგუას თქმით, მისთვის ა. ბურთიკაშვილს უცნობებია, რომ სასამართლო სხდომაზე გ. ბერბიჭაშვილმა თქვა: ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე იყო, ხოლო ბერბიჭაშვილის გვერდით ბერდანით ხელში სერგო ორჯონიკიძე იდგაო. ა. სიგუას აღნიშვნით, გ. ბერბიჭაშვილის ეს ნათქვამი ოქმში, ე. ი. სტენოგრამაში არ შეუტანიათ...

არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა!

მართალია, გ. ბერბიჭაშვილის პროცესი ყალბ წანამძღვრებზე იყო აგებული, მაგრამ სტენოგრაფიული წესით ყველაფერი ფიქსირდებოდა. საიდან შეიძლება სცოდნოდა ა. ბურთიკაშვილს, რა შეჰქონდათ ოქმში და რა არა! ა. ბურთიკაშვილმა, ეტყობა, ზუსტად არ იცოდა, რომ იმერლის შესახებ გ. ბერბიჭაშვილმა სასამართლოზე კი თქვა, მაგრამ მან იგი ორჯონიკიძედ როდი ჩათვალა. გ. ბერბიჭაშვილი, ამასთანავე, საერთოდ უარყოფდა იმერლის ყოფნას აქციაზე...

მაშ, საიდან გაიგო ა. ბურთიკაშვილმა, როგორც ამაში ა. სიგუა გვარწმუნებს, რომ გ. ბერბიჭაშვილი პროცესზე საჯაროდ ამბობდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე იყო და იმერელი — სერგო ორჯონიკიძეო? განა მონაყოლს შეიძლება შეუმოწმებლად ვენდოთ? გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს სხდომებს მარტო ა. ბურთიკაშვილი როდი ესწრებოდა. მასზე საკმაოდ მრავლად იყვნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი ამჟამადაც ცოცხალია და არც მეხსიერებას უჩივის. არსებობს გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს კინოქრონიკაც, სადაც კარგად ჩანან იქ დამსწრეები. ჰოდა, არავის სმენია სასამართლოზე გ. ბერბიჭაშვილის განცხადება, ილიას მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე იყო და იმერელი კი სერგო ორჯონიკიძეო ფ. მახარაძე გ. ბერბიჭაშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კი ახსენა, მაგრამ სულ სხვა კონტექტსში და ისიც 1905 წ. ამბებთან დაკავშირებით. ს. ორჯონიკიძის სახელი და გვარი კი სასამართლოზე და ამაზე უწინარესაც, წინასწარი ძიებისას, საერთოდ არ ყოფილა ნახსენები. მაშ, რაღა მაინცდამაინც ა. ბურთიკაშვილს მოესმა ეს სიტყვები? ხომ შეეძლო პატივცემულ ა. სიგუას, ვიდრე ა. ბურთიკაშვილის მონაყოლს ისტორიული დოკუმენტის იერით შემოიტანდა ნარკვევში, შეემოწმებინა მისი სინამდვილე. ა. სიგუას თანახმად, ა. ბურთიკაშვილს მიეწერება ის ცნობა, რომ გ. ბერბიჭაშვილის ზოგიერთი ნათქვამი, ს. ორჯონიკიძეს რომ შეეხებოდა, შემდეგში ოქმში არ შეიტანეს, მაგრამ ამის შემოწმებაც ხომ შეიძლებოდა? ცოცხალია, მაგალითად, და ღმერთმა კიდევ დიდხანს ამყოფოს, ერთ-ერთი სტენოგრაფისტი ქ-ნი ეთერ ბაგრატიონი, რომლის მეშვეობითაც ა. სიგუას შეეძლო დაეზუსტებინა ის, რაც მისთვის, თითქოს, ა. ბურთიკაშვილს ეთქვამს, ან, რატომ უნდა ჰქონდეს ა. ბურთიკაშვილის მონაყოლს აუცილებლად ჭეშმარიტი ნათქვამის პრეტენზია. ხომ შეეძლო ა. ბურთიკაშვილს ზოგი რამ პროცესის მსვლელობაზე სხვების მონაყოლის მიხედვით წარმოედგინა? ჩვენ ხომ არ ვიცით, ა. ბურთიკაშვილი ყველა სხდომას ესწრებოდა თუ არა?

უნდობლობით განგვაწყობს აგრეთვე ა. სიგუას მიერ პეტრე გელეიშვილის მონაყოლის გახსენებაც. ა. სიგუას პ. გელეიშვილი ილია ჭავ-

ჭავაძის პირდაპირ თაყვანისმცემლად მიიჩნევდა. ამ უკანასკნელს, კონ. გორდელაძის ნარკვევის გაცნობის შემდეგ, უკმაყოფილება გამოუცხადა იმ ვერსიით, რომ ილია ჭავჭავაძე, თითქოს, „ოხრანკის“ მიერ იქნა მოკლული. ა. სიგუას, როგორც იგი გადმოგვცემს, პ. გელეიშვილი ასე ეუბნება: „ ილიას მკვლელობის გზები ძალიან შორს მიდის. ისინი დღეს გრანდპერსონები არიან, — მე ვიცი, განაგრძო პეტრემ, — ვერ მოვესწრები მათ სასამართლო პროცესსა და გასამართლებას“. მეორე ასეთი ამონაწერი: „ხომ გახსოვთ, ჩემო კარგო, ვის ასახელებდნენ ილიას მკვლელად? — როგორ არა! ისეთ ხალხს ასახელებდნენ, რომელთა სახელები ჩემთვის უცნობი იყო. ისე კი, მახსოვს მათი გვარები. ვიღაც მახარაძეს, ორჯონიკიძეს, ბერბიჭაშვილს, ჯუღაშვილს“ („მნათობი“, 89, № 6, გვ 165).

ერთი წუთითაც რომ დავიჯეროთ, ყველაფერი ეს პ. გელეიშვილს ეთქვა, იმთავითვე უნდა გვეღიარებინა: ამ ნათქვამში ისტორიული სინამდვილე თავდაყირაა დაყენებული.

გამორიცხულია, რომ 1908 წელს პეტრე გელეიშვილისათვის უცნობი ყოფილიყო, მაგალითად, ფილიპე მახარაძის გვარი და სახელი, ფილიპესი, რომლის „გმირობის“ ამბებზე ბევრს ყვებოდნენ და, როგორც უკვე ვნახეთ, იგი „ნიშადურშიც“ გამოხატეს, როგორც ილიას მკვლელობის ინსპირატორი...

სიტყვას არ გავაგრძელებთ და იმას კი აღვნიშნავთ, რომ პ. გელეიშვილი არასოდეს ყოფილა ილია ჭავჭავაძის მათაყვანებელი, როგორც ეს ა. სიგუას ჰყავს დახატული. ცნობილია „ყარიბის“ (პ. გელეიშვილის) აზრი ილიაზე, რომელსაც იგი სოციალ-დემოკრატების პოზიციიდან აფასებდა.

ამასთანავე, პ. გელეიშვილი იმთავითვე იმ მკვლევართა შორის იქნა გამოყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ, რომელთაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე თავისი აზრი უნდა ჩამოეყალიბებინათ. ამ საქმეს პ. გელეიშვილმა ხელი ნოჰკიდა დაახლოებით 10-იანი წლების დაბოლოისათვის. შემდეგში იგივე პ. გელეიშვილი 1917 წ. ითანამშრომლობდა დ. ჯაშის დაკითხვებში, რათა დამატებითი ინფორმაცია მიეღო მისგან ილიას მკვლელობის თაობაზე, მაგრამ ამაოდ, ჯაში დუმდა. მან არც ერთ კითხვაზე არ ისურვა პასუხის გაცემა (პ. გელეიშვილი, ახლო წარსულიდან, „ახალი გზა“, 1927, № 16, გვ. 6).

თავისი ხანგრძლივი ძიებებისა და დაკვირვებების საფუძველზე პ. გელეიშვილმა 1927 წ. ვრცელი სერიალი გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესახებ. მთელი ნარკვევი იმ აზრითაა გაჟღენთილი, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლული უნდა ყოფილიყო რუსეთის რაქციული ბიუროკრატიის ჩაგონებით, რის შემდეგაც ამ ტრაგედიის გადაბრალება სოციალ-დემოკრატებისათვის დაიწყეს. მოვიტანოთ

ვრცელი ამონაწერი პ. გელეიშვილის ნარკვევიდან.

„რა იყო პოეტის მკვლელობის მიზეზი? რა ნიადაგზე ნოეწყო „წიწამურის ტრაგედია“? ვინ ხელმძღვანელობდა მას?

ამ კითხვებზე გადაჭრილი პასუხი არ მოგვეპოვება, მაგრამ ნის გამოსაკვლევად კი ერთობ ბევრი გზები გვაქვს. ეს გზები ორი ყველაზე უფრო სწორი და მოკლე გზაა: ერთს მივყევართ მთავრობისაკენ, მეორეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკისაკენ.

ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების დროს არც ერთი ეს გზა არ იქნა მხედველობაში მიღებული. მთავრობის ჩინოვნიკი გამოძიებელი, რა თქმა უნდა, ამ საქმეში თვითონ მთავრობის როლის გამოკვლევას არ შეუდგებოდა. არც ბანკის ირგვლივ დაიწყო საქმის ძიება. ნაგრამ აქ საკვირველი ის არის, რომ არც პოლიტიკურ პარტიებს მიუქცევიათ ყურადღება ამ ორი გზისათვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ნაციონალისტურმა პარტიებმა უკვე მონახეს მკვლელები, მათ ასეთებათ ს.-დემოკრატები და მათი პარტია გამოაცხადეს. ამ საქმის გამოსაკვლევად სხვა რომელიმე გზის ძიება ხომ პირველი გზის უარყოფას, უკვე მონახული მკვლელების გამართლებას მოასწავებდა. ჩვენ კი, როგორც ვთქვით, თავის მართლებას მოვუნდით. ყოველ შემთხვევაში, პირველი ცდის შემდეგ, ამ საქმის გამოძიების შესახებ ვერაფერი ვერ ვიცნობთ... ჩვენ კი დღეს სრულიად სერიოზულად ვასახელებთ ამ გზებს და ამ საქმის მომავალ მკვლევარებს ვურჩევთ ამ ორ გზასაც ნუ დაივიწყებენ.

სულ ადვილი დასაჯერებელია, რომ ილია ჭავჭავაძე თვითმპყრობელი მთავრობისა და მათი ადგილობრივი აგენტების მსხვერპლი გამხდარიყო.

მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძე საბელნწიფო საბჭოს წევრი იყო და რომ იმას ეს რუსეთის ზღვრებისაგან შემდგარი საბჭო თვლიდა არა ლიბერალად, რადიკალად კი, და ეს ხომ სრულიად შეუფერებელი იყო სახელნწიფო საბჭოს წევრისათვის. პოეტის სიკვდილის შემდეგ რუსის ზღვრებმა არც ერთი ეპარქიელი, თვით ყველაზე უფრო უზღვარესიც კი არ მიიღეს, რაც იმით დასაბუთეს, რომ „ეპარქიელმა თ.-აზნაურობამ ვერ გამოიჩინა საჭირო ენერგია რუსეთის ისტორიულ საფუძვლების დაცვაში“. (იხ. გაზეთი „ზაკავკაზიე“, № 264, 1907 წელი).

აბა რად გაუჭირდებოდათ თვითმპყრობელობის ადგილობრივ აგენტებს ილია ჭავჭავაძის. საბელნწიფო საბჭოს ამ არასასურველი წევრის, მისივე სოფელში მოკვლა და ამ საქმის უკმაყოფილო ელემენტების ან სოციალისტური პარტიებისათვის მიწერა? ადვილი დასაჯერებელია რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას და რუს შავრაზმელებს ამის შესახებ ჰქონდათ შესაფერი მიწერილობა.

ასე და ამგვარად გადადის პ. გელეიშვილი დ. ჯაშზეც, რომელსაც იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის უშუალო მოამწყობად თვლის და ნა-

თლად მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი, როგორც შემდგომში გაირკვა, ჟანდარმერიის აგენტი ყოფილა და ამიტომაც იგი ძიების პროცესში გამომძიებელმა ილიაშენკომ გაანთავისუფლებინაო. (იხ. პ. გელეიშვილი, „ახლო წარსულიდან" 11, „ახალი გზა", 1927, 15 მაისი, გვ. 8).

აი, როგორია პ. გელეიშვილის თვალსაზრისი, მისსავე სიცოცხლეში გამოქვეყნებული და მისივე ხელმოწერილი.

ა. სიგუას ნარკვევის პ. გელეიშვილი კი სულ სხვა შეხედულებების მქონეა. მას, თურმე, იმთავითვე სმენია ილიას მკვლელთა სახელები: ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, ჯუღაშვილი, ე. ი. სმენია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელები ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები არიან. პ. გელეიშვილი ამ ცნობას დამატებით იმითაც აღასტურებს, ა. სიგუას ნარკვევის თანახმად. რომ ილიას მკვლელები ამჟამად გრანდპერსონები არიან, ე. ი. ისინი ევეყნის პოლიტიკური მმართველობის სათავეში იმყოფებიანო.

რა ვქნათ, პეტრე გელეიშვილის რომელ თვალსაზრისს ვენდოთ: იმას, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ქმნიდა და ხვეწავდა, ბეჭდურადაც გამოაქვეყნა. თუ იმას, რასაც ნას ა. სიგუა მიაწერს? როდის ამბობდა პ. გელეიშვილი მართალს?

სრული დრწმუნებით უნდა შევნიშნოთ, რომ სიმართლეს, მისი გაგებით, პ. გელეიშვილი პირველ შემთხვევაში ამბობდა და არც გვაქვს საფუძველი სერიოზული მტკიცებისათვის, რომ მან 30-იან წწ. რადიკალურად შეიცვალა აზრი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე? ან რატომ უნდა დაეწუნებინა პ. გელეიშვილს კოტე გორდელაძის ნარკვევი, როდესაც ამ უკანასკნელის სქემა არსებითად პ. გელეიშვილის ნარკვევიდანაც იყო აღებული, მას ავსებდა და აღრმავებდა?

თავის ნარკვევში ა. სიგუა ამბობს, თუ როგორ უთხრა მან, თურმე, კოტე გორდელაძეს, მის მიერ კ. გორდელაძისათვის, გადაცემული მასალებიდან (ა. სიგუას ჩაბოთვლილი აქვს მის მიერ შეგროვებული ეს მასალები) **არ ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ოხრანკის მიერაა მოკლულიო: სამწუხაროდ, ა. სიგუა აქაც მხოლოდ დეკლარაციულობით კმაყოფილდება** (მეთოდი: ავან ეს მითხრა, მე ასეთნაირად ვუპასუხე,) ამიტომაც ჩვენთვის გაუგებარი ხდება, თუ რის საფუძველზე. როგორი მტკიცებით იწუნებდა იგი ამ სქემას, რომელსაც კოტე გორდელაძე თავის ნარკვევში ავითარებდა. ასე მაგალითად. კ. გორდელაძისადმი გადაცემულ მასალათა შორის ა. სიგუას ასახელებს ზ. გურულის მიერ 1924 წ. სუზდალის პოლიტსაპატიროდან გამოგზავნილ წერილს, რომელიც მისთვის მიუცია იმ ხანებში ცენტრარქივის თანამშრომელს, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ფირცხალაიშვილს. ამ წერილში, როგორც უკვე ვიცით, ვრცლად იყო იმაზე საუბარი, თუ როგორი

რუდუნებით კრეფდა ნასალეებს ვასო ცაბაძე თავის ამხანაგებთან ერთად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, რომლის ორგანიზატორადაც ისინი ოხრანკას, უშუალო აღმსრულებლად კი დ. ჯაშსა თვლიდნენ. მაშ, რის საფუძველზე მიიჩნევდა ა. სიგუა, მის მიერ კ. გორდელაძისათვის გადაცემული მასალებიდან არა ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ოხრანკის მიერ იყო მოკლულია. პირიქით, ამ მასალებიდან. ერთ-ერთის მიხედვით. სწორედ ეს აზრი ჩანს. მართალია, ეს აზრი სწორი არაა და ა. სიგუაც, თურმე, ასეთივე შეხედულებისა ყოფილა, მაგრამ ჩვენთვის არსაიდან ჩანს, თუ რას ეყრდნობოდა ა. სიგუა ამ შემთხვევაში, რატომ ეუბნებოდა კ. გორდელაძეს, ჩემ მიერ თვალთვის მოცემული მასალები მხარს არ უჭერენ იმ სქემას, თქვენ რომ გვთავაზობთო.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აქვამად. ალბათ, იმიტომაცაა საჭირო, რომ პატივცემული ა. სიგუა, რომელიც ახლა უხვ მოგონებებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ მისთვის ინთავითვე კარგად იყო ცნობილი — ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს და ერთ-ერთი მკვლელი „იმერელიც“ თურმე, სერგო ორჯონიკიძე იყო, თავის დროზე ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჯერ კიდევ 30-იან წლებში ენერგიულად ქმნიდა და ავრცელებდა ვერსიას იმის თაობაზე, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი იყო მეფის ოხრანკა, რომელმაც ამ აქციის შემსრულებლად გამოიყენა ილია ჭავჭავაძის მოურავი დიმიტრი ჯაში. ჩვენ თავის დროს, წინა ნაკვეთებში, ვრცლად განვიხილეთ ა. სიგუას ნაშრომი, 1937 წ. გაზეთ „მუშაში“ გამოქვეყნებული. და ვარ ჩვენ, რომ თვალსაზრისი დ. ჯაშის 1907 წ. „ოხრანკაში“ თანამშრომლობის შესახებ არასწორია და საამისოდ მოტანილი მასალები ნაძალადევადაა გარჩეული.

ა. სიგუაც, რომელიც ამჟამად ილიას მკვლელებად სოციალ-დემოკრატებსა და კონკრეტულად ს. ორჯონიკიძეს ასახელებს, კარგად გრძნობს იმით გამოწვეულ ეჭვრბულობას, რომ ადრე იგი ასეთივე კატეგორიულობით ილიას მკვლელებად ოხრანკას და დ. ჯაშს ასახელებდა. ამიტომაც იგი მკითხველებს უმარტავს, თუ რატომაა ეს ასე. ავტორის თქმით, მას, თურმე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე პირველად ნარკვევი დაუმზადებია ჯერ კიდევ 1934 წ. ა. სიგუას ცნობით, იგი იმთავითვე იმ აზრისა იყო, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან ოხრანკას ხელი არა ჰქონია. მაგრამ ავტორი, მისივე თქმით, დ. ჯაშზე იმთავითვე უარყოფითი აზრისა ყოფილა და ეს ფანატიკური იმდენად ბნელ პიროვნებად წარმოიდგინა, რომ, როგორც იგი წერს, ბოურავისაგან ყოველგვარი სიბილწის ჩადენა მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. ეს ნარკვევი ა. სიგუას, თურმე, მიუტანია ჯერ გაზეთ „კომუნისტში“. საიდანაც წერილს რამდენიმე წელი უკლია და ბოლოს 1937 წ. გამოქვეყნებულა გაზეთ „მუშაში.“ ა. სიგუას თქმით, მისი ნარკვევი გამოქვეყნების პროცესში,

ავტორის დაუკითხავად, გადაუკეთებიათ და იქ საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს დ. ჯაში ოხრანკის დავალებით მოქმედებდა.

საინტერესო ახსნაა, მაგრამ განა სტატია, სადაც ილიას მკვლელობის მთელი ცოდვა დ. ჯაშსა აქვს აკიდებული, გამოდგებოდა იმის საფუძვლად, რომ ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატებისათვის ყოფილიყო მიწერილი? სქემა, რომ ილიას ტრაგედია დ. ჯაშის ხელით განხორციელდა, არსებითად ხომ იმ აზრის საყრდენია, რომ წიწამურის ტრაგედიაში სოციალ-დემოკრატებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ასე რომ, თუ ა. სიგუას იმთავითვე ყველაფერი დ. ჯაშისათვის ჰქონია დაბრალებული, სადღა გაუჩინარდნენ მის ხელთ მყოფი სხვა ცნობები, რომლებიც ილიას მკვლელებად სოციალ-დემოკრატებს და პირადად ს. ორჯონიკიძეს ასახელებდნენ? საერთოდ, წარმოუდგენლად გვეჩვენება, ამ საკითხზე 1934-1937 წწ. ვინმეს კრიტიკა დაეძრა. ვის არ ახსოვს, რა წლები იყო. უამისოდ ნარკვევების შექმნა კი, ცხადია, სწორედ იმ ვერსიას აკანონებდა. რასაც ჩვენს ნარკვევში, არაერთხელ „ოხრანკის" ვერსიას ვუწოდებთ ხოლმე.

მკითხველისათვის ალბათ გაუგებარია აგრეთვე, თუ როგორ აბერხებდა ბერია კ. გორდელაძისა და ა. სიგუას თანდასწრებით ასე აშკარად დაეწუნებინა სტალინის აზრი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებზე და გაეკრიტიკებინა კიდევაც იგი, რომელიც, თურმე, ილიას მკვლელობის საქმეს სხვა გეზით იხილავდა, მაშინ, როდესაც ნამდვილი მკვლელები ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე იყვნენ. გამოდის, რომ თუ ა. სიგუას ნათქვამს დავეყრდნობით, ბერია თავისი ხელქვეითებისა და რიგითი ლიტერატორების წინაშეც ბედავდა სტალინის აშკარა კრიტიკას.

მაგრამ, განა ყოველივე ამაში მკითხველთა დარწმუნება ასე იოლია? ვინ ვინ და, განა ბერიასათვის უცნობი იყო ის გარემოება, რომ იმთავითვე კ. გორდელაძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბერიას გაპირველკაცებისა საქართველოში? და აი, ასეთ კაცთან ბერია სტალინის აშკარა დისკრედიტაციას იკისრებდა? ან რა მოსაზრებით უნდა ეთქვა ბერიას ასეთი რამ ა. სიგუას თანდასწრებით? რა, ძმაკაცებში ხომ არ იჯდა საქართველოს კომპარტიის შეფი?

განა შეიძლება ერთი წუთითაც დავივიწყოთ, რომ ბერია ნაინც ოფიციალური პირი იყო და, ამ ოფიციალურობიდან გამომდინარე, როდესაც საბჭოთა ქვეყანაში დიდი ზეიმით აღნიშნეს „რკინის სერგოს" 50 წლის იუბილე, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის სახელით გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" სწორედ ბერიამ დაბეჭდა აღფრთოვანებული სტატია სტალინის ერთგულ მებრძოლსა და ბოლშევიკური იდეალებისათვის შეუდრეკელ მებრძოლზე? (იხ. „ «Непоколебимый борец за дело партии Ленина-Сталина», «Комсомольская

правда», 1936, 28-X, № 250).

ასეთია საქმის ოფიციალური მხარე, რაც. აბსოლუტურად შეუძლებელს ხდის იმ ვერსიის სანდოობაში დარწმუნებას, რომ ძველი თაობის ინტელიგენციას ჰქონდა რაიმე სანდო ცნობები იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელი—«ვიღაცა იმერელი" სერგო ორჯონიკიძე იყო. ასეთ მასალებს ჩვენი თაობა ჯერჯერობით არ იცნობს.

* * *

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებაში გავრცელებულია მითქმა-მოთქმა ვიღაც „იმერელ ბიჭზე". ასე იხსენიებს ხშირად ამ პიროვნებას თავის გამოუქვეყნებელ ნარკვევში პატივცემული ვ. ბურჯენიძე. ანალოგიურ ტერმინს ხმარობს ა. სიგუაც.

ტერმინ „იმერელი ბიჭის" ხსენება აშკარა შეცდომაა.არსად, არც ერთ წყაროში ასეთი მითითება არ გვხვდება. მეფისდროინდელი ძიების მასალებში ჩვენთვის საინტერესო ტერორისტს ყველგან ეწოდება „ვიღაცა იმერელი". გ. ბერბიჭაშვილი კი 1941-1942 წწ. სასამართლო პროცესზე მას იხსენიებს ჩვეულებრივ „იმერელად".

მაშ, რატომღა უწოდებენ ამ „ვიღაცა იმერელს", „იმერელ ბიჭს" მომდევნო ხანაში? ეს სახელწოდება ხელოვნურადაა შექმნილი და მიზანი ისაა, ეს ტერორისტი მაინცდამაინც სერგო ორჯონიკიძეს დაამთხვიოს, რადგანაც ს. ორჯონიკიძე 1907 წლისათვის სულ რაღაც 21-ოდე წლისა იყო. „ბიჭი", თითქოს, იოლად მოერგება სერგო ორჯონიკიძეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ნამდვილად ზეპირი გზით მოედო ხალხს და აქედან პრესამაც აიტაცა აზრი, თითქოს, ილიას მკვლელი იყო „ხუჭუჭა იმერელი", როგორადაც, თურმე, სერგო ორჯონიკიძეს იცნობდნენ თანამედროვეები. ამგვარ ტერმინს ხმარობს შ. ჩუბინიძე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მრავალტირაჟიან გაზეთში გამოქვეყნებულ საინფორმაციო შინაარსის წერილში —„ვინ მოკლა ილია?" (გაზ. „ნედიცინის მუშაკი," 1989, 28 მარტი, გვ. 4). ამ სტატიაში უზუსტოდ და ზერელედაა გადმოცემული შინაარსი საქ. კპ. ცკ-ში გამართული ერთ-ერთი ბრიფინგისა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესახებ. ჩვენ ამჟამად უადგილოდ გვეჩვენება ამ უზუსტობათა აღნუსხვა, ერთს კი აღვნიშნავთ,რომ ამ ბრიფინგზე არავის უხსენებია ს. ორჯონიკიძის ზედმეტ სახელად „ხუჭუჭა იმერელი" და ამგვარი სახელწოდება არც ერთი დოკუმენტური მონაცემით არაა დადასტურებული.

ზეპირი კამათია აგრეთვე იმის შესახებაც, შეიძლება თუ არა ილიას მკვლელად ს. ორჯონიკიძე ვიცნოთ ლადო ჭრიკაშვილის ჩვენების

ნიხედვით,იმ პიროვნებისა, რომელმაც 1908 წ. 11/II-ს ძიებას განუცხადა, რომ იგი „იმერელს“ პირადად არ იცნობს, მაგრამ გაუგია, რომ ეს უკანასკნელი დაპატიმრებულია იარაღის ტარებისათვის და ჩრდილოეთშია გადასახლებული

ზოვიერთის აზრით, ეს ცნობა საეჭვალებას იძლევა „იმერელი“ ს. ორჯონიკიძესთან იქნეს გაგიგებული, რამდენადაც ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძეც 1908 წ. დამდეგს იქნა დაპატიმრებული და იაკუტიაში გადასახლებული. სავეებიც აზრით, ამგვარი იდენტიფიკაცია გამორიცხულია. რადგანაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ჟამს სერგო ორჯონიკიძე ბაქოში ტრიალებდა, იქაური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი იყო და. ამდენად, როგორ უნდა მიეღო მას მონაწილეობა საქართველოში განხორციელებულ ტერორისტულ აქტში.

ორივე ზემოხსენებულ თვალსაზრისს აქვს თავისი ამოსავალი, მაგრამ ეს ხომ ზოგადი ვარაუდებია. რატომ უნდა იყვნენ „იმერელი“ და ს. ორჯონიკიძე იდენტურნი მარტოოდენ მათი დაპატიმრებების მიხედვით. რამდენი სხვა იქნა მაშინ დაპატიმრებული და რუსეთის ციხეებში გასახლებული. მაშინ ხომ რევოლუცია ახლად დამარცხებული იყო და ცარიზმი უმოწყალოდ ებრძოდა მოწინააღმდეგეებს გადასახლებებითაც. არც ის არგუმენტია ძლიერი, ს. ორჯონიკიძე ილიას მკვლელობაში მონაწილეობას იმიტომ ვერ მიიღებდა, რომ ის იმ ხანებში ბაქოში მოღვაწეობდა და აქ რა უნდოდათ; რა, განა ბაქო ისე შორსაა, რომ იქიდან კაცს თბილისსა და საგურამოში ჩამოსვლა გასჭირვებოდა? ბოლშევიკ და სხვა პარტიების ტერორისტებს, თუ საჭირო იყო, არაფრად უღირდათ კავკასიის ერთი კუთხიდან მეორეში მასვლა. ასე რომ, ნაძალის სიშორე ვერაფერი არგუმენტია.

მთავარი ამ შეხვედრაში სულ სხვაა: არ არსებობს რაიმე მყარი არგუმენტაცია საიმისოდ, რომ იმერელი იგივე სერგო ორჯონიკიძეა. ასეთი ცნობები ჩვენი თაობისათვის უცნობია, ან ჯერჯერობით დაკარგული და ხელმიუწვდომელია.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც ს. ორჯონიკიძეზე გაჩნდა ამგვარი ეჭვი, საიდან უნდა იღებდეს სათავეს ვერსია იმერლისა და ს. ორჯონიკიძის იგივეობის შესახებ? განა ცარიელ ადგილზე უნდა იყოს გაჩენილი ეს აზრი?

შევეხოთ ამ საკითხს, რამდენადაც ეს დღეისათვისაა შესაძლებელი.

ზოვიერთი არსებითად ზოგადი გადმოცემა ორჯონიკიძე-იმერლის იგივეობისა და იმის შესახებ, რომ ამ იდენტურობის თაობაზე საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდნენ, მათ შორის უშიშროების თანამშრომლებიც. საკმაო საფუძველს იძლევა იმის ვარაუდისათვის, რომ ზემოაღნიშნულ ვერსიას სწორედ საბჭოთა სპეცსამსახურები ავრცელებდნენ, რა თქმა უნდა, ისე, სხვათა შორის, არაოფიციალურად. ხალხში ეჭვის

დასათესად. ამგვარი საქციელი გაბარბარებული და საკმაოდ შორს გამიზნული იყო.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ თუ ორჯონიკიძეიმერლის იგივეობის ვერსიას ბერიას ბალბი ასე დაჟინებით ავრცელებდა, ეს ბერიას ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული სიყვარულით მოსდიოდა.

ცხადია, არა!

ამ ამბის გაგებისათვის ბევრი ისეთი რამაა გასათვალისწინებელი, რაც ფართო საზოგადოებისათვის ყოველთვის კარგად როდია ცნობილი.

პირველად ჩვენი მსჯელობაც ამ საკითხზე ვარაუდებისა და ჰიპოთეზების ფარგლებს როდი სცილდება.

საკითხს, უნდა ვიფიქროთ, საკმაოდ ღრმა და ბევრისათვის ჯერაც ნაკლებად ცნობილი პერიპეტიებისაკენ მივყავართ...

* * *

პარტიულ-პოლიტიკური ისტორიის მკვლევრების მიერ მიკვლეულია მასალები, რომლებიც მოწმობენ იმ ღრმა კონფლიქტზე, 30-იანი წლების დამდეგს სტალინსა და სერგო ორჯონიკიძეს შორის რომ ჩაისახა.

ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი იწერება.

მოვიყვანოთ ერთ-ერთი, ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული მასალა, — ო. შატუნოვსკაიას, წარსულში სკკპ ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წევრის მასალები.

ო. შატუნოვსკაია გახლდათ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის მიერ 1960 წელს შექმნილი იმ კომისიის წევრი, რომელიც იძიებდა კიროვის მკვლელობის საიდუმლოებებს.

ო. შატუნოვსკაიას, სხვებთან ერთად, მოუხდა უამრავი მასალისა და მოწმეთა ჩვენებების შესწავლა, რითაც შესაძლებელი გახდა კიროვის მკვლელობის საიდუმლოებათა მრავალი დეტალის გახსნა.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე ისტორიის გადმოცემას, მოვიტანთ მხოლოდ ამონაწერს ო. შატუნოვსკაიას წერილიდან, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ვითარებაში ჩაისახა ღრმა წინააღმდეგობა სერგო ორჯონიკიძესა და სტალინს შორის.

„XVII პარტყრილობის დროს, მიუხედავად სტალინისათვის გამართული ოვაციებისა, სერგო ორჯონიკიძის ბინაზე ჩატარდა საიდუმლო თათბირი ზოგიერთი დელეგატისა — კოსიორა, ეიხე, შებოლდაევი, შარანგოვიჩი და სხვ. ისინი აუცილებლად თვლიდნენ სტალინის

გენერალური მდივნობიდან მოცილებას და შესთავაზეს კიროვს, შეეცვალა იგი, მაგრამ მან უარი თქვა.

მას შემდეგ, რაც სტალინისათვის ცნობილი გახდა ამ თათბირის შესახებ, მან კიროვი თავისთან გამოიძახა. კიროვმა სტალინს უთხრა, რომ მან თავისი საქციელით საქმე აქამდე მიიყვანა.

ყრილობაზე ცკ-ის არჩევნებში სტალინი წაშლილ იქნა 292 ბიულეტენში. მან ბრძანა დაეწვათ 289 ბიულეტენი. ოქმში კი, ყრილობას რომ მოხსენდა, აჩვენეს სტალინის საწინააღმდეგო მხოლოდ 3 ხმა.

პრეზიდიუმის კომისიამ, რომელიც ცენტრალურ პარტარქივში გაეცნო ბიულეტენებსა და ხმის დათვლის ოქმებს, დაადგინა არჩევნების ფალსიფიკაცია. ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ვ. ვერხოვიხმა ცკ-ს ეს ისტორია დაწვრილებით ამცნო.

როგორც ცნობილია, XVII ყრილობის დელეგატების უმრავლესობა განადგურებულ იქნა. ხმის დამთვლელი კომისიის 63 წევრიდან 60 დაიხვრიტა. (იხ. «Фальсификация», Аргументы и факты, 1990, № 22)

ჩვენთვის, ალბათ, უკვე ნათელი ხდება, თუ საიდან დაიწყო სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის კონფლიქტი. საქმეს ვეღარაფერს უშველიდა ძველი ძმაკაცობა. წარსულის ფურცლად რჩებოდა ორი ქართველი ბოლშევიკის ურღვევი მეგობრობა, რაც ასე კარგად გამოჩნდა სამწობლოს ანექსიისა და სისხლიან რეპრესიებში ერთ ხმაში მღერისას: „გაძღაბანით საქართველო“! (სტალინი, 1924 წ. აგვისტო).

სტალინ — ორჯონიკიძის ურთიერთწინააღმდეგობების კონტექსტში უნდა წარმოვიდგინოთ, უეჭველია, ბერიას სწრაფი აღზევებაც. 1931 წლიდან ბერია საქართველოს ბოლშევიკების ოფიციალური ლიდერი გახდა. აშკარაა, ს. ორჯონიკიძეს წყალი ჰქონდა შემდგარი. აკი ამიტომაც ასე ენერგიულად იბრძოდა ს. ორჯონიკიძე ბერიას აღზევების წინააღმდეგ. სტალინი, ცხადია, ბერიას იცავდა... მოვა დრო და ბერია ცხვირში ამოადენს „რკინის სერგოს“ ყველაფერს...

ახლა კი ჯერ ადრეა...

გამორიცხული არაა, რომ უკვე ამ დროიდან სტალინი და ბერია ერთად გეგმავდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ს. ორჯონიკიძის დადანაშაულებას. კომუნისტური იდეოლოგიის ქვეყანაში ეს დადანაშაულება, ცხადია, მარტივად ვერ მოხერხდებოდა. თავდაპირველად, ალბათ, ს. ორჯონიკიძეს რაიმე ანტიპარტიულ, ანტისტალინურ იარლიყს მიაკრავდნენ: ტროცკისტი, ბუხარინელი... ამ ბრალდებებს კი შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობასაც დაუმატებდნენ. ცხადია, ბერიამ შესანიშნავად იცოდა, თუ რა ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ ხალხზე ეს ბრალდება.

იყო სხვა ასპექტიც. სტალინს და ბერიას საშუალება ეძლეოდათ,

„ეპატრონათ“ კიდევაც ილია ჭავჭავაძის სახელისათვის. „გამოემზეურებინათ“ დიდი მამულიშვილის მკვლელი, რითაც ქართველი ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ დაიმკვიდრებდნენ თავს ილიას მოყვარეობით. გავიხსენოთ, რას აბრალებდა სტალინს, მაგალითად, ი. ირემაშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელების უკან, კობა იდგაო. ახლა კი, როცა სტალინი ილია ჭავჭავაძის „ნამდვილ მკვლელს“ გამოააშკარავებდა, საზოგადოებრიობა, ცხადია, დარწმუნდებოდა, თუ ვინ იყო ილიას მტერი და მოყვარე. ასე ოსტატურად მიჰყავდათ საქმე სტალინსა და ბერიას, თუ სწორია ჰიპოთეზა, რომ ბერიას პოლიტიკურ ლაბორატორიაში იქმნებოდა ვერსია იმის შესახებ, რომ „ვიღაცა იმერელი“ სერგო ორჯონიკიძე იყო.

იქნებ ამიტომაც იყო, რომ 30-იან წლებში საბჭოთა ორგანოებს ხელი არ უხლიათ გიორგი ბერბიჭაშვილისათვის, რომელიც ხშირად ტრაბახობდა ილიას მკვლელობაში მონაწილეობით. როგორ გავიგოთ, რატომ ხდებოდა ასე? ხალხმა იცოდა გ. ბერბიჭაშვილის «საქმენი საგმირონია“, მაგრამ უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა. რატომ აპარპაშებდნენ ასე? ალბათ, იმიტომ, რომ გ. ბერბიჭაშვილს ცოცხალ მოწმედ ინახავდნენ მომავალი პოლიტიკური პროცესისათვის, სადაც იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელებს შორის ს. ორჯონიკიძესაც დაასახელებდა.

მაგრამ 1937 წელს სერგო ორჯონიკიძე თამაშიდან გავიდა. მან თავი მოიკლა, თუ, როგორც ზოვი ამტკიცებს, მოკლეს. სერგო სტალინისა და ბერიას მსხვერპლი შეიქნა.

ასეთ დროს სტალინი მკვდრებს ინდობდა და პატივისცემით ეკიდებოდა. ასე მოხდა აბეზერადაც — სერგო ორჯონიკიძე დიდი პატივით დაკრძალეს და უკვდავ ბოლშევიკებში ჩარიცხეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან მისი სახელის ნეგატიურად ხსენება იკრძალებოდა. იგი ამიერიდან ბოლშევიკების მითოლოგიური გადმოცემების ერთ-ერთი დადებითი გმირი ხდებოდა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, სერგო ორჯონიკიძის გაყვანას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში აზრი ეკარგებოდა. სერგო ორჯონიკიძის საკითხმა ბერიასათვისაც აქტუალობა დაკარგა. ისიც ნათელი იყო, რომ სერგოს „ვიღაცა იმერლად“ გამოცხადებით რაღაცნაირად კვალი მაინც ბოლშევიკებისაკენ წავიდოდა..

ახლა გიორგი ბერბიჭაშვილიც ზედმეტი ბარგი იყო. იქედაც ბევრი ილაყბა. საჭირო იყო მისი რაც შეიძლება მალე თავიდან მოცილება, მაგრამ მანამდე იგი ჯერ მაინც უნდა გამოიყენებინათ ცოცხალ მოწმედ პროცესზე, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად მეფის „ოხრანკა“ გაფორმდებოდა. სტალინის სახელი სიმეოდად იქნებოდა დაცული მოწინააღმდეგეთა ბრალდებებისაგან.

ასე მიუახლოვდნენ გიორგი ბერბიჭაშვილის პროცესს. მაგრამ,

სავარაუდოა, უშიშროების აგენტურა ფარულად ნაინც ავრცელებდა სერგო ორჯონიკიძის მაკომპრომეტირებელ ხმებს. საკმაოდ ნაცადი ხერხია პიროვნების დისკრედიტაციისათვის. ბერია შურს იძიებდა ამ მისთვის საძულველ პიროვნებაზე, რომელსაც, სულ სხვა საფუძველზე, ქართველი ხალხის ბოაზროვნე ნაწილიც ვერ იტანდა — მისი სისასტიკისა და იმ სადისტური როლის გამო, რაც ორჯონიკიძემ საქართველოში შეასრულა. ვინ დათვალოს მისი ცოდვანი?

* * *

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, თუ რა საფუძველზე, რა ფაქტების ბიხედვით ამტკიცებდა ბერია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელი „ვიღაცა იმერელი" და სერგო ორჯონიკიძე ერთი და იგივე პიროვნება იყო. ცხადია, ამის თაობაზე ბერიას ჩვენთან შედარებით გაცილებით მეტი ცნობების მოპოვება შეეძლო, მაგრამ რა იყო ეს ცნობები, ამის შესახებ ჩვენი წარმოდგენები მეტად ზედაპირულია და ბრალდებისათვის საკმარისი არაა.

საიდან მოდიოდა, საინტერესოა, სერგოსა და „იმერლის" იდენტიფიკაციის ვერსია?

ხომ არ მისცა ჩვენთვის საინტერესო ეჭვს საფუძველი ერთმა დოკუმენტმა, რომელიც ისტორიკოსებისათვის ადრევე გახდა ცნობილი?

საქმე შემდეგშია:

1905 წელს სრულიად ყმაწვილი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც იმ ხანებში უკვე წითელრაზმელი („ბოევიკი") იყო, გუდაუთასთან იარაღის შემოზიდვისას შეიპყრეს. ამას მოჰყვა მისი დაკითხვები და პატიმრობა. ერთ-ერთ დაკითხვაზე, როდესაც შეეკითხნენ, რა ეროვნებისა იყო, ახალგაზრდა მებრძოლმა მიუგო — „იმერელი ვარო".

დაკითხვის საფუძველზე შედგენილ პატიმრის „ანკეტაში" ვკითხულობთ:

«Сведения помощника кутаисского жандармского управления в департамент полиции, 7 января 1906 г. № 4

6) Происхождение — Дворянин.

7) Народность — Имеретин «(იხ. «Из революционной деятельности Г. К. Орджоникидзе». Красный Архив, 1938, 1186), с. 172)».

მეტად საინტერესო დოკუმენტური ჩვენებაა. მაგრამ ამით, ცხადია, ვერ დამტკიცდება სერგო ორჯონიკიძე-იმერლისა და ილია ჭავჭავაძის მკვლელის—„ვიღაცა იმერლის" ერთიანობა. ამ შემთხვევაში საუბარი უფრო იმაზე შეიძლება, თუ როგორი დეფორმირებული წარმოდ-

გენა გაარჩდა ახალგაზრდა სერგო ორჯონიკიძის ეროვნულობაზე. თუმცა ეს თემა მისთვის მაინცდამაინც არც შემდგომ წლებში იყო საკვლევით ნათელი.

• • •

სერგო ორჯონიკიძის მონაწილეობის შესახებ ილია ჭავჭავაძის მოსაკვდინებელ აქციაში, ალბათ, იმთავითვე ეჭვდებოდნენ მისი როლის მიხედვით ბოლშევიკების ტერორისტულ აქციებში.

ლევ ტროცკის, მაგალითად, შემონახული აქვს ცნობილი მენშევიკის —დანის მიერ ფიქსირებული ცნობა (იგი 1925 წელს გამოქვეყნდა) იმის შესახებ, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იმ ტერორისტულ და საექსპროპრიაციო აქციებში, რომელიც საქართველოსა და კავკასიაში ხორციელდებოდა, სტალინის უახლოესი თანამშრომელი სერგო ორჯონიკიძე იყო. საბედნიეროდ, დანის ნაშრომზე ამჟამად ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება მისი ცნობის კრიტიკულად გასაანალიზებლად, რის გამოც ლ. ტროცკის მივმართავთ.

მოგვყავს ამონაწერი მისი ნაშრომიდან:

„1925 წ. მენშევიკი დანი წერდა, რომ ისეთი ექსპროპრიატორები, როგორიც იყვნენ ორჯონიკიძე და სტალინი კავკასიაში, საბსრებით ამარაგებდნენ ბოლშევიკურ ფრაქციას. ნაგრამ ეს მხოლოდ იმის გაგრეებაა, რასაც მარტოვი ამბობდა და უეჭველია იმავე წყაროების საფუძველზე არავინ იძლევა ცნობებს კონკრეტულად“. (ლ. ტროცკი, სტალინი გვ. 150).

მკითხველმა, ალბათ, საჭიროა ერთგვარი კომენტარიც მიიღოს ლ. ტროცკის თხზულების ზემოციტირებულ ადგილზე.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ბველი სოციალ-დემოკრატები ეჯავებოდნენ სტალინს მისი კავშირის შესახებ ტერორისტ ექსპროპრიატორებთან. 1918 წ. მარტოვმა საჯაროდაც ურჩია სტალინს, პრესაში მიუთითა, როგორ შეიძლება ლენინს მთავრობაში ჰყავდეს კაცი, რომელიც ექსპროპრიაციებით იყოო გატაცებული. სხვათა შორის, სტალინს ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ 1908 წ. კასპიის ზღვაზე ექსპროპრირებული გემის „ნიკოლოზ I.I-ის“ ფასეულობანი პარტიის სალაროში აღარ შესულა და სად წაიღესო.

სტალინის ექსპროპრიაციებსა და ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის თემას ვრცლად ეხებიან მისი კრიტიკოსები ლ. ტროცკი (დასახ. ნაშრ.) და ა. ანტონოვ-ოვსიენკო ამ რამდენიმე წლის წინ ნიუ იორკში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ვრცელ ნაშრომში „ტირანის პორტრეტი.“

ზემოაღნიშნულ საკითხს, ალბათ. ჩვენც დავუბრუნდებით სხვა დროს, ამიტომაც ახლა თავს ვიკავებთ ხსენებული ავტორების არგუმენტების განხილვისაგან. აქ მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ, დანის ინფორმაციით, სტალინთან ერთად აქციებში სერგო ორჯონიკიძეც მონაწილეობდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ბერია ამ ექსპროპრიაციების ისტორიიდან კრეფდა მასალებს სერგო ორჯონიკიძის ტერორისტული მუშაობისა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ.

ლ. ტროცკი, მაგალითად, იმ აზრისაა, რომ დანის მიერ მოტანილი ცნობა ს. ორჯონიკიძესა და სტალინზე იმ ხმების საფუძველზეა შექმნილი, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წ. გახდა ცნობილი მარტოვის მიერ გაჩაღებული ცნობილი კამპანიით. მაგრამ მარტოვის კამპანიაში ხომ არ გამოაქვეყნილა ხმები სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მიმართებაზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან?

მარტოვისა და მისი თანამოაზრეების ბრალდებებში გამოკვეთილად ისმოდა ხმები წარსულში სტალინის გატაცებაზე ტერორისტული აქციებით.

1931 წლიდან ამ ხმებს დაემატა ი. ირემაშვილის ვერსიაც სტალინის როლზე არა მარტო ექსებში, არამედ კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაშიც.

როგორც ვხედავთ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ, ისიც ვარაუდების სახით, ვიცით იმის შესახებ, თუ საიდან შეეძლო შეეკრიბა ცნობები ბერიას სერგო ორჯონიკიძის როგორც ილიაზე თავდამსხმელის, „ვიღაცა იმერლის", შესახებ. ეს ცნობები იმ მოცულობით, ჩვენ რომ ვიცით, მეტისმეტად არასაკმარისია სერგო ორჯონიკიძისა და „ვიღაცა იმერლის" იდენტიფიკაციისათვის. თუმცა ამ იდენტიფიკაციისათვის მაინც არსებობს რამდენიმე მინიშნება. ასე მაგალითად, სერგო ორჯონიკიძე სტალინთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ტერორისტულ საქმიანობაში. ის გარემოება, რომ ს. ორჯონიკიძე სტალინთან ახლო თანამშრომლობდა, კიდევ უფრო კონკრეტულად გვაახლოებს წიწამურის აქციაში მის მონაწილეობასთან, როდესაც ვიგებთ, რომ ზოგიერთი თანამედროვის მითითებით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის უკან კობა-სტალინი იდგა. ამავე აზრს თავისებურად განამტკიცებს 1941-1942წწ. გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლოს ორგანიზატორების მოურიდებელი ცდა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაესაიდუმლოებინათ „ვიღაცა იმერლის" პიროვნება, რომელსაც მეტი მოკრძალებით ექცეოდნენ, ვიდრე, მაგალითად, ფილიპე მახარაძეს. ამ ნიშნით „ვიღაცა იმერელი". უნდა დავუშვათ, ფილიპეზე მაღალი რანგის პიროვნებად განიხილებოდა ბოლშევიზმის იერარქიის ისტორიაში.

ასეთია ის არგუმენტები, რომლებსაც ჯერჯერობით შეიძლება

თავი მოვუყაროთ სერგო ორჯონიკიძისა და „ვიღაცა იმერლის“ იდენ-
ტიფიკაციისათვის. ცხადია, ეს არგუმენტები ძალზე არასაკმარისია
ზემოწამოყენებული იდენტიფიკაციის დასასაბუთებლად, ჩვენ ისიც არ
ვიცით, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო საერთოდ ბერიას არგუმენ-
ტაცია. მაგრამ აპრიორი უნდა შევნიშნოთ: ჩვენთან შედარებით ბერიას
გაცილებით მეტი საშუალება ეენებოდა მისთვის საინტერესო საკითხ-
ზე მასალების მოძიებისა.

ჩვენთვის ისიცაა ნათელი, რომ თანამედროვე მკვლევარი საბო-
ლოო დასკვნებისაგან თავს უნდა იკავებდეს, რადგანაც, იყო თუ არა
„ვიღაცა იმერელი“ და სერგო ორჯონიკიძე ერთი და იგივე პიროვნება,
ამის დამტკიცება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაიზრდება ამ სა-
კითხზე წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

მანამდე კი ჩვენი ძიებისათვის სრულიად საკმარისი ჩანს ის
უდავო დასკვნა, რომ „ვიღაცა იმერელი“ სოციალ-დემოკრატების წრე-
ში მოღვაწე ტერორისტი იყო და მან აქტიური როლი შეასრულა
ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

* * *

„ვიღაცა იმერლისა“ და სერგო ორჯონიკიძის შედარებით შესწა-
ვლას ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაციით ვცდილობდით.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენეთ ოლღა ჭავჭავაძის უცნაური
საქციელი, რომელიც მან ტრაგედიის დღესვე ჩაიდინა. მაშინ, როდე-
საც ნაცემ-ნაგვემი ოლღა დიმიტრი ჯაშის თანხლებით წიწამურში
აჰყავდათ, ოლღა ისტერიულად ტიროდა და თანმხლებთ შესთხოვდა
ჯაში მოეცილებინათ. ამის შესახებ შემდეგში თავად დიმიტრი ჯაში
ყვებოდა და ეს მონაყოლია ამ ეპიზოდის აღდგენის წყარო.

შემდეგში, როდესაც ოლღა ჭავჭავაძე ოდნავ მოსულიერდა და
შესაძლო გახდა მისგან ჩვენების ძალება, ამ უკანასკნელმა გარკვევით
აჩვენა, რომ როდესაც იგი მოურავ დიმიტრი ჯაშს უცქეროდა, ეჩვენე-
ბოდა, რომ მის გვერდით ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელი იჯდა, რომ
მას ეს მკვლელი შესცქეროდ და ა. შ. (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავა-
ძის მკვლელობა, გვ. 66).

ოლღა ჭავჭავაძის ეს ჩვენება, რა თქმა უნდა, დიმიტრი ჯაშის
დასადანაშაულებლად ვერ გამოდგება, რადგანაც ჩვენ კარგად ვიცით,
რომ წიწამურის ტრაგედიის დროს დიმიტრი ჯაში საგურამოში
იმყოფებოდა და შემთხვევის ადგილზე გვიან მივიდა.

მაგრამ, ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ ოლღა ჭავჭავაძემ, რო-
დესაც პირველი შოკის შემდეგ ცნობიერება ოდნავ დაუბრუნდა, დი-

მიტრი ჯაში რომელიღაც ფიზიკურ მკვლელს მიამსგავსა და იმიტომ ატეხა ხმაური? ასეთი ვარაუდის დაშვება საკმაოდ შესაძლებელია. მეტიც, თუ ამ ვარაუდს რაიმე რეალური საფუძველი ჰქონდა, ჩვენ შეგვეძლო მსგავსების მიხედვით ნამდვილი მკვლელის ძებნაც დაგვეწყო. კრიმინილისტიკაში ამგვარი გზით ზოგჯერ ჭეშმარიტების დადგენაც შეიძლება.

თუ ეს ასეა, მაშინ ვისთვის შეიძლებოდა მიემსგავსებინა ოლღა ჭავჭავაძეს დიმიტრი ჯაში? ჩვენთვის პორტრეტულად თითქმის ყველა მკვლელია ამჟამად ცნობილი, გარდა საბუთებში მოხსენიებული „ვიღაცა იმერლისა". არც ერთი ჩვენთვის ცნობილთაგანი ფიზიკურად არ ჰგავს დიმიტრი ჯაშს და ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ ოლღა ჭავჭავაძეს მათი გარეგნობის ასოცირებით მოსჩვენებოდა დიმიტრი ჯაში ერთ-ერთ მკვლელად.

ჩვენთვის უცნობია მხოლოდ იმ პიროვნების ვინაობა და ფიზიკური გარეგნობა, ვისაც საგამომძიებლო საბუთებში „ვიღაცა იმერელი" ჰქვია. აქედან ვვარაუდობთ, რომ ოლღა ჭავჭავაძის საქციელს რეალური საფუძველი გააჩნდა, მას, ალბათ დიმიტრი ჯაში იმ „ვიღაცა იმერლად" ეოეჩვენა, რომლის გარეგნობა ჩვენ არ ვიცით.

ასეთ ვითარებაში ჩვენ წინაშე ისმის საკითხი იმის შესახებ, რომ, თუ „ვიღაცა იმერელი" სერგო ორჯონიკიძე იყო, მაშინ სერგო ორჯონიკიძე ფიზიკურად დიმიტრი ჯაშს უნდა წაგავდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის ამგვარი მსგავსებისთვის საფუძველი უნდა არსებულიყო. ასაკობრივი თვალსაზრისით, ალბათ, ამ მსგავსებას რეალური საფუძველი გააჩნდა. სერგო ორჯონიკიძე მაშინ 21-ოდე წლისა იყო, დიმიტრი ჯაში კი — 23-ისა. მაგრამ სხვა მხრივ სერგო და დიმიტრი რომ ერთმანეთს არა ჰგვანან, ამას მათი პორტრეტების ვიზუალური დათვალიერებაც ცხადყოფს.

ასე რომ ეს გარემოებაც გამორიცხავს სერგო ორჯონიკიძის გაიგივებას „ვიღაცა იმერელთან".

სამწუხაროდ, ჩვენში ზოგიერთი ავტორი წყაროებისადმი მეტისმეტი თავისუფალი დამოკიდებულებით იაზრებს „ვიღაცა იმერლის" პიროვნებას და საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს, იმერლისა და ორჯონიკიძის იდენტიფიკაცია უკვე აღიარებული და დამტკიცებულია.

ასე გადმოსცემს პრობლემას, მაგალითად, გიორგი ბეზირგანი თავის ვრცელ პუბლიცისტურ ნარკვევში, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი ტფილისში" გამოქვეყნდა (იხ. «Цицамурская Голгофа» დასახ. გაზეთი 1990, 23. III. გ. 3).

ჩვენ ახლა არ დავიწყებთ იმის გარჩევას, თუ როგორ იმეორებს ავტორი ჩვენს არგუმენტებს, მაგალითად, საბუთიანობას იმის შესა-

ხებ, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო დიმიტრი ჯაში „ობრანეკის“ მიერ შეგზავნილი წიწამურის აქციაში. აქ ბოლოდ იმ აზვილებს მივაქცევთ ყურადღებას, სადაც პატივცემული გ. ბეზირგანი მკითხველებს აჯერებდა, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი — „ვილაცა იმერელი“ იგივე სერგო ორჯონიკიძე უნდა ყოფილიყო. ზემოდასახელებულ ნარკვევში გ. ბეზირგანი მიუთითებს ხარვეზზე, რაც იმთავითვე წარმოიშვა წიწამურის ტრაგედიის გახსნისას. ავტორის აზრით, „ვერ მოხერხდა აგრეთვე საიდუმლო „იმერლის“ სახელის დადგენა. თუმცა, მისი ნიშნები — „ახალგაზრდა. ხუჭუჭა, კეხცხვირა“ — პოლიციის ყველა უბანში იქნა დაგზავნილი.

ანრიგად, რეალური შინაარსით ვერ იქნა დადასტურებული ძიების პირველსავე ეტაპზე გამოთქმული ის ვერსია, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატები მონაწილეობდნენ.

შემდეგ, გ. ბეზირგანი წერს: „იოსებ ირემაშვილი თავის წიგნში „ბოლშევიზმი და საქართველოს ტრაგედია“ „წიწამურის აქციის ინიციატორად“ პირდაპირ ასახელებს სტალინს, ხოლო, სადაც სტალინია, იქ ორჯონიკიძეცაა. საიდუმლო „იმერლის“ ნიშნები მიგვანიშნებენ ბავშვობიდანვე ნაცნობ „სტალინის ერთგულ კაცის პორტრეტზე“. მაგრამ ეს ბოლოდ ვერსიაა“.

აქვე შემოაქვს სტატიის ავტორს სერგო ორჯონიკიძისა და „იმერლის“ იგივეობის თვალსაზრისი. თუმცა აქ არც ერთი პუნქტი სათანადოდ შემოწმებულ ფაქტებს არ ეფუძნება.

ბაგალითად, გ. ბეზირგანი კატეგორიულად წერს, რომ საპოლიციო უბნებში იმთავითვე დაგზავნილ იქნა „იმერლის“ გარეგნული ნიშნების აღწერილობა. ჩანს, ავტორს ეს აღწერილობა ს. ორჯონიკიძეზე გამოეკვეყნებული რომელიღაც ნაშრომიდან ნოჰყავს. ან დოკუმენტს სტატიის ავტორი არ მიუთითებს. არსადაა ცნობილი, რომ ეს აღწერილობა „იმერელს“ გულისხმობდა და დოკუმენტიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა ძიების მიერ იქნა დაგზავნილი. ეს ფაქტი, როგორც იტყვიან, აშკარად გამოგონილია.

ასევე არაზუსტია გ. ბეზირგანის მიერ მოყვანილი ი. ირემაშვილის ციტატი. ი. ირემაშვილს არსად უწერია, სტალინი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ინიციატორი იყო, როგორც ეს სტატიის ავტორს ბრჭყალებში ნოჰყავს, არ გამოვრიცხავ, რომ გ. ბეზირგანის ნარკვევზე გავლენა მოახდინა ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთმა ადგილმა, მაგრამ ჩვენ არსად ი. ირემაშვილის ტექსტის ნაწყვეტი ბრჭყალებში არა გვაქვს ციტირებული, თანაც მკითხველს არაერთხელ ვაბსენებდი, რომ ი. ირემაშვილის ცნობებს ცალკე განვიხილავ-მეთქი. და ბოლოს, რატომ უნდა გამჭეცოთ ხე-

ლაღებით, რომ სადაც სტალინია, იქ აუცილებლად ს. ორჯონიკიძეც უნდა დავინახოთ? ასე ნარტივად როდი წყდება საკითხი!

ისაა?

ეს საკითხი კარგა ხანია გონებაში ტრიალებს და გვსურს, მის შესახებ მკითხველებს ახლავე ვესაუბროთ...

ამ ორიოდე წლის წინ, როდესაც ჩვენში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შესწავლას ორგანიზებული ხასიათი მიეცა, პროფ. გურამ შარაძემ საყურადღებო ფაქტი გამანდო.

მისი საუბრიდან ჩანდა, რომ იგი თურმე, კარგა ხანია, ცდილობდა გასცნობოდა იმ მასალებს, რომლებიც დარჩა განსვენებულ ისიდორე ოდიშვილს. ეს უკანასკნელი თავის დროს ილია ჭავჭავაძის მკვლელის გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლოს ხელმძღვანელი იყო და მანვე გამოაქვეყნა თავისებურად საინტერესო წიგნიც — „წიწამურის ტრაგედია", სადაც გ. ბერბიჭაშვილის პროცესი აღწერილი პოზიციიდანაა გადმოცემული. ცხადია, ავტორი შორსაა სიმართლისაგან, ვინაიდან გიორგი ბერბიჭაშვილის მონაწილეობით მომხდარი მკვლელობა „ოხრანკის" აქციად აქვს მიჩნეული.

გურამ შარაძის საუბრიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მას ოდიშვილის მასალებში ცალკე დასტად უნახავს ილია ჭავჭავაძის ფიზიკური მკვლელების სურათები, რომელთა ამოცნობაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მხოლოდ ერთი პიროვნების სურათია, ვისი ვინაობაც ჩემთვის გაურკვეველია, ნეტავი, ვინ შეიძლება იყოსო?

მე მოსაუბრეს იმ წამსვე ვთხოვე, აეწერა ეს უცნობი. დამთანხმდა და თან დასძინა, სურათზე გამოსახული ევროპული იერისაა, ფრაკი აცვიაო. რა უნდა ამ კაცის სურათს იმათ სურათებთან ერთად, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მკვლელებად არიანო ცნობილი? მე იმთავითვე ეჭვი გამოვთქვი, ხომ არაა მეთქი ეს ის „ვიღაცა იმერელი", რომლის ვინაობაზეც ასე თავს ვიმტრევთ?

ჩემი ეს ეჭვი რამდენიმე შესაძლებლობას ემყარებოდა:

ყველა ნიშნის მიხედვით, გიორგი ბერბიჭაშვილის სასამართლოს ორგანიზატორებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო „ვიღაცა იმერლის" ვინაობა. ჩანს, ეს ოდიშვილმაც იცოდა. და ვიდრე გარკვეული სცენარით სასამართლოს სხდომებს წაიყვანდა, გულდაგულ ეცნობოდა საქმის რეალურ ისტორიას. ცხადია, ამ შემთხვევაში, იგი გვერდს ვერ აუვლიდა „ვიღაცა იმერლის" პიროვნებასაც, ვისი პორტრეტიც მას გააჩნდა. შემდგომში კი, როდესაც სასამართლომ იმერლის მიჩქმალვის სცენა გაითამაშა, ამ უკანასკნელის პორტრეტი ოდიშვილმა თავისთვის, დანარჩენი მკვლელების სურათებთან ჩადო და შეინახა.

სხვანაირად, რატომ უნდა აღმოჩენილიყო ამ უცნობის პორტრეტი ცნობილ მკვლელთა სურათების დასტაში?

გავიდა ხანი.

გურამ შარაძემ ილიას მკვლელთა სურათები, მათ შორის, ამ ფრაკიანისაც, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამდგენი საგანგებო კომისიის სხდომაზეც მოიტანა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა მცირე დარბაზში, სადაც კომისიის წევრები ვიკრიბებოდით. გ. შარაძემ საშუალება მოგვცა, გულდასმით დაგვეთვალიერებინა მოტანილი სურათები, რომელთაგანაც ფრაკიანის პიროვნება ყველასათვის უცნობი იყო.

აზრთა ურთიერთგაზიარებისას მე კვლავ, ახლა საჯაროდ, გავიმეორე ჩემი შეხედულება, რომელიც, ცხადია, წინასწარი ნოსაზრება იყო მხოლოდ.

მომავალი შესწავლა ამ სურათისა და მასზე გამოსახული პიროვნების იდენტიფიკაცია, ეჭვი არაა, დამატებით შუქს მოჰფენს ჩვენს ძიებებს. იქნება, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს „ვილაცა ინერლის" ვინაობაც?

რამდენიმე შენიშვნა ბატონ კუჭუხიძის ახლახან გამოქვეყნებულ ერთ წიგნზე

ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტის ასპირანტმა, საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებზე რამდენიმე საინტერესო გამოკვლევისა და პუბლიკაციის ავტორმა ნესტან კირთაძემ თავაზიანად გადმომცა ქსეროასლი უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწის ილია კუჭუხიძის მოგონებათა წიგნისა — „სამგიდო რვეულიდან", (ბიუნენი, 1985), რომლის რამდენიმე ნაწყვეტიც ნ. კირთაძემ გააცნო კიდევაც ფართო საზოგადოებას გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე.

ზემოდასახელებული წიგნის ერთ ადგილას პატ. ილია კუჭუხიძე წერს: „...თუ არ ვცდები, 1907-1908 წელს ტფილისში გამოდიოდა ჟურნალი „მოგზაური". მასში თანამშრომლობდნენ მენშევიკები და ბოლშევიკები. რედაქციის ერთ-ერთ სხდომაზე ფილიპე მახარაძის წინადადებით და პეტრე გელეიშვილის (ყარიბი) ბნარდაჭერით დაისვა საკითხი ილია ჭავჭავაძის თავიდან ნოშორების შესახებ.

ამ კრებას ესწრებოდა ნოე ჯორდანია, რომელმაც პროტესტის ნიშნად სხდომა დასტოვა თურმე.

1919-1920 წლებში ქუთაისში გამოვიდა ცნობილი ჟურნალისტის, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის გამოჩენილი მოღვაწის სერგო გერსამიას წიგნი **სათაურით: „ჯვარს აცვ- ჯვარს აცვ- ეგე"!**

ეს წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მე ის ჭავიკითხე ჩემი სტუდენტობის დროს (1924-1929 წლებში) მარეს ის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. წიგნის სახლში წაღება არ შეიძლებოდა. ამ წიგნშია კარგად და ვრცლად მოცემულია „მოგზაურში" მომხდარი სხდომა. სხვათა შორის, მეხსიერება თუ არა მღალატობს, ამავე წიგნშია მოცემული ნოე ჟორდანიას შემდეგი გამონათქვამი: „ხეს სჭრიან, ნაფოტი სცვივაო". აქ, ვერმანიაში გამოვიდა წიგნი „Sinn und Form" 1970 წელს ბერლინში". ამ წიგნის 1401-1405 გვერდებზე ლაპარაკია, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგი იყვნენ რა დიკალები და ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს პოლიტიკურ ნიადაგზეო... მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იყვნენ სოციალ-დემოკრატებიო! წერილის ავტორია ადოლფ ებერლერი, იქვეა ნათქვამი, რომ ნოჰკლეს ცარისტული რეჟიმის. თუ „ოხრანკის" აგენტებმაო.

ასე თუ ისე, ცხადია, რომ ილიას ებრძოდნენ მარჯვნივ რუსი შავრაზმელები და მარცხნივ კი, ყველა ჯურის მარქსისტები, განსაკუთრებით ფ. მახარაძე და პ. გელეიშვილი (ყარიბი).

ბოლო 30-იან წლებში კვლავ დაიწყეს საქართველოში პროპაგანდა და ცილისწამება ილიას წინააღმდეგ. ივივე ფ. მახარაძე და პ. გელეიშვილი იყვნენ ნოთავენი ამ საქმისა.

მათ გვერდში ჰყავდათ ცნობილი „ლიტერატურული ჩეკისტი", რომელსაც ჩუმად უწოდებდნენ ქართველი მწერლები ბენიტო ბუაჩიძეს. მასთან იყვნენ პატიკო ენიკოძე, ფრიდონ ნაროუშვილი და სხვები. ნე თვითონ მოწმე ვარ ამ ამბების" (ი. კუჭუხიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 406-407).

ძალზე საინტერესო ცნობებია, რომელსაც. ნთლიანობაში, ალბათ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობაც ვაეცნობა, ამითომაც. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, რამდენიმე შენიშვნა აბლაგე გამოგვეთქვა ციტირებული ტექსტის გარშემო.

პატ. ი. კუჭუხიძის მითითება იმის შესახებ, რომ ჟურნალი „მოგზაური" ჩვენში 1907-1908 წ.წ. გამოდიოდა და მასში ნენშევიკები და ბოლშევიკები თანამშრომლობდნენ, ზუსტი არაა. თუნცა, სიზუსტეს არც ავტორი იჩენებს: „თუ არ ვცდებიო", ამბობს. „მოგზაურის" სოციალ-დემოკრატების ციკლი გამოდიოდა 1905 ჯ. იანვარ-ნოემბერში.

არ არსებობს არავითარი კონკრეტული და ზემმარიტების შემცველი ცნობა, იმის თაობაზე, რომ ილიას მოკვლის საკითხი ფილიპე მახარაძის წინადადებით და პეტრე გელეიშვილის (ყარიბი) ბრძანებით დაისვა ჟურნალ „მოგზაურის" რედაქციაში. ასეთი რამე საერთოდ არ წერია იმ წიგნშიც, რომელსაც ი. კუჭუხიძე სქრეგო ვერსამიას

აკუთვნებს. ი. კუჭუხიძე აქ იხსენებს ნოე ჟორდანიასაც, რომელმაც, თითქოს, პროტესტის ნიშნად სარედაქციო კრება მიატოვა. აქედან დავასკვნით, რომ ამ დეტალის გახსენებისას ავტორს უნებურად წარმოუდგა მეხსიერებაში ა. სულხანიშვილთან აღწერილი ისტორია მკვლელთა კრებისა. ისიც სათქმელია, რომ მაინცდამაინც გაუგებარია, თუ ამგვარი ცნობის გავრცელებისას, რატომ არ კითხულობენ: საერთოდ, ტერორისტული აქტების გადაწყვეტილება სარედაქციო კრებებზე ხდებოდა?

კომენტარის საბითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას მკვლელობის სხკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომი **„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!"** გამოქვეყნდა არა 1919-1920 წ. არამედ 1913 წ. და იგი პირველად ქვეყნდებოდა გაზეთ „ერში". ამ ნარკვევის ავტორი, „ერთი პილატეთაგანი". არის გამორჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი კიტა (ივანე) აბაშიძე, ს. გერსამია კი გაბლავთ ამ წიგნის გამომცემელი, რაც სათანადოდაა აღნიშნული კიტა აბაშიძის წიგნის სატიტულო ფურცელზეც. იმის შესახებ, რომ „ერთი პილატეთაგანი" კიტა აბაძეშეა, თავის დროს, სათანადო ცნობა თავად ს. გერსამიამ მისცა ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ცნობილ მკვლევარს პროფ. გივი მიქაძეს. კიტა აბაშიძისა დ „ერთი პილატეთაგანის" ივიგეობის შესახებ ვრცლად საუბრობს პეტრე ვაჭრიძე თავის სტატიაში — „ყველას რაიმე აქვს საბსოვარი", ჟურნ. „განთიადი", ქუთაისი, 1987, № 4, გვ. 148.

იოსები იოსების ნინაალმდეგ

კარგა ხანია, რაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა გადმოცემისას ყურადღების ცენტრშია მოქცეული იოსებ ირემაშვილის მოგონებები. საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თხზულებას ხშირად იყენებდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიის წყაროდ.

ვინ იყო იოსებ ირემაშვილი, რა ვიცით ამჟამად მის შესახებ?

ამგვარი კითხვის დასმა სრულიად კანონზომიერია, რადგანაც, ვიდრე იოსებ ირამაშვილის ცნობებს შეეხებოდეთ, აუცილებელია თვით მისი პროვნების სოციალური და პოლიტიკური კრედოს გარკვევაც.

იოსებ ირემაშვილი დაიბადა 1879 წელს. მამა წარმოშობით ურბნისელი ყოფილა, მღვდელი.

იმთავითვე პატარა იოსები ბორის სასულიერო სასწავლებელში შეხვდა და თავდავიწყებით შეიყვარა თავისივე კბილა, ისიც სახელად იოსები, მომავალში მსოფლიოსათვის იოსებ სტალინად ცნობილი.

ორივე სოსო უწყინრად იზრდებოდა. ეკატერინე ჯუღაშვილის

(კეკეს) მოგონებით, ყმაწვილები, თურმე, უერთმანეთოდ თითქმის ვერ სძლებდნენ. ერთ დღეს, კეკესავე მოგონებით, მას სამტვრევი მაშინ შაქრის თავი რომ დაუტეხია, შაქრის რამდენიმე კვნიტი მიწის იატაკზე დაყრილა. იქვე მდგომი სოსოები მხიარულად მიცვივნულან, მიწაში არეული შაქრის ნატეხები აუკრეფიათ და სიცილ-ხარხარით პირში იყრიდნენ. 20-იანი წწ. დამლევს, როდესაც კეკე ამ ეპიზოდს იგონებდა, თვალებზე, თურმე ცრემლი ადგა და ნეტარებით იგონებდა იმ დროს, როცა შვილი გვერდით ჰყავდა (ყველა დედის ოცნება!).

შემდეგ ორივე სოსო თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, აქვე დაეწაფნენ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს.

900-იანი წლების დამდეგისათვის სოსოები ისევ ერთად იყვნენ.

ამ დროს იოსებ ირემაშვილი პართენაშვილის ფსევდონიმით ნიჭიერად შედგენილ კორესპონდენციებსა და მოთხრობებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში (იხ. პართენაშვილი, ს. ურბნისის (გორის მაზრა) ეკონომიკური მდგომარეობა. სარწყავ წყალზე ჩხუბი) — კვალის კორესპონდენცია (კვალი, 1900, № 9, გვ. 138-139). მისივე, ივანეს ოჯახის თავგადასავალი, მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან (კვალი, 1900, № 30, 32).

დიდხანს გრძელდებოდა ორი სოსოს ახლო მეგობრობა. 1907 წ. იოსებ ირემაშვილი, მაგალითად, სტალინს გვერდით ახლავს, როდესაც ამ უკანასკნელმა მიწას მიაბარა თავისი პირველი ცოლი. ი. ირემაშვილი იხსენებს: „იგი (სტალინი — შ. ბ.)ძალზე დამწუხრებული იყო და შემხვდა, როგორც არასდროს, მეგობრულად. ფერმკრთალი სახე არეკლავდა სულიერ ტანჯვას, რაც მიაყენა ცხოვრების ერთგული თანამგზავრის სიკვდილმა ამ აგრერიგად გულქვა ადამიანს. მისი სულიერი შერყევა... ეტყობა, ძალზე ძლიერი და ხანგრძლივი იყო, ვინაიდან, იგი ვერ ახერხებდა მის დაფარვას ხალხის წინაშე“ (ციტირებულია ლ. ტროცკის მიხედვით. «Сталин». Том 1, под редакцией Ю. Г. Фельштинского, 1985. с. 129).

ი. ირემაშვილის მოგონებით, სტალინის ცოლი მართლმადიდებლობის ყველა წესით იქნა დაკრძალული, რადგანაც ამას მოითხოვდნენ ცოლეურები და კობასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. ი. ირემაშვილი წერს: „როდესაც მოკრძალებულმა პროცესიამ სასაფლაოს ეარიბეჭემდე მიაღწია, კობამ მაგრად მომიჭირა ხელი, კუბოზე მიმითითა და თქვა: „სოსო, ამ არსებამ დაარბილა ჩემი ქვის გული. იგი მოკვდა, და მასთან ერთად, ადამიანებისადმი უკანასკნელი თბილი გრძნობებიც“. მან მარჯვენა ხელი გულზე დაიდო. „აქ, შიგნით ყველაფერი ისეა დაცარიელებული, რომ თქმაც შეუძლებელია!“ (ლ. ტროცკი. იქვე).

1905 წლიდან იოსებ ირემაშვილი კობა-სტალინს დასცილდა პოლიტიკურ ნიადაგზე. კობა ბოლშევიკი იყო, ი. ირემაშვილი კი — მენშევიკი. სტალინის ცოლის დასაფლავებაზე მისული ი. ირემაშვილი უკვე კარგახანია აღარ ხვდებოდა ძველ მეგობარს. უკანასკნელად, ამბობს ი. ირემაშვილი, მას კობა უნახავს 1905 წ. 17 ოქტომბერს, თბილისში, როდესაც ეს უკანასკნელი განათების ბოძიდან სიტყვას ამბობდა.

ი. ირემაშვილმა ამ წლებში ცოდნის მიღება გააგრძელა და კიევში კომერციულ ინსტიტუტში სწავლობდა. მას ამ საქმეში სხვათა შორის, მატერიალურად შეეწეოდა იაკობ გოგებაშვილი. ამ საკითხზე საინტერესო დოკუმენტური მასალაა, დაცული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (იხ. შალვა გოგებაშვილის, იაკობ გოგებაშვილის ძმისწულის, წერილი დიმიტრი დუმბაძისადმი, დასახ. ინსტიტუტის დ. დუმბაძის ფონდი, დოკ. № 413).

იაკობ გოგებაშვილისადმი — ამ დიდი ქართველი პედაგოგისა და ეროვნული მოღვაწისადმი თავისი მადლიერება და მოკრძალება იოსებ ირემაშვილმა ვრცლად გამოხატა იაკობის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც მას ნათლად აქვს გაგებული გამოჩენილი თეორეტიკოსის დამსახურება და აღგილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სულიერი ცხოვრების ისტორიაში (იხ. ი. ირემაშვილი, სიტყვა წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დროს, კრებული „იაკობ გოგებაშვილის ხახსოვრად", თბილისი, 1913, გვ. 292-296).

დიდხანს ი. ირემაშვილი საქართველოშია. იგი ერთხანს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც ასწავლის. სხვათა შორის, 1918-1920 წწ. იგი ასწავლიდა სტალინის შვილს იაკობს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის XI არმია რომ საქართველოში შემოიჭრა და დემოკრატიულ საქართველოს ბოლო მოუღო, ი. ირემაშვილი ტრაგიკულმა განცდებმა მოიცვა. როგორ, ნუთუ სტალინმა ასე გულცივად იკისრა თავისი ქვეყნის, ადრე ტურფად მიჩნეული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასამარება? ნუთუ სამშობლოში იმ კობამ გამოგზავნა დამპყრობლები, ვისთან ერთადაც სიყმაწვილეში ხშირად უოცნებია საქართველოს მომავალ ბედნიერებაზე? სტალინი ბოლშევიკებში მოხვდა, მათი ერთ-ერთი თავკაციც გახდა, მაგრამ განა თავკაცობის ხიბლი უბედურ სამშობლოზე ძვირფასია?

ეს საკითხი გამუდმებით აწუხებს ი. ირემაშვილს — მაშინაც, როდესაც ახალი ხელისუფალნი 1921 წ. დააპატიმრებენ და მომდევნო, 1922 წელს საზღვარგარეთ, გერმანიაში გაასახლებენ.

იწყება პოლიტემიგრანტის მძიმე ცხოვრება, რომელიც 1944 წელს დასრულდება.

ნიკო ნაკაშიძის წერილიდან ი. ირემაშვილის ქალიშვილს ქ-ნ ეთერ ირემაშვილისადმი:

„შემთხვევით წავიკითხე განცხადება, რომ თქვენ დაეძებთ მამა თქვენს იოსებ ირემაშვილს. მისი დაბადების წელის (1879) მიხედვით ეს უსათუოდ სოსო, რომელიც გორის სასოფლო-საერო სასწავლებელში სტალინთან ერთად რომ იყო და შემდეგ კიევში რომ დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი. თუ ეს არის, ის და მე სხვა ქართველებთან ერთად, წამოგვიყვანეს საქ-დან 1922 წელს. სამწუხაროდ, ვერ გაწვდით სასიამოვნო ცნობას, თუ ამ სოსოს დაეძებთ, ის ცხოვრობდა მუდმივად ბერლინში. 1942 წ. დაავადდა ნერვებით... 1944 წ. ის გარდაიცვალა; ცოტა ადრე გარდაიცვალა ბერლინში მისი მეგობარი ლადო ახმეტელი, როდესაც ბერლინში ალიოშა სვანიძე (სტალინის ცოლისძმა და განსვენებული სოსოს ძველი ამხანაგი) სავაჭრო წარმომადგენელად იყო, ის ხვდებოდა მას“.

ი. ირემაშვილის ემიგრანტობისდროინდელი წერილები ახლობლებისადმი ნათლად ასახავენ სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი პოლიტემიგრანტების სულიერ ტრაგედიას. იგი გამუდმებით მსჯელობს და პასუხს ეძებს მისთვის უაღრესად მტკივნეულ საკითხებზე: რა მოუტანა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცებამ — თავისუფლება და ბედნიერება, როგორც ადრეულ ასაკში ფიქრობდნენ ის და მისი თანატოლელ-თანამებრძოლები, თუ სრული სახელმწიფოებრივი და სულიერი გაპარტახება. განა ამის მაჩვენებელი არ იყო დემოკრატიული საქართველოს ლიკვიდაცია ბოლშევიკების მიერ?

იოსებ ირემაშვილის წერილიდან ახლობლებისადმი:

1929 წ. 17 მარტი.

„კვლავ ბევრი, ბევრი ვიფიქრე, კვლავ, კვლავ, უძილო ღამეები გათენე, ჩემ თავს და გულს ვებრძოლე, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ დავსძლიე. აზრი, წინათგრძნობა, უბრალო გათვალისწინება მიმავლის, მთელი ჩემი ბუნება, სულიერი აგებულება, მაინც კვლავ წინააღმდეგია წამოსვლისა.

და მართლაც რომ სიკვდილი მირჩევნია ასეთ დაჟინებულ, გაჯიუტებულ ძალდატანების გავლენით მანდ წამოსვლასა და თანაც იმ გართულებულ პირობებში და იმ სამარცხვინო პირობებით, რომლებშიც მომიხდება წამოსვლა.

ერთი ასეთი პირობათაგანი ჟორდანია-რამიშვილის ბრძოლის ხაზის დაგმობაა, რასაც მე ცხადია, არ ჩავიდენ. შინ პარტიულ ოჯახში შეძლება მე ეს ხაზი არ გავიზიარო, მას ვებრძოლო, ვეწინააღმდე-

გო, მაგრამ საქვეყნოდ კი ის არ დავგმო, რადგანაც ადრე დასაგმობია ის პირობები, ის მიზეზები, და სხვა, რამაც და რომელმაც ეორრადანია-რამიშვილი და ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი ამ საბედისწერო ბრძოლის ხაზზე დააყენა...

მეცა ვგრძნობ ჩემს თავს ერთ ცოტათ თუ ბევრად გარკვეულ ქართველ ადამიანათ და როგორც ასეთს, ასე მალაპარაკებს და მამოქმედებს ქართველი ხალხის, მაშასადამე, ჩემიც, ოქვენიც და თვით ჩემი ყოფილი ამხანაგების და მეგობრების სწორათ გაგებული სასიცოცხლო ინტერესები.

ხაზი დრო-გამოშვებით აჯანყებებისა დამღუპავია ქართველი ერისათვის. ჩემის აზრით, დედამიწის ზურგზე არ არის მეორე პატარა ერი, ისეთ რთულ და მძიმე პირობებში მოქცეული, როგორც ქართველი ერი, რომელსაც განსაკუთრებითი ხანგრძლივი მშვიდობიანობა ესაჭიროება.

მაგრამ მისი ტრაგედია ისაა, რომ ნამდვილი რეალური მშვიდობიანი ცხოვრება მას მხოლოდ შეღავათიან, თავისუფალ პირობებში ეღირსება...

საქართველო უპირველესად ყოვლისა ქართველებისათვის და არა კალიასავით შემოსეულ უცხო პარაზიტულ ელემენტებისათვის.

დროებით სამსახურები და შიმშილისაგან დაჭლექება-დაავადმყოფება ქართველებს, რომლებსაც ბაღებს, ქარხნებს და სხვა ვითომდა, უშენებენ სახელისათვის, ხოლო სახრავისათვის მუდმივი, მკვიდრი და მაძღარი ადგილები შეიარაღებულ უცხოელებს...

„ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო“, ეს ანდაზა, ვფიქრობ, ჩემზე არ ახდება, არ გამართლდება, და რომ გამართლდეს კიდეც, ამით არსებითად მათი საქმე მაინც არ გამოსწორდება, ვისაც ცხოვრების ულმობელი ლოგიკა წლითი წლობით მაინც ითრევს და თუ არ ჩაჰყვებიან, ჩაითრევენ....

გამოფხიზლების ხანა დადგება; და ყველასათვის და მათთვისაც, მეტათ მწვავე და საგრძნობი შეიქმნება სიტყვები: „სამშობლო, ქართველი, მშობელი ერი“...

და ჩემო კარგო ელენე, საქმის არსებითად გამოსასწორებლად არა ჩემი შერიგება, არამედ მათი შერიგება. აი, ამ მომავალ ცხოვრებასთან, ქართველ ხალხთან და მის ნამდვილ წარმომადგენლებთან. ამას მოითხოვს ის გარღვევალი, ისტორიული აუცილებლობა, ის სწორად გაგებული მარქსიზმი, ისტორიული მატერიალიზმი, რომელსაც ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ სემინარიაში ახალგაზრდული გატაცებით ვსწავლობდით ჩემ ყოფილ საუკეთესო მეგობრებთან ერთად, ახლა რომ დიდ ისტორიულ როლს თამაშობენ, როლს, რომელსაც ბოლოს

და ბოლოს „ნეპის“ კარებით შემოჭრილი ახალი ეკონომიური ცხოვრების რკინის კანონები განაგებენ და გინდა არ გინდა, მაინც დათმობისაკენ, დამორჩილებისაკენ მიაქანებენ...“

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ი. ირემაშვილის ცნობები, რომლებიც თავისებურად ასახავენ მის აზრს სტალინის როლზე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაში 1921 წ. ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა პროფ. ლ. თოიძის მიერ თავის ცნობილ სერიალში, რომელიც „კომუნისტის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა ამ საკითხზე. ისტორიულ ფაქტებთან შეჯერებით ირკვევა, რომ ი. ირემაშვილი ამ პრობლემაზე არსებითად გამართული თვალსაზრისის მქონეა. ეჭვი არაა, ამგვარ შეფასებას დაიმსახურებს ი. ირემაშვილის დანარჩენი ინფორმაციაც, ცხადია, სათანადო წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შემდეგ.

შევეხოთ ახლა ჩვენთვის მთავარ საკითხს, თუ როგორია ი. ირემაშვილის მიერ გადმოცემული ცნობები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პერიპეტიების შესახებ.

ამ საკითხს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ი. ირემაშვილი ეხება თავის გახმიანებულ წიგნში „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“.

იმ კუსტარულ პირობებში, რომელშიც ისტორიკოსებს გვიხდება მუშაობა, ი. ირემაშვილის ზემოდასახელებული წიგნის შოვნა შეუძლებელი გახდა. ამიტომაც მას ვიცნობთ და ვიყენებთ სხვა ავტორების მეშვეობით.

ი. ირემაშვილის ნაშრომს ვრცელი ამონაწერებისა და კომენტარების დართვით ჩვენ ვიცნობთ ლევ ტროცკის დასახელებული მოგონებიით სტალინზე.

მკვლევარი-ისტორიკოსის კეთილსინდისიერება მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ი. ირემაშვილის ცნობათა სრული მეცნიერული აღქმისა და შეფასებისათვის საჭიროა მისი თხზულების ყოველმხრივი შესწავლა და კომენტირება. ამის შეუძლებლობა, ვფიქრობ, ალბათ, ჩვენს ნარკვევსაც ნაკლად უნდა ემჩნეოდეს.

და მაინც, სხვა საშუალება რომ არა გვაქვს, იძულებული ვართ, ი. ირემაშვლის ჩვენთვის საინტერესო ცნობები და მასზე კომენტარებიც ლ. ტროცკის მიხედვით მოვიტანოთ.

ი. ირემაშვილი სხვა საკითხებთან ერთად საგანგებოდ იხსენებს სტალინის სულიერ მდგომარეობას პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ. რამაც თავისებური გამოხატულება პოვა კობა-სტალინის მკვეთრ მობრუნებაში. მის ფეთქებად გადართვაში ტერორისტულ აქტებზე. ი. ირემაშვილი წერს:

«Начиная с того дня, когда он похоронил свою жену, он утратил последний остаток человеческих чувств. Его сердце наполнилось невыразимо злобной ненавистью, которую уже его безжалостный отец начал сеять в детской душе сына. Он подавлял сарказмом все более редко подымавшиеся моральные сдержки. Беспощадный по отношению к самому себе, он стал беспощадным по отношению ко всем людям». (ლ. ტროცკი, დასახ. ნაშრ.)

ლ. ტროცკი ვრცლად იმოწმებს ი. ირემაშვილს კობა-სტალინის კონკრეტული საქმეების საილუსტრაციოდ ტერორის ისტორიასთან დაკავშირებით. მოგვყავს ვრცელი ამონაწერი:

«Попробуем выслушать Иремашвили. Говоря с негодованием о террористических актах, эксах и пр. он заявляет: «Коба был инициатором совершенных большевиками в Грузии преступлений, которые служили реакции». После смерти жены, когда Коба утратил «последний остаток человеческих чувств», он стал «ревностным защитником и организатором... злонамеренного, систематического убийства князей, священников и буржуа». Мы уже имели случаи убедиться, что показания Иремашвили становятся тем менее надежными, чем более отходят от личной жизни к политике, и от детства и юношества — к более зрелым годам. Политическая связь между друзьями юности прекратилась уже в начале первой революции. Только случайно 17-го октября, в день опубликования конституционного манифеста, Иремашвили видел на улице в Тифлисе, — только видел, но не слышал — как Коба с железного фонаря говорил толпе речь (в этот день все взбирались на фонари)... Будучи меньшевиком, Иремашвили мог узнавать о террористической деятельности Кобы только из вторых и третьих уст.

Его показания поэтому явно ненадежны. Иремашвили приводит два примера: знаменитую тифлисскую экспроприяцию 1907 года, о которой нам придется еще говорить, и убийство грузинского национального писателя князя Чавчавадзе. По поводу, экспроприации, которую он ошибочно относит к 1905 году, Иремашвили замечает: «Полицию Кобе удалось обмануть и на этот раз; у нее не было даже достаточных данных, чтобы заподозрить его инициативу в этом жестоком покушении. Социал-демократическая партия Грузии исклю-

чила, однако, Кобу отныне уже и официально... «Ни малейших доказательств причастности Сталина к убийству князя Чавчавадзе Иремашвили не приводит, ограничиваясь ничего не говорящим замечанием». Косвенно также и Коба стоял за убийство; он был подстрекателем ко всем преступлениям, этот, исполненный ненависти, агитатор». Воспоминания Иремашвили в этой части интересны лишь поскольку, освещают репутацию Кобы в рядах политических противников.

Осведомленный автор статьи в немецкой газете Volksti ume Mannheim 2 сентября 1932 г.). вероятно грузинский меньшевик, подчеркивает, что друзья и враги чрезвычайно преувеличивают террористические приключения Кобы. «Правильно, что Сталин обладал исключительной способностью и склонностью к организации нападений названного рода... Однако в таких делах он обычно выполнял работу организатора, вдохновителя, руководителя, но не прямого участника». Совершенно неверно поэтому, что некоторые биографы изображают его «бегающим с бомбами и револьверами и выполняющим самые сумасшедшие авантюры» (Л. Троцкий. Сталин, стр. 146-147).

როგორც ვხედავთ, ლ. ტროცკის არა მარტო მთლიანად მოაქვს ი. ირემაშვილის ცნობები სტალინის მონაწილეობის შესახებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, არამედ მათ კრიტიკულადაც იყენებს და არც ეთანხმება. ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც ტროცკი ი. ირემაშვილის ცნობას არ ენდობა, ისაა, რომ, მისი აზრით, სტალინი ილიას მკვლელობის ჟამს ი. ირემაშვილისაგან დაცილებული იყო. ამიტომაც ამ უკანასკნელს ჩვენთვის საინტერესო ისტორიის წვრილმანები მეორე ან მესამე ხელისაგან უნდა ჰქონდეს გაგებული. ამიტომაც ცხადია, (ესაა ტროცკის აზრი), რომ ამ გზით მიღებული ინფორმაცია სანდო არ შეიძლება იყოს.

ლ. ტროცკის თვალსაზრისის მიმართ ჩვენი მსჯელობა კრიტიკულია. ისტორიული ფაქტის ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელი არაა, ეს უკანასკნელი უთუოდ თვითმხილველისა და თანამედროვის მიერ იყოს აღწერილი. ხშირად ფაქტი შემდგომისათვის სხვათა ხელიდან შემოდის ხოლმე საზოგადოების ცნობიერებაში, მაგრამ საკონტროლო მასალების მოშველიებით, თუ ლოგიკური გააზრებების საფუძველზე დგინდება, რომ იგი სწორადაა გადმოცემული. ეს გარემოება კარგად უნდა გვახსოვდეს ი. ირემაშვილს ცნობებზე მსჯელობის დროსაც.

ი. ირემაშვილის ცნობებისადმი ლ. ტროცკის ეჭვებისათვის გაცილებით ძლიერია ის არგუმენტი, რომ, როგორც იგი შენიშნავს, ი. ირემაშვილს, ზოგადი განცხადების გარდა, არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ მოჰყავს კობა-სტალინს დასადანაშაულებლად წიწამურის აქციაში.

ლ. ტროცკის შენიშვნა ამ პუნქტში, ჩვენი აზრით, მართლაც დამაფიქრებელია, რადგანაც შეუძლებელია ისტორიულად შემოწმებულ ფაქტად აღვიქვათ მხოლოდ ზოგადად გამოთქმული ბრალდება. რატომ არაფერი უნდა ეთქვა ი. ირემაშვილს კობაზე უფრო კონკრეტულად ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ, ავტორს ამის თაობაზე რაიმე, მის მიერ ნათქვამზე უფრო მეტი რომ სცოდნოდა? რატომ გამოტოვებდა ი. ირემაშვილი ამ ამბებს, თავის ყოფილ სენინარიის დროინდელ მეგობარს ხომ არ ინდობდა? ასეთი დაშვება კი იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ნეგატიური აზრისაა ი. ირემაშვილი სტალინზე, აბსოლუტურად გამორიცხული ჩანს.

ეს გარემოება გვაფრთხილებს, რომ ი. ირემაშვილის ცნობის გააზრებისას, ჯერჯერობით, ვიდრე ახალი მასალები არ გამოჩნდება, კობა-სტალინის მოღვაწეობის პერიპეტიების წარმოსადგენად, ზომიერება დავიცვათ. სახიფათოა, რომ ამგვარ ვითარებაში ი. ირემაშვილის ნათქვამში იმაზე მეტი აზრი არ ჩაიდოს, ვიდრე ამის საშუალებას წყარო იძლევა. ამ მხრივ ლ. ტროცკის პოზიციაც, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ნაკლისა და ცალმხრიობის მიუხედავად, სხვებთან შედარებით ერთობ ნეიტრალური და, ამდენად, ობიექტურიც ჩანს. ლ. ტროცკი ცდილობს ამ შემთხვევაში სინამდვილე დაინახოს კობა-სტალინის საქმიანობაში, მაშინაც კი, როცა საქმე ეხება მის პოლიტიკურად ყველაზე დაუძინებელ მტერს — ი. ბ. სტალინს. ამიტომაც, ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ავტორხანოვს, რომელსაც ერთგვარად გაუბრალოებულად წარმოუდგენია ლ. ტროცკის პოზიცია სტალინის საკითხში. ჩვენთვის საინტერესო მოვლენასთან დაკავშირებით ა. ავტორხანოვი წერს:

«Троцкий добавляет, что дополнительное изучение вопроса убеждает его, что лично сам Сталин не участвовал в «экспроприяций» а только был «совестником» Камо. Но само «убеждение» Троцкого не убедительно. Об участии Сталина в Тифлисской «экспроприации», никогда не писали в СССР только потому, что сам Сталин это запретил. Став во главе великого государства, Сталин не хотел выглядеть «кавказским бандитом» хотя бы и теоретически (бывший америка-

пский посол в Москве Буллит: «Рузвельт думал, что в Кремле сидит джентльмен, по там сидел бывший кавказский бандит»). Есть у Троцкого тут и некая личная корысть». он не хочет признать в Сталине героя, хотя бы уголовного. Он для него лишь «кипто», а не Аль-Капопе. Более объективный Суварин констатирует, что в доктрине Ленина об «эксах» — Сталин пашел применение своему дару (B. C. Souvairin там же, стр. 88), что, конечно, включает и личное мужество» (А. Авторханов. Происхождение партократии. Ленин и ЦК. т. I Посев, стр. 181-182).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, კანონზომიერია ის დასკვნა, რომ ი. ირემაშვილის ცნობა მეტად ზოგადია და ამიტომაც მის მიხედვით ისეც შეიძლება წარმოვადგინოთ, რომ კობა-სტალინი იქნებ იმიტომაც იქნა მიჩნეული ილია ჭავჭავაძის მკვლელობის „არაპირდაპირ" თანამონაწილედ, რომ იგი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით ემხრობოდა ტერორსა და ექსებს, არაპირდაპირაც ხელმძღვანელობდა მათ.

არც ისაა დასავიწყებელი, რომ კობა-სტალინი „არაპირდაპირ" მკვლელობის უკან მდგომად იმიტომაც შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული, რომ იგი დანარჩენი სოციალ-დემოკრატებივით ებრძოდა საქართველოს ავტონომიის იდეას, რაც ილია ჭავჭავაძის სანუკვარი მიზანი იყო. მკვლელობის შემდეგ, ჩვენში საზოგაოების ერთი ნაწილი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ილია სოციალ-დემოკრატებმა ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზით მოკლეს. სტალინიც, ცხადია, არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატთა შორის. მას ან ხანებში თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს რაიმე თანაგრძნობა ილიას იდეების მიმართ, პირიქით მძაფრად ებრძოდა მას. იქნებ ამ ფაქტების მიხედვით ჩათვალა ი. ირემაშვილმაც, რომ სტალინი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის უკან იდგა არაპირდაპირ? იხსენებენ, რომ წიწამურის ტრაგედიის ფონზე კობა-სტალინი ბაქოში ჩანს და ამიტომაც ეს თითქოს მისი ალიბია წიწამურის ისტორიაში. მაგრამ იდეური ხელმძღვანელობა, წამიერ ხელმძღვანელობა, რასაც ასე დაჟინებით ირწმუნება ი. ირემაშვილი, ეს ხომ ბაქოდანაც შეიძლებოდა?

მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს არც ის ფაქტი, რომ ილიას მკვლელთაგან რამდენიმე მაინც, სოციალ-დემოკრატები, მათ წრეში მოტრიალე ხალხია. ასეთები არიან: ივანე ინაშვილი, „ვიღაცა ინერელი" და, როგორც ვნახავთ, გიორგი ბერბიჭაშვილიც. წარმოგვიდგება ტერორისტთა მთელი ჯგუფი. ძველი სოციალ-დემოკრატების

წრეში კარგად იცოდნენ კობა-სტალინის დიდი ავტორიტეტის შესახებ ტერორისტთა შორის, ის, რომ მრავალი აქტი და ექსი სტალინის უშუალო დავალებით ხორციელდებოდა. იქნება ამის გამოც აკავშირებს ი. ირემაშვილი სტალინის სახელს წიწამურის აქციასთან? ეს დაშვება უფრო სამართლიანი ჩანს, თუ ი. ირემაშვილის აზრთა წყობას მივყვებით.

საერთოდ კი, როგორც ვხედავთ, ი. ირემაშვილის ცნობა ბოლომდე ნათელი და დამაჯერებელი ვერაა, რის გამოც, მისი კატეგორიულად გამოყენებისაგან თავის შეკავება გვმართებს. ი. ირემაშვილის ნათქვამის აღქმა შესაძლებლობის ფარგლებში მხოლოდ წიწამურის ტრაგედიის საერთო სურათის ფონზე უფრო მოსახერხებელია და ჯერჯეროობით მაინც, მას ჩვენთვის დამოუკიდებელი ფაქტის ღირებულება არა აქვს.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთი პოზიცია უკავიათ ი. ირემაშვილის ცნობის მიმართ არა მარტო ლ. ტროცკის, არამედ საზღვარგარეთული ისტორიოგრაფიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებსაც.

ტიპურია ამ მხრივ სტალინის ცნობილი ბიოგრაფი რობერტ პეინი, რომელიც საკმაოდ ნეიტრალური პოზიციიდან იყენებს ი. ირემაშვილის ცნობებს და არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი მაინცდამაინც ბოლომდე სარწმუნოდ თვლის სტალინის ძველი, სემინარიისდროინდელი მეგობრის მიერ მოტანილ ინფორმაციას.

აი, რას წერს რ. პეინი:

„ბევრი ავბედითი ბრალდება წაუყენეს სტალინს ქართველმა რევოლუციონერებმა ამ დროს. 1907 წ. საქართველოში ძალზე საპატივცემულო პიროვნება იყო თავადი ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფო მოღვაწე, ნოველისტი და პოეტი, რომელმაც დააარსა პერიოდულად გამომავალი „ივერია“, სადაც სტალინის პირველი ლექსები გამოქვეყნდა. ის იყო დიდი და ამაღლებული პიროვნება, როგორც ლიტერატურაში. ისე პოლიტიკაში. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, გამოესწორებინა სამშობლოს მძიმე მდგომარეობა და მოუთმენლად ელოდებოდა იმ დროს, როცა აღმოცენდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო. ის იყო 70 წლისა და მან საკუთარი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი საქართველოს სიკეთისათვის ბრძოლას შეალია. იგი თავის მამულში საგურამოში, მცხეთასთან ახლოს, ბრუნდებოდა, როცა სიცოცხლეს გამოასალმეს 1907 წლის 28 აგვისტოს, თბილისის სახელმწიფო ბანკზე კამოს ცნობილი თავდასხმიდან ორი თვის შემდეგ. ი. ირემაშვილი. რომელიც შივადაშიგ სტალინზე კარგსაც იტყვის ხოლმე. პირდაპირ ამბობს: „კობა არაპირდაპირ, მკვლელობის უკან იყო; ეს სიძულვილით აღსავსე აგიტატორი, ყველა დანაშაულის უკან იდგა“.

არ არსებობს პირდაპირი საბუთი საიმისოდ, რომ სტალინი უშუალოდ თუ არაპირდაპირ ვცოდოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილედ. მკვლელობის მოტივი არასოდეს ყოფილა დადგენილი. ჩვეულებრივ ეიჩენდათ, რომ ეს მკვლელობა ბოლშევიკების ნახელავია, იმიტომ, რომ თავადი მათ ამხელდა დაუნდობლობაში. მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ბრალს სდებდნენ ცარისტულ საიდუმლო პოლიციას, რადგანაც მწერალი მათაც ასევე ამხელდა. ზოგიერთის აზრით, მკვლელობა მიზნად ისახავდა მხოლოდ გაძარცვას. მრავალი წლის შემდეგ, II მსოფლიო ომის დროს, ერთმა მოხუცმა, ცარისტული ჟანდარმერიის ყოფილმა წევრმა (პეინის აქ მხედველობაში ჰყავს გ. ბერბიჭაშვილი — შ. ბ.), აღიარა, რომ თავადზე თავდასხმას გაუძღვა უფროსების დავალებით, მაგრამ მისი ეს აღიარება არ იყო სარწმუნო. გასაოცარი არ იქნებოდა, რომ სტალინი მკვლელობის არაპირდაპირი მონაწილე ყოფილიყო; გასაოცარი უფრო ის იქნებოდა, სტალინს მასში პირდაპირი მონაწილეობა რომ მიეღო" (რობერტ პეინი, სტალინი, აღზევება და დაცემა, ნიუ-იორკი, 1966 გვ. 131-132 ინგ. ენაზე. შდრ. ვერმანული თარგმანი, შტუტგარტი, გვ. 112). მადლობას მოვახსენებთ აკად. ვახტ. ჭიჭინაძეს და პროფ. ნ. კაკაბაძეს პეინის ამერიკული და გერმანული ტექსტების თხოვებისათვის.

ასეთივე თავშეკავებულია სტალინის მონაწილეობაზე წიწამურის აქციაში ისეთი ცნობილი ანტისტალინელი, როგორიცაა პროფესორი აბდურაჰმან ავტორხანოვი, რომელიც თავის ერთ-ერთ გახმიანებულ წიგნში იმას კი არ წერს, სტალინმა ილია ჭავჭავაძე მოაკვლევინა, არამედ აღნიშნავს, რომ სტალინს ამ საქმეს აბრალებდნენო. ავტორხანოვი ამასთან დაკავშირებით წერს:

«Его обвиняли также, что он принял косвенное участие в убийстве Тифлисского губернатора Грязнова, князя Чавчавадзе, даже одного своего сотоварища в бакинской тюрьме, о нем еще будет речь впереди» (А. Авторханов, Происхождение партократии, стр. 183).

გიორგი ბერბიჭაშვილი

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა საიდუმლოებების ახსნისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილიას ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელის — გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის პიროვნება და თავგადასავალი.

ათეული წლების მანძილზე იგი ერთ-ერთი უშუალო მონაწილე და, ამდენად, მოწმეც იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა, მაგრამ სა-

ბჭოთა თემიდამ ბოლშევიკური ხელისუფლების შეკვეთით ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ სწორედ ეს მაწმე გამოეყენებინა ისტორიული სინამდვილის გასაყალბებლად და მკვლელობის „ოხრანკისათვის“ გადასაბრალებლად.

გიორგი ბერბიჭაშვილი საბჭოთა ხელისუფლების პირველი თვეებიდანვე სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე იმყოფებოდა.

გიორგი ბერბიჭაშვილის ნამსახურობის სქემა, მისივე შრომის წიგნაკის მიხედვით, ასეთია:

1921 1-4 — 1922 1-6 — საგურამოს აღმასკომის თავმჯდომარე;

1922 1-6 — 1926 1-5 — მუხრანის რაიაღმასკომის თავმჯდომარე;

1926 1-5 — 1928 — დუშეთის სამაზრო დამზღვევი სალაროს თავმჯდომარე.

1928 1930 4-2 — შრომის ბიუროს III სექციის გამგე;

1930 წ. 10-2 — საქ. ღვინო-ხილკავშირის მომ. განყ. ცენტრალური საწყობის გამგე;

1932 წ. 11 (VIII) — საქ. ღვინ. კომბინატის, ანუ სამტრესტის მე-2 ღვინის ქარხნის თანამშრომელი.

იყო წითელგვარდიელებისა და პარტიზანთა საზოგადოების წევრი.

1926 წელს იგი არჩეული იყო მუხრანის სათემო საბჭოს წევრად.

1925-1926 წწ. დუშეთის სამაზრო კონფერენციის დელეგატად.

1926 წელს მუხრანის კომკავშირის მე-8 ლეგალურმა კონფერენციამ იგი აირჩია საპატიო კომკავშირელად.

ამგვარად დაფასებული პიროვნება შესაფერის პენსიასაც ღებულობდა.

1932 წ. 4-VII ბრძანების თანახმად ის ღებულობდა 100 მანეთს, შემდეგში — 200 მანეთს.

როგორც საპენსიო წიგნაკ 043-დან ჩანს, 1929 წლის 1-6-დან პენსია 250 მანეთია. ეს ირკვევა სოცუზრუნველყოფის კომისარიატის 1929 წ. 8-VI № 168 ბრძანებიდან, რომელსაც დადებული აქვს გ. ელისაბედაშვილის რეზოლუცია: „პირადი რევოლუც. დამსახურებისათვის“.

• • •

როგორ აისახა ოფიციალურ საბუთებში გ. ბერბიჭაშვილის ადრინდელი ბიოგრაფია? ამ საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გ. ბერბიჭაშვილის პოლიტიკური პროფილის წარმოსადგენად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხანაში.

გ. ბერბიჭაშვილის ბიოგრაფიის ჩვენთვის საინტერესო დეტალები შეიძლება წარმოვიდგინოთ მისივე განცხადებებისა და საანკეტო მასალების მიხედვით.

1922 წ. 23 თიბათვეს პარტიის წმენდის სამაზრო კომისიას გ. ბერბიჭაშვილი წერილობით მოახსენებდა:

„დუშეთის მაზრის კომუნისტური პარტიის გამწმენდ კომისიას:

მცხოვრების სოფ. ახატანში გიგლა პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის განცხადება:

როგორც გავიგე, მე გამწმენდ კომისიას გაურიცხივარ პარტიიდან, მე ვერ გამიგია თუ რისთვის გამრიცხა პარტიიდან, რა დანაშაული მიმიძღვის. მე ვეკუთვნი სულით და გულით ბოლშევიკურ პარტიას.

1905 წელს მე დავიწყე მუშაობა საერთო მოძრაობაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1906 წელს, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, მე გადავედი პერსიაში და იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მივიღე მონაწილეობა. როდესაც იქაც რეაქციამ გაიმარჯვა, გადავედი ოსმალეთში და იქ მივიღე მონაწილეობა იქაურ რევოლუციაში. როდესაც აქაც აღარ შეიძლებოდა ცხოვრება, გადმოვედი რუსეთში და 1918 წელს სხვადასხვა ქალაქებში და მიდამოებში ბოლშევიკებთან ერთად ვიღებდი მონაწილეობას დენიკინის წინააღმდეგ.

1920 წელს დავბრუნდი ჩემს სამშობლო ქვეყანაში და ქალაქ თბილისში ვატარებდი მომეტებულ დროს, ვიდრე მოხდებოდა მენშევიკური მთავრობის გადატრიალება.

როდესაც ბოლშევიკებმა დაიწყეს მოძრაობა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, მე მივიღე მხურვალე მონაწილეობა ამ გადატრიალებაში და ვიყავი და ვმოქმედებდი პირველ რაიონში თბილისისა, ე. ი. „ნახალოვკაში“. მის დასამტკიცებლად მაქვს დოკუმენტები. გადატრიალების შემდეგ დავბრუნდი საგურამოში და დავიწყე სამსახური აღმასკომში და დღევანდლამდე ვმსახურობ.

რა მიზეზით ვარ გარიცხული, არ ვიცი. გიცხადებთ რა ამას გთხოვთ, გამოიძიოთ ჩემს შესახებ და თუ რამეში ვარ დამნაშავე, დამითხოვეთ, თუ არა და რისთვის უნდა დავისაჯო უდანაშაულოდ.

მთხოვნელი გ. ბერბიჭაშვილი

23 თიბათვე 1929 წ. ქ. „დუშეთი“. (საქართველოს ახალი და

უახლესი სოციალ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი, ფონდი 27, აღწერილობა, 1, საქმე 5, ფურც. 19-24. ციტატი მომყავს ვ. ქარუმიძის წერილის მიხედვით. იხ. მისი, „განმარტება", გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1989 წ. 6 ოქტომბერი).

1922 წ. 21 ოქტომბერს დუშეთის კომიაჩეიკის წმენდის პროცესზე წარმოდგენილ საბუთში აღნიშნულია: „ბერბიჭაშვილი გიგოლა პეტრეს ძე, პარტიაში შევიდა 1905 წელს, დაიბადა 1880 წ. პროფესია მიწის მუშა და ა. შ.

1923 წ. შედგენილ ანკეტაში გ. ბერბიჭაშვილი თავის თავზე ასეთნაირ ცნობებს იძლევა: იცის ქართული, თურქული, სპარსული და რუსული წერა-კითხვა, ესმის სომხური, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლია.

კითხვაზე — რომელი წლიდან დაიწყეთ თქვენ მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და რაში გამოიხატება ეს მოღვაწეობა — გ .ბერბიჭაშვილი უჩვენებს: 1903 წლიდან.

კიდევ უფრო მრავალფეროვანია 1922 წ. რუსულ ენაზე შედგენილი ანკეტა.

მასში აღნიშნულია, თუ იმთავითვე რა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა გ. ბერბიჭაშვილი.

მისი მითითებით, 5-ჯერ მონაწილეობდა ქუჩის პოლიტიკურ დემონსტრაციაში, 10-ჯერ — იატაკქვეშა წრეებში, 12-ჯერ — არალეგალურ მასობრივ შეკრებებსა და მიტინგებზე, 16-ჯერ — პირველ მაისობებზე. 5-ჯერ — შეიარაღებულ აჯანყებებსა და პარტიზანულ გამოსვლებში, 3-ჯერ — პარტიულ კონფერენციებზე, 4-ჯერ — პარტიულ ყრილობებზე.

ამავე ანკეტაში გ. ბერბიჭაშვილი მიუთითებს, თუ რა სამუშაოები შეუსრულებია, სად და როდის. მისი ჩვენებით, 1905-06 წწ. ის იყო ტერორისტი საქართველოში. 1907-14 წწ. აგიტატორი სპარსეთში, 1910-14 წწ. აგიტატორი თურქეთში, 1914-18 წწ. აგიტატორი სამხრეთ ირანში და ა. შ. მიუხედავად ძველი დამსახურებისა, ფორმალურად გ. ბერბიჭაშვილი ადრე პარტიის წევრი არ ყოფილა. პარტიაში იგი 1921 წ. შევიდა, მაგრამ მალე იგი წმენდის პროცესში მოჰყვა და პარტიიდან გაირიცხა, მაგრამ სწორედ მაშინ გაარკვიეს რა მისი საქმიანობა, ის, რომ იგი პარტიასთან ახლო თანამშრომლობდა ძველთაგანვე, გ. ბერბიჭაშვილს 1905 წლიდან დაწყებული საქმიანობა პარტიულ სტაჟად ჩაუთვალეს და, ამდენად ივი გახდა პარტიის წევრი 1905 წლიდან.

ამასთანავე, მრავალრიცხოვანი მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ გ. ბერბიჭაშვილი არ მალავდა თავის მონაწილეობას ილია

ჭავჭავაძის მკვლელობაში.

კითხვა ისმის: მაშ როგორღა ურიგდებოდა ქართველი საზოგადოება მის არსებობას, როცა ბევრისთვის ცნობილი იყო მისი მონაწილეობა ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში?

რატომ არ ცდილობდა ვინმე მის განკითხვას? დავუშვათ, მის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა ახალმა თაობამ, მაგრამ შეუძლებელია არ სცოდნოდათ ძველ პარტიულებს, მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, ფილიპე მახარაძეს.

ამ საკითხზე საყურადღებო დასკვნის საშუალებას იძლევა პარტკონტროლში შემორჩენილი ნასალები გ. ბერბიჭაშვილზე, რომლებიც პატ. ლ. თოიძემ მოიძია.

1926 წ. მუხრანის მცხოვრებლებიდან ანონიმური წერილები და სარივრები შევიდა ცაკში გ. ბერბიჭაშვილზე, მას ბრალს სდებდნენ ქედმაღლობასა და მომხვეჭელობაში, გაუპატიურებასა და სხვა, რითაც იგი კომუნისტის სახელს არცხვენდა. საჩივრებში აღნიშნავდნენ, რომ გ. ბერბიჭაშვილი ძველი დროის მებატონეებზე უარესი პიროვნებაა.

საჩივარი ფ. მახარაძესთან მოხვდა, ამ უკანასკნელმა კი პირადი რეზოლუციით დოკუმენტი პარტიული კონტროლის კომისიას გადაუგზავნა მასში აღწერილი ფაქტების შესამოწმებლად (საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის არქივი, საქმე № 4900, ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძე).

საინტერესოა, ფ. მახარაძემ არ იცოდა და ვერ გაიხსენა, ვის უჩიოდნენ? იყო დრო, როცა მთელი საქართველო ბრალს სდებდა ფ. მახარაძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში და მაშინ ამ ამბებთან დაკავშირებით ხშირად ისმოდა გიორგი ბერბიჭაშვილის სახელიც. ფ. მახარაძისათვის ეს არ იყო რიგითი ბრალდება, რისთვისაც იგი პრესით იცავდა კიდევაც თავს. ნუთუ ახლა ფ. მახარაძე არ დაინტერესდა და ვერ გაიხსენა, რომელ გ. ბერბიჭაშვილზე ჩიოდნენ მუხრანელები?

ფ. მახარაძემ კი რა გააკეთა? საჩივარი რეზოლუციით პარტიულ კომისიას გადაუგზავნა. ფორმალურად თითქოს ყველაფერი რიგზეა.

პარტკომისიამ არსებითად არაფერი გააკეთა გ. ბერბიჭაშვილის „გამოსამჟღავნებლად", რაც იქიდანაც ჩანს, რომ ეს უკანასკნელი ამ ამბის შემდეგაც მშვენივრად გრძნობდა თავს, არც პარტიული სასჯელი მიუღია და პენსიასაც დიდს იღებდა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ფ. მახარაძემ ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ მაინც „არ აწყენინა" გ. ბერბიჭაშვილს. თორემ, რა? პარტკომისიას არ შეეძლო სერიოზულად გამოერკვია გ. ბერბჭაშვილის ბნელი წარსული? მაგრამ რატომ იზამდნენ ამას, როცა მაშინ ილია ჭავჭავაძე აბუჩად ჰყავდათ აგდებული და მისი მკვლელობაში მონაწი-

ლეობაც სასახელო საქმედ ეთვლებოდა გ. ბერბიჭაშვილს?

ასეთია საქმის ერთი მხარე.

1937 წლიდან, როდესაც ს. ორჯონიკიძე მოკვდა (თავი მოიკლა თუ მოკლეს), იგი პოლიტიკური თამაშიდან ამოვარდა. ამასთანავე, „შკვდავთა“ შორის ჩარიცხეს კრემლში დაკრძალვით, რითაც ს. ორჯონიკიძის ყოველგვარ კრიტიკას ტაბუ დაედო.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, გ. ბერბიჭაშვილის, როგორც ცოცხალი მოწმის, ფასი მკვეთრად ეცემოდა. ის უკვე, პირიქით, საშიშიც ხდებოდა. ჰოდა, ხელისუფლებისათვის საჭირო გახდა გ. ბერბიჭაშვილის ხალხისგან იზოლირება და მისივე გამოყენება ბოლშევიკებისათვის ალიბის შესაქმნელად. მომწიფდა ვითარება, როცა გ. ბერბიჭაშვილი უნდა დაეპატიმრებინათ და ძველი ბოლშევიკიდან „ოხრანკის“ აგენტად, პარტიაში მოტყუებით შესულ, ისეთ კაცად ექციათ, როგორებსაც სტალინი და მისი ეპოქის შემოქმედები იმთავითვე „ებრძოდნენ“. აი, აქ გახდა საჭირო „სანაქებო საბჭოთა მართლმსაჯულება“, რომელიც ყველაფერს ისე მოაწყობდა და გააფორმებდა, როგორც ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები დაავალებდნენ.

თანაც ყოველივე ამას უკვე სათანადო „მეცნიერული“ ნიადაგიც ჰქონდა შემზადებული პ. გუგუშვილის ნარკვევისა და პუბლიკაციის სახით: მას ხომ „უზადოდ“ ჰქონდა „დამტკიცებული“, რომ ილია ჭავჭავაძე იმსხვერპლა „ოხრანკამ“ დიმიტრი ჯაშის მეშვეობით?

კ. ჩარკვიანი ჩვენებას იძლევა, რომ მან გ. ბერბიჭაშვილის შესახებ ნბოლოდ მაშინ გაიხსენა, როცა პ. გუგუშვილის ნარკვევი მიართვეს — სამსახურში მისულს წიგნი მაგიდაზე დახვდა. მაშინ მოგვიდა აზრად, დაგვეპატიმრებინა და გაგვესამართლებინა კიდევაცო. გ. ბერბიჭაშვილი, რომელიც, ილიას მკვლელობიდან დიდი დროის გასვლის გამო, ბევრ ვინმეს შეიძლება უკვე კაი ხნის მკვდარიც ეგონა, ან არადა მისი პიროვნება მანამდე აქტუალური ინტერესების საგანი არც იყო, ვინაიდან ილია ჭავჭავაძის მიმართ ჩვენში 1937 წლამდე ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდა ოფიციალურადო.

მაგრამ კ. ჩარკვიანის ამ ჩვენებას ერთგვარად, თითქოს ვერ უთავსდება ის ფაქტი, რომ პ. გუგუშვილის ნარკვევის წიგნად გამოცემას წინ უსწრებდა შემოკლებული ვარიანტის სტატიად გამოქვეყნება „ლიტერატურულ საქართველოში“ 1937 წელს. მასში კი გიორგი ბერბიჭაშვილიც არაერთხელ იყო მოხსენიებული. ნუთუ, კ. ჩარკვიანამდე გ. ბერბიჭაშვილის პიროვნების საკითხი ყურადღებამიუქცეველი დარჩებოდა, ვიდრე მას წიგნი არ მიართვეს კაბინეტში. და მერე რა დროს? როცა ილიას სახელი ყველავ აღაზევეს. პ. გუგუშვილის საგაზეთო წერილის გამოქვეყნებისთანავე გიორგი ბერბიჭაშვილს უმ-

ალ მიაქციეს ყურადღება პარტიულმა ორგანოებმა. იგი მყისვე დაიბარეს პარტიის რაიკომში მისი პიროვნების დაზუსტების მიზნით, იმის დასადგენად, ეს ის ბერბიჭაშვილია თუ არა, გუგუშვილის ნარკვევში რომ იხსენიება ილიას ერთ-ერთ მკვლელად?

ამის შესახებ გულახდილად უთხრა წინასწარ ძიებას თვითონ გიორგი ბერბიჭაშვილმა.

ამონაწერი წინასწარი ძიების დაკითხვის სტენოგრამებიდან:

„შეკ: — თქვენ საერთოდ გჩვევიათ ტყუილების ლაპარაკი და ცდილობთ, ყოველთვის თავი დააღწიოთ პასუხისგებას ამ ბოროტმოქმედებაზე, რომელიც თქვენ გქონდათ ჩადენილი.

პას: — არაფერი ტყუილი ჩემგან ადამიანს არ გაუგია, არაფერი საქმისათვის მე არ მიღალატია. 1921 წლიდან მიმუშავია დიდ დაწესებულებებში — ამდენი სიძნელეები გადახდა ჩვენ პარტიას და ჩემი უბრალო დანაშაულიც არ გაუგია, რომ რამეში თაღლითობა გამეწია.

შეკ: — ამას ეხლავე დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ გჩვევიათ სიცრუის თქმა. თქვენ ხომ ადასტურებთ იმას, რომ თქვენ მიიღეთ ერთ-ერთი აქტიური მონაწილეობა ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში?

პას: — მე უარს არ ვამბობ.

შეკ: — პარტიის რაიკომში თუ იყავით თქვენ გამოძახებული ამ მკვლელობის გარშემო და რა შეგეკითხეს?

პას: — ვიყავი და ამას შემეკითხნენ ისინიც.

შეკ: — რა უპასუხეთ იქ?

პას: — არ მიმიღია მონაწილეობა მეთქი. უარი ვთქვი.

შეკ: — ე ი. თქვენ რაიკომს დაუმალეთ სიმართლე?

პას: — მართალია, სიმართლე არ ვუთხარი, მოვატყუე.

შეკ: — კიდევ სად იყავით გამოძახებული თქვენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის საკითხის გარშემო?

პას: — სოც-უზრუნველყოფის კომისარიატში ელისაბედაშვილის მიერ,

შეკ: — რა გკითხათ ელისაბედაშვილმა?

პას: — მკითხა — ღებულობდი თუ არა მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაშიო და იმასაც, აგრეთვე დავუმალე თუ არ უთხარი სიმართლე.

შეკ: — კიდევ სად იყავით გამოძახებული ამ საკითხზე?

პას. — სხვაგან არსად.

შეკ: — საქ. კ. პ(ბ) ცეკაში, ბიუროზე?

პას: —კი, ვიყავი.

შეკ: — რა გკითხეს ბიუროზე?

პას: — შემეკითხნენ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჩემი მონაწილეობის შესახებ.

შეკ: — რა მოახსენეთ ბიუროს მაშინ?

პას: — იმათაც უარი ვუთხარი, არ ვყოფილვარ მეთქი, ცეკას ბიუროსაც დავუმალე ილია ჭავჭავაძის მოკვლაში ჩემი მონაწილეობის შესახებ.

შეკ: — მაშასადამე, თქვენ გჩვევიათ თუ არა ტყუილების დაპარაკი, როდესაც ასეთ საპასუხისმგებლო ორგანოებს ატყუილებთ და სიმართლეს არ ეუბნებით, პარტიის უმაღლესი ორგანოს მიერ დასმულ საკითხებზე.

პას: — ოჯახური მდგომარეობის გამო, იძულებული ვიყავი, ტყუილები მელაპარაკა, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი მაშინ, ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი, თითქმის 2-3 თვე ჭკუაზე არ ვიყავი".

რა გამოდის?

ის, რომ გ. ბერბიჭაშვილის მიმართ პარტიული ორგანოები კარგა ხნის წინათ დაინტრესებულან.

ყოველ შემთხვევაში, შემორჩენლი ოფიციალური დოკუმენტები მიგვანიშნებს, რომ კ. ჩარკვიანს პ. გუგუშვილის წიგნის წაკითხვის შემდეგ კი არ გაუჩნდა აზრი ილიას მკვლელის მოძიების აუცილებლობის შესახებ, რაც მისი თავისებური დამსახურების მანიშნებელი შეიძლება იყოს, არამედ მას ეს აზრი სხვებმა მიაწოდეს და თანაც საკმაოდ მაღალი რანგის ოფიციალური სიგნალის სახით.

ასე მაგალითად, 1938-1940 წწ. გ. ბერბიჭაშვილი სისტემატურად მოითხოვდა პერსონალური პენსიის მომატებას. მან, მაგალითად, განცხადებით მიმართა სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

საქ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს

ეცხ. პლეხანოვის ჩიხი № 3

პენსიონერი გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მოგახსენებთ, რომ ვარ ძველი პარტიის წევრი და რევოლუციონერი, იგივე ძველი წარსული დროის შავბნელი რეაქციის მიერ ნატანჯი და ნაწამები, დასახიჩრებული და დაინვალიდებული. აგრეთვე დაინვალიდებულია ჩემი მეუღლეც. ძალიან გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება ჩემი ოჯახი პატარა, მოწაფე შვილებით. ორას ორმოცდაათი მანეთი ვერაფერ საშუალებას ვერ აძლევს ჩემს გაჭირვებულ ოჯახს. ამისათვის მოგმართავთ და გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს ოჯახის უმწეო მდგომარეობაში და მომემატოს პენსია, რომ მიეცეს ჩემს ოჯახს ცოტაოდენი ეკონომიური შეღავათი. იმედია ჩემ თხო-

ვნას მიაქცევთ ყურადღებას და არ დამტოვებთ უშედეგოთ.

(გ. ბერბიჭაშვილი)

10 1-40 წ. ქ. თბილისი

სწორედ ამ დროიდან იწყება, ოთქოს, ერთგვარი ოფიციალური უარყოფითი რეაგირება გ. ბერბიჭაშვილის მიმართ.

გ. ბერბიჭაშვილის ზემოხსენებულ განცხადებასთან დაკავშირებით კ. ჩარკვიანს მისცეს საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისრის გიორგი ელისაბედაშვილის საიდუმლო შეტყობინება.

საიდუმლოდ

საქ. კ. პ.(ბ) ც.კ-ს მდივანს

ამხ. კ. ჩარკვიანს.

თანახმად ს.კ.პ.(ბ) ც.კ-ს ბიუროს დადენილებისა, რომ სისტემატიურად იმინჯებოდეს პერსონალურ პენსიონერთა შემადგენლობა, საქმეების გადასინჯვისას აღმოვაჩინეთ, რომ არის ერთი ამხანაგი (ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძე,) რომელიც ითვლება პარტიის წევრად 1905 წლიდან და პერსონალურ პენსიაზე გადასული 1929 წლიდან, რის შემდეგ პენსია მომატებია და დღეს ღებულობს 250 მანეთს.

ჩვენი საქმის შესწავლის, პირადად მასთან ბაასის, მის ნაცნობთა დაკითხვის და ოფიციალურ ცნობათა შედეგად ირკვევა, რომ ბერბიჭაშვილი არ არის სუფთა პიროვნება. ყალბად ითვლის პარტიულ სტაჟს განუწყვეტლად 1905 წლიდან და აქტიური მონაწილე ყოფილა ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა.

ვიდგენთ მასალას ამხ. ბერბიჭაშვილზე და გთხოვთ... ვვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, რომ ჩვენ გადავდგათ სათანადო ნაბიჯი პენსიის საკითხში.

სახალხო კომისარი

(გ. ელისაბედაშვილი)

1941 წლის 23 მაისს საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ცაგურიას მოხსენება გიორგი ბერბიჭაშვილის დანაშაულებრივი წარსულის, ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ, რის შედეგადაც გადაწყდა, პარტიიდან გაერიცხათ. ბიუროზე გ. ბერბიჭაშვილს თავი ნერვიულად ეკავა, თითქოს ვერ გაეგო, რა ხდებოდა, რისთვის აცხადებდნენ მას დამნაშავედ? ილია ჭავჭავაძის მკვლელობისათვის? განა საქართველოს კომუნისტები და მათი ერთ-ერთი მეთაური ფილიპე მახარაძე არ იყვნენ, რომ იმთავითვე ილიას რევოლუციის მტრად აცხადებდნენ და არ ინდობდნენ? მაშ რამ შემოაბრუნა ისინი? გიორგი ბერბიჭაშვილმა თავისებური დასკვნა გამოიტანა და, როგორც კ. ჩარკვიანი იგონებს, განაცხადა კიდეც: ეხლა პარტიაში თავადიშვილები მომრავლდნენ და იმიტომაც იქცევიან ასეო.

პარტიიდან გარიცხვასთან ერთად დაადგინეს გიორგი ბერბიჭაშვილის დაპატიმრება და შემდგომი გამოძიებისათვის მისი საქმის უშიშროების ორგანოებისათვის გადაცემა.

კ. ჩარკვიანმა ისიც დააღასტურა, რომ ცკ-ის ბიუროს სხდომაზე ფილიპე მახარაძე არ დასწრებია, ავად იყოო, თქვა. ამის შესახებ პირადად ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით, რადგანაც გვაინტერესებდა ფილიპე მახარაძის რეაქცია გ. ბერბიჭაშვილის დაპატიმრების გადაწყვეტილებაზე.

გ. ბერბიჭაშვილის საქმის წინასწარი ძიებისა და შემდეგ სასამართლოს საარქივო მასალები დაცულია საქართველოს სუკ-ის არქივში. ამ მასალებით შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ, თუ როგორ მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება და სასამართლო, რომელიც სტენოგრაფიულად ფიქსირდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძიებას და სასამართლოსაც, მას შემდეგ, რაც ისინი საქმეში ჩაერთნენ, ერთი მთავარი მიმართულება ჰქონდათ — უნდა დაემტკიცებინათ, რომ ი.ჭავჭავაძის მკვლელობა მოაწყო მეფის „ოხრანკამ" დ. ჯაშის მონაწილეობით. მაშასადამე, მათ უნდა ისიც დაემტკიცებინათ, რომ გ. ბერბიჭაშვილიც „ოხრანკის" მიერ მოწყობილი აქციის მონაწილე იყო.

ამ მიზნით დაიწყო საქმის შედგენა, რომლითაც უნდა უარყოფილიყო ყველაფერი ის, რაც მოწმობდა, რომ გ. ბერბიჭაშვილი პარტიასთან დაახლოებული, რევოლუციურ მუშაობაში დამსახურებული პიროვნება იყო.

საამისოდ წინასწარმა ძიებამ იერიში მიიტანა გ. ბერბიჭაშვილის ბიოგრაფიის იმ დეტალებზე, რომლებიც მოწმობდნენ, რომ:

1905-1907 წწ. გ. ბერბიჭაშვილი რევოლუციონერებთან დაახლოებული პიროვნება იყო. ამ გზით ძიებას უნდა მოემზადებინა მასალა სასამართლოსათვის, რათა უარყოფილიყო გ. ბერბიჭაშვილის რაიმე რევოლუციური დამსახურება, იგი თვითმარქვიად და ქურდბაცაცად, ჩვეულებრივ ყაჩაღად უნდა გამოცხადებულიყო.

უნდა უარყოფილიყო ის სქემაც, რომ პირველი რევოლუციის შემდეგ გ. ბერბიჭაშვილი ირანში წავიდა და იქ დაჰყო მრავალი წელი. ამ გზით ძიებას უნდა გაეფანტა აზრი გ. ბერბიჭაშვილის რევოლუციური მუშაობის შესახებ ირანში, ვინაიდან ცნობილია, რომ 1907 წლიდან ირანში მრავლად წავიდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც იქ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შაჰის საწინააღმდეგო რევოლუციაში. 1909 წლიდან ირანის რევოლუციის მონაწილე ბოლშევიკებს აქტიურად ხელმძღვანელობდა იქ ჩასული სერგო ორჯონიკიძეც, სადაც პარტიის დავალებით იყო მივლინებული.

გ. ბერბიჭაშვილის ირანში ყოფნის ფაქტის უარყოფით ძიება საფუძველს გამოაცლიდა მისი რევოლუციური ბიოგრაფიული სქემის კიდევ ერთ საყრდენს.

• • •

გ. ბერბიჭაშვილის ჩვენამდე შემონახული მრავალრიცხოვანი დაკითხვებისა და მათი ჯვარედინი გადამოწმებების აზრი ჩვენთვის ამჟამად ყოველთვის გასაგები როდია. თანაც ჩვენ ყოველთვის ვერ გახერხებთ ძიების დასკვნების შემოწმებას, საკონტროლო მასალების სიმწირის გამო.

ნარკვევის ამ ნაკვეთში მოკლედ შევეცდებით ჩვენი თვალსაზრისის გადმოცემას გ. ბერბიჭაშვილის საქმის მსვლელობაზე.

ძიება იმთავითვე ტენდენციურად წარიმართა. აშკარად ჩანდა, რომ სინამდვილეს მალავდნენ და ამახინჯებდნენ. მაგალითად, იმთავითვე აიღეს კურსი იმაზე, რომ გულდასმით მიეჩქმალათ „ვიღაცა იმერლის" პიროვნება, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ. მიზანი? დაემალათ წიწამურის აქციაში ერთ-ერთი თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატის მონაწილეობის კვალი.

წინასწარ ძიებაზევე უხეში ძალადობისა და ფაქტების არნახული დამახინჯების მეთოდით უარყვეს გ. ბერბიჭაშვილის მონაწილეობის კვალი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

გ. ბერბიჭაშვილმა თავის 1938 წ. დაწერილ ავტობიოგრაფიაში უჩვენა, რომ 1905 წ. მან მონაწილეობა მიიღო სომეხ-თათრების კონფლიქტის ჩაქრობაში, როცა მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა მას, სხვების დარად, იარაღი მისცა. 1941 წ. 11 ივნისის დაკითხვისას გ. ბერბიჭაშვილს ხელაღებით უკიჟინებენ, როდის ყოფილა, რომ მეფისნაცვალი რევოლუციონერებს იარაღს ურიგებდაო. თუ აღიარებ, რომ ამგვარი გზით მართლაც გქონდა მიღებული იარაღი, შენ შავრაზმელი ყოფილხარო. ასე და ამრიგად, გ. ბერბიჭაშვილი შავრაზმელად, ე. ი. მონარქისტად იქნა გაფორმებული. გ. ბერბიჭაშვილის არავითარი თავის მართლება და ახსნა-განმარტება არ იქნა მხედველობაში მიღებული.

სინამდვილეში წინასწარმა ძიებამ უხეში ფალსიფიკაცია ჩაიდინა.

საქმე ისაა, რომ 1905 წ. მართლაც, როდესაც სომეხ-თათართა კონფლიქტი მეტად გამწვავდა და შესაძლებელი იყო მისი ნაპერწკალი თბილისსაც მოხვედროდა, მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი კონტაქტში შევიდა სოციალ-დემოკრატებთანაც კი, მათ იარაღი დაურიგა,

500 ბერდანი, რათა კონფლიქტი შეეჩერებინათ, რის შემდეგაც იარაღი უკანვე უნდა დაებრუნებინათ. ეს ამბავი მაშინ ძალზე გახმიანებული იყო. მენშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა პირობა დაიცვეს და მთავრობას იარაღი დაუბრუნეს, ბოლშევიკთა ერთმა ნაწილმა კი იარაღი გაიტაცა თავისი რევოლუციური საქმიანობისათვის.

ზემოხსენებულ საკითხზე არაერთი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული, განსაკუთრებით „რევოლუციის მატიანის" ნომრებში. იქ დაბეჭდილი მასალებიდან ყურადღებას იქცევს ძველი ბოლშევიკის ვანო სტურუას მოგონება, სადაც ის წერს, რომ მთავრობის მიერ მიღებულ იარაღს ბოლშევიკები ინახავდნენ მის ბინაზე, ნაძალადევში. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ძველი ბოლშევიკ-ტერორისტის ალექსანდრე ობოლაძის 1922 წ. შედგენილი ავტობიოგრაფია, სადაც იგი წერს, რომ 1905 წ. როცა სომეხ-თათართა კონფლიქტში ბოლშევიკები მონაწილეობდნენ, იგი ამ უკანასკნელების მიერ არჩეულ იქნა ასისთავად...

როცა გ. ბერბიჭაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში ამ ფაქტს იხსენებდა, ამით მას თავი მოსწონდა პარტიულ-რევოლუციური დამსახურებით, წინასწარი ძიება კი ამ ფაქტიდან სრულიად საწინააღმდეგო დასკვნას აკეთებდა. რა ფასი შეიძლებოდა ჰქონოდა ამის შემდეგ ძიების მასალებს?

წინასწარი ძიებისას გ. ბერბიჭაშვილი ჯერ საერთოდ უარყოფდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას, შემდეგ კი იგი ფაქტებით აიძულეს სიმართლისათვის თვალი გაესწორებინა.

ამიერიდან გ. ბერბიჭაშვილმა დეტალურად დაიწყო „გახსენება", თუ როგორ ჩადიოდნენ სოფლად სოციალ-დემოკრატი აგიტატორები და აგიტლიანებდნენ გლეხებს, დაეხოცათ მემამულეები, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. ამასთან დაკავშირებით დაკითხვების ოქმებში ვრცლადაა ნაამბობი, თუ როგორი მოთხოვნები ჰქონდათ რევოლუციონერ გლეხებს, რომლებიც აგიტატორების მეთვალყურეობით მონაწილეობდნენ გამოსვლებში.

ამ ჩვენებების კითხვისას გაოცება გიპყრობს, რადგანაც ისინი საოცრად ჰგვანან, სტილისტიკური ნიუანსებითა და შინაარსობრივი წყობითაც კი, იმ კორესპონდენციებს, რასაც საგურამოსა და მეზობელი თემების აგრარული მოძრაობის შესახებ 1905 წ. „მოგზაური" აქვეყნებდა.

ხომ არ აძლევდნენ გ. ბერბიჭაშვილს ამ პუბლიკაციებს თაგისი წარსულის გასახსენებლად? სავსებით შესაძლებელია.

როგორც უკვე ვიცით, საბჭოთა პროპაგანდა უკვე გ. ბერბიჭაშვილის დაპატიმრებამდე კარგა ხნით ადრე ავრცელებდა აზრს, რომ

ილია ჭავჭავაძე მოკლა „ოხრანკამ“ დიმიტრი ჯაშის მეშვეობით.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეს აზრი ვერ საბუთდება.

მაგრამ გ. ბერბიჭაშვილის პროცესის ორგანიზატორებმა, რომლებიც დასახული მიზნის ხორცშესხმისათვის არაფერს თაკილობდნენ, წინასწარ გამოძიებაზე და პროცესზეც მოწმედ მოიყვანეს ღრმად მოხუცებული ყარამან ფაღავა. მათი აზრით, ყ. ფაღავა, თუ იგი საკუთარი ჩვენებით დაადასტურებდა იმას, რომ დ. ჯაში „ოხრანკაში“ მუშაობდა უკვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პერიოდშივე, განსაკუთრებულ ეფექტს მოახდენდა ყველაზე და დაარწმუნებდა „ოხრანკის“ ვერსიის უზადობაში. აქედან გამომდინარე კი გ. ბერბიჭაშვილი, როგორც მკვლელი, „ოხრანკის“ აქციის მონაწილედ გამოვიდოდა და საბოლოოდ გაიფანტებოდა იმ ურწმუნო თომების აზრი, ვინც წიწამურის ტრაგედიაში სოციალ-დემოკრატების ხელს ხედავდა.

ყ. ფაღავამ სასამართლოს არ უმტყუნა.

მან მოწმის პოზიციიდან დაადასტურა, რომ დ. ჯაში არა მარტო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომწყობი იყო, არამედ იგი 1907 წელსვე „ოხრანკაში“ თანამშრომლობდა.

რა ჩანს? ის, რომ ყ. ფაღავა ჯაშს ილიას მკვლელობის ორგანიზატორად თვლიდა. ყ. ფაღავას ეს აზრი კარგახანია ყველამ იცოდა. მაგრამ იგი ხომ ვერ იქნა დადასტურებული? ახლა კი ყ. ფაღავამ კვლავ გაიმეორა ეს აზრი და მას მხოლოდ ისღა დაუმატა, რომ დ. ჯაში „ოხრანკის“ აგენტიც იყო. ეს ნიუანსი სრულიად ახალი იყო. ადრე ამის შესახებ ყ. ფაღავა არაფერს ამბობდა, არც 1907 წ. და არც ჰ. გელეიშვილისადმი 1926 წ. მიწერილ ბარათში.

ან არადა, როგორ იტყოდა ამას ყ. ფაღავა, როცა თვითონაც მეფის ადმინისტრაციის მსხვილი მოხელე — მაზრის უფროსი იყო? „ოხრანკაც“ ხომ მეფის პოლიტიკური სისტემის დამცველი საიდუმლო პოლიცია იყო? თანაც არავითარი ცნობა არაა შემორჩენილი, რომ ვამტკიცოთ დ. ჯაშის „ოხრანკაში“ ყოფნა 1907 წ. მაშინ როცა დ. ჯაშის სოციალისტებთან სიახლოვე ამ დროისთვის დოკუმენტურად დადასტურებულია.

ასეთ ვითარებაში მეტისმეტად საეჭვო ღირებულებისაა ყ. ფაღავას, როგორც მოწმის, ჩვენებები. ყოველ შემთხვევაში, მის ობიექტურობას არაფერი უჭერს მხარს. ყ. ფაღავამ სასამართლოს მხოლოდ ის მოახსენა, რომ ილიას მკვლელობის წინა პერიოდში მას საიდუმლო პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სიტყვიერად უთხრა, რომ დ. ჯაში ჩვენი აგენტიაო. მაგრამ მარტო ამით საკითხი როგორ გადაწყდება? თანაც ყ. ფაღავა რატომ არ ამბობდა ამას ადრე?

ნათქვამის შემდეგ განა იმის დაშვებაც არ შეიძლება, რომ ყ.

ფალავამ თავისი მოწმეობისას ანგარიში გაუწია საკუთარ ყოფილ სამსახურებრივ მდგომარეობას და სოციალურ წარმოშობასაც (თავადიშვილი), როცა ბოლშევიკების თემიდან ახლებური ნიუანსებით დაუდასტურა ის ვერსია დ. ჯაშზე, რომელიც არსებითად, კაცმა რომ თქვას, თავის დროზე თვითონვე შექმნა? ეს ის ვერსიაა, რომელიც შემდეგ საბჭოთა პროპაგანდისტულმა აპარატმაც გამოიყენა „ოხრანკის" სქემის შესაკოწიწებლად.

საინტერესოა ამ სქემისადმი თვითონ გ. ბერბიჭაშვილის დამოკიდებულება.

გ. ბერბიჭაშვილი იმთავითვე კარგად მიხვდა, რომ მას ილიას მკვლელობაში თანამონაწილეობას სდებდნენ ბრალად. ამას იგი საერთოდ უარყოფდა, არ გავკარებივარ ილიას მკვლელობასო, მაგრამ, როდესაც წინასწარმა ძიებამ მას ნივთმტკიცების სახით უჩვენა, რომ მარჯვენა ფეხის არეში ნაჭრილობევი (შრამი) აქვს, ეს ნიშანი კი მას ილიას ლაქიამ, იაკობმა დაადო ტყვიით, გ. ბერბიჭაშვილი გატყდა და ახლებურად ალაპარაკდა.

მან აღიარა ილიას მკვლელობაში მონაწილეობა, მაგრამ იმტკიცებდა, მე სხვებმა სიკვდილის მუქარით მაიძულეს გავყოლოდი აქციაზე და იარაღი, № 12 რევოლვერიც ხელში მომაჩეჩესო, მკვლელობის მომენტში მე ჰაერში ვისროლეო. სხვათა დანაშაულის შესახებ კი გ. ბერბიჭაშვილი, უნდა ვიფიქროთ, დეტალურად ყვებოდა, გარდა „ვიდაცა იმერლისა", რომლის აქციაზე ყოფნასა და არსებობასაც კი, ეს უკვე პროცესზე, იგი საერთოდ უარყოფდა.

მაშასადამე, გ. ბერბიჭაშვილმა წინასწარვე იცოდა, რა და როგორ უნდა ეთქვა.

ამიტომაცაა, რომ გ. ბერბიჭაშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებად ასახელებდა ივ. ინაშვილს და დ. ჯაშს. გ. ბერბიჭაშვილი იმასაც ყვებოდა, თუ როგორ მოაწყეს მკვლელობის წინ ივ. ინაშვილმა და დ. ჯაშმა კრება, სადაც გლეხობის თანდასწრებით გადაწყვიტეს ი. ჭავჭავაძის თავიდან მოცილება.

გ. ბერბიჭაშვილი შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ივ. ინაშვილთან ერთად დ. ჯაშის დასახელებით იგი ძიებისა და სასამართლოს გულს იგებდა, რადგანაც საშუალებას იძლეოდა, დ. ჯაშის მეშვეობით მკვლელობა მთლიანად „ოხრანკის" მიერ ინსპირირებულად გაესაღებინათ. ამით გ. ბერბიჭაშვილი, ცხადია, თავისთვის გარკვეულ შეღავათებს ელოდებოდა.

მაგრამ, აი, გარკვეულ მომენტში გ. ბერბიჭაშვილი მიხვდა, რომ რადგანაც „ოხრანკის" მიერ ინსპირირებული მკვლელობის თანამონაწილედ გაჰყავდათ, საბოლოოდ, ისიც „ოხრანკის" საქმეთა შემსრუ-

ლებლად იქნებოდა გამოცხადებული. მაშინ გ. ბერბიჭაშვილმა კატეგორიული ტონით დაიწყო სასამართლოს დარწმუნება, რომ დ. ჯაშთან მას არაფერი საერთო არა ჰქონია. მეო, ამბობდა გ. ბერბიჭაშვილი, დ. ჯაში მკვლელობის წინა მომენტში ვნახე პირველად, მე მას საერთოდ არ ვიცნობდიო და ა. შ. გ. ბერბიჭაშვილმა ასევე უარი თქვა დ. ჯაშის მეუღლის დარია ჯაშის ნაცნობობაზე. მე ეს ქალი არასოდეს მინახავს და მცნობიაო.

მაგრამ სასამართლო უკვე თავისი გზით მიდიოდა...

სასამართლოს ეჭვი არ ეპარებოდა დ. ჯაშის დანაშაულებრივ საქმიანობასა და იმაზე, რომ იგი მართლაც „ოხრანკის" აგენტი იყო და საქმეს ამაზე აგებდა. არავის მოსვლია აზრად (თუ არც იყო საამისო სურვილი), შეემოწმებინა დ. ჯაშის პოლიტიკური პროფილი 1907 წლისათვის. როგორ მოხდა, თუ დ. ჯაში ივ. ინაშვილთან ერთად იყო მკვლელობის ორგანიზატორი, ეს უკანასკნელი ამ საქმეში ოხრანკის დავალებით როგორღა მოქმედებდა? განა ჯერ კიდევ 1907 წ. მასალები არ უჩვენებდნენ ივ. ინაშვილის სოციალ-დემოკრატობას? მაშ როგორღა მონაწილეობდნენ ილიას მკვლელობაში ერთდროულად ივ. ინაშვილი და ოხრანკის აგენტი დ. ჯაში?

არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი არ ყოფილა გაცემული და ივ. ინაშვილიც მარტივად, უსაბუთოდ ოხრანკის აგენტად გამოაცხადეს.

დასასრულ, როდესაც გ. ბერბიჭაშვილი დარწმუნდა, რომ ყველაფერი ისე თქვა, როგორც ეს სასამართლოს მესვეურებს სურდათ, მაგრამ ის მაინც დამნაშავედ ცნეს, ეტყობა, მაინც ინანა, რომ სინამდვილე არ თქვა, ყველა და ყველაფერი დაფარა, თვითონ კი თავი მაინც ვერ გადაირჩინა — მკვლელად და თანაც ოხრანკის საქმეთა შემსრულებლადაც ცნეს.

ეტყობა, მოწოლილმა ბოღმამ და სასამართლოს ტენდენციურობამ შინაგანი ბიძგი მისცეს გ. ბერბიჭაშვილს, მაინც რადაცნაირად ეთქვა სიმართლე, რაც მან სასამართლოს მიმართ უთანხმოების ფორმით გამოხატა.

თავის საბოლოო სიტყვაში გ ბერბიჭაშვილმა კატეგორიულად უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ იგი ყაჩაღი, ქურდბაცაცა და ავაზაკი იყო.

იგი დაჟინებით უჩვენებდა, რომ ყველაფერი, რაც მას ცხოვრებაში გაუკეთებია, პარტიის იდეალებს შეესაბამებოდა, რომ მას არასოდეს უღალატნია პარტისა და რევოლუციისათვის.

მკითხველი, ალბათ, კარგად მიხვდება, რომ გ. ბერბიჭაშვილმა, თუმცა სიმართლე კონკრეტულად ვერ თქვა (ალბათ, ასე გირჩევნიაო, უთხრეს), მაგრამ მისი აზრი, რომ ის მუდამ ერთგულად ემსახურებოდა

პარტიას და ეს უკანასკნელიც მუდამ მისი ხატი იყო, იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ სიმართლე არ დახატა, ყველაფერი მას აჰკიდა, სხვები კი, ვისაც ცოდვა ედო, სუფთად დატოვა.

იტყვიან, ალბათ, რა საფუძველი არსებობს იმის ფიქრისათვის, რომ გ. ბერბიჭაშვილს თვინიერებისა და ენაზე კბილის დაჭერისათვის რადაც შეღავათებს ჰპირდებოდნენ? საამისო საფუძველს იძლევა, მაგალითად, იმავე გ. ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვა, სადაც იგი სასამართლოს შესთხოვს:

„მე გთხოვთ, რომ ჩემს ოჯახს არ ენახა ჩემი პირადი ტანჯვა... და თუ გავცდებოდი აქაურობას, მაშინ არაფერი... „(სტენოგრამა, გვ. 184).

რას ნიშნავს ეს უფრო გარკვეულად? იმას, რომ გ. ბერბიჭაშვილი სთხოვს სასამართლოს, სასჯელს აქ ნუ მომახდევინებთ, საქართველოში, სხვაგან გამიშვით, იქ მოვიხდიო.

რას იხვეწება ბრალდებული? საიდან იცის, რომ მას სასჯელს მოახდევინებენ, ე. ი. პატიმრობას უპირებენ, როცა პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ გ. ბერბიჭაშვილს ხალხის თვალში დასახვრეტად ამზადებენ?

უეჭველია, გ. ბერბიჭაშვილი ინფორმირებულია, რომ არ დახვრეტენ და ახლა ისიც უნდა, რომ, როცა სასჯელის მოხდას დააწყებინებენ, სადმე, საქართველოს გარეთ გაიყვანონ, იქ, სადაც ილია ჭავჭავაძის ვინაობა და ფასი არ იციან, თორემ აქ, ჩვენში, მას პატიმრები გაასაღებენ. პატიმრები ქართველები არიან და ბოლშევიკური იუსტიციის მსახურებზე უკეთ იციან, თუ როგორ უნდა მოექცნენ ილიას მკვლელს.

გ. ბერბიჭაშვილს განაჩენის შემსუბუქებას რომ ჰპირდებოდნენ, და სიტყვაც დაიცვეს, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ სასამართლომ დაადგინა და მასობრივი ინფორმაციის წყაროებით გაავრცელა ცნობა, ი. ჭავჭავაძის მკვლელს, გ. ბერბიჭაშვილს, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტაო, მაგრამ სინამდვილეში ეს გადაწყვეტილება არ შესრულებულა.

საქ. სუკ-ის არქივში დაცულია გ. ბერბიჭაშვილის პროცესის მასალები, რომლებიც ასახავენ გ. ბერბიჭაშვილის საქმის საკასაციო მსვლელობას. დოკუმენტებით უტყუარად ჩანს, რომ მოსკოვში გ. ბერბიჭაშვილი შეწყალებულ იქნა და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.

გ. ბერბიჭაშვილი შემდეგ პატიმრობაში, ციხეში მოკვდა.

დღემდე ჯერ შესწავლილი არა გვაქვს გ. ბერბიჭაშვილის საკასაციო საქმე, რა მოტივირებით, რის საფუძველზე შეიწყალეს იგი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ პატიება-შეწყალების თხოვნას სათანადო **არგუმენტირებაც** უნდა. რის მიხედვითაც, თხოვნას იხილავდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საიდანაც საქმე გადაეცემოდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქმის დადებითად მსვლელობის შემთხვევაში, შეწყალების გადაწყვეტილება რესპუბლიკის იუსტიციის ინსტანციებს ეცნობებოდა.

გ. ბერბიჭაშვილის შეწყალების ისტორია — რატომ, ვის მიერ და რა საბუთებით მოხდა ეს, უეჭველია, დამატებით შუქს მოჰფენს პროცესის ორგანიზატორთა საქმიანობას და მიზანდასახულებას.

ვინ და რატომ შეიწყალა გ. ბერბიჭაშვილი მოსკოვში, ვის აინტერესებდა ეს, — ვინმეს სინდისის ქენჯნა ხომ არ დაეწყო იქ, აქაოდა ყველაფერს ამ კაცს ვაბრალებთ და სხვები კი მშრალზე რჩებიანო!

გ. ბერბიჭაშვილს დანაშაული განესაზღვრა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 58^{13} მუხლით, რომლის თანახმადაც „აქტიური მოქმედება ან აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც გამოიჩენია პასუხსაგებ ან საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს სამეფო წესწყობილების დროს, ან კონტრრევოლუციონერ მთავრობასთან, სამოქალაქო ომის დროს, გამოიწვევს ამა კოდექსიც 58^{2} მუხ. აღნიშნულ სოციალურ დაცვის ღონისძიებას“.

სოციალური დაცვის ღონისძიებანი კი სხვადასხვა იყო: დახვრეტა ან ხალხის მტრად გამოცხადება, ქონების კონფისკაცია, მოკავშირე რესპუბლიკების ან სსრკ მოქალაქეობის ჩამორთმევა და უცხოეთში სამუდამოდ გაძევება. შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობის დროს კი შეიძლებოდა სასჯელი შემსუბუქებულიყო თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა, მთელი ქონების, ან ქონების ნაწილის კონფისკაციით. მე-15 მუხლით კანონი ითვალისწინებდა, აგრეთვე სასჯელის გამოტანისას დანაშაულის ხანდაზმულობის ფაქტსაც. რაც ერთგვარად შემარბილებელ გარემოებად გვევლინებოდა. მაგრამ სასამართლო პროცესმა გიორგი ბერბიჭაშვილის მიმართ არ გაითვალისწინა ეს მომენტი და ხანდაზმულად არ ცნო მის მიერ ჩადენილი დანაშაული. (იხ. ოთარ გამყრელიძე, გაზ. „სახალხო ფრონტი“, 1989, № 1).

ისე კი მხოლოდ საბჭოთა თემიდას შეეძლო ილიას მოწინააღმდეგე და ერთ-ერთი მკვლელი გიორგი ბერბიჭაშვილი არსებული საბუთებით რევოლუციის მტრად გამოეცხადებინა და დაესაჯა, ხოლო იმავე ილიას წინააღმდეგ მებრძოლი ფილიპე მახარაძე რევოლუციის ერთ-ერთ რაინდად მიეჩნია და სიკვდილის შემდეგ მთაწმინდაზე, ილიას გვერდით დაესაფლავებინა.

• • •

როგორც აღვნიშნავდით, ძიებას და სასამართლოს იმთავითვე იერიში მიჰქონდათ გ. ბერბიჭაშვილის იმ ჩვენებაზე, რომ პირველი რევოლუციის შემდეგ იგი ირანშიც წავიდა და აქ რევოლუციაში მონაწილეობდა.

წინასწარი ძიებიდან დაწყებული, გ. ბერბიჭაშვილს მეთოდურად უნგრევდნენ მის ამ სქემას.

თავდაპირველად გ. ბერბიჭაშვილი ირწმუნებოდა, რომ ის ირანში 1906 წელს წავიდა. ამით იგი ცდილობდა, ალიბი ჰქონოდა, ვინაიდან, თუ ის ამ წელს წავიდა, 1907 წ. მკვლელობაში მონაწილეობას ვეღარ დაუდასტურებდნენ. გ. ბერბიჭაშვილი ამ დეტალს ადრევე აქცევდა ყურადღებას, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი ირანში წასვლის თარიღად 1906 წ. ჯერ კიდევ 20-იანი წწ. ანკეტებში მიუთითებდა.

მაგრამ ძიებამ გ. ბერბიჭაშვილს იმდენი რამ გაახსენა მის მონაწილეობაზე ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში, რომ იგი გატყდა და იძულებული გახდა, ირანში წასვლის დროდ 1907 წელი ელიარებინა.

ამის შემდეგ, გ. ბერბიჭაშვილი ირწმუნებოდა, რომ იგი საქართველოდან ჯერ ბაქოში წავიდა, ყალბი პასპორტით, სიმონ კავთელაძის სახელით, აქ იგი თითქოს ქართველებს შეხვდა და შემდეგ კი ირანის საზღვარზე გადავიდა, სადაც რევოლუციურ ბრძოლებში ჩაება ყაზვინის თუ სხვა ქალაქების ასაღებად.

ძიება დაჟინებით ცდილობდა გ. ბერბიჭაშვილის ცოდნის შემოწმებას ირანის გეოგრაფიის დარგში, რამაც თითქოს, ცხადყო, რომ მან ამ ქვეყნისა კონკრეტულად არაფერი იცოდა. ამასთანავე, შემდეგში მოწმეების (განსაკუთრებით ვრცლად ამის შესახებ — ირანში მებრძოლი ქართველების ერთ-ერთი თავკაცის აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძის) ჩვენებებით დადგინდა, რომ მათ საერთოდ არაფერი სმენიათ გ. ბერბიჭაშვილის შესახებ ირანის რევოლუციის წლებში. გამორიცხული იყო ვინმე ქართველის იქ ჩამოსვლა, ჩვენ რომ ამის შესახებ არა გვცოდნოდაო, რადგანაც, ჩამოსვლაზე ორგანიზაციულად და ფინანსურად წინდაწინ უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია სათანადო ინსტანციებსო.

გ. ბერბიჭაშვილი არც ამაზე გატყდა და ახლა იმის მტკიცება დაიწყო, რომ, მართალია, იგი ირანში იყო, მაგრამ ქართველებთან ერთად კი არ იბრძოდა შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ ირანელებთან. შემდეგ კი ირანშივე დარჩა, სადაც 12 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობას მისდევდა ირანის სხვა მცხოვრებლებივით და მთელი ამ ხნის განმავლობაში, არც ერთი ქართველი არ უნახავს; თვალით, მათ არ შეხვედრია.

სასამართლოზე მოიყვანეს ირანული ფილოლოგიის პროფესორი იუსტინე აბულაძეც, რომელმაც პროცესს ოფიციალური ცნობა მისცა იმის შესახებ, რომ გ. ბერბიჭაშვილმა სპარსული ენის არც ერთი სიტყვა არ იცის, რაც შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ ირანში მართლაც მრავალი წელი ეცხოვრა. გ. ბერბიჭაშვილი ამაზე პასუხობდა, რომ პროფ. ი. აბულაძე ფარსულად ე. ი. ლიტერატურულ, კულტურულ სპარსულზე მესაუბრა, მე კი მდაბიო ხალხში ვიყავი და მათი ენა აქვე, წილკანთან რომ თათრები არიან, ყმაწვილკაცობაში იმათთან შეხვედრისას ვისწავლეო. ამ **პასუხებში ბევრი** რამ გასარკვევია, ვინ იდან, როდესაც გ. ბერბიჭაშვილი წილკნელი თათრების ენას სპარსულ ენად გულისხმობდა, ამით იგი თურქმანულ დიალექტს მიიჩნევდა სპარსულად. ეს თუ ასეა, მაშინ ი. აბულაძის დასკვნა ძალადაკარგული უნდა ყოფილიყო, რადგანაც გ. ბერბიჭაშვილს, თუ ის ირანის რევოლუციის პერიოდში მართლაც იყო ირანში, თურქმანულად იოლად შეეძლო თავის გატანა იქაურ რევოლუციონერთა წრეებში. ჯერ ერთი, გ. ბერბიჭაშვილი, თუ ის სიმართლეს ამბობდა, იმყოფებოდა ირანის აზერბაიჯანში, სადაც თურქულ ენობრივ სამყაროს დიდი გასავალი ჰქონდა. ამასთან, ირანში მრავლად იყვნენ ჩრდილოეთ, ამჟამინდელი საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებიც, რომლებთანაც გ. ბერბიჭაშვილს იოლად შეეძლო თურქმანულით თავის გატანა. განა ირანის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ფიგურა სათარხანი, რომლის სახელსაც გ. ბერბიჭაშვილი უდიდესი მოკრძალებით ახსენებდა, აზერბაიჯანელი არ იყო?

ასე რომ გ. ბერბიჭაშვილის ირანში ყოფნის ვერსია, მრავალ საეჭვო დებულებასთან ერთად, ზოგიერთ პოზიტიურ მონაცემსაც შეიცავს.

ეს გარემოება გვკარნახობს, ფრთხილად ვიყოთ საბოლოო დასკვნების გამოტანისას, როგორც ეს ერთი ხელის დაკვრით გააკეთეს გ. ბერბიჭაშვილის პროცესის ორგანიზატორებმა და როგორც ამას კატეგორიულად ამტკიცებს ის. ოდიშვილი თავის „წიწამურის ტრაგედიაში“.

ისე კი ჯერჯერობით, ალბათ, უფრო მეტი საფუძველია ვამტკიცოთ, რომ გ. ბერბიჭაშვილის ირანში ყოფნის ისტორია ერთგვარი ლეგენდაა, მის მიერვე შეკოწიწებული. მართლაც, პროცესზე გ. ბერბიჭაშვილი ირანში ყოფნის ვადად 12 წელს ასახელებდა, ე. ი. იგი იქ დაახლოებით 1919 წლამდე უნდა ყოფილიყო. 20-იანი წლების განცხადებებსა და ანკეტებში კი იგი ხან ირანში ვიყავიო, ამბობდა, მერე თურქეთშიო, მერე სამხრეთ ირანშიო, მერე კიდევ დენიკინსაც ვებრძოდით და ა. შ. სად იყო, ბოლოსდაბოლოს, გ. ბერბიჭაშვილი? თუ ირანში რევოლუცია იყო გაჩაღებული და იქ გ. ბერბიჭაშვილისთანა

ყოჩაღი რევოლუციონერები საჭირონი იყვნენ, რომელ რევოლუციაში ღებდა იგი მონაწილეობას 1914 წლიდან თურქეთში, როგორც ერთ-ვან უჩვენებდა იგი? ან რას აკეთებდა იგი სამხრეთ ირანში 1910-1914 წწ. როგორც აგიტატორი?

ალბათ, ეს ჩვენებები ყველაზე კარგად ცხადყოფდნენ, თუ რო-ორ გაუტკბა გ. ბერბიჭაშვილს იმთავითვე რევოლუციური მიუნჰაუზე-ობა, რასაც ჩვენში მაშინ საკმაოდ დიდი გასავალი ჰქონდა.

განა გ. ბერბიჭაშვილის მაგალითი არ გვიჩვენებს ამას?

ცხადია, ჩვენი მსჯელობა იმას არ ნიშნავს, რომ გ. ბერბიჭაშ-ვილს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც მას რევოლუციის ერთგულ ვაცად წარმოაჩენდა. ამგვარი რამის მტკიცება უაზრობაა და სინა-ნდვილეს ეწინააღმდეგება, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ გ. **ბერბიჭაშვილი** ერთგვარად ბერავდა თავის **დამსახურებას, მაგრამ გ-**ნა ნარტო იგი იყო ასეთი ძველ რევოლუციონერთა წრეში? ეს ხომ რვეულებრივი მოვლენა იყო იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი ინტელი-გენციის საუკეთესო წარმომადგენლები მასობრივად იდევნებოდნენ და გულაგის ჯურღმულებში დაფავდნენ სულს.

* * *

ასეთი ფაქტიური ვითარების მიუხედავად, ჩვენ მაინც შევვიძლია საკმაოდ გაბედულად ვამტკიცოთ, რომ 1905-1907 წწ. რევოლუციის დროს გ. ბერბიჭაშვილი საკმაოდ ახლოს იყო ბოლშევიკებთან და მათ-თან ერთად მონაწილეობდა პარტიული დავალებების შესრულებაში. ეს ის დრო იყო, როცა პარტიის საქმის საკეთებლად აუცილებელი არ იყო ფორმალურად პარტიის წევრი ყოფილიყავი. ამგვარი მკაცრი მოთხო-ვნები პარტიაში გვიან დაიწყო, როცა პარტია სახელმწიფოებრივ-ბიუროკრატიულ აპარატს შეერწყა და არსებითად, როგორც პოლიტი-კური ორგანიზაცია, გადაგვარდა („პარტოკრატია").

გ. ბერბიჭაშვილი ბაქიბუქობდა, ძიებას და სასამართლოსაც უჩ-ვნებდა, მაგალითად: არალეგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებს ვავრცელებდიო, მემამულეთა წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყება-ბრძო-ლებში ვმონაწილეობდიო, როგორც წითელი რაზმელი, მაგრამ ძიებას არაფრის გაგონება არ უნდოდა.

დაავალეს, გ. ბერბიჭაშვილი შავრაზმელად აქციეთ, „ოხრანკის" აგენტურის ქსელში გაბმულად და შარაგზის ყაჩაღად დახატეთო და აბა ორი თავი ვიღას ჰქონდა, რაიმესთვის დაეჯერებინა, თუ ის გ. ბერბიჭაშვილის სასარგებლოდ მეტყველებდა. გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ აბუჩად აიგდეს იგი იმის გამო, რომ ამტკიცებდა, 1905 წ. სექ-მეხ-თათართა კონფლიქტის დროს ვორონცოვ-დაშკოვის მიერ მიცემუ-

ლი იარაღით ვიბრძოდი ბოლშევიკების მბარდამხარო.

მაგრამ ძიებამ ყველაფერი მაინც ვერ მოსპო, საწინააღმდეგო საბუთებიც შემორჩა.

1931 წ. პროლეტარულმა პოეტმა ევგენი დვალმა ბეჭდურად გამოსცა მის მიერ ადრე ლექსად გამოთქმული „არსენას ლექსი". ივი ეხება არსენა ჯორჯიაშვილს, რომელმაც 1906 წ. სოციალ-დემოკრატების დავალებით, ტერორისტული აქტი განახორციელა კავკასიის შტაბის უფროს გენერალ გრიაზნოვზე. ეს ლექსი თავის დროზე ძალზე პოპულარული იყო და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა (დედავ, ნუ სტირი, მამავ, ნუ სტირი...). ევგ. დვალის ჩვენებით (იხ. წინასიტყვაობა), მას შემდეგ, რაც ეს ლექსი 1906 წელსვე გამოუთქვამს, 500 ცალი წიგნაკად დაუბეჭდავს მიხა გაჩეჩილაძის სტამბაში და დაუწყიათ მისი გავრცელება ხალხში, რევოლუციური ენთუზიაზმის გასაღრმავებლად და შესანარჩუნებლად. ეს წიგნიო, წერდა ევგ. დვალი, 1906 წ. „ქალაქ ტფილისში ფარულად, გაავრცელეს წიგნების ხელზე გამყიდველებზე ვანო სამადაშვილმა და სუმბატ გორგაძიანმა. წიგნაკი ღირდა 20 კაპ. ეს წიგნაკები აგრეთვე დუშეთის და გორის მაზრაში გასავრცელებლად წაიღეს აღმოსავლეთ საქართველოს წითელი რაზმის ხელმძღვანელებმა, ძველმა რევოლუციონერებმა ივანე ბუჩაშვილმა და გიგა ბერბიჭაშვილმა. ამნაირად, ეს სიმღერა-ლექსი დღემდე, ხალხში ფართედ გავრცელებულია სასიმღეროთ. მაგრამ ამ სიმღერაში ვიღაცეებმა სიტყვა „ვაივაი" და სხვა ასეთი შეუფერებელი სიტყვებიც ჩაუმატეს და ამით ლექსი დაამახინჯეს, ვინაიდან „ვაი ვაი"-ს ძახილი და მსგავსი რევოლუციონერ გმირმებრძოლ პირებს. როგორიც იყო არსენა ჯორჯიაშვილი, არასოდეს არ შეეფერება.

ასეთია სინამდვილე ამ წიგნაკის დაწერის დაბეჭდვის და გავრცელების ისტორიისა".

ის, რაც ევგ. დვალს უწერია, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ვინაიდან იქ აშკარად ნათქვამია, რომ 1906 წ. გიგა ბერბიჭაშვილი ივანე ბუჩაშვილთან ერთად რევოლუციაში მონაწილეობდა, რომ ივი აღმოსავლეთ საქართველოს წითელი რაზმის ერთ-ერთი მეთაურია, და მათი სამოქმედო ზონაც გორისა და დუშეთის მაზრებია, ვინაიდან მათ წიგნები გასავრცელებლად ამ მხარეში მიაქვთ.

ინფორმაცია სრულად ემთხვევა იმას, რასაც გ. ბერბიჭაშვილი ძიებისას ამბობდა, იმას, რომ ივი არალეგალურ ლიტერატურას ეზიდებოდა თბილისიდან, რომ ის წითელრაზმელი და, ამდენად, რევოლუციონერი იყო. იენებ ვინმემ წამოაყენოს ვერსია, რომ ევგ. დვალის ჩვენება შექმნილია იმ შთაბეჭდილებების ფონზე, რაც მას გააჩნია გ. ბერბიჭაშვილსა და ივანე ბუჩაშვილზე, რომლებიც საბჭოთა ხელი-

სუფლების წლებში ძველ რევოლუციონერებად იყვნენ ცნობილი.

ბაგრამ საქმე ისაა, რომ ევგ. დვალს საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა პირველი რევოლუციის პერიოდის ამბებზე და წითელი პარტიზანების ბრძოლებზე. სხვათა შორის, მას ცალკე პოემაც აქვს დაწერილი ივანე ბუჩაშვილზე — „ტყის ძმა", სადაც ეს უკანასკნელი ვნირ და ხალხისთვის თავდადებულ მებრძოლადაა დახატული.

რაც მთავარია, ევგ. დვალი არსენა ჯორჯიაშვილის აქციის „ამბებს ეკუთვნა, როგორც თვითმხილველი და მომსწრე, როგორც შინაური კაცი, რომელიც არსენასთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლებში და მას ახლოს იცნობდა. „ნე მას ძლიერ ახლოს ვიცნობდი — წერს ევგ. დვალი, — მით უმეტეს, რომ ფარულ წრეებში და კრებებში, აგრეთვე მუშათა გაფიცვებში და გამოსვლებშიდაც სხვებთან ერთად. გამოვდიოდით". პოეტი და რევოლუციონერი განაგრძობს: „გენერალ გრიაზნოვის და სასტიკი ჯალათი ადმინისტრატორის მოკვლა მას ხსენებულ (ე. ი. სოციალ-დემოკრატიული) პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან მიენდო ესტატე შარუბიასთან ერთად. ამ ამბავის მე პირადად თვალით მნახველი ვარ. ეს ამბავი აგრეთვე, კარგად იციან ამბ. არაქელ ოქუაშვილმა, გიორგი ჩხეიძემ, ვანო დურგლიშვილმა, ექვთიმე სარტანიამ, ნიკოლოზ მაჭარაძემ და სხვებმა, ძველმა, რევოლუციონერებმა, რომელნიც ამ ჟამთაც ცოცხლები არიან".

მეტისმეტად საეჭვოა, რომ ევგ. დვალს რაიმე მოეტყუებინა (ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს. მისი ინფორმაცია გიორგი ბერბიჭაშვილისა და ივანე ბუჩაშვილის შესახებ), რაიმე არარსებული და არაწართალი ეთქვა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ წიგნაკის დაწერის, დაბეჭდვის და ვავრცელების ისტორიის" შესახებ. იმ დროში, როცა ამ ამბების ბევრი მომსწრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ცხადია, სიცრუეს არავინ აპატიებდა. ამრიგად, არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ ევგ. დვალის ინფორმაციაში, რომ 1906 წ. გიგა ბერბიჭაშვილი ცნობილი წითელრაზმელი, ერთ-ერთი მეთაურიც იყო, რომელიც სოციალ-დემოკრატების თბილისის კომიტეტის ეგიდით საქმიანობდა.

გ. ბერბიჭაშვილის რევოლუციური ბიოგრაფიის, კერძოდ, მისი „წითელ რაზმში" მონაწილეობის საკითხზე მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს 1910 წ. თავ. ხიმშიაშვილის მკვლელობაზე ი. გ. რამენკოს მიერ ბაზალეთის ბოქაულის იოსებ სოლომონის ძე ოძიევის (ოძიაშვილის) დაკითხვის ოქმი, რომელიც პროფ. დევი სტურუამ მოიძია.

დაკითხულმა ურჩვენა: „1905 წლიდან დაიწყო აგრარული მოძრაობა და ამ დროს, მაზრებში ვამოჩნდა დიდი რაოდენობა ავიტატორებისა, რომლებიც აჯანყებდნენ ხალხს. როგორც მთავრობის, ისე მემამულეების წინააღმდეგ. თანაც დადგენილი იყო დუშეთის მაზრის არავის

საბოქაულოში მოეკლათ სამი მსხვილი მემამულე — გიორგი ზანდუკელი, თავადი ნიკოლოზ ხიმშიევი (ხიმშიაშვილი-შ. ბ.) და თავადი ილია ჭავჭავაძე". „ხიმშიევმა იცოდა რა, რომ უნდა მოჰკლან, მხურვალე მონაწილეობის ნიღება იწყო თავად ჭავჭავაძის მკვლელთა ძებნაში, რაც მან მოახერხა მცხეთის პრისტავთან მარკევიჩთან ერთად. მათ დაიჭირეს პავლე ფშავლიშვილი, ტფილისის მაზრის სოფელ ნორიოს მცხოვრები ლადო ჩირიკაშვილი".

ჩვენებაში მითითებულია, რომ პავლე ფშავლიშვილის გაქცევის შემდეგ გაქცეულებმა შეადგინეს ჯგუფი (шайка), რომლის თავკაცად (атаман) გახდა პავლე ფშავლიშვილი. გიგლა ბერბიჭაშვილიც ამ ჯგუფს მიეკედლა... ფშავლიშვილის განადურების შემდეგ (მისი გვამი მცხეთის საავადმყოფოში ხიმშიაშვილმა ამოიცნო), „ჯგუფს მეთაურობდა გიგლა ბერბიჭაშვილი". ამ გიგლა ბერბიჭაშვილს და სანდრო ოძიევს მუდმივი კავშირი აქვთ ჯგუფთან, რომელიც მონაწილეობდა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. ჩვენთვის საინტერესო ჩვენებაშივე აღნიშნულია: „თავად ხიმშიაშვილის მკვლელობაში გიგლა ბერბიჭაშვილი უეჭველად მონაწილეობდა".

ჩვენების მიმცემი იქვე აღნიშნავს: „მე ახლოს ვიყავი თავ. ხიმშიევთან და ივი ხშირად ამბობდა, რომ ეშინია, არ მოჰკლან ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ლადო ფეიქრიშვილმა. ამათი მას ყველაზე მეტად ეშინოდა"...

ჩვენ არ ვაპირებთ ამ დოკუმენტის ვრცლად კომენტირებას. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჩვენების ავტორი 1910 წ. დარწმუნებულია, გიგლა ბერბიჭაშვილი საქართველოშია და მონაწილეობდა თავ. ხიმშიაშვილის მკვლელობაში. საინტერესო დეტალია გ. ბერბიჭაშვილის ბიოგრაფიული ლეგენდის კომენტირებისათვის. აკი გ. ბერბიჭაშვილი შემდეგ წლებში ირწმუნებოდა, რომ ამ დროს ირანში იმყოფებოდა?

ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე, რეალისტური იერის ინფორმაცია, რომ 1905 წლიდან, როცა მრავალი აგიტატორი ამოვიდა დუშეთის მხარეში და გლეხობის აჯანყება დაიწყეს მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ, ბერბიჭაშვილი წითელრაზმებთანაა, „ტყის ძმაა", „ტყის ძმები" კი, მცირე გამოკლებით, სოციალ-დემოკრატების გავლენაში მყოფი საძხედრო კონტინგენტები იყვნენ.

ეს ფაქტი საყოველთაოდაა აღიარებული 1905-1907 წწ. რევოლუციისადმი მიძღვნილ საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებში.

მაშასადამე, უეჭველი ფაქტია, რომ პირველი რევოლუციის პერიოდში გიორგი ბერბიჭაშვილი სოციალ-დემოკრატების წრეში ტრიალებდა, მათი კაცი იყო, მათ დავალებებს ასრულებდა „წითელი რაზმელების" ერთ-ერთი მეთაურის სახით.

დ ა ს კ ვ ნ ა

იმთავითვე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ირგვლივ ორი მთავარი შეხედულება გამოიკვეთა: ერთის თანახმად, ილია ჭავჭავაძე „ოხრანკამ“ მოკლა, მეორის მიხედვით, ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატების მსხვერპლი შეიქნა.

პირველი ვერსია სოციალ-დემოკრატების წრეში შეიქმნა ჯერ კიდევ XX ს. 10-იანი წლებისათვის. მან კანონიზაცია განიცადა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში პ. გუგუშვილის პუბლიკაციებითა და გ. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესით.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ზემოხსენებული ვერსია და ვრცლად შევჩერდით ილია ჭავჭავაძის მოურავის — დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის პიროვნებაზე. რატომ? იმიტომ, რომ იმთავითვე სწორედ დ. ჯაშის მიხედვით იქნა აწყობილი „ოხრანკის“ ვერსია. ამტკიცებდნენ: დ. ჯაში 1907 წელს „ოხრანკაში“ თანამშრომლობდა და იგი იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი, რისთვისაც 1907 წ. პატიმრობაშიც იქნა აყვანილიო. იშველიებდნენ რიგ არგუმენტებსაც იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძეზე იმთავითვე მეფის საიდუმლო პოლიციას მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. თანაც 1906 წლიდან, სახელმწიფო საბჭოში არჩევის დროიდან ილია ჭავჭავაძე იმპერიის მესვეურებისათვის არაკეთილსაიმედო პიროვნება იყოო.

ჩვენ გავარჩიეთ ყველა ეს ზემოჩამოთვლილი არგუმენტი და დაგვრწმუნდით, რომ ისინი ნაძალადევადაა შეკოწიწებული და ვერც ერთი მათგანი მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, არ ვიცით დანამდვილებით, მიიღო თუ არა კონკრეტული მონაწილეობა დ. ჯაშმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. არც ის ვიცით სარწმუნოდ, რომ დ. ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს „ოხრანკასთან“ იყო შეკრული. სამაგიეროდ, შესანიშნავად ჩანს, რომ მაშინ დ. ჯაში მემარცხენე, „სოციალისტურ“ პარტიებთან იყო ახლოს. კერძოდ, ის, ჟანდარმერიის მასალებით, პირველი რევოლუციის წლებში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი ჩანს და ახლო ურთიერთობაშია სოციალ-დემოკრატებთან.

ესაფუძველი აღმოჩნდა იმის მტკიცებაც, რომ ილია ჭავჭავაძეზე მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციას. ეს მეთვალყურეობა, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლებიდან ჰქონდათ დაწესებული ი. ჭავჭავაძეზე ს. დეგაევის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით, ისე აეწყო, რომ ილიას სინამდვილეში არაფერი საქმე არ ჰქონია ს. დეგაევთან. დიდი ხნის თვალთვალის შემდეგ, როდესაც სპეცსამსახურები დარწმუნდნენ ილია ჭავჭავაძის უდანაშაულობაში, მათ ილიას საბოლოოდ მოუხსნეს საიდუმლო მეთვალყურეობა, მართალია, ამის შემდეგ, 1906 წლიდან, როდესაც სახელმწიფო საბჭოს წევრად იქნა არჩეული, ი. ჭავჭავაძე იმ ეპოქისათვის რადიკალურ ეროვნულ პოზიციებზე აღმოჩნდა, რის გამოც რუსი მონარქისტების კრიტიკასაც იწვევდა, მაგრამ ამით სრულიადაც არ მტკიცდება, რომ ის აუცილებლად მონარქიის მსახურებს უნდა მოეკლათ. „ოხრანკის" ვერსიის მომხრეები მუდამ ეულმოდგინედ ჩქმალავდნენ იმ ფაქტს, თუ როგორი სისასტიკით ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს პირველი რევოლუციის დროს ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. ყოველივე ნათქვამის საფუძველზე ჩვენ მიერ გამოტანილ იქნა კანონზომიერი დასკვნა იმის შესახებ, რომ ოხრანკის ვერსიას არ შეიძლება მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისის პრეტენზია ჰქონდეს, მაშასადამე, ოხრანკას ილია არ მოუკლავს. „ოხრანკის" ვერსია პოლიტიკური მიზნითაა შექმნილი, რათა ალიბი შეუქმნას სოციალ-დემოკრატებს, ბუნდოვან ამაოდ.

ნარკვევის მეორე ნაწილი მთლიანად დავუთმეთ საკითხს იმის შესახებ, მოკლეს თუ არა ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა. ამ პრობლემის ანალიზი, ცხადია, თავისებურად გაადვილდა მას შემდეგ, რაც ჩვენ „ოხრანკის" ვერსია უსაფუძვლო თვალსაზრისად ვცანით. ამის შემდეგ განვიხილეთ სოციალ-დემოკრატიული ვერსია, თვალი გავადევნეთ მის შექმნას ქართული საზოგადოებრივი აზრის ევოლუციის ფონზე.

პირველ ყოვლისა, ნარკვევში ყურადღება მივაქციეთ თბილისიდან გუბერნატორის კანცელარიის დეპეშას რუსეთის სახელმწიფო საბჭოსადმი, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს ადგილობრივმა ვლეხებმა, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. ამ დეპეშის ანალიზისას თავდაპირველად ყურადღება გავამახვილეთ იმ დეტალზე, რომ გუბერნატორის კანცელარიას, ცხადია, სპეცსამსახურების მეშვეობით, უკვე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მკვლელები ადგილობრივი ვლეხები იყვნენ. ამ ინფორმაციას სპეცსამსახურები ფლობდნენ უკვე 1907 წ. 1 სექტემბრისათვის, როცა მკვლელობის ძიება ფაქტიურად ჯერ დაწყებულიც არ იყო. მომავალში ძიებამ თავისი მასა-

ლებით დაადასტურა ის ფაქტი, რომ მკვლელები, მართლაც, სისტემატურად ჩასჩიჩინებდნენ, უარი ეთქვათ საბატონო და სახელმწიფო ვალდებულებებზე და საჭიროების ჟამს ფიზიკურადაც მოესპოთ მებატონეები. იმ მებატონეთა შორის, რომლებიც გლეხებს უნდა დაეხოცათ, ფიგურირებდა ილია ჭავჭავაძის სახელიც.

მკვლელობის გამოძიება 1907 წლიდანვე ჩუხეში მოექცა, ვინაიდან ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდნენ გ. ბერბიჭაშვილი და მასთან ერთად აქციაზე ბყოფი „ვიდია იმერელი", რომლებიც, ფაქტების საერთო ახალიზის ფონზე, სოციალ-დემოკრატების წარმოგზავნილები იყვნენ და ივ. ინაშვილთან ერთად ხელმძღვანელობდნენ დუშეთ-საგურამოელ მკვლელებს. საბჭოთა ხელისუფლებას და მის მიერ გაჩენილ სპეცსამსახურებს 1941 წ. ჯერ კიდევ გააჩნდათ უნიკალური შესაძლებლობა, გ. ბერბიჭაშვილის საშუალებით შეეტყოთ და დაეფიქსირებინათ სიმართლე, ის, თუ ვისი ბრძანებით, მითითებით გადაუწყვიტეს ილია ჭავჭავაძეს სიკვდილი. მაგრამ სპეცსამსახურები მუშაობდნენ უაღრესად საიდუმლო ვითარებაში: მათ ეკალებოდათ არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ სოციალ-დემოკრატების დანაშაულის ყოველგვარი კვალის დაფარვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. საქმეს განსაკუთრებით ამწვავებდა ის გარემოება, რომ 30-იანი წლებიდან წიწამურის ტრაგედიაში ძირითადად ბრალი ედებოდათ უკვე არა რიგით სოციალ-დემოკრატებს, ეს ადრეეც არაერთხელ თქმულა და დაწერილა, არამედ პირადად ი. ბ. სტალინს, რომლის კულტიც საბჭოთა ქვეყანაში აპოგეას აღწევდა. ასეთ ვითარებაში გ. ბერბიჭაშვილი გამოყენებულ იქნა როგორც ცოცხალი მოწმე, რომელსაც უნდა დაედასტურებინა „ოხრანკის" ვერსიის სისწორე და ამით შეუბღალავად შეენახა ბოლშევიკების, სოციალ-დემოკრატების სახელი.

„ოხრანკის" ვერსიის კანონიზაციის შემდეგ ჩვენში ბოლშევიკური იდეოლოგია სისტემატურად უნერგავდა ქართველ საზოგადოებას იმ აზრს, რომ ილია ჭავჭავაძე მეფის სპეცსამსახურებმა მოკლეს მისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გამო. თანაც ილია ჭავჭავაძე ლენინ რევოლუციონერ პოლიტიკურ მოღვაწედაც გამოჰყავდათ. ამ კონცეფციის პროპაგანდასა და გავრცელებაში ჩვენი ისტორიკოსები, ლიტერატორები თუ სხვა დარგების წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყოველგვარ დაეჭვებას ამ კონცეფციაში იდეოლოგიურ ერესად აღიქვამდნენ.

ნერე რა, რომ ბოლშევიკები ი. ჭავჭავაძეს ებრძოდნენ? ეს იყო იდეური ბრძოლა, სხვა არაფერი — ამბობდნენ „ოხრანკისტები" — მოიტანეთ ფაქტები, რომ ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები მკვლელობაში ერევნენო!

სწორედ ამ მიმართულებით შევეცადეთ ყურადღების გამახვილებას. „ოხრანკის“ ვერსიის მოხსნის შემდეგ ჩვენ ვცადეთ მკვლელობის მექანიზმის ამოცნობა ილია ჭავჭავაძეზე თავდამსხმელთა პოლიტიკური პროფილის ამოცნობის გზით.

ფაქტების ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა;

I. ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელი ივ. ინაშვილი სოციალ-დემოკრატი იყო. იგი იმთავითვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში.

II. უეჭველად სოციალ-დემოკრატების კაცი იყო მკვლელობის მონაწილე „ვიღაცა იმერელიც“, რომლის პიროვნებასაც საბჭოთა მართლმსაჯულება განსაკუთრებული მონდომებით ასაიდუმლოებდა. რატომ, თუ ეს ტერორისტი ბოლშევიკების კაცი არ იყო? ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ, შეიძლება თუ არა ეს „ვიღაცა იმერელი“ სერგო ორჯონიკიძედ მივიჩნიოთ; აღვნიშნეთ, რომ ამგვარ ეჭვს გარკვეული საფუძველიც აქვს, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში ამჟამად მყოფი ფაქტები იდენტიფიკაციის საშუალებას არ იძლევიან, თუმცა წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოებათა ამოსაცნობად ამ ეტაპზე სავსებით საკმარისი ჩანს იმის მიხვედრა, რომ „ვიღაცა იმერელი“ სოციალ-დემოკრატი ტერორისტია.

III. სოციალ-დემოკრატებთან ახლო ურთიერთობაში და მათთან კავშირში იმყოფებოდა 1905-1907 წწ. რევოლუციის დროს ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილიც. მართალია, მისი სასამართლო პროცესი 1941-1942 წწ. ფალსიფიცირებულ იქნა გ. ბერბიჭაშვილის ნამდვილი წარსულის მისაჩქმალად, მაგრამ ჩვენამდე შემორჩენილი მასალები მაინც მოწმობენ გ. ბერბიჭაშვილის აქტიური მუშაობის შესახებ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში. 1906-1907 წწ. გ. ბერბიჭაშვილი დუშეთის მხარეში წითელი პარტიზანი იყო, „ტყის ძმა“, როგორც პარტიზანები უწოდებდნენ ერთმანეთს. „ტყის ძმები“ კი, როგორც ცნობილია, ბოლშევიკების გავლენაში მყოფი სამხედრო კონტიგენტი იყო გლეხთა რევოლუციაში. გ. ბერბიჭაშვილის კონკრეტულ კავშირსა და დაქვემდებარებაზე სოციალ-დემოკრატების თბილისის კომიტეტთან ცხადყოფს ევგ. დვალის ცნობა.

ი. ჭავჭავაძის მკვლელობა საერთოდაც „ტყის ძმების“ ხელით განხორციელდა, რაც, ცხადია, ბოლშევიკების კონტროლის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ამ სამი პიროვნების: ივ. ინაშვილის, „ვიღაცა იმერლის“ და გიორგი ბერბიჭაშვილის მაგალითიც კმარა იმის წარმოსადგენად, რომ ისინი თავისი პარტიის გარეშე ვერ ამართავდნენ იარაღს ილია ჭავჭავაძეზე. ნუთუ ეს ფაქტი საბოლოოდ არ ამტკიცებს სოციალ-დემოკრა-

ტების მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში? აუცილებლად პარტიის დადგენილების ტექსტი უნდა ვიპოვოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნა სოციალ-დემოკრატების როლზე ილიას მკვლელობაში, როგორც ამას სულ უკანასკნელ ხანებამდე გვირჩევდა ზოგიერთი ისტორიკოსი? არა გვაქვს, ბატონო, ხელში 9 აპრილის სისხლიანი აქციის დადგენილების ტექსტი. ჰოდა, რადგანაც იგი ხელთ არ გვიკავია, ვეღარ დავასკვნათ, თუ ვის მიერ მომზადდა ეს აქცია?

ამდენად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რომ სოციალ-დემოკრატების ნაწილავია, ეს სადავო აღარ შეიძლება იყოს მას შემდეგ, რაც დადასტურებულია ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა არა მარტო იდეოლოგიური და წამქეზებლური, არამედ აშკარა მონაწილეობაც კი წიწამურის სისხლიან აქციაში.

ზემოჩამოყალიბებულ თვალსაზრისს კიდევ უფრო გაამკვეთრებს მოპაგალი კვლევა-ძიება.

აბე მაგალითად, ისტორიკოსმა და არქივმცოდნემ სოლომონ ლეკიშვილმა მოამზადა ეტიუდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ერთ-ერთი ეჭვნიტანილის, სოფ. ნორიოს მკვიდრის — ლადო ფეიქრიშვილის შესახებ.

საარქივო მასალებში, რომლებიც მეფისდროინდელი გამოძიების ხელიდანაა გამოსული, ამ პიროვნებას ჩირიკაშვილად იხსენიებენ. ასეცაა მოყვანილი მისი გვარი პ. გუგუშვილის პუბლიკაციაში. (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბ., 1938), მაგრამ პროფ. გიგი ყორდანიამ, რომელიც ცალკე მუშაობს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაზე, ყურადღება მიაქცია იმას, რომ რუსულენოვან დოკუმენტებში ჩვენთვის საინტერესო პიროვნება მოხსენიებულია აგრეთვე, როგორც „ჩირიკიშვილი", რის გამოც მკვლევარმა ის აზრი გამოთქვა, ეს პიროვნება „ჭრიკიშვილი" უნდა ყოფილიყოო. ცხადია, ამგვარი დაშკება სიმართლეს უახლოვდება, თუმცა ეს გვარი უნდა იყოს ჭრიკიშვილი. იგი ნორიოელი გახლდათ და სოფ. ნორიოში ახლაც ცხოვრობენ ჭრიკიშვილები. სხვათა შორის, ილიას მკვლელობის საქმეებში მოხსენიებული ლადო ფეიქრიშვილიც — ჭრიკიშვილის შესახებ სოფ. ნორიოს მცხოვრებლები ახლაც ყვებიან ძველი დროის ამბებს, რაც ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ს. ლეკიშვილის ნარკვევში თავმოყრილია ლიტერატურაში ცნობილი მასალები ლ. ჭრიკიშვილზე (ეტიუდში-ჩირიკაშვილზე). ს. ლეკიშვილის ნარკვევის მთლიანად გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცემა ერთიანობაში წარმოიდგინოს ეს მასალები. მაგალითად, ს. ლეკიშვილს მოჰყავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილის, მისი მეეტლის თედო ლაბაურის ჩვენება: „ი. ჭავჭავაძის მკვლელობა მოახდინეს პავლე გიორგის ძე ფშავლიშვილმა,

გიგლა ბერბიჭაშვილმა, ლადო ჩირიკაშვილმა და ვიღაცა იმერელმა. პირველ ორს, ფშავლიშვილსა და ბერბიჭაშვილს, მე ვიცნობდი დიდი ხანია, ამიტომაც დავუსახელე კიდევაც თავის დროზე გამომძიებას, მესამე, ჩირიკაშვილი მე არ დამისახელებელია, რადგანაც მაშინ მას სახელითა და გვარით არ ვიცნობდი".

ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე 1941 წ. პროცესზე გ. ბერბიჭაშვილმა ჩვენება მისცა: „...მე ქალაქში მივდიოდი ჩემი სოფლის ახატნის ტყიდან, სადაც საერთოდ ვიმალებოდი, ქალაქში უნდა მეყიდა ტანსაცმელი და ჩუსტები. როდესაც კამარის ხევთან მივედი, გზის პირიდან ვიღაცეებმა გამომძახეს „მობრუნდიო". მეც მივბრუნდი და ვნახე, რომ ორი მათგანი პავლე ფშავლიშვილი და სანდრო ხიზანიშვილი იყვნენ, ჩემი ნაცნობები. მესამე კი უცნობი პიროვნება იყო და როგორც შემდეგ გავიგე, ლადო ფეიქრიშვილი... მათ მე წამიყვანეს ტყე-ტყე და ამიყვანეს საგურამოს ტყეში, ილიას სახლის მახლობლად...

ამ ტყეში გადავწყვიტეთ ი. ჭავჭავაძის მოკვლა, რის გამოც შევეკითხე მეეტლე ლაბაურს, თუ როდის ამოიყვანდნენ ი. ჭავჭავაძეს... ამის შემდეგ გლეხები წავიდნენ, ხოლო ჩვენ, მე და ფშავლიშვილი, ხიზანიშვილი და ფეიქრიშვილი დავჩით იმ ღამეს ტყეში"....

ს. ლეკიშვილს, ლ. ფეიქრიშვილ-ჭრიკიშვილის პოლიტიკური ფიზიონომიის დასადგენად მოჰყავს ძველი რევოლუციონერის, 1903 წლიდან ს. დ პარტიის წევრის გ. ტატიშვილის მოგონება — „ი. ჭავჭავაძის მკვლელობა", 1937 წ. ავტორი იხსენებს, თუ რა დიდი ჯაფა დასდგომია მას თავის დროს დაწესებული პარტიული ორგანიზაციის აღსადგენად და მისი ერთი ნაწილის სპარსეთში გასახიზნად. „სწორედ იმ წლებში — წერს იგი — ილიას მკვლელობამდე, დათარეშობდნენ „წითელი რაზმებისა" და „ტყის ძმების" რაზმები: საგურამოში ლადო ფეიქრიშვილი 12 კაცით, მცხეთაში ილიკო იმერლიშვილი 15 კაცით, ვასო კუდულაშვილი 18 კაცით და სხვ".

ცოტა მოგვიანებით, 1941 წ. იგივე გ. ტატიშვილი გ. ბერბიჭიშვილის პროცესზე ამბობდა: „როცა პარტიის დავალებით, 1909 წ. დავიწყე მუშაობა საგურამოში ი. წინამძღვრიშვილის ფერმაში, ლადო ფეიქრიშვილი, რომელიც არალეგალური ორგანიზაციის წევრი იყო, თბილისიდან მოვიდა და გამიძახა, სურდა დაშლილი ორგანიზაციის აღდგენა"...

აი, რა პოლიტიკური ფიზიონომიის ხალხი დასდევდა ილია ჭავჭავაძეს მოსაკლავად! ლადო ფეიქრიშვილი-ჭრიკიშვილი არალეგალური ორგანიზაციის წევრია, რომელიც დაშლილი ორგანიზაციების აღდგენაში იყო გართული რეაქციის წლებში. ს. ლეკიშვლის ეტიუდში ვრცლადაა განხილული ასევე საკმაოდ ცნობილი წითელრაზმელის — ვანო ბუჩაშვილის პიროვნება და მისი მონაწილეობაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობა-

ში, რაც 20-იან წწ. რაჟდენ კალაძემ ჩაწერა. ეს მასალები საკითხზე ჯერ კიდევ ნათელ ინფორმაციას ვერ იძლევიან.

წიწამურის ტრაგედიის გააზრების საკითხები მჭიდროდ უკავშირდება რევოლუციური ტერორის პრობლემას.

1913 წ. ფ. მახარაძე იმის დასამტკიცებლად, რომ სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძეს ვერ მოკლავდნენ, იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი საერთოდ კატეგორიულად გამოდიოდნენ ტერორის, როგორც რევოლუციური ბრძოლის მეთოდის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისს შემდეგში ხალისით იმეორებდნენ საბჭოთა ისტორიკოსები და პუბლიცისტებიც.

ამგვარი მტკიცება წმინდა წყლის ბლეფია.

სოციალ-დემოკრატები, მათი ორივე ფრთა — ბოლშევიკები და მენშევიკები — მსგავსად სხვა რევოლუციური პარტიებისა, ტერორს დიახაც რომ მიმართავდნენ. მათ ტერორისტული აქტები რევოლუციის გაგრძელებად მიაჩნდათ. მენშევიკები ამორალიზმად თვლიდნენ მხოლოდ ტერორისტული აქტებისა და ექსპროპრიაციების (ექსების) განხორციელებას ცოვიდობიან წლებში. ბოლშევიკები და მათი თეორეტიკოსები, კერძოდ, ვ. ი. ლენინი კი ტერორსა და ექსებს ჩვეულებრივ მეთოდად მიიჩნევდნენ ყველა ვითარებაში, რადგანაც. მათი აზრით, როდესაც ომია, იმის დრო როდია, მეთოდები არჩიო მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ტერორისა და ექსების საკითხზე მწვავე დისკუსიები მიმდინარეობდა პარტიის IV და V ყრილობებზე და ვ. ი. ლენინმა თეორიული მხარდამჭერები ვერ იპოვნა. ეს შესანიშნავად აისახა რეზოლუციებზე კენჭისყრაშიც, მაგრამ ვ. ი. ლენინი ჯიუტად განაგრძობდა თავისი სქემის რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას. შემდგომში საბოლოდ პარტიის ცკ-ის საგანგებო საიდუმლო ცენტრიც კი ჰყავდა, რომელიც ექსებსა და ტერორისტულ აქციებს მესვეურობდა. რადგანაც ვ. ი. ლენინის თვალსაზრისით ეს ღონისძიებები სხვა არაფერია. თუ არა „ნაცარცვის ძარცვა“ (იხ. А. Авторхонов. Происхождение партократии. 1974, стр. 164-204).

ქართველი სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ეს ბოლშევიკებზე ითქმის, სისტემატურად ახორციელებდნენ ექსებსა და სხვადასხვა ტერორისტულ აქტებს. ვის არ სმენია და არ წაუკითხავს მასალები გენერალ გრიაზნოვის მკვლელობაზე, კამოს თავგადასავალზე (ერევნის მოედანზე ბანკის გაძარცვა, სადაც აღებული ფული ბოლშევიკების ცენტრს საზღვარგარეთ გაეგზავნა და სხვ.). ყოველივე ამის მიღმა, როგორც თანამედროვენი იგონებენ, ჩვენში ხელმძღვანელი ფიგურა კობა (სტალინი) იდგა. ის ამ აქციებით პარტიულ დავალებას ასრულებდა...

20-იანი წლების ბოლშევიკები სრულიადაც არ ცდილობდნენ თავისი ტერორისტული მოღვაწეობის მიჩქმალვას. პირიქით, ისინი

ამით აბაყობდნენ კიდეც. გავიხსენოთ, მაგალითად, ნაწყვეტი ალ. ობოლაძის ავტობიოგრაფიიდან (1922წ.), სადაც იგი სიამაყით წერდა, რომ ინდენი ტერორისტული აქტი, მას რომ წილად ხვდა, არავის შეუსრულებია კავკასიაში. „1906 წლამდე ტერორისტულ აქტებს, — აღნიშნავდა ა. ობოლაძე, — ვასრულებდი პარტიის დავალებით. ამის შემდეგ კი ერთპიროვნულად"...

ტერორიზმის ენციკლოპედია შეიძლება ვუწოდოთ ცნობილი ბოლშევიკის, თავის დროს საქართველოს ჩკ-ს შეფის, სტალინური რეპრესიების მსხვერპლის, კოტე ცინცაძის მოგონებებს, სადაც მას ვრცლადა აქვს აღწერილი ქართველი სოციალ-დემოკრატების ტერორისტული აქტები და ექსები. ერთგან კოტე ცინცაძე პათეტიკური ტონით იგონებს: „...ამხ. არსენა ჯორჯიაშვილს მინდობილი ჰქონდა გენერალ გრიაზნოვის მოკვლა. აქტის სისრულეში მოყვანა ამხ. ჯორჯიაშვილს დაეკვანდა. დამიძახა კობამ (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოამზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭები და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შემდეგ შენ მოგანდობთო. მე ძალიან გამეხარდა. დავამზადე კიდეც ორი ამხანაგი და ველოდებოდი ერთ კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავისი მინდობილობა და მე კი დამტოვა პირდია" (კოტე ცინცაძე, „ჩემი მოგონებანი 1903 წ. 1920 წლამდე," იხ. „რევოლუციის მატიანე", ისტორიული ჟურნალი, 1923, № 4, გვ. 56).

ჩვენმა საზოგადოებამ სხვა მასალებთან ერთად კარგად უნდა გაიცნოს ეს მოგონებები, რათა დილეტანტური დასკვნა არ გამოიტანოს იმის თაობაზე, რომ ჩვენში ტერორსა და ექსებს მარტო ბოლშევიკები ახორციელებდნენ, მენშევიკები კი უცოდველნი იყვნენ. ასე მარტივად ესმით, მაგალითად, ისტორიული ფაქტები ახალ სოციალ-დემოკრატებს. რაც, ცხადია, საქართველოს უახლესი პერიოდის პოლიტიკური პარტიების თავგადასავლის ელემენტარული უცოდინარობის ბრალია. ტერორსა და ექსებს სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა მისდევდა. განსხვავება იყო მხოლოდ მათ თეორიულ-პოლიტიკურ წარმოდგენებში, რაც ჩვენში წმინდა ფორმალური ხასიათისა იყო. (იხ. კ. ცინცაძე, დასახ. მოგონებები).

ჩვენი მოკლე ექსკურსის მიზანია ვუჩვენოთ, რომ ფ. მახარაძიდან მოკიდებული, ავტორთა ცდები, დაიცვან სოციალ-დემოკრატების ავტორიტეტი იმაზე მითითებით, რომ ისინი ტერორისტული აქტების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, მხოლოდ გულუბრყვილოებზე გათვლილი ნაბიჯია.

მაშ ვინ მოაწყვეს ი. ჭავჭავაძის მკვლელობა — ბოლშევიკებმა თუ მენშევიკებმა? რატომ მოკლეს მაინცდამაინც 1907 წელს? აი, საკითხე-

ბი, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან ვრცელ განმარტებას, საამისო არგუმენტაციის გამოძებნას.

ილიას მკვლელობის კვალს ბოლშევიკებისაკენ მივყევართ და აი რატომ.

ბოლშევიკი იყო ილიას ყველაზე დაუძინებელი მტერი ფილიპე მახარაძე, რომელიც ასე აღვირახსნილად იქცეოდა მუდამ ილიას მიმართ. გავიხსენოთ „მოგზაური" და 1913 წ. კამპანია. ასე რომ გ. ბერბიჭაშვილის ცნობა, ფილიპემ მოგვაკვლევინა ილიაო, სიმართლეს უნდა შეეცავდეს. მაშ თავისით ხომ არ ჩადგებოდნენ რიგითი სოციალ-დემოკრატები ილიას მკვლელთა რიგში?

შემდეგ სწორედ ბოლშევიკები იყვნენ, კაი ხნის განმავლობაში, 1921 წლიდან, ასე ერთგულად რომ უპატრონეს გიორგი ბერბიჭაშვილს. რატომ არ ჩანდა გ. ბერბიჭაშვილი მენშევიკების დროს და რაღა მაინცდამაინც 1921 წ. თებერვლის შემდეგ გამოჩნდა ასე საჯაროდ და მალე აღზევდა კიდევაც? სხვათა შორის, შემორჩენილია გიორგი ბერბიჭაშვილის ჩვენება იმის შესახებ, რომ 1921 წ. თებერვლის გადატრიალების ჟამს, როცა იგი „ნახალოვკაში" იბრძოდა გვარდიის გასაიარაღებლად, მისი მეთაური აქ იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი ალექსანდრე ობოლაძე. ასე ხელდახელ როგორ მიიღო გ. ბერბიჭაშვილი ალექსანდრე ობოლაძემ, თუ მას ადრევე არ იცნობდა ან მისი როგორც ყოფილი წითელი პარტიზანის შესახებ სათანადო ცნობები არ ჰქონდა?

ბოლშევიკებისაკენ მივყევართ აგრეთვე ი. ირემაშვილის ცნობებს, რომლებიც ჩვენ ვრცლად გავარჩიეთ.

და ბოლოს, ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, თუ როგორი მზრუნველობით და ფანატიზმით ცდილობდნენ მუდამ ბოლშევიკები „ვიღაცა იმერლის" გასაიდუმლოებას. რისთვის გააკეთებდნენ ისინი ამას, თუ ტერორისტი მათი წრიდან არ იყო?

ერთობ ბუნდოვანია ისიც, თუ რომელი ინსტანციის მიერ იქნა გადაწყვეტილი ილია ჭავჭავაძის მოკვლა. გ ხიზანიშვილის ჩვენებით ივ. ინაშვილი, „ვიღაცა იმერელი" და გ. ბერბიჭაშვილი ამბობდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა კომიტეტმა დაადგინა. ეს ჩვენება სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. ამ უკანასკნელთა საგურამო-წიწამურთან მისვლა და მათ მიერ კომიტეტის სახელით ინფორმაციის მიცემაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მკვლელობის გადაწყვეტილება თბილისში იქნა მიღებული. განა ამასვე არ მოწმობს ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დაემთხვა მისი სახლის გაძარცვაც თბილისში? რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ილიას მოკვლის გეგმა კოორდინირებული იყო იმ ჯგუფის მიერ, რომელიც არა მარტო საგურამო-წიწამურში, არამედ თბილისშიც მოქმედებდა? ცხადია, ეს ჯგუფი შეუძლებელია ინსტანციურად საგურამო-წიწამურის ფარგლებით ყოფილიყო წარმოდგენილი.

გასახსენებელია, ამასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ე. დავალის მოგონებებიდან ჩანს, გ. ბერბიჭაშვილის რევოლიციურ მუშაობას თბილისის სოციალ-დემოკრატები მესვეურობდნენ. განა ამ წრის დავალებით არ მიჰქონდა გ. ბერბიჭაშვილს სტამბური ტექსტი არსენა ჯორჯიაშვილზე დუშეთის მასებში რევოლუციური ენთუზიაზმის ასაშაღლებლად? აქვე გვახსენდება სხვადასხვა წყაროების, კერძოდ, ი. ირემაშვილის მითითებები დიდი მასშტაბის ტერორისტულ აქტებზე, რომლებსაც კობა-სტალინის ხელმძღვანელობდა.

მართალია, ამჟამად ჩვენ კონკრეტული ცნობა არ გვაქვს კობა-სტალინის როლზე „წიწამურში", მაგრამ ალბათ მართებული არ იქნება იმაში დაეჭვება, რომ რამდენადაც ილია ბოლშევიკი ტერორისტების მონაწილეობით იქნა მოკლული, ეს აქტი ვერ განმორციელდებოდა კობას გარეშე, რომელიც 1906-1907 წწ. საქართველოში ბოლშევიკური ექსებისა და ტერორისტული ოპერაციების მომწყობი იყო. საქმე უბრალო ექსს როდი ეხებოდა. ილიას კლავდნენ, ილიას, რომლის მკვლელობაზე, ილიას დასაცავად, კობას, ვიდრე არ დასჭირდა, დიდი ხნის მანძილზე, სიტყვა არ დაუძრავს, არც ავად, არც კარგად! განა ეს ფოტაა?

. . . და ბოლოს კონკრეტული მომენტის შესახებაც.

რატომ მოკლეს ილია მაინცდამაინც 1907 წლის აგვისტოში, და არა 1905 წელსვე, როცა სოციალ-დემოკრატები რევოლუციური მძლავრობის ზენიტში იმყოფებოდნენ?

. . . ამ საკითხზეც ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია.

ზოგიერთის აზრით, „წიწამური" ჩვეულებრივი მძარცველური აქტი იყო. მაგრამ ეს აზრი დიდი ხანია უარყოფილია მას შემდგ, რაც ვუბერნატორის კანცელარიამ ცენტრს აცნობა, რომ ძარცვა სიმულირებულია. თუმცა ამ ვერსიას თავისი არსებობის საფუძველიც აქვს. 1907 წელს ილიას მეგობარმა მიხ. ჩიკვაიძემ გამოძიებას უჩვენა, რომ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ილიასთან რამდენიმე უცნობი პირი მივიდა ფულის სათხოვნელად, მაგრამ ილიამ დაარწმუნა ისინი, რომ მას ფული არ ჰქონდა, რის შემდეგაც უცნობები გაეცალნენ. ახლა კი, ტრაგედიის დღესვე, დადასტურდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო წიწამურთან იქნა გაძარცული, არამედ იმავდროულად მისი სახლი თბილისშიც იქნა გატეხილი. უცნობ ბოროტმოქმედს ილია ჭავჭავაძის ოთახი, კერძოდ კი მისი საწერი მაგიდაც ჰქონდა გადაქოთებული. ჩანს, ისინი რაღაცას ეძებდნენ — ფულს, ან ჩვენთვის უცნობ რაიმე დოკუმენტაციას. იყო ეს ჩვეულებრივი, ქონების საშოვნელი გაძარცვა, თუ მას სხვა მიზეზი ჰქონდა? — ამაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ჭირს.

ამასთან კავშირში სხვა გარეუდიც, მბოლოდ გარეუდი შეიძლება გამოითქვას...

იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძეს ქართველი სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ, სრულიად ბუნებრივად იმთავითვე წარმოიშვა აზრი, რომ ილია მოწინააღმდეგეებია პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლეს. ის აზრი, რომ მკვლელები სოციალ-დემოკრატები იყვნენ, როგორც ვხედავთ, მართლდება. მაგრამ მკვლელობის კონკრეტული მოტივი — რა იყო ივი?

ამასთან დაკავშირებით ხშირად იხსენებენ, თუ როგორი გამწვავებული ბრძოლა იყო მაშინ საქართველოს ავტონომიის საკითხზე. ერთ მხარეზე იდგნენ გვიანი თერგდალეულები, რომლებიც იმპერიის ფარგლებში საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ. მათ მსგავსად ავტონომიისათვის იბრძოდნენ ქართველი სოციალ-ფედერალისტებიც, რომლებსაც ავტონომიის ბაზად დემოკრატიული სოციალიზმი წარმოედგინათ. მათ წინააღმდეგ კი ენერგიულად იბრძოდნენ საიმპერიო ცენტრალიზმის იდეით გაჟღენთილი ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომელთა თანაბმადაც, ჭეშმარიტი ავტონომიის მოპოვება საქართველოს შეეძლებოდა მხოლოდ სოციალური რევოლუციის შემდეგ თავისუფალ ფედერაციაში, ახლა კი ავტონომიისათვის ბრძოლა მასების ინტერესების ღალატის ტოლფასად მიაჩნდათ: ძალები დაიქსაქსებაო!

1906 წ. სახელმწიფო საბჭოში არჩეული ილია ჭავჭავაძე ჭაბუკური ენერგიით შეუდგა საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას და საამისოდ, — ძალთა თავმოყრასა და გაერთიანებასაც კი. ილია იბრძვის ფართო აგრარული რეფორმისათვის, ოცნებობს, აღადგინოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რისთვისაც პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამს. ილია ჭავჭავაძე იმის მომხრეა, რომ რუსეთის მემანულური იმპერიის პოლიტიკური სტრუქტურა შეიცვალოს და საქართველოს ფართო თვითმმართველობა მიენიჭოს. ამ მიზნით ქართველი ერის დიდი მოამაგე სახელმწიფო საბჭოში მიეკედლება ე. წ. მემარცხენე, ანუ აკადემიურ ფრაქციას, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები—კადეტების პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები შედიან. ილიას იზიდავს მათი მისთვის მისაღები პროგრესული პოლიტიკური იდეები და ის, რომ კადეტები მცირერიცხოვან ერებს სამომავლოდ ავტონომიას ჰპირდებიან. ამავე განზრახვით ილია უახლოვდება ე. წ. ავტონომისტ-ფედერალისტთა ჯგუფს, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ბაზაზე ყალიბდება.

საქართველოს ავტონომიისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი, პეტერბურგში, სახელმწიფო სათათბიროში სამუშაოდ ჩასულ ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც კი შეხვდება (ნოე ჟორდანია, ის. რამიშვილი), სურს საერთო-ეროვნულ ბრძოლაში მათი ჩაბმა, მაგრამ ამაოდ. ქართ-

ველ სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ რევოლუციის გლობალური ამოცანები აწუხებთ...

ყველაფერი ეს ხდება წიწამურის ტრაგედიის წინახანებში.

ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის პერიოდი, მიუხედავად მალაქია ბოლქვაძის შესანიშნავი მოგონებებისა (მ ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან", ჟურ. „განათლება", 1908, № 3) და სხვა მასალებისა, ჯერ სათანადო სისრულით შესწავლილი ვერაა.

მახსენდება ამ სამიოდე წლის წინ, განსვენებულ რეზო თაბუკაშვილთან საუბარი. ის მეუბნებოდა:

— რამდენი წელია, გამიგონია, ძველები ამბობდნენ, თითქოს, პეტერბურგში ილია ჭავჭავაძემ ნიკოლოზ II-სთან შეხვედრაც მოახერხა და დაარწმუნა, რომ საქართველოსათვის ავტონომიის მიცემა დროული იქნებოდა, რაზეც იმპერატორი დათანხმებულაო. ნეტავი, ეს ხომ არ გაიგეს სოციალ-დემოკრატებმა, ამიტომაც ასე გადაირივნენ და ტერორისტული აქტი მოუწყვეს? დაუკვირდი, სოციალ-დემოკრატებს ილია არც 1905 წ. უყვარდათ, მაგრამ მაშინ მაინც არ მოუკლავთ, ახლა კი, 1907 წელს, ავტონომიის საქმე უკვე საქმეზე იყო მისული.

მე მაშინ ბ-ნ რეზოს გადაწყვეტით ვერაფერი ვუპასუხე. დაბეჯითებით არც ახლა შემიძლია რამის თქმა, მაგრამ მასალებზე მუშაობისას ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ასეთი ხმა — ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ნიკოლოზ II-საც შეხვდა საქართველოს ავტონომიის საკითხზე და საქმეც სასიკეთოდ დაიძრაო — მართლაც დადიოდა. ამის შესახებ ვიგებთ წინამძღვრიანთ საოჯახო გადმოცემიდან, რაც ჩვენამდე წერილობითაა შემორჩენილი. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რამდენად სწორია ეს ვერსია. სულ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ისტორიკოსების თვალსაწიერში გამოჩნდა უნიკალური ინტერესის აღმძვრელი წყარო — ნიკოლოზ II-ის დღიურები, რომელსაც, ინგლისურ-სკანდინავიური პედანტიზმით აღზრდილი რუსეთის უკანასკნელი მონარქი სისტემატურად აწარმოებდა. ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება ამ წყაროს გაცნობისათვის იმის გასარკვევად, შეხვდა თუ არა ნიკოლოზ II ილია ჭავჭავაძეს. ხომ არ მოახერხა ილიამ მონარქთან მისვლა გიორგი შერვაშიძის წრის მეშვეობით, რომელიც ალექსანდრე III-ის სიკვდილის შემდეგ ნიკოლოზ II-ის მამინაცვალი იყო. ჯერჯერობით, ეს ყველაფერი ვარაუდებია, რომელთაც შემოწმება უნდა. ისე კი, აშკარაა, რომ ქართველი ეროვნულ-დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის ზეწოლებით ნიკოლოზ II იძულებული გახდა 1907 წ. 19 დეკემბერს აღედგინა კიდევაც ქართული მონარქია, „აღდგენილ" საქართველოს ტახტზე, განაწესეს ელისაბედ ბაგრატიონი (გრუზინსკაია) იხ. მ. ბულეიშვილი, ახლო წარსულის ერთი ფურცელი, გაზ. „ლიტერატურული

საქართველო", 11-II, 89. პოლიტიკური ინდივიდუალობის მბეჭდავი ემბლემაა, მაგრამ მაინც ემბლემაა!

საკითხი, მაშასადამე, ასე ისმის: ხომ არ გამოუტანეს სოციალ-დემოკრატებმა ილიას სასიკვდილო განაჩენი ავტონომიის იდეის წარმატების გამო? ალბათ, ძალაუფლების მოტრფიალე სოციალ-დემოკრატებს ილია ავტონომიური საქართველოს პოლიტიკურ მესვეურად ეჩვენებოდათ და მისი ცოცხლად დარჩენა სახიფათოდ ჩათვალეს.

არსებობს ის აზრიც, რომ ილია ჭავჭავაძე საგურამოელმა გლეხებმა იმიტომ მოკლეს, რომ სასტიკად ექცეოდა მათ, აიძულებდა დარჩენილი საბატონო გადასახადები დაეფარათ. სხვათა შორის, ძიებისათვის 1907 წელსვე გახდა ცნობილი, რომ მკვლელობამდე სამიოდე დღით ადრე ილიას კარზე მოსამსახურე გლეხები გაიფიცნენ, სადილზე უარი თქვეს, ცუდად გვაჭმევენო. აღმოჩნდა, რომ ეს მართალი არ იყო. ილია ამაზე განაწყენდა და ლამის სამსახურიდანაც დაითხოვა გაფიცულები, რომლებმაც თავი დამნაშავედ ცნეს. უკვე ამ დროს გლეხებში მითქმა-მოთქმა იყო: თავადს მოკლავენო. უეჭველად ეს ამბავიც ჰქონდა ხმდველობაში დიმიტრი ჯაშს, რომელმაც, როგორც აღვნიშნავდით, პირველი მსოფლიო ომის დროს სინანულით თქვა: მე სამი დღით ადრე ვიცოდი, რომ ილიას მოკლავდნენ, მაგრამ ენა გამიქვავდა და ვერაფერი ვუთხარი ილიასო. სხვათა შორის, დ. ჯაში წიწამურის ტრაგედიის შემდეგ წლებში საჯარო ლექციებსაც კითხულობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე და ამ აქტს, უბრალოდ, ილიასა და გლეხებს შორის გამწვავებული ურთიერთობით გაპირობებულად თვლიდა. ერთ-ერთი ამგვარი ლექციის შემდეგ აუდიტორიამ სასტიკი უკმაყოფილება გამოხატა. იხ. დ. ჯაშის ლექცია ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ, „ჩვენი გაზეთი", 1913, № 61. ცხადია დ. ჯაშის ვერსია უმწეოა. თუ ილია უბრალოდ თავისივე გლეხობასთან კონფლიქტს გადაჰყვა, რა, ეს უკანასკნელები სოციალ-დემოკრატი ტერორისტების გარეშე ვერ მოკლავდნენ მას? ხოლო თუ გლეხებმა სოციალ-დემოკრატებსა და მათ კომიტეტს მიმართეს, გვიშველეთო და ამის შემდეგ მოხდა ტრაგედია, ცხადია, ეს პარტიული ამხანაგების დამსახურება იყო. აკი ამავე აზრს შეიცავდა გუბერნატორის კანცელარიიდან გაგზავნილი დეპეშაც: აქცია ჰოხდა სოციალ-დემოკრატების წაქეზებითო.

და ბოლოს, მაინც უნდა ვიკითხოთ: ტრაგედიის დღეს, თბილისში, ილიას სახლში. შეცვენილი ბოროტმოქმედები ქაღალდებს რომ ქექავდნენ საწერ მაგიდაზე, ცხადი არაა, რომ ფულზე არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული, ვინაიდან სახლიდან სხვა ფასეულობების გატანა შეეძლოთ? ხომ არ ეძებდნენ ისინი ილიას მაგიდაზე დოკუმენტს, რომელზეც ამბობდნენ, იგი ნიკოლოზ II-ის მიერ ხელმოწერილი საბუთია, რომლითაც საქართველოს ავტონომია უნდა მიენიჭოსო?

ცნობები ავტორის შესახებ

შოთა აბრამის ძე ბადრიძე — ისტორიკოსი და პუბლიცისტი. დაიბადა 1939 წელს. 1957-1962 წწ. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1962-1965 წწ. აქვე — საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტურაში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია 1975 წლიდან. არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრების“ დამფუძნებელი — „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“ რედაქტორი.

შ. ბადრიძე ავტორია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა. მათ შორის: „ექვთიმე თაყაიშვილი“ (რ. მეტრეველთან ერთად, თბ; 1962, „ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი მოჭირნახულე.“ (ალექსანდრე ხახანაშვილი), თბ. 1968; „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობები, თბ, 1977; „საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან“, თბ., 1984. „ილია ჭავჭავაძე როგორც ისტორიკოსი“, თბ., 1987; არის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომისა და „თბილისის ისტორიის“ I ტომის ერთ-ერთი ავტორი. გამომცემლობა „მეცნიერება“ სცემს მისი ნარკვევების კრებულს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე — „ქართული ფეოდალური სამყარო VIII-XIII სს“.

ინტენსიურ პუბლიცისტურ მუშაობას ეწევა ქართულ პრესაში, სადაც ეროვნულ-ვამპირისუფლებელი იდეოლოგიის კუთხით აშუქებს მწვავე ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემებს. ბოლო ხანებში გამოქვეყნდა მისი პუბლიცისტური ნარკვევები „ჭყონდიდელი ილოცება“, „როდემდის, კატალინა?!“ (ა. სილაგაძესთან ერთად) და სხვ.



წიწამური, ადგილი სადაც მოკლეს ილია

ეტლი, რომელშიც მოკლეს ილია

ურემი, რომლითაც ილიას ცხედარი გადმოასვენეს წიწამურიდან საგურამოში



ილია კუბოში



ილიას ცხედარის გამოსვენება საგურამოს სახლიდან



სამგლოვიარო პროცესია მცხეთასთან



ილია ჩასვენების დღე

ილიას სახლი თბილისში ანდრეევის (ამჟამად ჩუბინიშვილის) ქუჩაზე

ილია სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის



ᲡᲝᲡᲝ (ᲘᲝᲡᲔᲑ) ᲙᲣᲚᲝᲛᲕᲘᲚᲘ (ᲛᲯᲓᲮᲐ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ) ᲓᲐ
ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲠᲘᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲬᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ
ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

კობა — სტალინი პირველი მეუღლის — ეკატერინე სვანიძის კუბოსთან.
დგანან მიცვალებულის მშობლები და დედმამიშვილები

ლენინის ქარხნის თანამშრომელთა შორის

ილია და ოლღა საგურამოში

იოსებ ირემაშვილი გერმანიაში
20-იანი წლები

დიმიტრი ჯაში

ТЕЛЕГРАММА

Т р е с к и н о

Его Высокопревосходительству

Михаилу Григорьевичу Аджемову.

Управляющій Тифлисской губерніей сообщилъ, что 30 Августа, около 12 часовъ дня, въ лѣсахъ верстахъ отъ селенія Сапурамо, Тифлисской губерніи, четырьмя вооруженными, одѣтыми въ военные костюмы, убитъ Членъ Государственнаго Совѣта, по выборамъ отъ дворянства, князь Илья Григорьевичъ Чавчавадзе и его лакей Ганенко. Принадлежащіе въ розыску княгини Ольги Федоровны Б-й ограблены. Предполагается, что князь убитъ частными крестьянами по подстрекательству соціаль-демократовъ. Грабежъ симулирован.

Исправляющій должность

Генералъ-губернатора



ციწამური. ჯვარი, აღმართული ილიას ძეკლელობის ადგილზე

ფუხარე საქართველო

სარჩევი

ავტორისაგან . . 2

წინასიტყვაობის მაგიერ . . . 6

მოგლა თუ არა ილია ჭავჭავაძე „ოხრანკამ“ . 19

მოკლეს თუ არა ილია სოციალ-დემოკრატებმა 112

დასკვნა 227

Шота Абрамович Бадридзе

ЗАГАДКИ ЦИЦАМУРСКОЙ ТРАГЕДИИ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1991 г.

რედაქტორი გ. სალიაშვილი

მხატვარი ი. ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი

სბ 1808

გადაეცა წარმოებას 10. 09. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.04.91

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16 პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 16. სააღრ-საგამომც. თაბახი 13,31

ტირაჟი 40.000 შეკვეთის № 337

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 14.

გურჯაანის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება

მერაბ კოსტავას ქ. № 2.